თამაზ მეტრეველი

ცისიქითეთი

თბილისი
2011–12

რაღაც დავკარგე

რაღაც დავკარგე,
რაღაც ჯადო,
რაღაც თილისმა,
შენგან სინათლის წელიწადით
რაც დამაშორეს,
ვიცი, გავუძლებ,
რომ გავუძლებ მე ამ ტკივილსაც,
თუ კი ეს ჩემი ნასიზმრალი ავწონ–დავწონე...
მითხარ, ძვირფასო,
რას ნიშნავდა შენი სურვილი,
ვინ მაიძულა,
მიკარნახა,
ან ვინ დამსაჯა?
ან როგორ გაჩნდი
ჩემს წინ ასე სასწაულივით,
როგორც ზეციურ ვარსკვლავების ერთად თავდასხმა...
ვიცი, რომ ჯერაც გაუგებარ
სიტყვებს ვბუტბუტებ,
მინდა, როგორმე ავიცდინო შენი ტყვიები,
გავცქერი ველებს
შენი ცეცხლით გადაბუგულებს,
რატომ მეგონა
თავხედობას მაპატიებდი...
მე ყველას ვუსმენ,
ყველას ვუსმენ,
ვინ რას მაბრალებს,
იცი, შენს მერე
ღამეები აღარ თავდება,
ვუფრთხილდებოდი გულს,
რომელიც ამომაცალეს,
და დავატარებ დღემდე ასე
სხვების საცქერლად ...
ვიცი, დამთავრდა,
ვერ გადმოვდგი შენსკენ ნაბიჯი,
ახლა კი უკვე ლაპარაკსაც აღარ მაცლიან,
გთხოვ, მაპატიო სიყვარული

დღეს რომ განვიცდი,
შენთვის ოდესღაც
ლექსებად რომ დამიმარცვლია...

ეეჰ!!!

იმდენი გრძნობა შემომაღვარე,
რომ არც კი ვიცი, როგორ გავტოპავ,
დღეს მეც უშენოდ ვათენ–ვაღამებ,
შენთან ვწევარ და მაინც მარტო ვარ...
რომ უსასრულოდ გრძელდება ჩემი
ეს უთავბოლო გატაცებები,
რომ ამის გამო შენც მარტო რჩები,
რომ ვერ უძლებ და სულით ეცემი...
სულით დაცემა, რა სიტყვებია,
შიგ ჩაეტევა მთელი ცხოვრება,
რაც რამე მქონდა გამიცემია,
ბედიც მტაცებდა რასაც მომცემდა...
ნუღარ დამწყევლი, ეს ყველაფერი,
უმაგისოდაც გამძაღლებია,
ანდა, ამ სულში რაღას ჩამცქერი,
იქ შენ არავინ არ დაგხვდებიან...
ჰოდა, არ არის რადგან საშველი,
ან ვინმე იყოს, რომ გაგვაშველოს,
ისევ მუმიას დავემსგავსები,
კუბოში ცოცხლად რომ ჩამასვენო...

ჩვენთვის ამოვა ყველა ვარსკვლავი

არ ვიცი, როგორ დავიწყო ლექსი,
და, მგონი, ალბათ, არც გამომივა,
შენ უხმაუროდ შემოხველ ჩემში,
და ერთის ნაცვლად ახლა ორნი ვართ...
მე მართლაც მიყვარს, როდესაც ვპარავ,
ცხოვრებას წამებს, წუთებს, საათებს,
მართლაც ყველაზე, ყველაზე მთავარს,
მხოლოდ სიყვარულს ვერ ვუღალატებ!
და მეყვარები, როგორც არავის,
როგორც ცას მიწა და ღმერთს სამყარო,
ჩვენთვის ამოვა ყველა ვარსკვლავი,
რადგან ვერ გავძლებთ ჩვენ უვარსკვლავოდ...
რომ სიამაყე შენში რაც არის,
ერთი ათად და ასად ვაქციო,
რომ თქვა, სიცოცხლე იყო ზღაპარი,

და გამიმართლა ამ ზღაპარშიო...

...

ჩვენს სიცოცხლეს უამრავი,
უამრავი რამ განსაზღვრავს,
თუ მაჩუქე შენი თავი,
უკითხავად არ წამართვა...
ჩემთვის ველის ყაყაჩო ხარ,
სხვისთვის იქნებ შავი ვარდი,
როცა ჩემთან ქარი ქროდა,
შენ სამეფოდ სხვასა რთავდი...
ზოგი დილა სევდას ბადებს,
სიხარული მოაქვს ზოგსაც,
ზოგი ტკივილს გაგიახლებს,
ზოგიც ღვთიურს გჩუქნის კოცნას...
ასე ებმის დღეს დღეები,
დარებს სცვლიან ქარიშხლები,
არ გამტაცო შენი მკერდი,
სანამ კოცნით დავიღლები...
ზოგჯერ ზღვა ხარ მოლივლივე,
უფრო ხშირად თოვლის ზვავი,
რა ადვილად მომიცილე,
ნუ მომკლავ–თქო, რა გითხარი...

ვერ გავუგე ამ ჰარმონიას...

იცი, ბევრს ვფიქრობ სამყაროში ყველაფერი ორი რომ არის,
ზღვა და ხმელეთი, ცა და მიწა, ქალი და კაცი...
ასე რომ არა, შედგებოდა ჩვენი რომანი?
ამ სიძულვილის და სიავის ასეთ თავსხმაში...
მართლაც, ვერ ვხვდები, ვერ გავუგე ამ ჰარმონიას,
ან მიხვდა რამეს, რომელიმე ფილოსოფოსი?
ჭეშმარიტებას რას გაუგებ, ის ფანტომია,
ღმერთების მიერ გასროლილი სადღაც კოსმოსში...
ისე მოვდივართ და მივდივართ, ვერაფერს ვხვდებით,
რა ჩადო ღმერთმა ჩვენს ამ ქვეყნად მოვლინებაში...
ან რატომ ვჩნდებით, რატომ ვჩნდებით, მართლაც, შემთხვევით,
ან ეს სიამე რატომ ჩადეს ამ ჩვენს ვნებაში...
ანდა, ღმერთებიც არსებობენ? მართალს ვინ მეტყვის,
თუკი სამყარო უნდა გაქრეს, გაქრეს ოდესღაც...
მე მეეჭვება, მეეჭვება მათი სიკეთის,
ანდა, რა არის სიყვარული, რწმენა, ოცნება...
ვკვდებით და ქრება ეს სამყაროც, ეს ხომ ფაქტია...

რომ ჩვენთან ერთად კვდება იმ წამს მარადისობა,
ან გოლგოთაზე ქრისტემ ჯვარი რად აათრია,
ჩვენ, იცი, რა გვჭირს? სიყვარულის უკმარისობა...

თილისმასავით გინახავ

იქნებ არც უნდა მენახე,
იქნებ არც უნდა გამეცან,
შენზე ოცნებას შევახევ
გულს სამომავლო ალერსად...
არ ვიცი უნდა მიყვარდე,
თუ მზის სხივს ვეპოტინები,
ვაითუ ამიყირავდე,
ვაითუ სხვას ვეცილები...
მყინვარ და მყინვარ მოგდევდი,
ვერ გაგაღიმე ვერაფრით,
ვერ ვნახე ანათრთოლები,
ეგ შენი ჩითის პერანგი...
არადა, როგორ მიყვარხარ,
არადა, როგორ მჭირდები,
თილისმასავით გინახავ,
შემოგხედავ და ვითვრები...
ერთი რა იყო, სულ ერთი,
ერთხელ მოჭვრეტა თვალების,
ასე თუ გამაბრუებდი,
ასე თუ ჩამაფლავებდი...
არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
ან მქონდეს რამის იმედი?
ვის უნახია ორი მზე,
ტყუილად გეკვლევინები...

მართლაც ვინ იცის

ჩვენ ხშირად ვცდებით, როცა მისამართს,
ვაწერთ და წერილს სადმე ვაგზავნით,
და ამის გამო ხშირად ბედს ვკარგავთ,
და გვეკარგება თვით მისამართიც...
შენ კი ასეთი ლამაზი რომ ხარ,
მართლაც, ვინ იცის, საიდან სადა,
ვისგან არ მოგდის კოცნა თუ ლოცვა,
ანდა, შენს გამო განცდილი განცდა...
იცი, ძვირფასო, მეც ხშირად ვცდები,
და მე ამასთან ვერაფერს ვაწყობ,
თუმცა, ვინ იცის, რას გვჩუქნის ბედი,

ან ღმერთს ჩვენთაგან რომელი ახსოვს!?

მოვა, მოვა შემოდგომა

ჯერ ვერ ვიგრძენ შემოდგომა,
ვერც სიცივით, ვერც სინაღვლით,
მაგრამ, ვიცი, მალე მოვა,
მალე მოვა, მე ვინ მაცლის...
ადრე რაღაც მაწუხებდა,
თითქოს, მართლაც, რაღაც მღრღნიდა,
შემოდგომა ასრულებდა
წლებს დაწყებულს იანვრიდან...
რატომ ხდება, რატომ ხდება,
მუდამ ასე უცნაურად,
ის რაც გვიყვარს გვეკარგება,
და თავიდან პოვნა უნდა...
სად ვიპოვო სიყვარული
გაფრენილი წლების წინათ,
შენს ლოყებზე მზის ალმური
ჩემთვის ისევ ისე ბრწყინავს...
მოვა, მოვა შემოდგომა,
მოიყოლებს თავის სევდას,
ვიცი, მისი გულისწყრომა
მეც უცილოდ შემეხება...

სოფის

რა ფერისაა ია?
რა ფერისაა ვარდი?
იას, რომელსაც სცივა,
მკრთალი ფერი აქვს ნაღვლის...
იას, რომელსაც უყვარს,
ვარდისფერები ათბობს,
ასე პატარა თუ ხარ,
ჩემთან რა გინდა ამ დროს?
კაცთან, რომელსაც უკვე,
იების დარდი არ აქვს,
ჩემთან სიმშვიდე სუფევს,
ჭრელი მინდვრების დარად...
გეტყვი, რომელიც მიყვარს,
ყვავილებიდან მეტად,
მე მგონი, ქალი ჰქვია
და მე შემომხვდა ბედად...

რად შემიყვარდი

რად შემიყვარდი? ვინ იცის იქნებ,
რომ ამომივსო სიცარიელე,
თვითონ ვერ ვუგებ ჩემს წყეულ ფიქრებს,
ან, თავში როდის, რა გამიელვებს...
რად შემიყვარდი ასე ადვილად,
იქნებ არჩევანს აღარ ვეძებდი,
და თუ შენს მეტი სხვა აღარ მინდა,
მართლაც ყველანი გახდნენ ზედმეტნი...
ნეტა, ხომ არ გწყინს ჩემი სიტყვები,
ანდა, თავხედი ხომ არ გგონივარ,
იქნებ, გგონია ჩამოგიჯდები,
და აღარ გავალ შენი ზონიდან!
არა, ძვირფასო, უმტკივნეულოდ,
წავალ, არ მინდა, გული გატკინო,
ჩუმად, უენოდ და უსხეულოდ,
თუ მესვრი, მაშინ არ ამაცდინო!!!

არ ენდო ქალებს

არ ენდო ქალებს, არ ენდო ქალებს,
რაც უნდ ნათელი გადასდიოდეთ...
აფახულებდნენ ყორნის წამწამებს,
და მკერდიც აუდ–ჩაუდიოდეთ...
არ ენდო ღიმილს, ეშმაკმა უწყის,
ტკბილი ღიმილით რა ღალატს მალავს...
მას ერთგულება ისევე უჭირს,
როგორც უხედნი ცხენი ღრღნის ლაგამს...
დიახ, ასეა, ერთი საუნჯე,
იქნებ აჩუქოს კიდეც ათასებს,
იცრუებს, თუკი რამე გაუგე,
საყვედურებით იქით აგავსებს...
მოიშველიებს, ცრემლებს რომლებიც
ჟაკან ტყვიაზე უარესია,
და იმ თავისი ცრემლის მორევში,
მაინც ჩაგახრჩობს, როგორც წესია...
დიახ, ეს გახლავთ ნაზი ქმნილება,
რომელიც მოჰგავს დილის ლილიას
მე მჯერა, ქვეყნად შურისძიება,
მხოლოდ ქალების მოგონილია...

როგორც ზეციურ გასხივოსნებას

მე აღტაცება ვისწავლე შენით,
და სიხარულსაც შენით ვეძებდი,
ვერ გამოვხატავ, ძვირფასო, ენით,
რა ჯადოქრულად მაიმედებდი...
რად ვენდობოდი შენს სილამაზეს,
როგორც ზეციურ გასხივოსნებას,
რომ ერთი იყავ ამ ქვეყანაზე,
და არ მიხილავს სხვა საოცრება...
რომ ბურთი მქონდა ყელში გაჩრილი,
რადგან არ მქონდა არა უფლება,
რომ სიყვარული ჩემგან ახსნილი,
დღემდე არაფერს არ გეუბნება.
რომ ლამაზი ხარ და ვნებადაცლილს,
აღარ მაწუხებს ეჭვის ქარები,
ასე მგონია, რომ დროც არ მაცლის,
რომ ვერასოდეს მოგეკარები...
მე ისევ ისე ვენდობი ქალებს,
ბავშვობის წლებში, როგორც მიყვარდით,
დაგინახავ და შეიფართხალებს,
გრძნობები შენთვის რომ ვინახავდი...
ან ათას ქალში რად აგარჩიე,
მითხარი, შევცდი? იქნებ გეწყინა,
ჩემი ცხოვრება ხელით ვათრიე,
რომ შენთან ოდნავ გამომებრწყინა...
ჩემი ოცნების თეთრი ვარდი ხარ,
ჩემი სიზმრების ხარ მარგალიტი,
თუ ბავშვობაში დამიკარგიხარ,
მითხარი, ახლა რატომ განვიცდი...

თვალები, სევდის ამოცანები... (თამუნა ვარდიას)

ამ მწუხარებას, უენოს, უხმოს,
ეხამებიან მკვდარი ფოთლები,
ძვირფასო, იქნებ გაწუხებ ცუდ დროს,
იქნებ ვინმე სხვას ესაუბრები...
სულ არ ვაპირებ შენი განწყობა,
შევცვალო რამე მხიარულ ნოტზე,
მე შენი სახე დამამახსოვრდა,
ამ შემოდგომის ფოთლების ფონზე...
ამბობენ თითქოს ჩვენს გაჩენაში,
ღმერთების ხელი არ ურევია,
მიფრიალებენ ფოთლები ქარში,
და ქარიც მგონი ქარვისფერია...
ვიცი, ვერავინ რომ ვერ ამიხსნის,
რაზე ფიქრობენ შენი თვალები,

რა საზღაური გელის დარდისთვის,
თვალები, სევდის ამოცანები...

რექვიემი

ღამეა, უკვე, ალბათ, ქარებმა,
გამოიძახეს მკვდარი სულები,
ხმა ამოიდგეს ქარში ზარებმა,
ცვივა ზეციდან სასწაულები.
ჯერაც არ მძინავს, ღმერთს ველოდები,
ღამე კი დაძრწის შავი ლაბადით,
ვინც ცოცხლები ხართ ყველა მოკვდებით,
ზოგი მშვიდად და ზოგიც ღალატით...
ღამეა, მაგრამ არ მეძინება,
ანგელოზი მყავს ქარიზმატული,
გადააშავეს შავმა ფიქრებმა,
მთელი აწმყო და მთელი წარსული...
წუხს რექვიემი ვით სასაფლაო,
ღამემ აჩუქა შესამოსელი,
შენი სახელი ცაში ქანაობს,
ვეცადე მაგრამ ვერ ჩამოვხსენი...

ვერ მოვაღწიე შენამდე

მომბეზრდა პირველყოფილი
სილამაზე და სიმშვიდე,
თან შენგან უარყოფილი
სხვისკენ მივყვები ბილიკებს...
მაგრამ, რაც უნდა ეცადო,
რაც უნდა ურტყა ტამტამებს,
ღმერთად რომ გამომეცხადო,
თვალსაც არ დავახამხამებ...
არა ვარ მფთხალი ბუნებით,
სულ ცოტაც უნდა გეცლია,
თითქოს, ვართ გაკიცხულები,
თითქოს, რაღაცა შეგვშლია...
მითხარი, როგორ ვერ ამჩნევ,
ვადგამ არეულ ნაბიჯებს,
ვერ მოვაღწიე შენამდე,
ცხადია, ვერც შენ გამიგე!
ბევრი დამრჩება ნაწყენი,
ბევრიც მე გამანაწყენებს,
შენგან რომ დამრჩა ნატკენი
გულზე, დრო შლის და ამთელებს...

ვიცი, რომ აღარ გეპიტნავები...

წახვედი, უკან არ იხედები,
დაგედევნება ჩემი თვალები...
თითქოს მიწასაც კი არ ეხები,
ვიცი, რომ აღარ გეპიტნავები..
რაც რამ მაჩუქე უკან მიათრევ,
მიხვალ და თითქოს მიგეჩქარება,
მეკი ტკივილი რომ დამიამდეს,
რაც დამრჩა ისიც მიმეფლანგება...
მჭირდება უფრო დიდი ტკივილი,
რომ გადაფაროს შენი ჭრილობა,
შეცდომა რჩება გაკვეთილივით,
მართლაც გვინდოდა თუ არ გვინდოდა...
რა ადვილია, რა ადვილია,
ერთად შეკრიბო ყველა გრძნობები,
სანამ ზედ გულზე გადაგივლიან,
სანამ სიყვარულს ემშვიდობები...

იქნებ ეს სული დამამარხინო

ძვირფასო, მოდი, ამ ნახანძრალზე,
მესტუმრე, იქნებ სული გამილღვო,
მე გთხოვ, მოხვიდე, ნუ გამაბრაზებ,
თორემ ამ სევდამ გული წაიღო...
დღეები ისე განაცრისფერდა,
რომ დამეკარგა სულმთლად ხალისი,
ჭირი მოგჭამა ყველა მიზნებმა,
გადავუხადე მათ პარაკლისი...
მოდი, მესტუმრე, მომისამძიმრე,
იქნებ ეს სული დამამარხინო,
ვერ გავაღწიე უცხო ნაპირზე,
რადგან წავაგე კვლავ სამარცხვინოდ...
მესტუმრე სანამ გული გასკდება,
სანამ დაცლილა ვენა სისხლისგან,
თორემ დღეს ვინმე შემომაკვდება,
და ვეღარ მიხსნი მეც სიკვდილისგან...

ვნანობ, რომ თავი ვერ გაგაცანი...

ჰაერი სევდით გაჟთენთილია,
ჩამოუთრთვილავს შენთვის ბაგეზე,
ამბობენ თითქოს სული ტკბილია,

და ამიტომაც სულ სულს დავეძებ...
როგორ არ მინდა ავყვე ამ რიტმებს,
დღეს რომ თავს მესხმის და მიმაქანებს...
როგორ მეყოფა ეს გოჯი სივრცე,
თუ ცაზე ვეძებ ბედის ვარსკვლავებს...
უნდა დაგტოვო, უნდა წავიდე,
რა სიტყვებს მატან, იქნებ ამოთქვა,
ისე მომბეზრდა ამათ ნადიმზე,
ვით დანიის პრინცს, ყოფნა, არ ყოფნა...
რა კითხვები აქვთ, შენს მწვანე თვალებს,
თუ კი დამისვამ, გეტყვი რაც მოხდა;
ძვირფასო, სკამი გამომაცალეს,
თოკზე ვკიდივარ, სული ამომხდა...
გიგრძვნია სევდა დაუსაბამო,
სევდა ზამთრების ყინვით დამზრალი,
იცი, იმდენად სიკვდილს არ ვნანობ,
ვნანობ, რომ თავი ვერ გაგაცანი...

მოდის დღეები, უხმო, უფერო...

მე თოვლად მოვალ და დაგათოვლებ,
მე წვიმად მოვალ და დაგაწვიმებ,
მაგრამ, ძვირფასო, თუკი დამტოვებ,
ნუთუ, მაშინვე გადამივიწყებ.
მე კი არ მინდა, რომ კვლავ უშენოდ
სული მიწეწოს ზამთრის ქარებმა,
მოდის დღეები უხმო, უფერო,
მე მსურდა მათი გაფერადება...
რაც წასულია, ვერ დაბრუნდება,
რა გულსაკლავად რეკავს ზარები,
მართლაც რთულია ქალის ბუნება,
ნეტა, იყავ კი, შესაყვარები?!

აყრილია ყველა გზები

გაზაფხულზე წვიმა მაწვიმს,
დაზამთრდება მათოვს თოვლი,
შემოდგომა იყო მკაცრი,
გადაღლილი შენზე ლოცვით...
დავიცდიდი, დავიცდიდი,
დავიცდიდი კიდევ დიდხანს,
რომ მჯეროდეს ჩემი ფიქრის,
ჩემი ძველი მიზნებისა.
აყრილია ყველა გზები

და ბილიკიც არსად მიდის,
ეს დღეებიც მონაზვნები,
არსებობენ არაფრისთვის...
ვეღარაფერს თავს ვერ ვართმევ,
აღარაფრის არა მჯერა,
გლობალურად არ მიმართლებს,
საკუთარი თავის ტყვე ვარ...
როდის მაწვიმს, როდის მათოვს,
ერთმანეთში ამერია,
ველი, ველი, ველი მნათობს,
აღარც მახსოვს რა ფერია...
შენც გზაში ხარ, კვლავ არ ჩანხარ,
და დუელში ვიწვევ ჩემს ბედს,
გამიჩმახა ამ ჩახმახმაც,
გადმოწევაც კი ვერ შევძელ...
ბედი ტყვიას თუ გიმიზნებს,
რომც ეცადო, არ აგცდება,
ახლა რასაც ჩაიფიქრებ,
გაზაფხულზე აგიხდება...

ასე მგონია

ასე მგონია ოცნებები მოგვტაცეს ძალით,
და საგანგებოდ გამზადებულ ყუთში ჩაყარეს,
რომ არა გვქონდეს იმედები არასდროს ხვალის,
რომ გადაკეტონ ბოლო წვეთიც თუ მოწანწკარებს...
რომ აამღვრიონ, თუ რამ დარჩა აუმღვრეველი,
რომ მონობაში ძაღლებივით ამოგვხდეს სული,
რომ ეს ტკივილი იყოს მუდამ მოურჩენელი,
როგორც სამყაროს ჩაბნელება და აღსასრული.
თითქოს დამტოვეს მარტოდ გემზე ოკეანეში,
და აღმოაჩნდა გემს ტრიუმი გამოფატრული,
წყალმა იხუვლა, გაივსო და ფსკერზე დავეშვი,
გაიტიკნება ჩემი გვამი ასე ქართული...
მას ზვიგენები ყველა მხრიდან დაესევიან,
მძიძგნიან, მაგრამ რას ვეყოფი ამდენ ყაჩაღებს,
ვერაფერს შეცვლი, ამ სულიერთ ერთი წესი აქვთ,
ისე გაგაქრონ, შენი კვალიც რომ არსად ჩანდეს...

...

ცხოვრება ხომ ერთი ბეწოა,
სულ ერთი თვალების ახელა,
ასე რომ, ის საოცნებოა,

მინდოდა ამისი გამხელა.
თუ შევხვდით ამ ქვეყნად, ძვირფასო,
სიცოცხლით დატკბობა მაცალე...
რა ცოდვა, ცოდვები ვის ახსოვს,
ასე რომ, ტყუილად მაწვალებ...

მარის

აყვავებულხარ, როგორც ბაღები,
შენს ყვავილობას მინდა გავუძლო,
დილის მზესავით ციდან ვარდები,
რომ გაზაფხულებს გაესაუბრო.
რა ლამაზი ხარ, რა სხივოსანი,
მოხვალ, მოაფრქვევ ირგვლივ სიცოცხლეს,
იცი, როგორც კი თვალი მოგკარი,
წამსვე საქალეთს დავემშვიდობე...
მართლაც ისეთი საოცრება ხარ,
ისეთი სიზმრის ნასიზმარევი,
რომ გაიგივებ ბედისწერასთან,
ხარ ჩემი სისხლის ამრევ–დამრევი...
რადგან, ლამაზო, როგორ აგიხსნა,
ისე ბრწყინავენ შენი ფერები,
რომ შევიშლები ვიცი დარდისგან,
სანამ გნახავ და მოგეფერები...

სიმშვიდე

რატომ ხდება, რომ ჩვენი სიმშვიდე,
ჩვენს ხელთ კი არა, სხვათა ხელშია...
და უარესიც, ალბათ, დღითი–დღე,
ვეღარა გვშველის ვერც ეკლესია...
რატომ გვინდა, რომ ყველას ვუშველოთ,
რომ ქვეყნად ყველა ამის ღირსია,
რომ უჭირთ, უჭირთ ყველას უჩვენოდ,
ახლა რატომღაც ამის შიში მაქვს...
სევდა რატოა ყველას თვალებში,
სტრესი, ნერვოზი, უხალისობა,
საყოველთაო სიმწუხარეში,
რატომ გადადის მარადისობა...
მე ხასიათი ვერ შევიცვალე,
მე ისევ ის ვარ, რაც ვიყავ გუშინ,
ჩავცქერ, ძვირფასო, შენს ლამაზ თვალებს,
და ვიხედები პირდაპირ გულში!!!

სიყვარული არსებობს

როგორ გითხრა, არ ვიცი, აბა, როგორ აგიხსნა,
სიყვარული არსებობს, მაგრამ, ალბათ, დროებით,
შენ რომ გნახე პირველად, თითქოს ზეცა გაიხსნა,
და მოედო მთელ ველებს ირგვლივ ყაყაჩოები...
მე არ ვიცი, რა იყო, ანდა, რას დავაბრალო,
ტალღასავით მოვარდი და ზედ გადამიარე,
მერე, იმწამს ჩვენს თვალწინ აყირავდა სამყარო,
რადგან რაც რამ არსებობს, შენს გარშემო ტრიალებს...
იცი, მაგრად არ მიყვარს ცრემლის ღვრა და კრუნჩხვები,
სიყვარული ეს შენი ატმისფერი კანია,
რომ იცოდე, ძვირფასო, როგორ მეჩურჩულები,
თუმც, კოცნაც კი არ იცი, ჰოო, არ გისწავლია...
ამის მერე როგორ ვთქვა, სიყვარული რა არი?
რატომ ჩნდება, ან რატომ ქრება უცბად, ვინ იცის?
ვინ დაახრჩო, ვის კიდევ წაუკიდა ხანძარი,
ვინ მწვერვალებს იპყრობდა მხოლოდ სიყვარულისთვის...
მე არ ვიცი, სად გაჩნდი, ვის კოცნასა ნატრობდი,
ვისთვის იყავ ნუგეში, ვისთვის ცისკრის ვარსკვლავი,
შორს დაფრინავ, ძვირფასო, მე კი გელი, ჩამოდი,
თორემ სევდა მომკლავს და გამომრიყავს ზღვასავით!!!

ნატვრა

მე მეგონა, მე გიპოვე,
შენ კი ბევრს უპოვნიხარ,
თითქოს ციდან ჩამოთოვე,
თითქოს ცივი თოვლი ხარ...
რად მეწყინა, რად მეწყინა,
სხვების ნახვა შენს ახლოს,
თითქოს სული გამეყინა,
ეშმამ ხელი შემახო!
ბედს არაფერს აღარ ვკითხავ,
იყავ ვისიც გინდოდეს,
უეჭველად მოგაკითხავ
და ეს მინდა იცოდე!!!
მოვიყოლებ ჩემს გრიგალებს,
ჩემს ზვავებს და ღვარცოფებს,
და თუნდ ჰყავდე ხელთ ტიტანებს,
მათთან ყოფნას ნატრობდე!
ყველას, ყველას, ერთიანად,
ყველას ჩამოგაშორებ...
არ ასცდება მკერდში დანა,

ვინც დგას შენს სიახლოვეს!
ვერაფერი, ვერაფერი,
ჩემგან ვერ დაგიფარავს,
თუმც დაგიცავს ჩემი ხელი,
მერე ყველა მტრისაგან!
აირჩიე შენი ბედი,
მეტყვი? გაგერიდები,
სხვასთან თუ ხარ თეთრი მტრედი,
ჩემთან გედი იქნები...
შენ დაგითმობ ჩემს ყველა ზღვას,
და უთეთრეს ჩანჩქერებს,
თუკი ჩემი ნატვრა ახდა
ვერავინ შემაჩერებს...
შემოგხედე, სულს დაემჩნა
შენი ნათითურები,
მხოლოდ შენთან, ერთადერთთან,
ნატვრას დავასრულებდი...

მიყვარს შროშანი

იქნებ შენ მითხრა, რომელია უკანასკნელი,
უკანასკნელი სიყვარული თუ რომელია...
მითუმეტეს თუ არის ასე აურაცხელი,
თანაც ყველანი, მოუთმენლად თუკი მელიან...
ანდა, რას მეტყვის მომღიმარე მათი თვალები,
როცა ანთებულ ჩემს მშვიდ თვალებს დაინახავენ,
მე ღერძს მიწისას მახსოვს უკან ვატრიალებდი,
და მიწაც ნაღდად ტრიალებდა მაშინ სხვა მხარეს...
დღეს მდინარე ვარ უკვე ზღვასთან ახლოს მისული,
მკლავებს გავშლი და გადავკოცნი უსაზღვროებას,
თუმცა, ძვირფასო, სულ არაა გამორიცხული,
რომ ერთხელ კიდევ ამისრულდეს, ალბათ, ოცნება...
რომ ველზე ვიწვე და ჩემს თავთან ნაზად დახრილი,
ეგ წამწამები კვლავ სიყვარულს მეფიცებოდნენ,
მერე, ჩემს ყურთან ტიკტიკებდე თოთო ბავშვივით,
და მეც კვლავ შენი გულისაკენ გზას მივყვებოდე...
მიყვარს შროშანი, ნუ მაჩუქებ შენც სხვა ყვავილებს,
და თუკი ჩემი ოცნებანი ამოიცანი,
შენგან მოტანილ თეთრ შროშანებს ჩამოვარიგებ,
და თვით კოცნასაც, სულ თავიდან შენგან ვისწავლი!!!

ზღვა

რა უხარიათ, ნეტა დელფინებს,

ზღვის ზედაპირზე ამოსხლეტილებს...
როცა ვუცქერი იმათ მალაყებს,
არ შემიძლია რომ მეც არ ავყვე...
ვივიწყებ ტკივილს, ვივიწყებ დარდებს,
და დელფინივით მივაპობ ტალღებს...
საოცარია სივრცის შეგრძნება,
როცა ზღვა თითქო ტანქვეშ გეცლება..
და არ არსებობს აღარაფერი,
თვალგახელილი ზეცას ასცქერი...
როგორც უხსოვარ მარადისობას,
რომელიც ვგრძნობდი რომ გამიცნობდა...
მაგრამ დღეიდან მზემდე აფრენილს,
კვლავ ზეციური მართობს ნატვრები...

ვის უღიმი სევდიანად

ვის უღიმი სევდიანად,
ან ვის უპობ, ნეტა, ბაგეს,
ვინ გიმღერის სულთათანად,
ამ მოსაწყენ წარსულ ჰანგებს...
ეგ ვარდი ვინ მოგიწყვიტა,
სიყვარული ვისი გკლავდა;
რატომა ხარ ასე წმინდა,
ვით ქალწული უცხო ხატთან...
მე შენამდე ბევრთან ვიყავ,
ბევრზე–ბევრი ხილი ვკრიფე,
მაგრამ ყველა დამავიწყდა,
შენი ეშხის გადამკიდეს...
რად მაგონებ ჩემ ძველ მუზას,
ნეტა, ასე რატომ ჰგავხარ...
გესმის ქნარზე ვიღაც უკრავს
სიყვარულის უცხო ამბავს...
გიმზერ, ვფიქრობ, ნუთუ ჩვენზეც,
ააგორეს უკვე ჭორი,
შენ ფიცულობ, ვიცი, ჩემ მზეს,
თუმც შენამდე გზაა შორი.

რად არის სევდა ასე ლამაზი

რად არის სევდა ასე ლამაზი,
რად არის სული სავსე ცრემლებით?
ჰო, თუნდაც მოსვლა ამ ქვეყანაზე,
სასწაულია, ჩვენ კი ვერ ვხვდებით...
ვგრძნობ, როცა გსურს, რომ მკერდზე მომეყრდნო,

და მწუხარებას ხარკი უხადო...
მე შენს მაგიერ სუნთქვა რომ შევძლო,
შევასრულებდი ამას უზადოდ...
შენ ბუტბუტებდი რაღაც სურვილებს,
მე კი ვიდექ და ცას გავცქეროდი,
მტრედებმა გუმბათს გადაუფრინეს,
ვიდექ და თითქოს არც ვვარსებობდი...
შენი მტევანი ხელში მეჭირა,
ვაკვირდებოდი ხაზებს ბედისას,
ქრისტე ჩემს ცოდვებს თუ შეეწირა,
მე რა მეტყობა უცოდველისა...
მე შორს ვიყავი შენგან ფიქრებით,
შორს, და ვუსმენდი შენს გულისცემას,
ოდესმე ყველა გარდავიცვლებით,
თვითონ სამყაროც გარდაიცვლება...
მე კი ვუცქერ, რომ კვლავ ერთად წყდება,
შენი და ჩემი სიცოცხლის ხაზი,
აღარაფერი არ შეიცვლება,
ვეღარ იქნები ისე ლამაზი...

და ყოველივე ღმერთის ნებაა

როგორ იწყება სიცოცხლე, იცით?
პირველად, ალბათ, დედის ძუძუთი...
ჯერ სიხარულით, მერე ტკივილით,
მზით, ვარსკვლავებით, სეტყვით, ბურუსით...
როგორ გრძელდება სიცოცხლე იცით?
ავის შეცნობით, კარგის დანახვით...
და მიდის, მიდის, სიცოცხლე მიდის,
ხან სიყვარულით, ხანაც ღალატით...
როგორ მთავრდება სიცოცხლე, იცით?
პოეტებისთვის ის არ მთავრდება,
პოეტების გზა სიცოცხლის იქით,
უკვდავებისკენ მიემართება!
უკვდავებისკენ, უკვდავებისკენ,
მარადის ქროდნენ მათი მერნები;
იქ მაინც ბრწყინავს მათი ნატვრისხე,
იქ აწვიმთ, ალბათ, დედის ცრემლებიც!!!
მაგრამ ჯერ სანამ მოვა სიკვდილი,
წინ ალბათ გრძელი გოლგოთის გზაა...
ბრუნავს დოლაბი, სუნთქავს წისქვილი,
და ყოველივე ღმერთის ნებაა!

შეგხვდები

ვიცი, ძვირფასო, რომ გენატრები,
რომ სევდას მიცვლი კვლავ სიხარულზე;
აბა, რა გითხრა, ამ გულს ვასკდები,
როგორმე გული რომ არ გამისკდეს!
ისე ცივი ვარ, როგორც მყინვარი,
და ალბათ არც ღირს ჩვენი შეხვედრა,
მახსოვს წუთები დაუვიწყარი,
მსმენია ბოლო ამოკვნესებაც...
და თუკი ვხუმრობ ამ ცხოვრებაში,
და არ ვიცილებ ღიმილს სახიდან,
ეს ალბათ არის ჩემი რევანში,
სევდაზე, ზეცა რომ მიგზავნიდა...
შეგხვდები, მინდა შენთან შეხვედრა,
თავი გრიგალებს თუ დავაღწიე...
თუ ჩემი სულის ბოლო ფერფლებმა
შეყვარებულად ისევ მაქციეს...
მაგრამ, რა ვუთხრა, მითხარ, შენს მზერას,
როცა ჩემს შეშლილ სახეს შეხედავს,
ვუცქერ, სიკვდილი როგორ მეწევა,
გადაქცეული ლამის ცერბერად...
შენ კი მთვარიან ღამეებს ნატრობ,
და სურნელებას ჩვენი ვერხვების,
ამ ჯადოქრული ღიმილის პატრონს,
რა დაგრჩენია ჩემში ვერ ვხვდები...

გამხსნია გულზე ჭრილობა

გამხსნია გულზე ჭრილობა,
შენ რომ ვერასდროს მამჩნევდი,
შენს მერე დამემშვიდობა,
შენი ფერმკრთალი ბაგები...
წახვედი, ნისლებს გაჰყევი,
თავი ბედ–იღბალს მიანდე,
მე კი მტორავდნენ დარჩენილს,
ლამის ღამიდან დილამდე.
ასე უიღბლოდ წაგებულს,
ან ვინღა მეთამაშება,
მოგიკლავ მაგ შეყვარებულს,
მოგიწევს თავის მართლება!!!

გარეთ თოვს

გარეთ თოვს, თოვლი მოვიდა, იცი?
გადაათეთრა ჩემს წინ ფერდობი...

თითქოს ბუნება სამოსელს იცვლის,
ასე ნაცნობი უდარდელობით...
ასე ნაცნობი და საყვარელი
რად არის ჩემთვის შენი სითეთრეც;
რა სპეტაკია ეს აკვარელი,
ფეხს ვერ დავადგამ, ვერ გავიმეტებ...
მაშინ, შენამდე როგორ მოვიდე,
შენ ხომ ჩემი ხარ და ვიცი მელი,
უნდა მაცალო ერთი–ორი დღე,
სანამ ეს სევდა ჩაივლის ძველი...
ორ დღეში თოვლიც გაიჭუჭყება,
თოვლი, რომელიც ახლა თეთრია,
თუმც მიყვარს, მიყვარს თავისუფლება,
დღეს მაინც შენთან ყოფნა მერჩია...
იქნებ შენ მითხრა, რად მოდის თოვლი,
სულშიც რატომ თოვს, იქნებ შენ მითხრა,
ასე პირველი თოვლივით მოვლილს,
თოვლივით რომ გხდი საოცრად მიყვარს...
ვიცი არაფრით თავხედობაში,
არ ჩამომართმევ ამ უხეშ სიტყვებს,
რას არ გავცვლიდი შენს ერთ კოცნაში,
და ამიტომაც სიტყვები მისწრებს...
ძვირფასო, მოდი, დამადე გულზე,
თოვლივით ცხელი, ეგ შენი ხელი,
მითხარი რამე იმ სიყვარულზე,
სიზმრებს რომ გაჰყვა და მაინც ელი...

ღირს ეს ცხოვრება

ღირს ეს ცხოვრება, ნამდვილად ღირს, ალბათ, იმ ხმებად,
ქალის ყელიდან რომ ამოდის ულამაზესი,
როცა სხეულში ჩანჩქერების წვიმად იღვრება,
ათასი წვეთი ძუძუსავით უმხურვალესი...
ღირს ეს ცხოვრება, სიყვარულით, მტრობით, ღალატით,
ცამდე აწვდილი მწვერვალებით, თეთრი ტაძრებით,
თავის ომებით, მკვლელობებით, ფარ–მუზარადით,
თავის კახპებით, ბორდელებით, ციხით, ზღაპრებით...
ღირს ეს სიცოცხლე, რას ინატრებ სამაგიეროს,
ღირს ამ შხამიან, თუნდაც ჩვენი საუკუნეთი;
გაუშვი, კაცის ხელისგულზე დაშნამ იელვოს,
ოღონდაც ღირდეს იმ მკვლელობად ქალის გულმკერდი!
გაუშვი, იყოს მიწისძვრები, დელგმა, ხანძრები,
გაუშვი, იყოს ყველაფერი რაც კი არსებობს,
ოღონდ არა თქვან, რომ გაქრება სულყველაფერი...
რომ წყვდიადიღა გადარჩება უვარსკვლავებო!

გახდები ჩემი სულ ერთი ღამით

დაგპირდი, მაგრამ ვერ აგისრულებ,
ისე დამღალა ლექსების წერამ,
ძვირფასო, მოდი, წარღვნა მისურვე,
მე ახლა მხოლოდ წარღვნების მჯერა.
შენ კი მაგ შენი გაშლილი თმებით,
გსურს დამიბრუნო ილუზიები,
რომ ქმარსა სტოვებ და ჩემთან რჩები,
ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები...
მე თურმე შენი რძისფერი კანი,
ისე საოცრად შემყვარებია,
მე ახლა ჭკუას როგორ ვისწავლი,
მე შენი თმები მენატრებიან...
ძვირფასო, მოდი, რაც იყოს, იყოს,
წარმოიდგინე, რომ შენც ხარ მთვრალი,
მე მოვალ შენთან, რომ ჩუმად გკითხო,
გახდები ჩემი, სულ ერთი ღამით?

შეშლილსა ჰგავხარ

მიყვარს ეს ფოტო, ოდნავ შენც, ალბათ,
მიყვარხარ, რადგან შეშლილსა ჰგავხარ...
თუ ქარი ჩადგა, თუ ქარი ჩადგა,
აუცილებლად მოვალ და გნახავ...
რომ გავაღიმო შენი თვალები,
სულ ოდნავ მაინც, სულ ოდნავ, ოდნავ...
რომ დაგავიწყო ზღვა მწუხარების,
რომ შენს თვალებში ეგ სევდა მოვკლა...
ვიცი, სიცოცხლე რომ სიზმარია,
რომ ცხელი სისხლი ერთხელ ცივდება,
თუ ყველაფერი ზამთრის ბრალია,
შენ გაზაფხული რად გესიზმრება...
რად გესიზმრება ცაში ჰამაკი,
და ბუდუარი ასე მდიდრული,
როგორც მომხდური მტრების ბანაკი
შენს თვალებში ვარ შემოხიზნული.
არცერთი ქალი არ ჰგავს ერთმანეთს,
შენ მაინც სხვა ხარ, სხვა სიტკბოება,
მიყვარდი, მაგრამ ვერ გაგეკარე,
და შემრჩა ბოლოს შენზე ოცნება...
მაგრამ ოცნება ზოგჯერ მეტია,
ბევრად მეტია სინამდვილეზე,

შენი ტუჩები ერთადერთია
საკოცნელად რომ ვერ გავიმეტე.
ალბათ არ მსურდა რომ წამეშალა,
ძველი თრობის და ტკბობის კვალები,
და თუ ოცნებამ მაინც შემშალა,
უნდა მომხვიო შენი მკლავები.

გამომეგებე

რამდენჯერ უნდა დავბრუნდე შენთან,
რამდენჯერ უნდა ამიკრა ხელი,
შენ წინათ, ალბათ, ზღაპარი გერქვა,
ახლა რა გქვია, მე ვერ ავხსენი.
მაშ, რატომ ერთხელ არ გაგონდები,
მაშ, რატომ ერთხელ არ მეახლები;
ჯერ, თუკი ასე გამაოგნებდი,
და მერე ჩემ სულს ხელს შეახებდი...
სად ხარ, სად დასვი, მითხარ, წერტილი,
უნდა გეძებო თუ არ გეძებო?
მოვქრი მერანი თავაწყვეტილი,
და მინდა, მინდა, რომ შემეგებო!
თან სურნელება მომაქვს ველების,
განთიადების მომაქვს სინათლე,
მოვკალი ლამის ცხენი ჭენებით,
მაგრამ შენს ბუდეს ვერსად მივაგენ...
თუმც, ვიცი, ვიცი, არ მელოდები,
ჩემს მრისხანებას არ აქვს საზღვარი,
დავიმეგობრე ვეფხვნი, ლომები,
ჩვენს უკან რჩება გზად ნახანძრალი...
გამომეგებე, თუკი არ გინდა,
რომ შენც ხანძრების ალში გაგხვიო,
ჩემს წინ მყინვარი ცრემლებსა ღვრიდა,
შენ, შენ არ გინდა, რომ გაპატიო?!

სტვენით, ქროლვით, გაგიჟებით...

მიდი, მიდი, შენებურად გამაცოფე,
მომამსხვრიე ეგ ტალღები, მომალეწე,
რომ ეს ღამე სამუდამოდ დამახსოვდეს,
სანამ სიკვდილს, სანამ სიკვდილს მოვასწრებდე...
იბობოქრე, იბობოქრე, იამაყე,
რომ ზღვა ხარ და არ გაშინებს არაფერი...
რომ ღელვაში არის შენი სილამაზე,
და იმარჯვებს მუდამ შენი კამათელი...

რომ ქარიშხლებს შენს მკერდში აქვთ თავის ბინა,
რომ გრიგალებს დაუპყრია სივრცე შენი,
რომ ტალღებმა შებრალება არ იციან,
და გვამებით მოფენილა მთელი ფსკერი...
მიდი, მიდი, სტვენით, ქროლვით, გაგიჟებით,
მიამსხვრიე ხელოვნური ჯებირები,
აამღვრიე ეს მთვლემარე ნაპირები,
მიმოფანტე ქვები ერთურთს შეზრდილები!!!

ჩამომიქროლე, როგორც მიმინომ...

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ,
მოვედი შენთან რომ გაგიღიმო,
ნეტავი ერთხელ გამიმართლებდეს,
ჩამომიქროლო, როგორც მიმინომ...
შემომაყარო შენი სიცილი,
ცისკენ გაყოლა ფრთებით მანიშნო,
და მეც გამოგყვე ვით დაგეშილი,
წამოგეწიო და გადაგისწრო...
შეიფრთხიალო გაფითრებულმა,
და მიწისაკენ ვარდნა დაიწყო,
მე კი არწივმა განცვიფრებულმა,
გამოგეკიდო და კვლავ ჩაგისწრო...
გადაგიშალო ფრთები გულწასულს,
და სანამ ვინმე რამეს შენიშნავს,
შენს გულისწასვლებს კოცნით ვუწამლო,
და მოგარჩინო გაგიჟებისგან...
ან შენ რა დაგრჩა, ნეტა, ზეცაში?
ან მე რა მინდა, თან რომ მოგდევდი?
მე ხომ ისეც ვარ ნეტარებაში,
როცა სულსა გხდი, მკერდზე კოცნებით...

რა საოცარი სული გქონია

ვერ ვწერ, არ ვიცი, რა დამემართა,
თითქოს ჩამიტყდა ტბაში ყინული,
წინ ჯვარცმასავით დაეშვა ფარდა,
მთელ ჰორიზონტზე გადაჭიმული!
რა მოხდა, როგორ და რანაირად,
მართლაც ვერაფრით ამომიხსნია,
არავითარი ხსნა არსაიდან,
მხოლოდ ჯვარს ვხედავ,
წითელს, სისხლიანს!
რა საოცარი სული გქონია,

ასე თეთრი და სავსე ნაღველით;
მეც მიტევს შენი მელანქოლია,
მთელი სიმძიმით და გააფთრებით.
მეც მიტევს მთელი შენი წარსული,
იცი, ვგრძნობ, რაა სულით დაცემა,
რაღაც ღრეობა ზღვარგადასული,
წყევლა, ცხედრები და ანათემა...
მე დაღლილი ვარ და ჩემ ხელს გიწვდი,
როგორც მკვდარი–მკვდარს აეკიდება,
მაგრამ, ძვირფასო, იგრძენი სისხლი,
სისხლი, რომელიც შენს გულს სჭირდება...
მოდი, მოვეშვათ, რაც იყო, იყო,
ნაღველი შერჩეს ყვითელ რვეულებს...
ეს სიცოცხლეა, ის კი მსხვერპლს ითხოვს,
მსხვერპლს და დაეძებს ისიც რჩეულებს...
ჰო, დამელოდე, მართლაც, რა ხდება,
მსურს მოგიტანო თეთრი ვარდები,
და თუ მკერდისკენ ხელი წამცდება,
მითხარი, ხომ არ გამიჯავრდები?!

დაჰბერე, ქარო!!!

დაჰბერე ქარო, როცა შენ მიტევ,
აღარაფერი არ მენაღვლება,
ასე მგონია დუელში მიწვევ,
და ჩემი სული ზეცას ასკდება...
დაჰბერე ისე, ისე ძლიერად,
რომ დაებეროს ღრუბლებს ფილტვები,
ბღავილი მორთოს მიწამ მშიერმა,
რომ მთებმაც იგრძნოს მისი ბიძგები.
დაჰბერე, ვიცი, არაფრად არ მთვლი,
და ქარიშხლებთან ჭორებს მივრცელებ,
მაგრამ არა მაქვს მე ამის დარდი,
მაინც არავინ არ დაგიჯერებს...
რადგან მე თვითონ გრიგალში ვიშვი,
აისბერგია ჩემი ნათლია,
გაყინული მაქვს ძარღვებში სისხლი,
მკერდზეც მირონი მისი მაცხია...
და მიყვარს, მიყვარს როცა ცოფდები,
ასე უმწეოს რომ ვერ მამარცხებ,
რომ ვერ მაჩოქებ ასჯერ მოცელილს,
რომ მაინც დავალ ამ ქვეყანაზე...
მე ენას ვუყოფ შენს განრისხებას,
დაჰბერე მძლავრად რაც შეგიძლია,
ჩემი სიცოცხლე ახლა იწყება,

და ჩემი ზღვები ჯერაც მიცდიან...
შენ კი სულ მალე ისევ გაქრები,
ტყუილად უსტვენ და თავს იგიჟებ,
მე შენთან ომში ვერ დავმარცხდები,
თუნდა მოიცვა კიდითი–კიდე!!!

...

მზისკენ ლტოლვას ნუ ეცდები,
დაიწვები, ნინო...
თუმცა ყველა მზისკენ იწევს,
მზესთან ყოფნას ცდილობს...
ბედი ხშირად მუხთალია,
ბედის ნდობა არ ღირს,
ბედის დევნა სიგიჟეა,
აიღებს და დაგსჯის...
მოუსმინე შენი გული,
როგორ ჩუმად ფეთქავს...
თავისივე ცეცხლის ალში
როგორ იფერფლება...
განა ვინმე გადაურჩა
სიყვარულის ალებს?
სწორედ გულზე შემოგახვევს
თავის მოსართავებს...
და ვეღარსად გაექცევი,
რაც არ უნდა გსურდეს,
ჩამოგიშლის წლობით ნაქსოვ
ულამაზეს ბუდეს...
დამიჯერე ვერაგია
სიყვარულის წამი,
ბევრჯერ მეხზე ძლიერია
სისხლის ერთი ჩქამი...
ჯობს ახლავე გაეცალო
მისგან ნასროლ ტყვიას,
სანამ რაც გაქვს ყველაფერი
ერთად წაგიგია...
დღე ჩაქრება, აინთება
ვარსკვლავებით ღამე,
ქართვლის ველზე დაეშვება
მთვარე მოკამკამე...
ეგებ არც ღირს, რომ ეგ ტყვია
მართლაც აიცდინო,
ეგებ ჩემზე ძლიერი და
ჭკვიანიც ხარ, ნინო...
ვინ გაიგო სინანულის

ან ფერი ან გემო,
შენ მაგიერ მე მოვკვდები,
სიყვარულო ჩემო!

...

მახსოვს, მახსოვს, ძვირფასო,
შენი გარდასახვები...
მკერდზე ვერცხლის "ბროშკები",
მკლავზე ნაზი ხაზები...
ჩემი სულის მდინარე,
როგორ ააჩქაფუნე,
ხელზე ხელი მომკიდე
და ყვავილი მაჩუქე!
ის ყვავილი რამდენ ხანს,
ეჰ, რამდენ ხანს ვატარე,
მახსოვს პირველ კოცნაზე
როგორ გაიფართხალე!
მერე დიდხანს ვიწექით,
გახსოვს, პორტში, კაფესთან,
და პატარა ნაკბენი,
წითლად, ტუჩის კუთხეში...
თეთრ ქათქათა კაბაზე
ყავა რომ გადაგესხა,
და რომ არად ჩააგდე
ჩემი ცალყბა ნუგეში...
ჰო, რას იზამ, ასეა,
დრო გადის და ვერ ვხვდებით,
მახსოვს, მახსოვს, ძვირფასო,
მოგონებებს ვეხლები...
ტალღა ქვაზე დგაფუნობს,
ზღვის ნაპირებს აყუჩებს,
თუ ოდესმე შევხვდებით,
ისევ ვარდი მაჩუქე!

ვიცეკვოთ?

მე ნოტებს ვერ ვარჩევ, ძვირფასო!
ამ ბნელში სიტყვებიც გამებნა,
ჩვენს დროში შენც იცი ვინც ფასობს,
ვის მოსწონს ეს მღვრიე პლანეტა...
ვიცეკვოთ? რა მოხდა, ვიცეკვოთ,
უვარდოდ, უეკლოდ, უკოცნად...
ვიცი, რომ გინდა რომ მიშველო,

მიშველი, ძვირფასო, თუ მომკლავ...
ამ ქვეყნად ასეთი წესია,
და, ალბათ, მე და შენ ვერ შევცვლით,
კარგი ხარ? შიგ გულში გესვრიან,
ტყვიები გვხვდება და ვერ კვდები...

მე ასმეერთედ დაგიცდი

შენ რას დაარქმევ, ძვირფასო,
ამ ჩვენს სიყვარულს არ ვიცი,
ასჯერაც რომ დავითარსო,
მე ასმეერთედ დაგიცდი.
დაგიცდი დილას, შუადღეს,
საღამოს, ხვალ, ზეგ, მარადჟამს...
თუმცა მეძახი დონჟუანს,
კაზანოვას და შარლატანს...
ალბათ ვნებებმა გადაწვა,
ედემის ყველა ბაღები...
მე სხვა არავინ არა მყავს,
სხვას არც საფლავში ჩავყვები...
სულ ყველა ტყვია ნასროლი
დუელში ლამაზ ქალისთვის,
შიგ ჩემს მკერდშია გავლილი,
შიგ ჩემს გულშია დაცლილი...
უფსკრულის პირას ვდგავარ და
მინდა რომ გადავიჩეხო,
შენ რას მეტყოდი, მომკლავდი,
ჩემი ტკივილის მიზეზო?

მიმღერე

მიმღერე, ძვირფასო, მიმღერე,
ყველაზე ლამაზი სიმღერა...
ნეფენი პატარძლებს ირჩევენ,
ყურეში გემები ირწევა...
მიმღერე თავდავიწყებამდე,
რაცა გსურს, რაც გიყვარს, რაც გინდა,
ჰანგები ავიდეს ზეცამდე,
ნამღერი მაგ შენი ბაგიდან...
მიმღერე ისევე ლამაზად,
დილით მზემ ვარსკვლავს რომ აკოცა,
ან ნამმა ია რომ დანამა
და მისი სინაზით გაოცდა!!!

შემოდგომაზე

შემოდგომაზე როცა ხეები,
ქალწულებივით გაშიშვლდებიან,
მომენატრები იმ გახელებით,
გაზაფხულზე რომ დამსიზმრებია...
მაგრამ რა, თუკი უნდა გაყვითლდეს,
უნდა გადაჭკნეს ყველა ბაღები,
ერთი იცოდე, თუკი დაგჭირდე,
მოვალ და უხმოდ შეგეთაღები...
კვდება ფოთოლი ნარინჯნაფერი,
მიწა ხეების სევდით ფითრდება,
და მეც არ მინდა აღარაფერი
აღარაფერი არა მჭირდება.

აი, რად იწევს ალვისხე ცისკენ

მიყვარს ნელ–ნელა, ზემოთ და ზემოთ,
თუ როგორ იწევს ცისკენ ალვისხე...
ალბათ, სიცოცხლეს გაუგო გემო
და სურს როგორმე მიწას ასცილდეს...
შენც ალვის ხე ხარ და ღრუბლებს ელტვი,
სიცოცხლის ჟინი თან დაგყოლია,
ზეცისკენ მიჰქრის პეგასის ეტლი
და უკან რჩება მელანქოლია...
მიგაცილებენ უთეთრეს ფრთებით,
ლამაზი ხმები ორკესტრებისა...
ძვირფასო, ალბათ, ადვილად ხვდები,
რომ ეს გაქცევა არის მტრებისგან!
აი, რად იწევს ალვისხე ცისკენ,
რად მღერის მთვარე ავემარიას,
მე შენს სიმღერას სიზმარშიც ვისმენ,
ვისმენ შენს ლოცვას და ლიტანიას...
ნუ შეშინდები თუ საზღვარს ასცდე,
სულს გარღვევები უყვარს საზღვრების,
მე იქ დაგხვდები, იქ, მაღლა, ცაზე,
და მერე ცასაც ერთად გავცდებით!!!

სულ ერთი სიტყვა გამოიმეტე

მე გამაოცა შენმა სითეთრემ
და ბზინვარებამ შენი სულისა,
სულ ერთი სიტყვა გამოიმეტე,
რომ არ გავგიჟდე სიყვარულისგან!

ხელს ვერ მოგკიდებ, არ შემიძლია,
მგონია წელში გადაიმტვრევი,
ეგ შენი მკერდი, ნეტა, ვისია,
ვის ეფერება შენი თითები!?
გითხრა, რომ ჩემთვის ლამის ღმერთი ხარ?
გითხრა, რომ შენით ვარ წამებული?
შემყვარებიხარ, შემყვარებიხარ,
გაბრწყინებული, განათებული!
მოდი, მომენდე, მოდი, დამეყრდენ,
უთეთრეს გზებზე მინდა გატარო,
შემოგატარებ ყველა პლანეტებს,
ყველა ვარსკვლავებს, ზეცას, სამყაროს!!!
თავს რატომ აქნევ? მე ხომ გიჟი ვარ,
ჩემია, ჩემი ეს ყველაფერი,
მე ხომ ხან მთვარის დისკზე ვკიდივარ,
ხან კი ამ მიწას მზიდან დავცქერი...
ჰოდა, წამოდი, ერთად გავუყვეთ,
იმ უსათუთეს, წმინდა ბილიკებს,
ვარსკვლავიანი ცა რომ აშუქებს,
მთვარე კი ვერცხლით მოაგვირისტებს...

მახსოვს შენი თვალები

მახსოვს შენი თვალები მანათებდა სახეზე,
შენი თეთრი მკლავები, მინაწერი სარკეზე!
სიყვარული პლიუსით და პომადის ტუჩები,
ძუძუს ფერი მომწონდა რაღაც განსაკუთრებით!
იცი, მეცოდებოდა, ვისაც ეს არ ენახა,
წამში ლილის კერტები როგორ გამოგესახა...
შენი ჩუმი სიცილი, ბიბილოზე კბენანი,
და ყველა დანარჩენი, ვით ჰამაკის რწევანი...
მახსოვს და ვერ ვივიწყებ, თან დამყვება რატომღაც,
სულ პირველი ბგერები, თავისით რომ წამოგცდა!
შემიყვარე, ძვირფასო, შემიყვარე ძლიერად,
თუნდაც სულმთლად გაგიჟდე, მაინც გეპატიება!!!
რაღაც სულ სხვა ყოფილა, როგორც თავის განწირვა,
თითქოს დამაპყრობინა, ცაში ბუდე არწივთა!
როგორ მინდა, ძვირფასო, შენს თვალებში ჩაძირვა,
მომკლას, დამწვას, დამხრჩოს, შენი ტრფობის წადილმა!
მოდი, მკლავი მომხვიე, შევაწებოთ ტუჩები...
მორჩა, ვერ გადარჩები, ტყუილად მეურჩები!!!

დაგიკოცნე ღაწვები

ტკბობა, ისევ ღალატი,
ისევ ღამე თრობისა,
ბოტიჩელის ნახატი,
ღვინო ბადაგონისა...
ჩაიხვია ამ ლექსმა
ნაწნავები შროშანის,
კოცნამ უმხურვალესმა
დამავიწყა დრო–ჟამი...
შენსკენ მოვიჩქაროდი,
ან რა გასაკვირია,
აკრძალული ნაყოფი,
ასჯერ უფრო ტკბილია...
ორ ლოყაზე მაცხია
შენი ფერ–უმარილი...
თმები დაგივარცხნია
როგორც თათრის მწვანილი...
ერთი კოცნაც მაჩუქე,
ერთი ნაზი ღიმილი,
ერთიც გამოაშუქე,
ძუძუს კერტი ყირიმი.
აბა, რატომ ვჩქარობდი,
შენსკენ ასე უწყალოდ,
ერთ ღამეში დავობლდი,
დავრჩი ისევ უქალოდ!
მიყვარს ძველი ლექსების
სიმწიფე და ლაზათი,
ვიცი მაინც შევცდები,
არ ამცდება ღალატი...
დაგიკოცნე ღაწვები,
დაგიკოცნე ლოყანი,
თვალნი მოტრფიალენი
ტუჩნი ყაყაჩოსანი...

ნაკადული მოგიჟმაჟობს

ჩემს ფერდობზე ყაყაჩოებს
მიწა აუალებია,
ნუში მაწვდის თოთო რტოებს,
თავის ნუშისთვალებიანს,
დილა ჩუმად მორიჟრაჟობს,
სხივებს აფრქვევს ლალებიანს,
ნაკადული მოგიჟმაჟობს,
ღამეს გაუბრაზებია...
ბაღში ვარდი კოკობვარდობს,
ტანი აუვარდებია...

რატომ ხვდებიან პოეტები ურჩხულთა ხელში?

რატომ ხვდებიან პოეტები ურჩხულთა ხელში?
მეც რა ხანია ამ კითხვაზე პასუხებს ვეძებ!
ჰო, დავაბიჯებ, რა ხანია, ლექსიდან ლექსში,
სადაც ვის აღარ გადავყრივარ, კახპებს თუ ღმერთებს!
მე ყველას ვაძლევ ამ შეკითხვას, ყველას ვინც მხვდება,
და მიღიმიან ამ კითხვაზე თითქმის ყველანი;
არადა, როგორ არ შემაკრთოს პოეტთა ხვედრმა,
სამშობლოს გარეთ რად დაფრინავს მათი მერანი?
ჰო, პოეტების ხვედრი მართლაც უმძიმესია,
ყორანი რაა, ურჩხულები კლავენ პოეტებს,
თუმც ყველამ ვიცით მათი სული უთეთრესია,
რომ უსხეულოდ დაფარფატებს სული ლექსებზე...
რად ვარდებიან პოეტები ურჩხულთა ხელში?
სწორედ იმიტომ, რომ პოეტებს სძულთ ურჩხულები...
და ყოველ პოეტს, ყოველ პოეტს, ბრძენსა თუ შეშლილს,
უკან დასდევენ გამუდმებით მათი მკვლელები...
და თუ ყოველთვის თვითმკვლელობას არქმევენ ამას,
არ დაიჯეროთ, ტყუილია, ეს ხომ ბლეფია...
პოეტებს შხამით უზავებენ საზრდოს და წამალს,
შხამი ვერ მოკლავს? მაშინ ტყვიას გულში ესვრიან!!!

ერთი პატარა ვერცხლის გოგო ხარ

რატომ გგონია, რომ მე მომწონხარ,
რომ შენ ცრემლი ხარ ჩემი თვალების?
ერთი პატარა ვერცხლის გოგო ხარ,
ვერცხლისწყალშივე ამონავლები...
მე კი ვეძებდი მუდამ ბრილიანტს,
მოვარაყებულს ზურმუხტის თვლებით,
მაგრამ დამემსხვრა ეს იდილია
და ამის გამო, შენს გვერდით ვწვები...
თუმცა ფიქრებით ისევ იქა ვარ,
ქარვით გაწყობილ ბუდუარებში,
ჰო, მიძინია, შენს თავს ვფიცავარ,
ჩემი დედოფლის შიშველ მკლავებში...
შენ კი რაც უნდა ნაზად იკვნესო,
და ეშმაკურად ტკბილად მიღიმო,
ვღიზიანდები მე უმიზეზოდ,
არ შემიძლია მე უიმისოდ!
იცი, ძნელია, მართლაც, საშინლად,

როცა ბრილიანტს ვერცხლში გიცვლიან!
რამდენჯერ გითხრა, ვერცხლი არ მინდა,
უბრილიანტოდ არ შემიძლია!!!

კი, ცოდვილი ვარ...

სიამოვნებით გავებმები
მე შენს მახეში,
თუკი დამიგებ,
თუკი ამის ღირსად ჩამთვალე...
იცი, მაგიჟებს,
გულ–მკერდი გაქვს ულამაზესი,
და თვალს თუ მოვკრავ,
არ არსებობს, გამაკანკალებს...
ნუ გაიკვირვებ,
ამ ფრაზების ვულგარულობას,
და ნურც პოზაში ნუ ჩამითვლი,
რაში მჭირდება;
შენში ყველაზე მეტად მიყვარს
მე ქალურობა,
ზღვას რომ გახედავ
და ზღვაც კი რომ გადაფითრდება...
კი, ცოდვილი ვარ,
მკრეხელობას სხვა ვერ მასწავლის,
უკვე სიზმრებში
შენთან ერთად ბევრჯერ შევცოდე!
ნეტა, ეგ მკერდი ყოფილიყო
შენი ნაკრძალი,
შენ კი შიგ შენზე ნადირობას მეხვეწებოდე!
დილის ნიავი
ყვავილების გვირგვინს დაგიწნავს,
მწიფე კერტები
გაგნასკვია, როგორც კვირტები...
მოდი, დამნებდი,
ეგ გულმკერდი სანამ დაგიჭკნა,
სანამ მომწონხარ,
სანამ გიცდი,
სანამ ვგიჟდები...

ვერ შევისუნთქე შენი სურნელი

ბევრჯერ სიყვარულს ვერც კი მოასწრებ,
ისე გაქრება მუზა თავისით...
და დავიწყებულს შემოდგომაზე,

გაგიჟებული ეძებ მაისში...
შენ გიხდებოდა მაღალი ყელი,
თვალებში წვეთი ნაღვენთი სანთლის,
ლოყაზე ხალი ალუბლისფერი,
და მკერდზე მწიფე მტევნები ქარვის...
და უცებ გაქრი, როგორც ღრუბელი,
როგორც კაბის ქვეშ ღალატს მალავენ;
ვერ შევისუნთქე შენი სურნელი,
ვერ მოვაღწიე შენს პერანგამდე!
მე ერთს ვერ მივხვდი ვერაფრით დღემდე,
შენ არა ჰგავდი მუზას სრულებით;
არც ხელს ივლებდი ხშირ–ხშირად მკერდზე,
როგორც სცდებიან გამოუცდელნი...
სინამდვილეში არც მე ვაფრენდი,
შენზე ტაძრები არ ამიგია,
მაგრამ ვერ ვხვდები რად მენატრები,
რა ჯანდაბა მჭირს ვერ გამიგია...
იქნებ, უბრალოდ, ლტოლვა გრძელდება,
შემოდგომაზე დაბადებული,
და გაზაფხულზე თუ კვლავ შემხვდება,
ვერ გადარჩება შენი სხეული!!!

გნოლი ხარ და გაურბიხარ არწივებს

მე მეგონა შეისმენდი ჩემს ლოცვებს,
მაგრამ არა, უგრძნობელი ყოფილხარ,
მე კი მსურდა ისე გადამეკოცნე,
რომ ტუჩები გტკიებოდა კოცნისგან...
ინაზები, თითქოს დედოფალი ხარ,
ანდა, იქნებ დედოფლობას აპირებ,
ვერ მიგიხვდი, ვერ გავიგე რა გინდა,
ლამისაა სიგიჟისგან ავყვირდე...
თუ ასეა, სილამაზე რად გინდა,
გნოლი ხარ და გაურბიხარ არწივებს,
ვიცი წახვალ და ვეფხვების მაგივრად,
ალბათ ტურა გადაგიხსნის საკინძეს...

ქალი

არა მჯერა რომ ნეკნიდან
გააკეთა ღმერთმა ქალი,
იქნებ გაჩნდა ვარდებიდან
ან ვერსია სულ სხვაც არი!
მზის სხივები, ვარსკვლავები,

წყარო მოლზე მიმავალი...
დაინახავ, დაბრმავდები,
მოგედება მკერდზე ალი...
სად ასეთი სილამაზე
და სად კიდევ კაცის ნეკნი,
ან არსებობს ნეტა ქალზე
რამე ტკბილად ჩასაკვნეტი?
ქალი თეთრი ჩანჩქერია,
მოელვარე წყალვარდნილი,
ქალი სულის სანთელია,
ცის ელვაა დაკლაკნილი...
ქალი კაცის თანასწორი?
ის მეტია ბევრად ჩვენზე,
ის ყოველთვის გადაგვწონის
თუ დასჭირდა ერთი–ერთზე...
ის ღმერთია ერთადერთი,
ის სიცოცხლის სიმბოლოა!
ჩვენც გვეძახოს მუდამ ეშხით:
აუ, ბიჭო, რა გოგოა?!!!!!!

გაზაფხულდება

გაზაფხულდება, ჭრელ მოსასხამს წამოისხამს დედა–ბუნება,
დაგვიბრუნდება ასე ტკბილი და ახლობელი,
ყვავილს ყვავილი, კვირტს კვირტები შეუყვარდება,
და სიყვარულით აფეთქდება ირგვლივ ყოველი...
აპრილის მოსვლას ველოდები მეც რა ხანია,
ზამთრის სუსხებმა ჩემს ეზოზეც გადაიარა,
თუმცა ჯერ ისევ ქარიანი თებერვალია,
გადაუყლაპავს მზეც და სითბოც აწმყოიანად!
გაზაფხულდება, მიწაც ისევ გადაჭრელდება,
ის კვლავ იფეთქებს, ამწვანდება, აბრიალდება,
ულამაზესი ყოფილიყოს ეს აფეთქება,
როგორც სჩვევია, ჩვენი მიწის აყვავილებას...

ეკას!!!

დამცოფა, შენმა სილამაზემ, დამადამბლავა,
იქნებ მე ვცდები, სულ არა ხარ ასე ლამაზი?
მე ვულკანიდან ამომსკდარი ცხელი ლავა ვარ,
და გავცივდები, თუ მომკალი, თუ ვერ გადავრჩი...
ასე მგონია მწვერვალიდან დაბლა ვვარდები,
ნეტა ვიცოდე, რომელ ღმერთებს დაუხატიხარ;
გზას ვერ ვაგნებდი, დავდიოდი ამ ყიამეთში,

როგორ მინდიხარ, როგორ მსურხარ, როგორ მაკლიხარ!
მართალი გითხრა, ბოლოს მიღებს შენი სინორჩე,
შენს ლამაზ პროფილს ხელის გულზე დავიხატავდი,
როცა ღმერთებმა ამ მიწაზე გზა დამილოცეს,
დამწყევლეს კიდეც, ალბათ, ნაღდად, რომ შენ გნახავდი!
ხელი მომეცი, არ ვაპირებ სიკვდილთან ბრძოლას,
ხელი მომეცი და ბოლომდე ერთად ვიაროთ!
დიახ, ლამაზო, მირჩევია შეგირთო ცოლად,
და მერე შენი სილამაზე გავაპიარო!!!

დრო არ მაქვს...

ვკარგავ დროს, დროს ვკარგავ, დროს ვკარგავ;
ცხოვრება მომბეზრდა მომწყინდა;
მოვა და აპრილი მოქარგავს,
ამ ველებს, რომ მოჰგავს კორიდას!
რა ცხელი დღეები წავიდა,
დამცხრალან ღრუბლები ზეცაზე;
სხვა გემი მომდგარა ნაპირთან,
ვსაუბრობთ სხვადასხვა ენაზე...
არადა, სულ სხვა რამ გვინდოდა,
გვირაბში სინათლეს ვხედავდით;
ვერაფრით ვერ მივალთ დიდგორთან,
ვერაფრით, ვერაფრით, ვერაფრით!
არც ხმალი, არც ფარი, არც ნიჭი,
ნუთუ ჯერ არავის არ დაჰყვა;
როდემდე გვტკიოდეს კრწანისი,
როდემდე გველოდეს მარაბდა!
დრო გარბის, და ჩვენ კი მომავალს,
ვერ ვამჩნევთ, ვერ ვსწავლობთ, ვერ ვხედავთ;
დრო არ მაქვს, დრო არ მაქვს, დრო არ მაქვს!!!
არა მაქვს ამ დროსთან შეხება!!!

ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული

სხვების არ ვიცი და შენ კი ნაღდად,
ალბათ, ვეფხვების თუ ხარ ნათლული,
მგონი, იმათი ბრჭყალები დაგვყვა,
ამიტომაც ვარ ჩამოკაწრული...
შენთვის სხვა ცაზე ამოდის მთვარე,
სხვა მზისაგან ხარ გადახრუკული;
ალბათ, ამიტომ არ გამიკარე,
ალბათ, ამიტომ ხარ გაბუტული...
ქვეყნად სულ ყველას ერთი ღმერთი გვყავს,

თუმცა სხვადასხვა ჰქვიათ სახელი;
მოწყვეტილი ვარ ქარაფებიდან,
საცაა თოვლში ჩავიმარხები...
ვერ გავეჯიბრე ლომის ბოკვერებს,
წამომაჩოქა შენმა ბრჭყალებმა,
და ვერც ჯავშანი ვერ გამოვკვერე,
ჩემს შიშველ გულს რომ შეიფარებდა...
მოუწყვეტელი თეთრი ვარდი ხარ,
ვარდისფურცლობას ჩამორჩენილი;
რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ,
ვეფხვი საომრად წამოფრენილი...

მე რაც გავეცი, არაფერიც არ დამიბრუნდა...

არა მაქვს აწმყო,
არც წარსული,
არც მომავალი,
ჩემი ცხოვრება
თითქოს დრაკონს გადაუყლაპავს,
და სულში
როგორც მოდებული ველებს ხანძარი,
ვიღაც ბობოქრობს
და ცოლივით მითვლის მუქარას!!!
სიცოცხლეს ყელში გავჩხერივარ,
არც მკლავს,
არც მარჩენს,
წინ ყრუ კედელი
ამართულა აუღებელი,
ბედი თავისი ბრმა
თვალებით შემომანათებს,
ბედი ველური
ულაყივით გაუხედნელი...
მე რაც გავეცი,
არაფერიც არ დამიბრუნდა,
ვის რა მოვკითხო,
ან ვის ვენდო,
ვის დავუჯერო, ...
დაბადებიდან აზვირთებულ ზღვაში მივცურავ,
და ყველგან დამდევს ბედი ჩემი,
ცხენი უბელო...
არა მაქვს აწმყო,
არც წარსული,
არც მომავალი,
ეს ბედი ჩემი მიმაქროლებს,
მიმაჭიხვინებს,

და არსაიდან,
არსაიდან,
არსად არავინ,
არ შემიბრალებს
და რომც მოვკვდე
არც დამიტირებს!!!

მეუღლეს! (დაბადების დღეს)

შენი სახე თითქოს ძველი ნახატია,
ანდა წიგნი, ცხრაჯერ ფურცლებგაცვეთილი,
რაზე ფიქრობს ჩემს ეზოში აკაცია,
ან აგურის ფილაქანი აცვენილი...
გახსოვს, მერცხლებს ბუდე ჰქონდათ სარკმლის თავზე,
და ჭყლოპინი გვაღვიძებდა დილას მათი;
გვაკვირვებდა კავკასიის სილამაზე,
და სარკეზე მზის სხივების ათინათი...
ახლა როცა დამწვარია ჩემი სახლი,
და ფანჯრიდან ჭინჭრის ტოტი გამოჩრილა;
აღარც სახელს ისე თბილად არ მეძახი,
აღარც ღამით ისე ტკბილად აღარ გვძინავს...
სად არიან ის მერცხლები, სად გაფრინდნენ,
ანდა ჩვენი სილამაზე სად წავიდა;
სჯობს არ მითხრა, არაფერი არ დამპირდე,
რადგან, მაინც არაფერი აღარ მინდა...

ნახვამდის!!!

ნახვამდის, ბედმა ისევ თავის ქოშები ჰყარა,
ისევ უკუღმა, როგორც იცის ძალიან ხშირად,
წახველ, მზეს მთვარე ფარდასავით გადაეფარა,
და ვარსკვლავები ისევ ღრუბლებს გაუნაწილა...
წვიმს, შემომცქერის ქუჩის მხრიდან ცივად სარკმლები,
ვერც მე დავძლიე სიამაყე, სულის მეძავი,
დღეს რომც დაბრუნდე, ალბათ, ნაღდად შემომაკვდები,
რადგან ჩვენს შორის, ვიცი, ჩადგა ვიღაც მესამე...
შენს თავს მაგონებს ჯერაც ისევ აქ ყველაფერი,
თითქოს ხელებში ეჭვის გუნდა წარსულს მაჩეჩებს,
შენი ოთახი მელოდება როგორც კარცერი,
სადაც ყოველწამს ვეჯახები ვნების ნარჩენებს!!!
ის ერთი სიტყვა ალბათ მაინც არ ღირდა იმად,
ორივემ, ჩვენდა უნებურად რადაც ვაქციეთ,
და სიყვარული ანთებული ჩვენ ჩვენდა წილად,
რაღაც ერთ წამში, სულელურად წამოვაქციეთ...

ნახვამდის, ელვამ გაიარა ჩვენ შორის გველად,
და არასოდეს, არასოდეს აღარ შევხვდებით,
მოგვისამძიმრებს, ვიცი, ნაღდად, თვალებით ყველა,
წვიმს, სარკმლის მინებს ეხეთქება მოგონებები...

ჩამიქროლებ თითქოს ციდან

მოხვალ, როგორც ელვარება,
და ვარსკვლავებს შემომაყრი,
შენთან ყოფნა მენატრება,
და თვალები შენი მკაცრი...
ნაღდად წმინდა, ნათელ ცაზე,
გაგაჩინეს გრიგალებმა,
მშანთავს შენი სილამაზე,
შენი მკერდის ბრწყინვალება...
ვფიქრობ, ნეტა, რა ხარ ჩემი,
ან ჩვენ შორის რა მოხდება,
მაპატიე თუ შემთხვევით,
რამე სიტყვა წამომცდება...
რა ვქნა, ისე ლამაზი ხარ,
ისე უღვთო და ამაყი,
ჩამიქროლებ თითქოს ციდან
და ვარსკვლავებს შემომაყრი!

ისევ ქალზე...

როცა ცის სარტყელივით
გამოჩნდები ჩემს ახლოს,
თითქოს ქალი არასდროს
თვალით არ დამენახოს...
მათრობს მოტკბო სურნელი
ვარდისფერი კანისა,
მიყვარს მარგალიტები
შენი ყელსაბამისა...
როცა გქმნიდა შემოქმედს
უსაზღვრო ფანტაზია,
ესტუმრა და სამყაროს
თავზე გადმოაფრქვია...
მეტყველებენ საოცრად
შენი ნუშის თვალები,
როგორ მინდა მოვთოკო,
შევაჩერო წამები...
გამიგია ვენერა
მილოსელი და სხვანიც,

ცისფრად მანათობელი
ათასობით ვარსკვლავიც...
კი, მინახავს სპეტაკი
მწვერვალები თოვლისა,
ელვარება იმ თოვლში
სხივთა მანათობლისა...
მაგრამ შენ რომ შემხვდები,
შენ რომ შემომანათებ...
აი, რისთვის მოვსულვარ
თურმე ამ ქვეყანაზე...

სასტიკი იყო ჩემი ცხოვრება!

საოცარია, ჩემი ცხოვრება,
დაბადებიდან მემუქრებოდა.
მემუქრებოდა დედის სიკვდილით,
მამის სიკვდილით მემუქრებოდა...
მან შემისრულა თავის მუქარა,
თავის სასტიკი დანაპირები;
მართლაც რამდენჯერ დამამწუხარა,
დამსერა თავის დანის პირებით!!!
არ დაიჯეროთ, ცხრაჯერაც რომ ვთქვა,
რომ იმედებით მოვედი დღემდე,
რომ ჩავაბარე ყველა გამოცდა
და ვაჟღარუნებ გულმკერდზე მედლებს!!!
თუ კი ქარს დასთეს, ქარიშხალს იმკი,
მე რაც დავთესე არ მომიმკია,
არ მიცოცხლია ქარიშხლებისთვის,
არც მედლებისთვის არ მიცოცხლია!
სასტიკი იყო ჩემი ცხოვრება,
ალბათ ეს იყო ღვთის განაჩენი...
და თუ წარსული ვერ გაცოცხლდება,
მომავალია გადასარჩენი!!!

აპოკალიფსი

ალბათ არსებობს ქვეყნად სამოთხე,
ალბათ არსებობს სხვა იდილიაც,
მაგრამ, ძვირფასო, დღეს საღამომდე
მე შენი ნახვა არ შემიძლია...
დღეს საღამომდე, დღეს საღამომდე,
სინათლე ბნელში უნდა გავცვალო,
მინდა რომ ზღვები ნაპირს გადმოსცდეს,
და გადალეკოს მთელი სამყარო...

არ დაველოდო მეორედ მოსვლას,
არმაგედონებს, აპოკალიფსებს,
და ყოველივე იქამდე მოვსრა,
ვიდრე იესო ამას გვაღირსებს!!!
შენ, ალბათ, მეტყვი, რომ მე სიცხე მაქვს,
რომ ისევ ვბოდავ, როგორც მჩვევია;
რომ გამაგიჟეს ჩემმა მიზნებმა,
და ბოროტება ამირჩევია...
რა მოხდა მერე, არ მაქვს უფლება?
ან რატომ უნდა ვიყო კეთილი?
თუკი ნამდვილი თავისუფლება,
დღემდე ტანზე მაქვს შემოფლეთილი.
მე აღარც ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ,
მე ყველა მხრიდან ვიღაც მიყურებს;
და რატომ გიკვირს, რომ გავხდე ავად,
ან ეს სიცოცხლე თუ შევიძულე...
შენ მეტყვი ვითომ, ვინ რისთვის იღწვის?
ვის რა ჯანდაბა ესურვილება?
ამ მარათონში პირველობისთვის,
ვერ დავინახე მე უფლის ნება!!!
ჰოდა, მგონია, რომ უკვე დროა,
რომ მთლად ახლოა აპოკალიფსი;
ჰო, დამიჯერე, მართლაც ახლოა,
დიდი ხანია მე მას განვიცდი!!!

ყელი

ნეტა, ვინმეს უკოცნია მაგ ყელზე,
ნეტა, იცის ვინმემ რა ლამაზი ხარ?
ვერც გაიგე, ისე მოგიალერსე,
თუმც თითები დამწვი სიმხურვალისგან...
ამ ჩვენს დროში, როცა გარეთ ღამეა,
როცა ღმერთი დედამიწას აფეთქებს,
და სიკვდილი აფართოებს არეალს,
მე შენს ყელზე რატომ უნდა დავფეთდე?
მაგრამ არა, მძულს ეს ტუფთა ომები,
საზარბაზნე ხორცად ჯარის გაწირვა...
ქანცგაცლილი შენს ყელს დავეკონები,
მე სხვა ყელი არავისიც არ მინდა.
ნუ შეკრთები, ნუ დაფრთხები, ძვირფასო,
არ ვაპირებ, მკერდს ქვემოთ არ ჩავცდები;
შენ კი თუნდაც გველად გარდაისახო,
მეყვარება შენი ყელის ძაფები...
და რაც უნდა მწარე შხამით დამნესტრო,
უკანასკნელ მათხოვარშიც გამცვალო,

თუნდ ბრჭყალებიც ალმასივით ალესო,
და სისხლისგან ჯალათივით დამცალო...
მაინც ამ ყელს ვეღარავის დავუთმობ,
რომ იცოდე, მეც ვიქცევი ვამპირად,
ჰო, ასეა, უნდა დაგისაკუთრო,
და შეგსანსლო მერე ნაწილ–ნაწილად!!!

პაემანი

მე ხშირად ისეთ შეცდომას ვუშვებ,
რომელსაც მერე მწარედ განვიცდი,
ახლა შენს სახელს დავიწერ შუბლზე
და პაემანზე ასე დაგიცდი!
ვერ მოვიფიქრე მეტი სიგიჟე,
რომ შენ ჭკუიდან გადაგიყვანო,
ვინც მყავდა ყველა გადავივიწყე,
შენ ერთი შემრჩი, ჩემო ცისკარო...
ვარდები გინდა? წამო, დაგიკრეფ,
აბა, სადა მაქვს ვარდების ფული;
არა, არ ვტყუი, ნაღდად დაგვირგეს,
წინ, მოედანზე, ჰოლანდიური...
ერთი მოვწყვიტოთ, მეტი არა ღირს,
მაგრამ შენ უნდა ხელით მიჩვენო...
სხვა რა ვაკეთოთ ამ ბანძ ქალაქში,
და ან და ვისი რა დავიჯეროთ!?
აუ, მეჩხვლიტა, რა ეკლები აქვს,
აუ, შემერჭო, დედაც ვატირე;
ვარდი კი არა, მგონი ზღარბია,
აჰა, დამიჭი, რა, მომაცილე!!!

ზღვა

ზღვა იყო წყნარი, ზღვა იყო მშვიდი,
თითქოს კლდის ძირებს ეფერებოდა,
შენ კი ჩემს მხრებთან თავს ნელა ხრიდი,
რომელიც უნდა შემყვარებოდა...
მესმოდა შენი ჩურჩული, სუნთქვა,
რაღაც ეჭვებიც გაკრთა თვალებში,
მომეჩვენა, რომ ზღვასაცა სურდა,
ჩაეკარ თავის სიმხურვალეში...
ველოდებოდი შენს ტუჩებს, როგორც
გვალვაში წვიმას ელოდებიან,
ჰოდა, ისევ შენ გაბედე ბოლოს,
რომ ჩემთვის მკლავი შემოგეხვია.

მე გამეღიმა და შენ კი მიხვდი,
რომ ყველაფერი იყო ნათელი,
რომ ჩვენს ძარღვებში შხუოდა სისხლი
და უკან დარჩა სულყველაფერი...
მერე კი დიდხანს ტოკავდა ნავი,
ტოკავდა ნავი, წყალსა ტკეპნიდა;
მზე ჩადიოდა და მთვარე მკრთალი,
თითით გვტუქსავდა ვარსკვლავებიდან...

ვერ შეგეხები

შენ ალბათ გაჩნდი ვარსკვლავთცვენისას,
ან შეეშალე ვიღაცას ვარდში;
ვიცი, რომ შენი ფერხთა მტვერი ვარ,
ძაფის ნერვი ვარ მაგ შენი განცდის...
ვით გამჭვირვალე წყაროს შხეფები,
მკერდზე მეყრება შენი სიცილი,
ვერ შეგეხები, ვერ შეგეხები,
სანთლის წვეთი ხარ ჩამოღვენთილი...
ნუ ჩქარობ, მინდა დიდხანს ვუმზირო,
შენს ელვარებას, როგორც შეშლილმა,
რა ლამაზი ხარ, რა გულუბრყვილო,
თითქოს მოფრინავ ჩანჩქერებიდან...
და გარინდებულს სურვილის ნისლში,
წყაროს შხეფებად ტანზე მეყრები,
არა, არა ვარ მე შენი ღირსი
და ამიტომაც ვერ შეგეხები!!!

დუელი (ნუკრი ლატარიას ფოტოზე მინაწერი)

თუ კი ასეა, იყოს დუელი,
მხოლოდ სიცოცხლის დასასრულამდე;
მე ამ მიწისთვის ვარ უცხოელი,
ჰო, ასე იყო ბოლო წუთამდე!
დატენილია უკვე დამბაჩა,
ჩვენ ორში ერთმა უნდა იცოცხლოს,
უკანასკნელად ვდგავარ ტაძართან,
უაკანასკნელად უნდა ვილოცო!
ცა მორღვეულა, შტორმი ბობოქრობს,
ავად წივიან ალბატროსები;
მე სიცოცხლეში მეღირსა მხოლოდ,
შენი ტუჩების ცხელი კოცნები!
თუმცა, დღეს უკვე ეს წარსულია,
დღეს დუელია და მინდა მოკვდე!

მაგრამ იცოდე ჩემი გულია,
ტყვია, რომელიც შენ უნდა მოგვხდეს!

ღამე – ჩემი ანაკონდა

ირგვლივ უცნაური ღამის სიჩუმეა.
ადგილს ინაცვლებენ ცაზე ვარსკვლავები,
ჩემი სიყვარული შენთვის მიჩუქნია,
შენი სიყვარულით ჭკვიდან გადავედი...
და მე აღარ მშველის ახლა არაფერი,
აღარც სიგარეტი, აღარც საწამლავი...
წყალსაც წაუღია ყველა ქალაქები,
თავის ხალხებით და თავის სანახავით...
შენი ცივი სახლი, ალბათ, კარცერია,
შენ კი პატიმარი, კვალზე დაჭერილი,
ციდან ვარსკვლავები ჩუმად დამცქერიან,
მე კი ვიმზირები მისკენ დაბღვერილი.
ჩვენი საუკუნე, ვიცი, უცრემლოა,
სიკვდილს, რა თქმა უნდა, ცრემლი გამშრალი აქვს,
დიდი სიყვარული მუდამ უენოა,
მე კი გახსნილი ვარ უკვე რახანია...
არა, არავისთან ამას აღარ ვმალავ,
რომ შენ შემიყვარდი და ეს სიგიჟეა,
ერთად ჩავიყრიდი პირში ყველა წამალს,
მაგრამ იქაც, ალბათ, მხოლოდ სიცივეა...
გულზე დამცემია ყველა ჯოჯოხეთის,
ყველა ეშმაკი და ყველა მაჯლაჯუნა,
შენ თუ გახდებოდი ჩემი ორთოპედი,
ყველა ოკეანეს კროლით გადავცურავ...
ღამე შემომცქერის მკრთალი ვარსკვლავებით,
ჩემი უგრძელესი, ცივი ანაკონდა...
ალბათ, ჩავლილია ჩემი მატარებლის
ყველა ბორბალი და მე კი არ მახსოვდა...

დაბმულ დათვს ვგავარ...

დაბმულ დათვს ვგავარ, ორ ფეხზე შემდგარს,
და ყელზე ჯაჭვი მაქვს გაჭერილი.
მე ამ ქალაქის უფასო ტყვე ვარ
და ხურდას ვითხოვ ხელგაშვერილი...
ხელის თითები მზეზეც მაძრება,
მზე ამ ქალაქში ვიღას უნათებს;
ვიცი, საცაა სულიც გამძვრება,
მაგრამ რას იზამ, არც სხვას უმართლებს...

რაღაც ზეიმებს იწყობს ელიტა,
ჩვენ დაბმულნი ვართ ყელზე ჯაჭვებით,
"თავისუფლება" გაქრა ენიდან,
არ დარჩა მისგან აღარაფერი...
და ვაჟღრიალებ ხანდახან მეც ჯაჭვს ,
და ამ უმზეო ზეცას შევბღავი;
სანამ მოვკვდები ეს ჯაჭვი შემჭამს,
და რამდენია ალბათ ჩემსავით!!!

ხათუნას ლეკვზე

დიახ, ალბათ შენზე ფიქრობს,
და სიზმარშიც შენა გხედავს,
რა ბედი აქვს, შენს კალთაშიც
ალბათ ყოფნას ბევრჯერ ბედავს...
რა დრო დადგა, ძაღლის ბედის,
მშურს უთეთრეს თეთრი შურით,
რადგან ესმის შენი კაბის
ნაოჭების შარიშური...
მაგას ახლა ტკბილად სძინავს,
მე მღვიძავს და შენზე ვფიქრობ,
რა მოხდება სულ მცირე ხნით,
შენი ტკბილი ლეკვი ვიყო...
ჯერ ლოყაზე აგლოკავდი,
შენს მხარზე თავს ჩამოვდებდი,
მერე ჩუმად გაკოცებდი,
ჩემს სიყვარულს გადმოგდებდი...
რა ბედი აქვთ ძაღლის ლეკვებს,
ყველგან გულში იხუტებენ,
მე ვზივარ და ვჩხაპნი ლექსებს,
და ზედაც არ მიყურებენ...

ეკას!!!

მე არც ინდური სპილო მიყვარს,
და არც აფრიკული მაკაკები,
შენი სილამაზე გადამიყვანს
ჭკუიდან თუ უკვე არ გადავედი...
მართლაც ვერაფერი გამიგია,
ეს რა შესძლებია სილამაზეს,
გარეთ საზიზღარი ამინდია,
მე კი ნირვანული დილა მარწევს...
ვფიქრობ, ალბათ ღმერთის ბრალი იყო,
შენ რომ ჩემს ფიქრებში გადმოსახლდი,

მინდა ყველაფერი დავივიწყო,
შენ კი ჩუხჩუხებდე წყაროსავით...
ჩემსკენ მოდიოდე სილამაზის,
ქალის სილამაზის ეტალონი,
ულამაზესი ხარ, ჩემი აზრით,
როგორც ანასხლეტი მეტაფორის...

მიყვარხარ, მართლაც...

მართალი გითხრა, ჩემს ცხოვრებაში,
ბევრი ლამაზი ქალი მინახავს,
მაგრამ, ძვირფასო, ჯერ შენი მსგავსი,
არ შემხვედრია, გეტყვი წინასწარ!
როცა გითხარი, თითქოს, მიყვარხარ,
არ დამიჯერებ, მაგრამ მიყვარდი...
იცი, უბრალოდ, არ გაგვიმართლა,
ალბათ, სულ რაღაც პაწაწინათი...
რომ ბედმა ადრე არ შემახვედრა,
შენს ლამაზ თვალ–წარბს, გადახატულებს...
ალბათ, არც ხდება ქვეყნად თანხვედრა,
ქალთან, მარადჟამს ვინც გიერთგულებს...
ვინც ყველგან, ყველგან, შენს გვერდით დადის,
ქარში, წვიმაში, მოუსავლეთში,
რომ გაგიქარვოს ათასი დარდი,
თავისი მშვიდი ხვევნა–ალერსით...
და ზოგჯერ, როცა შენნაირები,
ჩემს კაბადონზე გამოკრთებიან,
მე ბღავილს ვიწყებ, როგორც ირემი,
მე შენთან ყოფნა მომნატრებია...
არადა, ადრე თავადის ქალებს,
ამის თქმას როგორ გავუბედავდი,
მიყვარხარ, მართლაც, მაგრამ მრისხანედ,
ჩვენს შორის ჩადგა ბედი ვერაგი!!!

ჩემს ქალებს!!!

თქვენ ვინც ოდესღაც
ბევრი რამე გამაბედინეთ,
თქვენ ვინც ოდესღაც
სიყვარულში არ უარმყავით,
ვინც თქვენი ბაღჩის
ყვავილებში ჩამასეირნეთ,
უტკბილეს ნექტარს
მიზოგავდით დღითა და ღამით...

თქვენ გადღეგრძელებთ,
თქვენი იყოს ჩემი ლექსები,
თქვენით გამთბარი,
თქვენი ლოცვით ნასაზრდოები,
თქვენს დასახატად სიტყვებს
ღმერთებს დავესესხები,
ხართ ჩემი ხსოვნის
სისხლისფერი ყაყაჩოები!!!
მე თქვენი ტრფობა
სიცოცხლეში მუდამ მახსოვდა,
თვალწინ მედექით, ისეთები,
როგორიც მყავდით,
მსურს ერთხელ კიდევ,
ერთხელ კიდევ გითხრათ მადლობა,
რომ არსებობდით,
გიყვარდით და არ უარმყავით!!!

არ გემუქრები

არ გემუქრები, მაგრამ, იცოდე,
როცა შენ გხედავ, ტრანსში ვვარდები,
ჰოდა, რადგანაც ჩვენი სიცოცხლე,
სასტიკია და შეუბრალები...
თუ ისევ შევხვდით, ხელს რომ მოგკიდებ,
აღარასოდეს აღარ გაგიშვებ!
რომ ვერ გაუძლო შენ ჩემს ბორკილებს,
რომ ვერასოდეს ვეღარ გამისხლტე!!!
ვიცი გიყვარვარ, რადგან თვალებში
ზოგჯერ ისეთი სხივი გიჩნდება,
და გეტყვი მეც, რომ აღარ დავეძებ,
აღარც ზნეობას, აღარც ღირსებას...
და ერთადერთი, რაც მაშინ მინდა,
მივფლითო, შენი სუფთა წარსული,
და სიძვის ცეცხლში გავხვიო მშვიდად,
დედიკოს ტურფა, წმინდა ასული!!!

ლერწმის ტყე

სახელი ჰქვია ლერწამს ლამაზი,
თორემ არც ნაზი, არც ლამაზია;
თუკი ვერ შესწვდი ვარსკვლავებს ცაში,
მაშინ, ვარსკვლავებს რაღა ფასი აქვს...
მახსოვს, ბიჭვინთის სანაპიროზე,
ლერწმის ტყე იყო ტანდაფოთლილი,

ტალღები ნაპირს გადადიოდნენ,
და ზღვაც ოხრავდა ბაზრის ლოთივით...
მართალი გითხრა, სულ მიმართლებდა,
მაშინ იქ ტურფებს რა გამოლევდა,
და იმ ტრფობათა სიმხურვალება,
ალბათ აღბეჭდეს ლერწმის ფოთლებმა...
შენც ლერწმის ერთი მწვანე ღერო ხარ,
ვიცი გვჭორავდნენ ჩუმად ლერწმები ...
გკოცნიდი, მაგრამ ზღვა გვიცქეროდა
და მოსაწყვეტად ვერ გიმეტებდი...

მოდი, ჩვენც ვიქცეთ მინდვრის ქარებად...

სულ სხვანაირად, სულ სხვანაირად,
სულ სხვანაირად რეკენ ზარები;
ცაზე მზე წითელ სხივებს დაიწნავს,
მთვარეს გახედავს ცეცხლის თვალებით...
მოდი ჩვენც ვიქცეთ მინდვრის ქარებად
და ზეცისაკენ ბილიკს გავუყვეთ;
ვარსკვლავი ვარსკლავს დაემალება,
და თუ შენიშნავ ღიმილს გაჩუქებს...
ვიცი, გინდოდა შენც ჩემთან ერთად,
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაგეფრინა,
რომ სადმე ციურ საკურთხეველთან,
დილის მზესავით ამოგებრწყინა...
ჰოდა, გავფრინდეთ, ამ ჩამქრალ მიწას
აღარ სჭირდება ჩვენისთანები,
შენც ხომ ჩემსავით გრიგალი გიყვარს,
შენც ხომ ჩემსავით გიყვარს ქარები...
და როგორც მთვარე ვნებადაცლილი,
რიჟრაჟზე მთებში ჩაიკარგება,
შენი ტუჩები კანგადაცლილი,
დღეს უკოცნელად ვერ გადარჩება...

შანსი არ არის...

ვერსად გააღწევ, შანსი არ არის,
ირგვლივ გვარტყია რკინის კედელი,
ის მაღალია ვით ტაჯმაჰალი
და გრაალივით აუღებელი...
შენ დასჯილი ხარ, შენი სიცოცხლე,
მუდამ უთავო დევის ხელშია,
გაშიშვლებული გდიხარ ლითონზე
და ყველა მხრიდან ტყვიებს გესვრიან...

სევდა პირქუში, სევდა უაზრო,
უსაზღვრო სევდა ყელში გაგჩრია,
შენ ასრულებდი შენს როლს უნაკლოდ,
რაც სხვას არაფრად არ მიაჩნია...
ჩაქრები, როგორც ცხელი სანთლები,
იწვებიან და ჩუმად ქრებიან,
გულის კედელს კი კვლავ ყრუ დარტყმებით
სევდის ტალღები ეხეთქებიან...
არსებობს ბრძოლა წაუგებელი?
ბრძოლა წესების დაცვის გარეშე?
ვერაფერს იზამ, ყრუა კედელი,
გინდა შეასკდი, გინდ უალერსე!!!

როგორ არ მინდა...

როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ უდროობა ასე მძარცვავდეს,
ცამდე ასული დგას პირამიდა,
და ხელით სწვდება ლამის ვარსკვლავებს...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ეს გაზაფხულიც ასე წავიდეს...
ქვიშას მოიტანს ტალღა ნაპირთან
და შენს მკთალ სახეს გადამავიწყებს...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ასეთი შორი იყოს შენამდე,
ან გალობანი ტაძრის სარკმლიდან,
კვდებოდნენ ლოცვის დაბადებამდე...
რა დრო გასულა, წამებს წუთები,
დღეები თვეებს ასდევნებია;
ისევ ვთამაშობთ, შენ იხუჭები,
და მერე ისევ ჩემი ჯერია...
მაგრამ რა, თუ კი მაინც ვერ გნახავ,
თვითმკვლელობამდე თუ ვარ მისული...
ჩემი დაღლილი ბედისწერა ხარ,
ჩემს ვენის ძარღვზე ამოტვიფრული..

რა მოხდებოდა

რა მოხდებოდა ცოტაც მეცოცხლა,
თუნდაც ორი დღე, ან თუნდაც სამი,
ჰო, შენთან სულაც არ მემეგობრა,
ანდა, გამესწრო, სულ ერთი წამით...
ახლა რა, უკვე მკვდრებში ვწერივარ,
ამ ულამაზეს სახის მნახველი,

ალბათ უსაზღვროდ ბედნიერია,
შენი გრძნობების ჩუმი მძარცველი...
იცი, გავცვლიდი რაც მაბადია,
ყველაფერს, როგორც ერთხელ ნიკალამ,
რა სილამაზეს დაუბარდნია,
რა სიტკბოებას ალუბლისთანას...
ან ამას სიტყვით ვინ გამოხატავს,
თითქოს ატმები გადაიპენტა,
რამ ამოგქარგა, ვინ ამოგქარგა,
ან მოსაკლავად ვინ გამიმეტა...

როცა შენ გხედავ

როცა შენ გხედავ, როცა შენ გხედავ,
აღარ მჭირდება ღმერთის მოხმობა;
შენს სილამაზეს ვიკეთებ ფრთებად,
და შენს სიყვარულს ვაქცევ კოცონად...
საოცარია, გიცქერ და ვხვდები,
რომ უაზრობა არის ყოველი,
რომ შენთან ერთად ნამდვილი მტრები,
გავიჩინე და სიკვდილს მოველი...
რომ მე შენს ტრფობას არვინ დამაცლის,
რომ სიყვარული გადამდებია,
რომ უკვე მიმზერს ლულა დამბაჩის,
სეკუნდანტებიც მელოდებიან...
ასე ერთ ქალში როგორ შეკრიბა
და სამზეოზე გამოიტანა,
მკერდი დაღლილი მღელვარებისგან,
ტანი გავსილი ვნებებისაგან...
ჰო, იშვიათად, თუმც მაინც ხდება,
ალბათ, ასეთი სასწაულები...
ზამთარი გადის, ყინული დნება,
სულ არ მოგწონვარ, მართლა, სრულებით?

ლელა წილოსანს!

ლელა, ვიცი, გახსოვარ,
არც მე არ მავიწყდები,
თუმცა, სხვისი სატრფო ხარ,
და შენც მისთვის იწვები...
ჩვენც ხომ ვიცით, ცხოვრება,
მკაცრია და ბოროტი,
მზის სხივები შოლტებად,
გულში ატანს ბოლომდის...

მაგრამ, იცი, ვინ გვშველის,
და ვისთვისა ვსულდგმულობთ?
როცა ღამე შიშველი
სულს გვიწეწავს უგულოდ...
ალბათ, შენისთანები,
ლამაზები, კარგები...
ერთი ღიმილისათვის
ჩვენსკენ მოფარფატენი...
და ჩვენც მეტი რა გვინდა,
ასაფრენად ზეცამდე,
წამიც კმარა დარდიდან
ზოგჯერ აღტაცებამდე!!!

ზოგჯერ, ამ ცოტა–ცოტაობაში...

ცოტა მზე, ცოტაც, ალბათ, ვარდები,
ცოტაც ღიმილი და ალუბლობა...
ცხელი ტუჩები როგორც სანთლები,
ცოტაც ეჭვები და ქალურობა...
მიყვარხარ, რა ვქნა, რა დაგიფიცო,
ირონიულად ნუ მაკვირდები,
არ დამივიწყო, არ დამივიწყო,
როს აპრილივით გაიკვირტები...
ცოტა კოცნები, ცოტა ვნებანი,
მოშიშვლებული ძუძუს კერტები,
და სიყვარულის საოცრებანი,
ტანი თევზივით მოუხელთები...
ალბათ, ყოველთვის ასე სხლტებოდნენ,
ყველა ქალწულის ძუძუსთავები,
რა გიყო, ისე მაგრად შევტოპე,
ნუ მთხოვ, ნუ მებრძვი, არ მებრალები!!!

გაზაფხულია

გაზაფხულია, სულ მალე მთებში,
გაიღვიძებენ ნაკადულები,
და ჩანჩქერებიც წამოვლენ თქეშით
თეთრ მწვერვალებზე გაფანტულები...
ვიცი, ჩემსავით შენც გესმის სუნთქვა,
მიძინებული ხეობებისა,
რომ ვარსკვლავს თავის ვარსკვლავი უყვარს,
რომ გაზაფხულიც იწვის ვნებისგან...
მოდი, მე და შენც ვიქცეთ ნისლებად,
მე მთები ვიცი ულამაზესი,

და ბუნიობა რომ დაიწყება,
მე და შენც დავტკბეთ ნისლთა ალერსით...

მითხარი, ძვირფასო!

პირველი მარტია და გარეთ ზამთარია,
რის ია, რა ია, რის გაზაფხულები...
თითქოსდა ცხოვრებამ ბუნებაც არია,
არც ველი არაფერს, არც ველი სრულებით...
ჯერ ისევ თოვლი დევს დაკოჟრილ ხეებზე,
და სულშიც, ძვირფასო, ჯერ ისევ ქარია...
მიამბე, მიამბე იმ თეთრ ღამეებზე,
შენ რომ გიყვარდა და მეც რომ გადამრია...
მითხარი, რომ ამ თოვლს სულ მალე აიღებს,
რომ სხივებს, მზის სხივებს ყინვა ვერ გაუძლებს...
რომ აზრი არა აქვთ დღეებს და თარიღებს,
რომ ამ დროს ვერაფერს, ვერაფერს გაუგებ...
ხშირად მეჩვენება, რომ მორჩა, დამთავრდა,
რომ ღერძი მიწისა უკუღმა ტრიალებს...
ჰო, გული შეჭამა ამ ცივმა ზამთარმა,
ან როგორ ვებრძოლო ამ ბნელს და ყიამეთს!!!
მითხარი, ძვირფასო, რომ ეს გაზაფხულიც,
ჰო, ეს ყოველივე აღდგება ფერფლიდან...
რომ თოვლი დნება და ზვავებად დაძრული,
მოქუხს გაზაფხული ძირს ქარაფებიდან!!!

თუკი მომწყურდი

თუკი მომწყურდი, თუკი მომშივდი,
ვერ შემაჩერებს აისბერგები,
როგორც ხომალდი, ფერდგამოცლილი
ტიტანიკივით შეგეხეთქები...
უშენოდ, აბა, რაში მარგია,
ქვეყნის სიმდიდრე, თუნდაც მეფური,
ან აისბერგი ვის უნახია
გემთან ჭიდილში დამარცხებული...
შენც ჩემი თეთრი აისბერგი ხარ,
მე კი გემი ვარ შენი სტუმარი,
დაგჯახებივარ, დაგილეწივარ,
ფსკერია ჩემი თავსასთუმალი...

სულ სხვაგან ჰქრიან ჩემი ფიქრები

მე თქვენს მოხიბლვას არ ვაპირებდი,
ჰო, გეფიცებით, თუ დამიჯერებთ,
სულ სხვაგან ჰქრიან ჩემი ფიქრები,
სულ სხვა მორევის ფსკერზე მითრევენ!!!
ან რა უნდა ქნა, ამ სინანულში,
დრო თუ გვთავაზობს მხოლოდ რექვიემს,
მოიხიბლებით, აბა რა, თუკი,
ჩემს ნათელ დარდებს შემოეჩვიეთ!!!
ალბათ, აჯობებს ხელი ჩამჭიდოთ,
ჰო, ულამაზეს გზებზე გატარებთ,
ბრწყინვალე იყო ჩემი სამკვიდრო,
ახლა დრო–ჟამი რომ აჯანჯღარებს...
და მაინც ზევით, იქ მაღლა მთებში,
სადაც მზისფერი მწვერვალებია,
ჯერ ისევ ხარობს ქართული ფესვი,
სიგიჟემდე რომ შემყვარებია...
ჰოდა, წამოდით, იმ ფესვს გაჩვენებთ,
იმ მარადიულ სპეტაკ მწვერვალებს,
რომ გვისახსოვრა ბედმა ქართველებს,
ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე!!!

ზეცა ჩემი საუფლოა

ზღვასთან ტანგო გიცეკვია?
გიცეკვია ქართან ვალსი?
ქარიშხლებში გილეწია,
დედამიწის თხელი გარსი?
მივაგელვებ დროის მერანს,
თუმცა მგონი დროსაც ავცდი,
ვულკანების ცეცხლის ტყვე ვარ,
ანთებული ვარ კოლაფსი...
ვიფრენ სანამ ჩავიწვები,
სანამ ღველფი გადამფარავს;
არწივებმა მომცეს ფრთები,
ქარიშხლებმა მომცეს ძალა...
ვით ულაყი ყალყზე მდგარი,
ვჭიხვინებ და ვაპობ სივრცეს,
თუ ღმერთების ვნახე კვალი
მათაც ომში გამოვიწვევ!!!
ზეცა ჩემი საუფლოა
და ნუ გიკვირს, მეც ვარ ღმერთი;
ჰოდა, მგონი, მართლაც, დროა,
გავანათო უკუნეთი!!!

კი, სილამაზე გამიგია, მაგრამ ასეთი?

მე დავიღალე, სიმშვიდეზე ვოცნებობ მხოლოდ,
შენი თითები მიშველიდა ახლა ნამდვილად,
კარგა ხანია, მართლაც ამის იმედით ვცოცხლობ,
შენ კი შენს თითებს მიქნევ მხოლოდ აივანიდან...
იცი, გიხდება გულსაბნევი, ყურზე საყურე,
ჰო, ყველაფერიც მოგიხდება თუ რამ არსებობს,
თითქოს სულიდან იხედები, როცა გაჰყურებ,
აივანიდან, შენს დაპყრობილ კაცთა სამეფოს!
კი, სილამაზე გამიგია, მაგრამ ასეთი?
არც ვიცი შენი შეყვარება როგორ გავბედო...
ყველა ვარსკვლავი გაახუნე სიკაშკაშეთი,
ყველა ჩაქრა და მხოლოდ შენი შუქი აენთო...
მე დაღლილი ვარ, შენ კი დაღლილს ცოფი შემყარე,
ნუ იღიმები, მაგ ღიმილის არ მაქვს ატანა...
იცი, რას გეტყვი? სულ შემთხვევით შემომეჭამე,
ღიმილის გამო დაისაჯე, ჩემო პატარა!

ვარ გემი ზღვაში კლდესშემსხვრეული

კი, ლამაზია ქალის სხეული,
სული კი ღრმაა როგორც ამბობენ;
ვარ გემი ზღვაში კლდესშემსხვრეული,
მეზღვაურებმა რომ მიატოვეს...
შენ არასოდეს გცალია ჩემთვის,
თან რა ხანია ღიმილს მპირდები,
ბრილიანტებით სავსე მაქვს პეშვი,
და ქარიშხლებით სავსე ფილტვები...
ჰოდა, ოდესმე თუ გამომრიყავს,
ნაპირზე ტალღა აქაფებული,
ამ ქვებს უკლებლივ შენთან მოვიტან,
რომ გავაშიშვლო შენი სხეული!!!

მხოლოდ მწვერვალებისკენ

როგორც დაიბადები,
იქვე,
იქვე, მაშინვე,
შენთან ერთად ჩნდებიან
ცეცხლოვანი მერნები,
თუ ვერ დაიმორჩილე
და ცეცხლი შეგაშინებს,
ყინულოვან მწვერვალებს

ვერასოდეს შესწვდები!!!
ბედის უკუღმართობებს
არასოდეს დანებდე,
ბედი, მაშ, რის ბედია,
ცხრაჯერ თუ არ გაგწირა;
ჰოდა, მწვერვალებისკენ,
მხოლოდ მწვერვალებისკენ,
სადაც ჯიხვთა ჯოგია
და სივრცენი არწივთა!!!
მომყვებიან ნისლები
აღელვებულ ზღვასავით,
ზევით, ზევით, მერანო,
სადაც თეთრი მთებია,
სადაც დაბუდებულან
ორბნი ქორბუდასავით,
და ზვავები გრიალით
კლდეებს ეხეთქებიან!!!
ფლოქვებს გააქვთ ტკაცანი,
ცეცხლის კვალი მომყვება,
ის რაც ზევით მეძახის
ჩემი მიწა–წყალია,
მთები, მთები გართხმული
დაცემულან ლოცვებად,
ეს ხეობა კი არა,
დევთა ნატერფალია...

გაწყენინებ და მერე განვიცდი

ვერ გაგიმეტე, ვერ გაგიმეტე,
ვიცი, ბოდიშის მოხდა მომიწევს...
გაწყენინებ და მერე განვიცდი...
მერე არ ვიცი, როგორ მოვიქცე...
რა მოხდებოდა დროს შესძლებოდა,
ალბათ მიმიხვდი, ზოგჯერ უკუსვლაც...
შენს სილამაზეს არ შეხებოდა,
შემომრჩენოდი ზღაპრად, ჩუქურთმად...
ახლა, რა, შენს თავს თითქოს მართმევენ,
ყველა წუთები, ყველა წამები...
და მე არ მინდა ამ დროს დავნებდეთ,
უსიტყვოდ, უხმოდ და დანანანებით...
რა საწყენია, რა საწყენია,
დროს ვერ გავასწრებთ ვერანაირად,
დრო, ეს სასტიკი განაჩენია,
ჰოდა, საშველი არც არსაიდან!
მე კი მინდოდა ისევ მენახა,

შენს მკრთალ სახეზე კოცნის ალმური;
ჩემი ბავშვობის განცვიფრება ხარ,
უკანასკნელი ხარ სიყვარული...

ტანგო

იცი, როცა შენთან ვცეკვავ,
ყველაფერი მავიწყდება,
შენთან ერთად, შენთან ერთად,
გაშიშვლება, გაგიჟება...
ამეკარი, დროს ნუ ჰკარგავ,
მომე შენი ცხელი ხელი,
შენი მკერდი შემიყვარდა,
შენი ყელი საკვირველი...
თეძოს ნაპირს ჩავუყვები,
გავჩერდები წელის ბორცვთან,
დამათრობენ ქერა თმები,
გამაცოფებს შენი კოცნა...
პაუზაა ტანგოს რიტმში,
ყელი–ყელში, თვალი–თვალში...
შენი ძუძუ ნერვებს მიშლის,
მეყინება სისხლი ძარღვში...
და ბზრიალებს ჭაღი ჭერზე,
მღერის, კვნესის ვიოლინო...
მე შენს ტუჩებს ისე ვეძებ,
როგორც ლოთი ჭიქა ღვინოს...
შენს ბაგეებს ვეწაფები,
თუ ტკბობაა ტკბობა იყოს,
შემაშველე ხელი ვთვრები,
კი არ ვთვრები, ვკვდები თითქოს...

დაველოდები

მე შენთან ვრჩები, არ ვაპირებ არსად გაქცევას,
და რომ იცოდე, სულ არა მაქვს ნიჭი ღალატის;
ამბობენ თურმე დაიბადო უნდა გამცემად,
სწავლა და გაწვრთნა ამ საქმისთვის თურმე არა ჭრის...
დაველოდები, როცა ზღვები დაწყნარდებიან,
როცა ნისლები ქედებიდან აიკრიფება;
მე არასოდეს ასე მაგრად არ მყვარებია,
და არც ქუჩაში მიპოვია ჩემი ღირსება...
არ ვიცი, იქნებ ვცდები კიდეც, როცა სიყვარულს,
რაღაც ზეციურ, ზებუნებრივ ძალას მივაწერ;
როცა ლარივით დაჭიმული მართლაც ტიტანურ,

მართლაც ტიტანურ გრძნობასა ვდებ მე შენს წინაშე!
ნურც ამ ჩემს ნათქვამს ნუ ჩამითვლი გულუბრყვილობად,
ერთს კი ვერ ვხვდები, თუ ამდენ ხანს რას ელოდები...
მცირე ხანია შემიხორცდა მკერდზე ჭრილობა,
და მომკლავს, ალბათ, ხელახალი ნაჭრილობევი...

ელენს!!!

როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე, როგორ მაკლიხარ,
ალბათ, არასდროს ინაღვლებდი აღარაფერზე...
თუმცა, უნდა ვთქვა, რომ პირისპირ არ მინახიხარ,
შენს შემდეგ, იცი, შემეცვალა აზრი ქალებზე...
შენი სიმშვიდე გადმომედო და მეც მშვიდად ვარ...
შენს შეკითხვებზე პასუხები არ მაქვს, ძვირფასო...
როგორ აგიხსნა, რანაირად, როგორ მიყვარხარ,
ჰო, მეშინია, საბოლოოდ არ გამაგიჟო!!!
შენ, ალბათ ფიქრობ, დავდივარ და ამ სიტყვებს ვაბნევ,
და ვინც შემხვდება ამ უბრალო ლექსებსა ვჩუქნი,
რომ სულ სხვა მიყვარს, ხოლო შენთან რაც კი ენაზე,
რამ მომადგება, იმას ვამბობ და დღეებს ვფურცლი...
მართალი გითხრა, არა, ელენ, არ არის ასე,
შენ რომ არ მყავხარ, გაზაფხულიც კი აგვიანებს,
ასე მგონია უშენობა დამამხეს თავზე,
დიდი ხნის წინათ და დღეს მხოლოდ გავახმიანე!!!

შევეჯახე სილამაზეს

შევეჯახე სილამაზეს,
სილამაზეს შევეჯახე,
ლამაზია შენი სახე,
მაგრამ ჯობდა არ მენახე...
ვერ გეტყვი, რომ სიყვარულმა
ძარღვში ტკბილად დამიარა...
რომ შენა ხარ, ის ვინც ჩუმად,
ლოყას ცრემლით დამინამავს...
რომ შენა ხარ ვინც დღეიდან
მუდამ ჩემთან ერთად ივლის,
ვინც კოშმარულ სიზმრებიდან,
გამომიყვანს და დამიხსნის...
ჰო, ასეა, მაგრამ რადგან,
ლამაზი ხარ და მკერდს მიხსნი,
და სხმარტალებს როგორც ტალღა,
ძუძუს კერტი ალერსისთვის...
შენ მაგიჟებ სილამაზით,

მეც ერთ ღამეს შენ გაჩუქებ,
ჰოდა, მოდი, სიძვის ხათრით,
შევაწებოთ ტუჩი–ტუჩებს.

ვულკანი ვარ

ჩემი გული დღეს ვულკანის კრატერია,
მაგრამ მაინც, მყარად ვდგავარ, ფეხს არ ვიცვლი...
გულის კედლებს გაშმაგებით აწყდებიან,
წვიმა, თქეში, ქარიშხალი, თოვლი, ნისლი...
რა ხანია სისხლი ცდილობს გამოსყიდვას,
იმ ცოდვათა, ოდესღაც რომ აიკიდა;
და თუ ლავა კრატერიდან ამოვიდა,
ის ცოდვანიც გამოგლიჯავს გულის ფიცარს...
სად წავიდე, ვის მივენდო, ისევ ქარებს?
ვდგავარ, ვუსმენ, მიწის გული როგორ ფეთქავს...
ვულკანი ვარ, მგონი მართლაც გავიბზარე,
და საცაა ცხელი ლავაც ამომხეთქავს!!!

ველოდი წარღვნას

მე მარადიულ კითხვებს დაგისვამ,
თუმცა, ვიცი, რომ ვერ მიპასუხებ,
მთვარეს გაუსკდა გული დარდისგან,
შენ რომ ღიმილით დამასაჩუქრე...
შენ რომ ღიმილით დამასაჩუქრე,
ზეციდან გაქრა ყველა ვარსკვლავი...
ეწყინათ, რადგან, ალბათ, მათ უკეთ,
მოეხსენებათ ჩვენი ამბავი...
რომ ტკბილი ხარ და მეც რა ხანია,
მეც რა ხანია, სიტკბოს დავეძებ...
რომ შენი მსგავსი არ მინახია,
ამ სევდით სავსე არემარეზე...
შენამდე შავი მანტია მესხა,
და წუთი–წუთზე ველოდი წარღვნას,
მარტო ვიყავი ოკეანესთან,
და მემსხვრეოდა მკერდს ცივი ტალღა...
შენამდე ბევრი პროსპექტი ვკეცე,
ბედი ავბედი რას არ მახლიდა,
მაქცევდა მტვერში, მხრაკავდა მზეზე,
მკლავდა და მერე შარბათს მაწვდიდა...
და მართლაც ზოგჯერ სულ ერთი მისხლით,
ერთი ღიმილით რას არ გეტყვიან...
აჰა, ეს გული, ღიმილში გიცვლი,

შენს მერე მკერდში ვერ დაეტია...

...

ჩემზე ბევრად პატარა ხარ,
მეც არ ვიცი, რა მოგწერო;
ვერ გაგიხდი მე შენ ხატად,
მითუმეტეს, სამლოცველოდ...
თუმცა, ერთმა ღმერთმა უწყის,
ყოველ ჩვენგანს წინ რა ელის,
და რაც გვძულდა იქნებ გუშინ
ხვალ გაგვიხდეს სანატრელი...
მე რომ ჯადოქარი ვიყო,
ან ერთი დღით, სულაც, ღმერთი,
ყველა ქალებს თითო–თითოდ,
იმ ერთი დღით გიჩუქებდით...
მერე თუნდაც წყალს წაეღო,
ყველა მზეც და ყველა მთვარეც;
წვიმას აღარ გადაეღო,
ეღრიალა ზღვას საზარელს...
სულაც აღარ ვინაღვლებდი,
თუ კი მართლაც ყველა ქალი,
იქნებოდა, მხოლოდ ჩემი,
ერთი წუთით, თუნდაც წამით!!!

ნინო ბუთხუზს!

არ მავიწყდები, რატომ არ ვიცი,
რაღაც გულს მომხვდა შენი ამბავი,
რომ მარტოობას მაინც განიცდი,
როგორც ლოლუა მზეზე დამდნარი...
ან როგორ გითხრა ჩემი სათქმელი,
ისე კი მაგრად მესიმპატიე...
მშვენიერი ხარ, სახენათელი,
თუმც, ჩანს ღმერთამდე ვერ მიაღწიე...
ისე, ღმერთსა და მაგ შენს ბედს შორის,
გინდა, ვიქნები შუამავალი;
ხარ ახლობელი და ასე შორი...
ასე ლამაზი, ასე მართალი...
მე რომ არც ვიყო, შენ, ალბათ, შენი,
მესხეთის მიწა მაინც დაგიცავს,
მომწონხარ, რადგან ეგ კდემაც გშვენის,
რომ ვერც გაარჩევ სილამაზისგან...
ნინო, ძვირფასო, რაც იყოს, იყოს,

ვიცი, არ იყო ეს უფლის ნება...
მაინც მითხარი, შენი რომ ვიყო,
გაგიხარდება თუ გეწყინება?

აი, ძალიან, ძალიან ლამაზ ქალზე...

რა მკერდი აქვს, რა ტუჩები, მაგრამ მაინც,
როცა შენი არაა და ვერც შესწვდები...
ეძებ, გინდა მოუძებნო, რომ რაღაცით,
ის არაა, თითქოს, ვისაც შენ ეძებდი...
საოცარი თვალები აქვს, გამოხედვა,
თმები, ყელი, ნაზი, თლილი, არნახული;
კლდის ნაპრალზე გადმომდგარა, როგორც ელვა,
როგორც რაში გასაფრენად დარახტული...
მაგრამ, შენ, რა? ვერასოდეს ვერ შეხვდები,
კოცნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია;
სხვებისაა, სხვებისაა ეს მერნები,
და არც მინდა, საშინელი ეკლები აქვთ...
გაიხსენებ მელასა და ყურძნის მტევანს,
სტვენა–სტვენით შენს ბილიკებს გაუყვები;
თუ ბედი გაქვს, ერთხელ ღამით გესიზმრება,
ჰოდა, ძილში კი მოსულა ყველაფერიც...

საკირე

ვარ უღმერთოდ ჩაკირული საკირეში,
ერთიანად ცეცხლის ალში გახვეული...
ო, ეს სულიც, ჩემი სულიც იწვის ცეცხლში,
და მიჰყვება ფერფლს ზეცისკენ არეული...
ყველას ნაცვლად, ყველას ნაცვლად მე ვიწვები,
შეუკეთეთ, შეუკეთეთ, არ დამინდოთ!
არ დამინდოთ, ასე მიჯობს გეფიცებით,
არ გეგონოთ ვთამაშობდე რამეს თითქოს...
მე, მე, დამწვით, მირჩევია სხვების ნაცვლად,
რომ ცოდვანი ჩემი სისხლით განიბანოთ...
დამიჯერეთ, სიცოცხლეა ახლა ჯვარცმა,
და მეც მიჯობს სისხლისაგან დავიცალო...
შეუკეთეთ, შეუკეთეთ, აბრიალეთ,
ცას სწვდებოდეს ავარდნილი ცეცხლის ალი...
გაახურეთ ეს საკირე სატიალე,
მე დამწვით და თქვენ კი მართეთ ფესტივალი...

სხვა რა გზაა

ჯერ გზაშია არ მოსულა გაზაფხული,
წელს რატომღაც სასწაულად აგვიანებს...
და ეს მარტიც ძველებურად თავგასული,
ეს დამპალი, ისევ ზამთარს აპიარებს...
ჩვენ კი როგორ, როგორ ჟინით მოველოდით,
ტყემლის გაშლას, ალუბლების აფეთქებას...
ახლა რაა, გაიხედავ, თოვლი მოდის,
და მეც ისევ წამომცდება, ამის დედაც...
სხვა რა გზაა, დაველოდოთ უნდა აპრილს,
იმანაც რომ მარტს მიბაძოს, ხომ გავგიჟდით?
ან რა გაძლებს, მითხარ, აბა, მაისამდის...
გასკდა გული ამ ლოდინით, ამდენ ფიქრით...
მოდი, ისევ შენ იყავი გაზაფხული,
შენ მესტუმრე, ატმის ნაზი ყვავილივით,
იქნებ გული შენ გამილღვო დაზაფრული
და ისევ შენ გამაბრწყინო მაისივით!!!

მოჰგავხარ მთებში ანთებულ აისს!!!

ისე ლამაზი იყავი ბოლოს,
რა დამემართა, ვერაფერს ვიტყვი;
თითქოს მზის გულზე დამაგდეს როგორც,
სულთანის მტერი ქართველი ბიჭი...
შენს შემხედვარეს, გულიც კი დამწყდა,
რომ ეს არ მოხდა სინამდვილეში;
ასე საშინლად ლამაზი ხარ და
მე კი სატანას ვყავარ კბილებში...
როგორ მინდოდა, რომ ერთხელ მაინც,
რომ ერთხელ მაინც კიდევ მენახე;
მოჰგავხარ მთებში ანთებულ აისს,
და მტევნებდასხმულ მწიფე ვენახებს...
როგორც პანტერა შენსკენ მოვილტვი,
თუმცა ვიცი, რომ ვერ დაგეწევი;
რას არ გავცემდი ერთი კოცნისთვის,
გადამასხიპეს თითქოს ფესვები...
რად გამაჩინა, როცა მაჩენდა,
ღმერთი თუ შენზე უნდა მელოცა...
ვერ გაგიმეტე მოსატაცებლად,
ვერ გადავიქეც ასეთ დესპოტად...
მაგრამ ვინ იცის, დროის ათვლაში,
ღმერთს შეეშალოს ეგებ რიცხვები;
მე ჯერაც მჯერა ბედის თამაშის,
მჯერა ზღაპრების, მჯერა სიზმრების...
ჰოდა, მეც მინდა ისე დამთავრდეს,
შენი სარეცლის გავხდე მფლობელი,

სულ ხომ ვერ გიხსნის ეგ სილამაზე,
დღეს ასე მკაცრი და ულმობელი...

უიარაღოდ...

მოლიპულ გზაზე ვდგავარ და ვიბრძვი,
უხმლოდ, უაბჯროდ, უიარაღოდ,
მე ქარიშხლებმა მაჩუქეს სისხლი,
ჩემი დაღლილი სისხლის სანაცვლოდ!
და ვიბრძვი, რადგან აქ ურძოლველად,
შხამსაც არავინ არ გაიმეტებს,
ვიცი, ჩემსავით იბრძვიან ყველა,
ვინც ცოტას მაინც თესავს სიკეთეს!
მოდის დაისი, მზე ძალას კარგავს,
დასრულდა დიდი აფეთქებები,
შორს სისხლისფერი დაეშვა ფარდა,
დროშებდახრილი დგანან მხედრები...
მინდა იცოდეს, ყველამ ვინც რწმენის,
უიმედობით დაუშვა ხმალი,
რომ მებრძოლი ვარ და ჩემი მტერი,
სულ მალე ჩემს წინ ეგდება მკვდარი!
მე მგლის ლაბადას მხრებზე მოვისხამ,
შემოვუძახებ ზღვებს და გრიგალებს,
გვირგვინს დავიწნავ ვარსკვლავებისგან,
დროშებს კი ფარად წინ ავიფარებ!
მე ვიბრძვი, ვიბრძვი უიარაღოდ,
მე სხვანაირი ბრძოლა არ მინდა,
და ბარიერი რომ გადავლახო,
სისხლს გადავისხამ ამ გრიგალიდან!!!

მიდის ცხოვრება

მიდის ცხოვრება, იბრძვი, ანათებ,
ათას ვარსკვლავად, ათას სანთლებად ,
არ ერიდები გზებზე არაფერს,
მიხვალ, მიჰყვები, არ გენაღვლება...
მაგრამ ნელ–ნელა, მაგრამ თანდათან,
ქრება სანთელი, კვდება ვარსკვლავი,
და ასე თითო–თითოდ გაკლდება,
ყველაზე ტკბილი შენთვის რაც არი...
ყველა წამები, ყველა წუთები,
თითო სანთელს და ვარსკვლავს გვტაცებენ;
შენ ვარდისფერი გქონდა ტუჩები,
როცა პირველად მოგიალერსე...

ახლა როდესაც ყველა ვარსკვლავი
ჩამქრალია და აღარ ანათებს,
ყველა სანთელი არის ჩამწვარი
და ვეღარაფერს შემოგთავაზებ...
ნუ მელოდები, ვიბრძოდით მაგრამ,
ეს ბრძოლა იყო ელვისებური;
სანთლებთან ერთად მეგობრებს ვკარგავთ
და ტუჩებიც გაქვს გაფითრებული...

მზეს დაუცვივდა

მე გაზაფხულის ვისმენ მუსიკას,
თანაც ზეციდან მეღვრება თითქოს;
იცი, დღეს დილას მზეს დაუცვივდა,
ეს ყვავილები და შენი იყოს...
და მეც ამ მარტის ჟინით დამთვრალი,
ახლა მოვიკლავ ყველა წყურვილებს,
შენს გვერდით ვიყავ მთელი ზამთარი,
მაგრამ ვერაფრით მოგისურვილე...

იქაც გვეყოფა სიმშვიდეში ყოფნა მარადი

მე არასოდეს მდომებია
სიმშვიდე რადგან,
იქაც გვეყოფა
სიმშვიდეში ყოფნა მარადი;
ჰოდა, ხმაური ამიტომაც
არასდროს მაკლდა,
ზღვებს თუ ქარიშხლებს
ჩემს წილ ხმაურს მუდამ ვპარავდი...
ვიცი, ასეა, ბევრი ჩნდება
ვიცი ჩემსავით,
ვისაც არასდროს
არაფერი აკმაყოფილებს,
ერთს მიაღწევს და ნათელია
მისთვის დღესავით,
რომ ვერ დაადებს მას სიმშვიდე
თავის ბორკილებს...
და მართლაც ქვეყნად
ყველაფერი ცვალებადია,
ან მითხარ, როგორ,
ვინ დაიპყრობს ყველა მწვერვალებს...
ისიც ხომ იცი,
მწვერვალებზე როგორ ადიან,

მატლები ხოხვით,
ხოლო ორბნი ფრენით ზეცამდე!
მაშ, წინ, ახალი ვარსკვლავები
გვეძახის ცისკენ,
სადაც ჰორიზონტს
მყინვარების ჰკვეთავს მანტია;
წამო, მომყევი,
პირველებმა დავიპყროთ სივრცე,
ცისარტყელები მწვერვალებს
რომ ქამრად არტყია...

აბობოქრებულ ზღვასავით,

გავარვარებულ სილაზე
ვწევარ და ზღვის გულს გავყურებ,
მაგიჟებს ზღვების სილაღე,
მართობს მზე, ზეცის საყურე...
მიმჩქეფ–მომჩქეფი ტალღები,
მგონია ზღვების თითები;
შენს სულში ჩავიკარგები,
შენს ფიქრებს ჩავეჭიდები...
ხსოვნა კი, ჩემი ზღვის ფსკერი,
ნატვრებს ჯერ ისევ ინახავს;
სხეული შენი შიშველი
ზღვის მკერდზე გამოისახა...
აბობოქრებულ ზღვასავით,
მოვდივარ უნდა ჩაგყლაპო,
დამხვდები თოლიასავით
და მეც ფარ–ხმალს ვყრი სასწრაფოდ...
როდემდე უნდა გაგრძელდეს,
ეგ შენი ამოკვნესანი?
უბრალოდ მოგიალერსებ
და ჩავალ ზღვაში მზესავით...

და ლექსებია ჩემი საფლავი...

კი, ვერც ვერასდროს მივხვდებით, ალბათ,
ან რატომ გავჩნდით, ან რაღად ვკვდებით,
რასთვის გვეწევა მაღლა და მაღლა,
სიცოცხლე თავის გაშლილი ფრთებით...
მეც ხშირად ვფიქრობ, ვინა ვარ, რა ვარ,
რისთვის მოვედი, ან ვქმნი კი რამეს?
ან რა გამყვება იმ ქვეყნად დარდად,
რად არ გვიმართლებს, ან რად გვიმართლებს...

იცის კი ვინმემ, რომ მუზა ხშირად,
როგორ აგიხსნათ, ხელში მაკვდება,
და მესიზმრება მღვიძავს თუ მძინავს,
ჩემი სამშოლოს გაჩირაღდნება!
რომ მათ უნიჭოდ, დღეს ვინც დაგვცინის,
დრო, დრო მიუზღავს სამაგიეროს...
რომ ჯერაც ყივის მთებში არწივი,
რომ ელვამ ისევ უნდა იელვოს!
რომ მომავალი ქარიშხლებისთვის
ერი თუ ბერი მაინც მზადაა;
რომ ახლო არის მაინც მერმისი,
და ეს ცაც ვიცით, მართლაც, რა ცაა!!!
მეც ვიმეორებ, არ მეშინია,
არც მე მიმყვება რაიმე ვალი...
რომ ეს ლექსებიც ჩემი ჟინია,
და ლექსებია ჩემი საფლავი!!!

გაორება

ო, როგორ მომწონს და როგორ მიყვარს,
შავი მერნებით შენსკენ ჭენება,
დილის სხივები შეამსხვრევს ცისკარს
და ღამე მთებში ჩაესვენება!
მე დაოთხილი ცხენის რემებით
უფსკრულის თავზე დავეკიდები,
ვით ჯოჯოხეთის ცეცხლის ენები,
ჩემი სხეულის კანში იჭრები...
და მეც მივაფრენ ზეგნებზე მერანს,
შავი ნისლები მინდა გავფატრო,
ვუსმენ ქარების დაძაბულ სტვენას
და თოვლს მივკვალავ ყველას სანაცვლოდ!
მაგრამ ნურავის ჩემი ცხოვრება
მხოლოდ ჭენება ნუ ეგონება,
საშინელია ეს გაორება,
როგორც პოეტის გადმოსვენება...

შველის ნუკრზე ლამაზი ხარ

წითელ ფონზე თეთრი ვარდი,
ვერცხლისწყალით დანამული...
შემიყვარდი, შემიყვარდი,
ბადაგივით დათაფლული.
მეჩურჩულე, ისე მიყვარს
შენი ენა დაქარგული,

როგორც მთის ლურჯ ყვავილებზე
გაფენილი გაზაფხული...
შველის ნუკრზე ლამაზი ხარ,
როგორც ხალი დაწინწკლული,
უტკბილესი შარბათი ხარ,
უმწიფესი მარწყვის გული...
მოფარფატე ფანტელს ჰგავხარ,
მეშინია, რომ არ გაქრე,
სიყვარულის ბადეს ხლართავ,
დამნესტრე და დამეთაფლე!!!

თუ მე დამება მარტო თვალები

შენ ნაღდად ღმერთებს თუ შეუმკიხარ,
ისე დავმუნჯდი შენი მნახველი;
ჩასახული ხარ გაზაფხულისგან,
ყვავილებივით გადასათელი...
თან მიკვირს, სახელს როგორ გარქმევენ,
რომელი ბგერა შეგეფერება;
მე კი ვბუტბუტებ მეათასეჯერ,
მართლა ქალი ხარ თუ მეჩვენება.
ვიცი გავხდები ჭორის საბაბი,
ვინც რა უნდა თქვას, ფეხზე მკიდია,
სულ სხვას ვფიქრობდი სანამ გნახავდი,
ან ვარსებობდი? ვერ გამიგია...
არ ვიცი, სხვებსაც ასე მოსწონხარ,
თუ მე დამება მარტო თვალები?
თითქოს შემინთეს ჭიაკოკონა,
წუთიც და, ალბათ, ავბრიალდები...
მაინცდამაინც ახლა გამოჩნდი,
როცა ბოლომდე დავცალე შხამი;
იქნებ გადავრჩე ამ საღამომდის,
და ერთხელ კიდევ შეგავლო თვალი...

ელენს!

ელენ, როგორ მიყვარხარ,
როგორ არ მემეტები,
თუნდ დროებით წასული,
ჩვენგან ასე შორს რომ ხარ;
ვერ გითხარი, შენს გამო,
იცი, ღმერთს ვეხვეწები,
რომ სულ მალე, სულ მალე,
სამშობლოში ჩამოხვალ...

ვიცი, ყველა ეშმაკი
შეეცდება ჩაშალოს,
ჩვენი ტკბილი, ლამაზი,
მეგობრული შეხვედრა;
ელენ, ვერაფერს ვიზამთ,
ასეთია სამყარო,
და ჩვენი გამწარება,
შენც იცი, ეხერხება!
მაგრამ, არა მგონია,
ღმერთმა სულმთლად გაგვწიროს,
რომ ტკბებოდეს ის ჩვენი
ასე დაქუცმაცებით,
სამშოლოშიც რამდენი
ცხოვრობს უსამშობლოოდ,
ეგებ ჩვენი ბრალია,
ჩვენ კი ღმერთს ვემართლებით...
ან შენ როგორ გგონია,
ეს ამდენი ომები,
ეს ამდენი ტანჯვა და
ბედის უსამართლობა,
მოხდებოდა კი ქვეყნად
თუ არ ავაგორებდით,
ან ოდნავ რომ ვიცოდეთ
ერთმანეთის დანდობა!
ვიცი, მაგრად დაგტვირთე,
იქნებ ტირი კიდევაც,
მაგრამ მჯერა სუფთაა,
შენი მწარე ცრემლები;
ასეც ნუ დაღონდები,
ყველაფერი იქნება,
ჰო, მგონია რატომღაც,
რომ სულ მალე,
ჰო, სულ მალე,
სულ მალე,
უეჭველად შევხვდებით!!!

ღამე

ახლა ჩემთან ღამეა,
უსაშველო წყვდიადით,
ეს მხოლოდ მე მეხება,
თავს არავის არ ვახვევ,
მე ხომ მთელი სიცოცხლე
თავს ვერაფრით ვიცავდი,
აბა, მათაც რა ექნათ,

წვეთ–წვეთობით მწავლავდნენ...
ჰოდა, მეც ნელა–ნელა,
შევეგუე ამ შხამებს,
მხოლოდ ღამე რომ მოდის,
ჩემი სულის ვამპირი,
მხოლოდ ღამე მტანჯავს და
ჯალათივით მაწამებს,
და ნელ–ნელა იზრდება
ჩვენ ორს შორის მანძილი.
მართლაც, ღამე ღამეში
არის საშინელება,
ჩემთვის დიდი ხანია,
ვერაფრით ვერ გათენდა,
ჰოდა, ამასობაში
თუ მიმტყუნეს ნერვებმა,
სისხლიც თანდათანობით
თუ გაშრა და გათეთრდა...
ნუ დამმარხავთ ერთსა გთხოვთ,
ამ საშინელ ღამეში,
ჩემი სული ვიცი, რომ
უეჭველად ეცდება,
მიანგრიოს ბნელეთი
თავის სიმხურვალეთი,
რომ მოესწროს, თუნდ ბოლოს,
ცისკარს და გათენებას!!!

ამ ერთი ღამით

ამ ღამეს შენთან, ერთ ღამეს შენთან,
რა სიყვარულით გადავათევდი,
შველის დაღლილი გულივით ფეთქავ,
და წყაროსავით მეთამამები...
შენთვის ღიაა ჩემი ბაღები,
შემოდი, მინდა გავინავარდოთ,
მომხვიე შენი თეთრი მკლავები,
ამ ერთი ღამით ვარ უღალატო...
მაგრამ, ძვირფასო, ეს კი, იცოდე,
ხვალინდელ ღამეს ვერ დაგპირდები,
დღეს კი მკლავები გამომიწოდე,
დღეს შენი ვარ და შენი ვიქნები...
ხვალ კი არ ვიცი სად გამტყორცნიან,
ეს უსასრულო ბედის ტალღები,
შენამდე, გეტყვი, ბევრი მყოლია,
შენს მერეც ალბათ ბევრთან დავწვები...
მაგრამ ეს ღამე, ეს ერთი ღამე,

პირობას გაძლევ, შენი იქნება,
შენთვის გავაღებ ვნებათა ბაღებს,
სხვა ყველა ღამე დაგვავიწყდება...
და შენი კანიც ასე სათუთი,
ასე თეთრი და ასე პრიალა,
აფერადდება იმ სიხარულით,
ღამე რომ გვჩუქნის ზოგჯერ მთლიანად!!!

ცოდვა

ზოგჯერ მგონია რომ ჩვენ ერთნი ვართ,
რომ შემოვდივარ შენში მთლიანად;
შენი პერანგი შემომფლეთია
და გეტმასნები ქარიშხლიანად.
შემომატარე შენი ველები,
შენი წითელი ყაყაჩოები,
დათუთქული ვარ მაგ ნაღვერდლებით,
შენი თვალების უმანკოებით!
ჩვენს დროში ალბათ, ნაღდად მეასედ
მოგიტაცებდნენ ქორწილებიდან;
თითქოს ვკიდივარ სახრჩობელაზე,
და სისხლი მასხამს, იცი, მკერდიდან!
არადა, მართლაც, როგორ მინდოდა,
რომ სულ მცირე ხანს კიდევ მეცოცხლა,
რაც არის, არის, არ დაგინდობ და
უფლის წინაშე ერთსაც შევცოდავ!!!

ნუკრი ლატარიას!!!

საოცარია, ჯერ ფერსა ვკარგავთ,
მერე თვალებიც თითქოს ბუნდდება,
და ვიცით კარგად, ძალიან კარგად,
ის სილამაზე არ დაბრუნდება...
მაგრამ ის იყო, ნამდვილად იყო,
ულამაზესი გაზაფხულები,
როცა იწვოდა სხეული თითქოს,
ჟინით, ვნებებით თუ ერთგულებით...
მე, ალბათ, ბევრი მინახავს ქალი,
ბევრთან მქონია ფლირტიც, კამათიც...
ბევრს მე დავადგი იმ წლებში თვალი,
ბევრმა დამიგო აქეთ ხაფანგი...
მაგრამ არსებობს ალბათ საზღვარი,
როცა ნელ–ნელა იწყებ გარჩევას,
რომ სილამაზე სულ სხვა რამ არი,

რომ ის არა ჰგავს ამ გატაცებას...
და მერე უცბად, როგორც ცის გახსნა,
როგორც ზეციდან ცვენა ვარსკვლავთა,
შეგეფეთება ვინმე იმათგან,
ვინც მცირე ხნის წინ სულ არ გიყვარდა...
ეს დასაშვებიც იყო იმ წლებში,
როცა ვერც გრნობდი თუ ვის ეძებდი,
სულ ერთი იყო ოქროც და ვერცხლიც,
ყველა ალმასი, ყველა ბეჭედი...
მაგრამ, მართალი თუ გინდა გითხრა,
რასაც ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი,
შენს სილამაზეს დავუმარხივარ,
რატომ? ორად ხომ ვერ გავიჭრები?!

გინდა კოცნას გასწავლი

რა ლამაზი ყოფილხარ,
არ მეგონე ასეთი,
მთელი ღამე გკოცნიდა,
მთვარე თავის სარკეთი...
შენს სარკმელთან ვიდექი,
შენ რომ ტკბილად გეძინა,
ღრუბლად გადავიქეცი,
მსურდა შენთვის მეწვიმა...
რომ დანამულ ბაგეზე
მეკოცნა და მეკოცნა,
მერე კი ვიალერსეთ,
მე ბევრი და შენ ცოტა...
სულ ვიწვიმებ, ვიწვიმებ,
სანამ არ დავიცლები,
რა ლამაზად ციმციმებ,
რა ლამაზად წითლდები...
დამელოდე, ამ ღამით,
ალბათ, მოვალ ქარიშხლად,
გინდა, კოცნას გასწავლი,
ისევ, სულ, სულ თავიდან!!!

გამახსენე

გამახსენებ, დავიწყებულ მელოდიას?
ღამის თრთვილი დილით ტოტებს როგორ რთავდა...
ბეღურები ნაკადულთან ერთობიან,
აკაციას მოხდენია თოვლის ფატა...
გამახსენე, გამახსენე, ის სიცივე,

მაშინდელი, რატომ იყო თითქოს თბილი;
მოდი, ისევ ძველებურად გამიღიმე,
გამიცოცხლე ის დღეები დაფერფლილი...
იქნებ მითხრა, რად დაკარგა სხივმა ძალა,
ანათებს და გულს კი, იცი, აღარ ათბობს...
გამახსენე მელოდია, რომ ხვალ კვლავაც,
ჩვენი დრო და არსებობა გავამართლოთ...
გამახსენე მაშინდელი ზეიმები,
მაშინდელი სიმღერები გამახსენე,
გამახსენე მაშინდელი ჩვენი მთები,
დათოვლილი კავკასია გამახსენე...
გამახსენე, იქნებ ძველმა მელოდიამ,
ძველებურად ხასიათზე მოგვიყვანოს;
ნაკადულთან ბეღურები ერთობიან,
ზამთარი კი გაზაფხულის მოსვლას ნანობს...

იასამანი

მეც იასამნის ხუთქიმიანი
ყვავილი ბევრჯერ ჩამიყლაპია,
ის სურვილები, იმ სიზმრიანი,
ისევ გვშორდება, ისევ ქარს მიაქვს...
ისევ ქარს მიაქვს ყველა ოცნება,
ყველა ნატვრა და ყველა წამალი,
მაგრამ სურნელი დღემდე მომყვება,
დღემდე არ მტოვებს იასამანი...
ჰო, ყველამ ვიცით, უიასამნოდ
არ არსებობენ გაზაფხულები...
რომ დღეს ყოველი წყნარი საღამო
გაჟღენთილია მისი სურნელით...
მეც მინდა, მინდა დაგიმახსოვრო,
თუ შენი მკერდის სუნთქვით დავთვრები,
არ მივატოვოთ, არ მივატოვოთ,
არ მივატოვოთ იასამნები...
ჰოდა, ვინ იცის, ჩვენი ნატვრები,
და სურვილებიც იქნებ ასრულდეს,
მოდი, მაჩუქე იასამნები
და ჩაიფიქრე მერე რაც გსურდეს!

ლექსი

რა არის ლექსი: ამოსუნთქვა, ამოხველება,
თუ ამოტანა ყველაფრისა გულ–ღვიძლიანად?
ვერ ამიხსნია, რამ დამცოფა, რა მელექსება,

გადაჩეხილი რომ ვარ ასე ტან–ფეხიანად...
ვერ ვხვდები რაა ჩემი ლექსები,
ვისთვის მწარე და ვისთვის ტკბილია,
თითქოს საკუთარ სიკვდილს ვესწრები,
საფლავს ჩავცქერი ბნელს და პირღიას...
და ვიცი უკვე ვერ შემაჩერებს,
უკვე ვერცერთი რვალის კედელი;
ჩემს მერანს ნალებს ღმერთი აჭედებს,
არ მრჩება ციხე აუღებელი...
ჰოდა, მეც მოვალ, მოვაგრიალებ,
დევთა უფსკრულებს, მგელთა ხეობებს;
მე შევუხორცებ მიწას იარებს,
ფეხზე წამოვყრი ყველა მეომრებს...
ვინც კი ოდესღაც, ვინც კი ოდესმე,
სადმე იბრძოდა ერთი ქართველი,
მე ყველა მათგანს დავიმეგობრებ,
მე მათი სისხლით მოვინათლები...

ბედნიერებაც თურმე ბლეფია

ყველა იმედი წყალს გავატანე,
ბედნიერებაც თურმე ბლეფია...
იმ დღიდან როცა ვაშლში გამცვალე
და ყელზე გველი შემოგეხვია.
ჰოდა, რაც ხდება, ახლა ძვირფასო,
მე კი არა და თავს დააბრალე,
გსურს სამოთხეში გადაინაცვლო?
მე არ დაგიშლი, კი, გენაცვალე!
მაგრამ არსებობს კიდევ სამოთხე?
იქიდან ვინმემ გამოაღწია?
იქნებ და ღმერთმა იმ საღამოსვე
მთელი სამოთხე ფერფლად აქცია...
შენ მკითხავ, ალბათ, რატომ მაქვს ეჭვი,
მთელ ამ სულელურ აბდაუბდაზე;
ან თუ კაცი ვარ, ქალებს რად ვერჩი,
იმედის კარი რად ჩავურაზე!
თუმცა, რა ვიცი, იქნებ შენს ბედზე,
იპოვო კიდეც შენი მეგზური;
მაგრამ, ძვირფასო, შენ თუ მე მეძებ,
სხვას რომ ვაჩუქე დღეს ჩემი გული?

დრო

რაც მქონდა, მწამდა, მსურდა არ მსურდა,

სულ ყველაფერი დრომ მიაფშვიტა,
არ დამიტოვა არც თეთრი ხურდად,
ჯერ დამხატავდა და მერე მშლიდა...
ჯერ დამკარგავდა, მერე მეძებდა,
და თუ მიწნავდა დაფნის გვირგვინებს,
უცბად სასტიკად გამიმეტებდა,
იმიზეზებდა დროის სიმცირეს...
დრო თავისთავზე ფიქრობდა მხოლოდ,
მე მისთვის ვიყავ არარაობა,
ბევრჯერ დამტოვა უსამშობლოოდ,
მდევნიდა, მკლავდა და უხაროდა...
მე კი მღელვარე მისი რიტმები
ბედის თამაში უფრო მგონია;
სიცოცხლე არის ჩემთვის სიზმრები,
მისთვის კი გამა და ჰარმონია...

თამუს და ნანას ორივეს

მოვდივარ, მომაქვს შენთვის აპრილი,
მომაქვს სიგიჟე მარტის დღეების,
როგორც მდინარე ზედ გადაგივლი,
გადაგთელავ და მოგეფერები!!!
ვხედავ, რომ შენი გაფურჩქვნის დროა,
ვხედავ, რომ გიმწიფს ძუძუს კერტები,
შენ ისეთი ხარ აპრილი როა,
და არც ადვილად არ დამნებდები...
ჰოდა, მოვდივარ როგორც ტალღები,
როგორც მორევი განრისხებული,
მაინც ჩაგითრევ თუ არ დამნებდი,
შენც გაშიშვლდები გაფითრებული...
ყურში გიწივის სიძვის ყივილი,
გაფურჩქვნისა და სიმწიფის დრო გაქვს,
და მოსაწყვეტი მზის ყვავილივით,
მნებდები, გტკივა და მაინც ბორგავ!

თამუნას! მადლობის ნიშნად!

რადგანაც დუმხარ, მეც დავდუმდები,
ზოგჯერ მეც მიყვარს ასე დუმილი,
დღეს არა? ხვალ ხომ დამიბრუნდები,
ისევ სურვილით, ისევ წყურვილით...
რომ დაიოკო ყველა ვნებანი,
ზამთრის ყინვებში დაგროვებული,
რადგან აპრილის საოცრებანი

ცეცხლივით ტანზე გაქვს მოდებული...

ბლუზი და ტანგო

რა არის ბლუზი, რა არის ტანგო,
ჩახლეჩილი ხმა ზანგისებური...
შენს სულში თუ კი ეშმაკი სახლობს,
ჩემში ზევსი ზის განრისხებული...
რა ადვილია, რა ადვილია,
შენი წყენა და გულისტკენები,
როცა გონება გადაღლილია
ქვეყნის ჭორებით და ცრურწმენებით...
ეტყობა დღესაც მარცხენა ფეხზე
ავდექ და სულაც არ მეცეკვება,
მარადიულად ვტრიალებთ წრეზე,
შენ ჩემზე კარგად მოგეხსენება...
რას გაუყვია სექსი და ტანგო,
ეს უცნაური ომონიმები,
მე შენი თვალის ფერები მატკბობს,
შენ კი ეჭვების ცივი წვიმები...
მინდა გაკოცო ტუჩის კუთხეში,
ჯერაც გეტყობა ღამის ნაკბენი...
ამ ჩვენს ნაღვლიან საუკუნეში
მაინც არავის არ ვენაღვლებით...
მომეცი ფეხი, ამეკარ მკერდით,
ასე, გადმოწექ, რაც შეგიძლია,
ყურში რაიმე უწმაწურს გეტყვი,
ოდნავ მოტკბოს და ოდნავ სისხლიანს...
გესიამოვნა, ადვილად მივხვდი,
ისე დახუჭე ვნებით თვალები,
იხრები ჩემსკენ, საკინძეს იხსნი,
და ჩამჩურჩულებ – სულ მეყვარები...
ვერ დაგიჯერებ, რადგან ვიცი რომ
დღეები გავა, ვნება ჩაივლის,
მხოლოდ შეგვრჩება ამ ცეკვის სიტკბო,
სხვა არაფერი არცრანაირი...

ისევ შენ გეტყვი

ისევ შენ გეტყვი, შენ არ გამყიდი,
შენ ჩემი ხარ და ჩემად დარჩები...
ისე, ცოტასაც თუ დამაცლიდი,
ალბათ, მე თვითონ აღმოგაჩენდი...
გნახე და, მგონი, მიწას, საერთოდ,

თავისი ღერძი გამოეცალა,
და დაძრწის ახლა, როგორც საეჭვო,
ვინმე მშიერი და მაწანწალა...
ანდა, ვინ უწყის, ვინ ვისთვის ჩნდება,
ვის შეგაჯახებს დრო საოცარი;
ასედაც ხდება, ჩნდებიან მტრებად,
მაგრამ კვდებიან როგორც ცოლ–ქმარი...
ჩვენ კი, ვინ იცის, მართლაც რა გველის,
ჯოჯოხეთი თუ ედემ–ბაღები...
ან რატომ მიყვარს შენი სახელი,
ასე მარტივი და გასაგები...
რად ჩამრჩა ასე შენი თვალები,
ან ყველგან ასე რად დამყვებიან,
ასე ნაცნობი და ფერმკთალები,
ჩემ დანახვაზე რატომ ფრთხებიან...
ვერ დაგაჯერე, ვერ დაგაჯერე,
რა არ განიშნე, რა არ გითხარი...
რომ ერთადერთი, შენღა მაღელვებ,
როგორც ნასიზმრი დილით სიზმარი...

ისევ ეკას!!!

მე, იცი, შენმა სილამაზემ გადამარჩინა,
და რადგან შეგხვდი, არც წარსულზე აღარა ვდარდობ,
რა მოხდა თუკი არაფერიც არ გამაჩნია,
ზოგჯერ სამყაროს ამჯობინებ ერთ წმინდა ამბორს...
ზოგჯერ ერთ ქალში რაც რამე გაქვს ყველაფერს დათმობ,
მისი ღიმილი გირჩევია დედოფლის კოცნას,
მისი შეხება უტკბილესი წვენივით გათრობს,
და არად აგდებ თუნდაც ღმერთის მეორედ მოსვლას...
ან თუ კი, მართლაც, ერთხელ ჩნდები და ერთხელ კვდები,
რატომ არ უნდა იარსებო გულის კარნახით...
ერთი სული აქვთ ყველას ძირში დაგაჭრან ფრთები,
მოგკლან, ჩაგფლან და მოგაყარონ ზედ ია–ვარდი...
ჯანდაბას ყველა, დღეს ვაღმერთებ მხოლოდ შენს თვალებს,
თვალებს, რომლებსაც სიხარულით მაგებებ მუდამ,
და თუნდაც ასე ჯოჯოხეთის ცეცხლივით მწვავდე,
შენ დამიბრუნე რაც დავკარგე და გულით მსურდა...

მე მინდა ვიყო შენი ბატკანი...

არ გინდა, შენი ბატკანი ვიყო,
ყელზე შემაბა შენი ეჟვანი,
გადმოგდო ჩემი სხეულის სითბო,

შენ კი მივლიდე და თან მწყემსავდე...
ერთად გვიჭირდეს, ერთად გვილხინდეს,
ერთადა ვტკეპნოთ მთა თუ ველები,
მე მეეს გეტყვი, შენ გამიღიმებ,
თანაც საყვარლად მომეფერები...
მე ამის ბედი, აბა, ვინ მომცა,
არადა მაწყობს შენი ბატკნობა,
თუ გამექეცი, გზას დაგილოცავ,
თუ დაბრუნდები ცხვირს აგილოკავ...
რას აღარ იტყვი, თუ სიყვარული
ვნებით მოკირწყლულ გზებზე გატარებს,
და გაზაფხულიც ვარდის ქალწული,
თავს მოტყუებით შემოგაპარებს...
მე მინდა ვიყო შენი ბატკანი,
რა მოხდა, განა ასე ძნელია?
გინდა მაცოცხლე, გინდა დამკალი,
ოღონდ მითხარი, რა გირჩევია!!!

შენ მოგელოდი მთელი ცხოვრება...

როგორც მზეს, ალბათ, თავის სხივები,
მთვარეს კი ჩრდილი ჩამოწოლილი,
ვარსკვლავებს ლურჯი ცისკიდურები,
ელვას კი მეხი თანდაყოლილი.
ასე მიყვარხარ უკიდეგანოდ,
გენდობი, როგორც ჩვილი დედის მკლავს,
თუ გაწყენინე, არ შემიბრალო,
რომ თავი ვიხსნა ამ სიზმრებისგან!!!
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ დაჭიმული ჩემი ნერვები,
დედის საშოდან რომ დამყოლია
ხვალ უფრო მეტად გაგაღმერთებენ!!!
მე კი არ მინდა, მე კი არ მინდა,
რომ შეყვარებულ მონას მოვგავდე,
და ვიწვებოდე სიმხურვალისგან,
დაღამებიდან მზის ამოსვლამდე!!!
არადა, თითქოს შენ მოგელოდი,
შენ მოგელოდი მთელი ცხოვრება,
და თუ კი ვსუნთქავ საქართველოთი
ეს ჩემი ნაკლი ნუ გეგონება!!!

მე არ ვთამაშობ ამ ბანძ თამაშებს...

ერთი კი ვიცი, ჩემო ლამაზო,

მაგ გამოხედვას ვეღარ გავუძლებ;
მიმინოსავით კართან გდარაჯობ,
რომ გავიტაცო ჩემი საუნჯე!
თან რა ხანია გზაჯვარედინზე
ვდგავარ და გზა ვერ ამირჩევია..
და თუ ოდესმე მაინც ვეღირსე,
დავისაკუთრე ის რაც ჩემია...
ვიცი, ვერავინ ვეღარ წამართმევს,
რომც ჩამოვიდნენ ყველა ღმერთები;
მე არ ვთამაშობ ამ ბანძ თამაშებს,
მე მხოლოდ ვეფხვებს ვეპაექრები!
წამოხვალ? გეტყვი გზაში დანარჩენს,
გზა სალ კლდეების ნაპრალზე გავა...
და რაც მე მიყვარს იმას დაგაჩვევ,
და რაც შენ გიყვარს იმაზეც წავალ!!!
ჯერ კი კვლავ კართან უნდა გელოდო,
მიმინოსავით ბრჭყალალესილი...
დაბადებიდან ასე ვმეკობრობ,
თავზე სიყვარულგადალეწილი!!!

მიყვარდი, ისე, სულ ცოტა ხანი...

მიყვარდი, ისე, სულ ცოტა ხანი,
მიყვარდი, როგორც უყვართ გართობა...
ვიყავი შენი ხონთქარი, ხანი,
ვიყავი შენი დარდიმანდობა!!!
მე შენთვის დღეებს დროსა ვპარავდი,
და დამრჩა კიდეც მისი ვალები;
მეგონა მაინც დამიფარავდი,
მეგონა მაინც შემიყვარებდი...
მაგრამ სხვა არის ჩემი სურვილი,
და სულ სხვა კიდევ ეს რეალობა;
შემრჩა დღეები გადაფურცლილი,
როგორც ზეციდან ყვავის გალობდა...
რომ ვერც გავიგე, როგორ დამტოვე
და ფეხაკრეფით როგორ გახვედი...
დღეს კი მახურავს მეც სიმარტოვე,
ძაღლივით მიყეფს სევდა თავხედი!!!

ეგებ გავერკვე

მე არა მძინავს და არც შენ გძინავს,
მხოლოდ ღამურებს ღვიძავთ ქალაქში,
იცი, მიყვარხარ, თუ სულ სხვა მიყვარს,

ვარ ამ უცნაურ ხათაბალაში...
არც ვიცი, როგორ უნდა გევერკვე,
იცი, ჩემს ძალებს აღემატება,
მოდი, შენ მაინც მომიალერსე
და შენი სუნთქვა ძილში ჩამყვება...
და არ გეგონოს რომ რამეს ვტყუი,
ანდა მჩვეოდეს ლაზღანდარობა,
არ მინდა, იცი, გატკინო გული,
ან შეურაცვყო შენი ქალობა.
ჰოდა, ცოტა ხანს უნდა მაცალო,
ეგებ გავერკვე ამ ყველაფერში,
მე შენ გაჩუქე მგონი სამყარო,
თვითონ კი ვწვალობ ამ გრიგალებში...
და კაცმაც რომ თქვას, ერთ რამეს გეტყვი,
თუ სიყვარული ამირჩევია,
არა იმიტომ, რომ მართლაც გეტრფი,
იცი, უბრალოდ, ასე მჩვევია...

ტოლი არ დაუდო ამ მასხარებს...

იყავ არწივივით შემართული,
სანამ ღვთის კრავივით გაგფატრავენ;
სანამ ღრუბლებიდან შელანძღული
მთვარე გამოსულა გაბადვრამდე...
ტოლი არ დაუდო ამ მასხარებს,
ამათი დღეები დათვლილია;
ესენი რწყილებსაც გაბაწრავენ,
ამათთვის სიცრუე ადვილია.
იყავი, იყავი ვაჟკაცური,
თუნდ გულში ჟაკანი დაგახალონ;
ხელი აუკარი მამაცური,
და მტერი არასდროს გაახარო!!!
იყავი, იყავი, როგორიც ხარ,
ქრისტე გაიხსენე ნაწამები...
იყავ ჩამოსხმული მონოლითად,
მუდამ იქნებიან სატანები!!!

სიცოცხლე

ჩვენც ვჩნდებით, როგორც მდინარეები,
თვალს გავახელთ და სამყაროს ვხედავთ...
გვეფერებიან დედის ხელები,
და ჩვენც პირველად წარმოვთქვამთ დედას...
მერე იწყება დაღმართ–აღმართი,

ერთმანეთს სცვლიან ვაკე–ზეგანნი...
მოგვატყუებენ ჯერ ბრჭყვიალათი,
მერე გრძელდება საოცრებანი...
ჩვენს ცხოვრებაში ბედი ერევა,
როგორც მდინარის შენაკადები...
და გიტევს, გიტევს ქვეყნიერება,
ხან სისასტიკით, ხან მოკრძალებით...
და შენც იზრდები, როგორც მდინარე,
გამდნარი თოვლით ადიდებული;
მოხვალ, კლდის ლოდებს მოაგრიალებ,
გააფთრებული, განრისხებული...
ეს შუადღეა შენი სიცოცხლის,
როცა მომავლის არ გეშინია,
როცა გგონია მარადისობის,
ძაფი ისედაც გაწყვეტილია...
მერე კი, მერე თანდათანობით,
როცა ვაკეზე იწყებ დინებას,
წვალობ, წრიალებ, ოფლი ჩამოგდის,
და გაჩერება გეთაკილება...
არცა ღირს, უკვე საზღვარს გადასცდი,
სივრცეს ელტვიან სავსე ტოტები...
გადამწიფდება შენი ასაკი,
შეუერთდები ზღვას და მოკვდები!!!

„იყო“...

„იყო“–ს ბევრად მირჩევია „იქნება“...
თორემ მართლაც ბევრი რამე იყო...
იყო თრობა, იყო თავდავიწყება,
ნეტა, დღესაც გრძელდებოდეს ის დრო...
რომ წუთები გადაებას კვლავ ტკბობის,
მოდი, მომე, ხელი მომე, თორემ,
სადაცაა ჩამიტაცებს ჭანჭრობი,
და ტალახიც ისევ მოაქვს მორევს...
ქარებს ისევ გაუღუნავთ ალვები,
ეხლებიან კენწეროთი ცის თაღს,
მოდი, თორემ სადაცაა დავნებდი,
ამ უსახო, ერთფეროვან სიზმარს...
ეს სანთელიც ისე თრთის და კანკალებს,
დნება, მაგრამ სიკვდილს სულაც არ ჩქარობს,
ნუ იქნები ასე მკაცრი, მაცალე,
რომ ამ შხამის ბოლო ჭიქაც დავცალო...
რა იქნება? ფიქრობ და აზრს კარგავენ,
ის მიზნები, სიცოცხლეს რომ გერჩია,
შენ ფეთქდები, გარეთ ქარი ხარხარებს,

ხანჯალი კი გულს აპობს და მკერდშია!!!

გულისცემა

იხსნება ცა და გულისცემას ყურს ვუგდებ შენსას,
ზოგჯერ ცხოვრება სასწაულებს როცა გვპირდება,
ასე მგონია ვასრულებდეთ წყვილების ცეკვას,
სადმე ედემში ანგელოზთა გასაგიჟებლად...
ციდან ცვივიან სისხლისფერი ვარდის ფურცლები,
მე კი გრძნობები შენი მინდა შევკრა კონებად...
არ გამაჩუმო, სილამაზეს ვეჩურჩულები,
რომ ეს წამები დამრჩეს მერე მოსაგონებლად...
მინდა გჯეროდეს, რომ ოდესმე წრე შეიკვრება,
და შაუგულში აღმოვჩნდებით მხოლოდ ჩვენ ორნი,
დიახ, დრო მოვა და სამყარო ჩვენი იქნება,
შენ ანგელოზი, მე კი შენი თეთრი დემონი!!!

ბავშვობას ვეძებ

მეც რახანია ბავშვობას ვეძებ,
თუ ვინმემ ნახოთ, არ დამიმალოთ!
არ მიცოცხლია ბავშვობის შემდეგ,
ჰოდა, ტყუილად რად დავიბრალო!!!
რად დავიბრალო, ის რაც არ არის,
რასაც არ ჰქვია ბედნიერება;
ბავშვობა არის გზაგასაყარი...
როცა ვარსებობთ დაუყვედრებლად...
ამიტომ ჩემი ბავშვობა მინდა,
მინდა მჯეროდეს ისევ ზღაპრების,
რომ სამყაროა საოცრად წმინდა,
რომ ყველაფერი არის ბავშვების...
ვიცი, ბევრს ალბათ გაეცინება,
ბევრიც სიგიჟედ ჩათვლის ჩემს სურვილს,
რომ სიტყვებს ვისვრი დაუფიქრებლად,
რომ იმას ვეძებ რაც არ მეკუთვნის...
არა, არ ვიღებ ასეთ სიმართლეს,
მე მას დავარქვი უსამართლობა,
თუ ვინმემ ნახოთ, გადამინახეთ,
არ დამიკარგოთ ჩემი ბავშვობა...

ვიცი, რომ ჩემი სიკვდილი გინდა...

ვზივარ, გიცქერი, სხვა არაფერი,
და შენც რატომღაც თვალს არ მარიდებ,

უშენოდ ყოფნა არის კარცერი...
ასე ინება არსთა გამრიგემ...
მალე ცქერასაც ამიკრძალავენ,
და კარცერს შეცვლის ტყვეთა ბანაკი...
იცი, მე ფეხის ადგმისთანავე,
შენსკენ მომავალ გზასა ვკვალავდი...
იქნებ შენ მითხრა, რად იცინოდა,
როცა მე ვბჭობდი, ზეცაში ღმერთი;
მართლაც მწყუროდი, როგორც ღვინო და
დალევისას კი უკან ვიხევდი...
თუმცა კი იცი, რატომ და რისთვის,
რადგან წარსული, ჩემი მსაჯული,
შემომყურებდა ბრაზით და რისხვით
და მეც ვბღაოდი გზადათარსული...
ახლა კი ალბათ არის გვიანი,
და უნაყოფო ჩემი სურვილი,
გამწარებული და ეჭვიანი,
მოიპარება შენსკენ ქურდივით...
და თუკი შევცდი, სულ ყველა მხრიდან,
ათასი ტყვია ერთად დასხლტება,
ვიცი, რომ ჩემი სიკვდილი გინდა,
მაგრამ შენს ჯიბრზე ყველა ამცდება!!!

გაიყარა ჩვენი გზები

დუმილია, ქალაქს სძინავს,
გაიყარა ჩვენი გზები,
მათოვს თოვლი, მაწვიმს წვიმა,
საწყენია შედეგები...
წვიმის წვეთი წკაპაწკუპით,
სარკმლის მინას ეწვეთება;
უიმედოდ დამიმწუხრდი,
ალბათ, აღარც გემღერება...
ეგუები მარტოობას,
ჩემსკენ აღარ იხედები...
შენ უსაზღვრო სევდა მოგკლავს,
მე კი შენი სიმღერები...
ველოდები ღამის ექსპრესს,
ქალაქიდან გასვლა მინდა,
დამივიწყე, აღარ მეძებ,
ყავლი უცებ გამივიდა...
ზიხარ ჩუმად და სარკმლიდან
უმზერ ქუჩას როგორ აწვიმს,
იქნებ გაყრა არცა ღირდა,
რადგან სულ სხვას გადავაწყდი...

სად წავიდა ჩემი მუზა

სად წავიდა ჩემი მუზა,
სად გაფრინდა ვინმემ იცის?
ამ უაზრო დასასრულმა,
გამიყინა ძარღვში სისხლიც...
მე ვერც ვიტყვი ვის ეძებენ,
ისე, როგორც მე მას ვეძებ,
ათას რამეს ვიმიზეზებ,
იმ ქაჯური ღამის შემდეგ...
ჩემთან ყველა მართალია,
ბავშვობიდან ასე ვცდები,
ყველგან ჭკუას მასწავლიან,
მე კი მაინც ვერას ვხვდები...
ალბათ, მართლაც, დებილი ვარ,
შევცდები და მერე ვნანობ,
ვერაფერი შემიცვლია,
ყველაფერზე ვეჭვიანობ...
სადაც მივალ, ყველგან, ყველგან,
რად მხვდებიან უნიჭონი,
ანდა, ჩემი რა შურთ, ნეტა,
ერთ ლექსსაც კი ვერ ვიწონი...
ალბათ, უნდა გავეჩინე,
ღმერთს ან ადრე, ანდა, გვიან...
ჩემს ცხოვრებას, იცით, იქნებ,
მარტოდმარტო მუზა ჰქვია...
ჰოდა, თუკი გამიფრინდა,
ისიც სადღაც ცხრა მთას იქით,
გადაიქცა თოვლის ფიფქად,
ან მინდვრებში ხანძრად იწვის...
იქნებ ისიც ლტოლვილია
ამ უაზრო სევდის გზაზე,
იქნებ მოკლა ვინმეს ტყვიამ,
იქნებ მკერდში დანაც ჩასცეს...
აბა, რატომ არ დამეძებს,
ჩემთან რატომ აღარ მოდის...
აღარ დავწერ მეც ამ ლექსებს,
თუ არ მნახავს საღამომდის!!!

თათია ხვადაგიანს...

თათი, მინდა გაგანდო, ჩემი დიდი ტკივილი,
ის ტკივილი, რომელიც ბავშვობიდან მაწუხებს,
ნუ, ნუ მეტყვი ნურაფერს და სახიდან ღიმილიც,

მოიცილე, რადგანაც არ უხდება ამწუთებს...
განა შენთვის ვინა ვარ, ერთი ვინმე პოეტი,
ვინც თავის აზრს თუ დარდებს უზიარებს მკითხველებს;
მინდა დაბლა დახარო შენი ქუთუთოები,
როგორც დროშებს ხრიან და მომისმინო თუ შეძლებ!!!
ხვდები, ალბათ, ნელ–ნელა, მაღლა–მაღლა ავდივარ,
მართლაც უწმინდესია, ალბათ, ჩემი სათქმელი....
და ვერც ვიტყვი ყველაფერს, იცი, ასე ადვილად,
რადგან ენა ქართული არის მისი სახელი...
ჰო, მინდოდა, რომ მეთქვა ჩვენი ენის შესახებ,
რამე ისე ძლიერად, როგორც არავის უთქვამს;
ვიცი, ყველა ქართველის გულის–სიმებს შევარხევ,
ვისაც კი ჩვენი ენა, თუნდაც, ჩემსავით უყვარს...
ვერ აირჩევ სამშობლოს, ისე, როგორც ვერც დედას,
და რადგანაც ქართულსაც დედა–ენა დავარქვით,
ნუღარცერთი სიბილწე ენას ნუ შეეხება,
რომ ქართულმა სიტყვებმა იარსებოს მარადის!!!
დაბადების დღიდანვე მუდამ მკერდზე მეწერა,
ენა, ერი, სამშობლო, და ქართული ანბანი...
თაობიდან თაობას წვრთვნის და გადაეცემა,
ჩემი მიწის გმირობის სასწაული ამბავი...
ღმერთო, მინდა აშორო ქართულ სიტყვას ტალახი,
რადგან ენა ყველაზე დიდი საგანძურია...
ვიცი, კვლავ ათასობით მთაა გადასალახი,
მაგრამ მინდა ვიაროთ, ვით წინაპართ უვლიათ!!!

დღე სასწაული

ვიცი ბევრს უჭირს დღეს და ეს დილაც
არ უხარია ნახევარ ქალაქს;
თუმცა, ტაძარი ოქროსფრად ბრწყინავს,
და სანთლის ალიც ცრემლებსა მალავს...
მეც მეცოდება ვისაც დღეს კვერცხი
ვერ შეუღებავს და ჩუმად ტირის...
მაგრამ იმისი არავის ესმის,
თუ ყველას არა, ნახევარ თბილისს...
და ასე გადის სიცილ–ტირილში,
ქრისტეს დღეები, ალბათ, ბრწყინვალე;
და რაც მეც გავჩნდი ქვეყნად, ვინ იცის,
უკვე რამდენჯერ გარდავიცვალე...
უკვე რამდენჯერ წამოვდექ მკვდრეთით,
ამ უსასრულო ჯგლეთა–ჭყლეტაში,
დავგმე და ისევ ვიწამე ღმერთი,
რომ წილი აქვს ჩვენს გადარჩენაში...
რომ ქრისტე არის ჭეშმარიტება,

რომ სხვანაირად ვერაფერს ავხსნით,
რომ სიხარული სადაც იწყება,
იქვე დის ცრემლიც თავისი თალხით...
ჰოდა, რა უჭირს თუ ამ დღისითაც
კარს მათხოვარი მოგიკაკუნებს;
თვითონ მზეც ხშირად ჩნდება ნისლიდან,
ჩვენც დაველოდოთ სხვა გაზაფხულებს...

თამუნია წერეთელს, ოღონდ დღევანდელს...

შენ ხომ ვერ მეტყვი სად გადის ზღვარი,
სიყვარულსა და სიძულვილს შორის...
ან, მართლაც, რაზე ბუტბუტებს მტკვარი,
მნახველი ამდენ ჭირის და ბრძოლის...
რა შეიცვალა ტატოდან დღემდე,
ვის ვინ უყვარდა, ან ვის ვინ სძულდა...
ან საქართველოს სისხლიან მკერდზე,
რატომ თამადობს სიკვდილი სუფრას...
ან რატომა ხარ ამ ლექსის მუზა,
მე ხომ არც ვიცი თუ ვინა გჩემობს,
ანდა რამდენი ვარდების ფურცვლა,
გადააგორე დღემდე უჩემოდ...
ან შენში რატომ უნდა ვხედავდე,
საქართველოს ბედს, მომავალს მისას,
ან სანამ კოცნას გაგიბედავდე,
ვის დავეკითხო, მღვდელსა თუ მისანს...
არ გაქვს პასუხი ჩემს შეკითხვებზე,
ვერც ვერას მეტყვი, რადგან ძნელია,
მართლაც ყველანი დავდივართ წრეზე,
გარეთ ვერაფრით გაგვიღწევია...
მაგრამ, თამუნა, დრო მოვა ვიცი,
და გაჰკვეთს სივრცეს ტატოს მერანი...
ისევ აღსდგება ქართული სისხლი,
ვერას დააკლებს ბედისწერანი...

ირინა ადამიას

დიდი ხნის წინათ, დიდი ხნის წინათ,
ქართველი ქართველს რომ ედგა მხარში,
აქედან არვინ გადახვეწილა,
არ დაცურავდა შენსავით ზღვაში...
ან ახლა, ნეტა, რომელ ზღვას ფარავ,
რომელ მხარეში გაგტყორცნა ბედმა,
ისევ ანთიხარ კელაპტრის დარად,

თუ მიგატოვა წარსულის ცეცხლმა...
ნეტა, რას ფიქრობ ქართულ მიწაზე,
არ გეხმარება, არც აგონდები;
ამოგიჭრია გულის ფიცარზე
ვით რომაული კატაკომბები...
კარგად მიგიღო ალბათ ელადამ,
რადგან დღითი–დღე მშვენიერდები...
შენ მანდ ცურავდი, აქ ზღვა ღელავდა,
ზღვა ქართული მზით ანაღვერდლები...
როდის გაიშლი დედურ იალქანს,
სამშობლოსაკენ როდის გამოსწევ,
თუ მინდობილი ბედს და ნიავქარს
სიზმრებს ნახულობ საქართველოზე...

კოცნა

გახსოვს, მელოდიას მპირდებოდი,
როცა შემოვაო გაზაფხული...
თან სიმორცხვისაგან ფითრდებოდი,
როგორც ალუბალი გაძარცვული...
მჯეროდა, განა არ მჯეროდა,
ვერ მივხვდი, რა გქონდა განზრახული;
ზარის ხმა ისმოდა სამრეკლოდან,
ქვებში მიძვრებოდა ნაკადული...
იმ კოცნამ ორივე დაგვაბნია,
მიწა გრილი იყო, ნესტიანი;
მერე სიყვარულმა გადაგვრია,
როგორც სურვილები ვნებიანი...
ღამე ახლად ნაპოვნ იმედს ჰგავდა,
ლექსებს ჩურჩულებდი გატაცებით...
მკერდი სიყვარულით გიფეთქავდა,
ციდან გვიღიმოდნენ ვარსკვლავები!!!

ტაძარი

მე მინდა ვიყო წმინდა ტაძარი,
ამაღლებული, როგორც მთაწმინდა,
და გული ჩემი კაჟით ნათალი
იყოს ნამდვილი ბუდე არწივთა...
თითო სანთელი ყველას ვაჩუქო,
ვისაც ახარებს მათი ნათება,
ვუმსუბუქებდე მძიმე საწუთროს,
მრევლს, გადაქცეულს ყვითელ სანთლებად...
რომ კვლავ ამაღლდეს ზეცად, ღმერთამდე,

ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა,
და გაზაფხულიც ისე ფეთქავდეს,
როგორც თავთავით ავსილი ყანა...
ყველა მოგვწონდეს, ყველა გვიყვარდეს,
განურჩეველად, განუკითხავად...
მიწას ვაფრქვევდეთ მხოლოდ ცის ნათელს...
ან ვეღვრებოდეთ მხოლოდ ცის ნამად...
ასე მდინარე ზღვისაკენ ილტვის,
აზვირთებული ზათქით, ხმაურით...
და ბორგავს ძარღვში ქართული სისხლი,
როგორც აღდგომის დღესასწაული...

მადონას, თევზაძეს!!!

როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი,
შენ კი ხომ ვიცი, არც კი გახსოვარ,
სიცოცხლესაც კი შემოგწირავდი,
ისე კარგი ხარ, ისე ახლოს ხარ...
განა რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ღმერთისთვის ერთი ხელის ჩაქნევა,
შენ რომ იცოდე, შენ რომ იცოდე,
მიმაჩნდი მუდამ თოვლის ფანტელად...
რატომ მეგონა, დღემდე არ მესმის,
თუ ოდნავ მაინც შეგეხებოდი,
იმავ წამიდან ფიფქად გაქცევდი,
და ხელის გულზე გამიქრებოდი...
მაგრამ იცოდე, მაინც ჩემი ხარ,
ფანტელი ხარ თუ უეკლო ვარდი,
მე არასოდეს დამვიწყებიხარ,
მუდამ მახსოვდი, მუდამ მიყვარდი!!!

რუსას

გახდებოდი რუსა, ჩემი დედოფალი?
როგორც მეფე ხელის გულზე გატარებდი.
წითელ ხალზე გაივლიდი, როგორც ალი,
როგორც კინოს ჰოლივუდის ვარსკვლავები.
ნეტა, მართლაც სულ სხვა დროში შევხვედროდით,
შენ ქალღმერთი, მე კი თუნდაც ვინმე მწყემსი,
ჰო, რა იყო, სალამურით გადაგრევდი,
წაგიყვანდი, სადმე შორს, შორს, მაღლა მთებში...
სადაც მთელი ველებია ყვავილების
და კლდეებზე ჩანჩქერები ეშვებიან,
ბროლის წყლებში ვიცეკვებდით დაღლილები,

გავყვებოდით გასაფრენად მთებზე ნიავს...
მგონი, ასე არსად აღარ ოცნებობენ,
ჩვენ კი ისევ, ისევ გვიყვარს ოცნებები,
და გაუშვი, ვნების ცეცხლი მოგვდებოდეს,
თუნდც დავახრჩოთ ერთმანეთი მოფერებით!!!

მუსიკა

გიტარა ჟღერს, ვიოლინო კვნესის,
და ძარღვებში იყინება სისხლი...
დედამიწის გულისძგერა მესმის,
თითქოს მესმის სინანულიც მისი...
ნუ აჰყვები, ნუ აჰყვები ქარებს,
გაგიტაცებს, გადაგჩეხავს კლდეში,
და არავინ აღარ შეგიყვარებს,
აღარავინ არ ჩაგიკრავს მკერდში...
ღელის პირას შეკრება აქვთ ქაჯებს,
ვინ გაიგოს მათი ჩანაფიქრი,
დღეს არავინ არ მოგიტანს ვარდებს,
შენ კი მაინც იცდი, იცდი, იცდი!!!
ქარებს გაჰყვა ცაში ქაჯთა გუნდი,
და სულ მალე შეესევა ქალაქს,
ყველა თავის შხამს მიიღებს კუთვნილს,
ყველა თავისს გადაყლურწავს წამალს...
ქარის ხმაზე ვიოლინო კვნესის,
და ბგერები იფანტება ცაში...
მე ვარდები წამოვიღე შენთვის,
მაგრამ ყველა გავაჩუქე გზაში...

მაკას, მონიავას!!!

ალბათ, მართლაც ვარდსა ჰგავდი,
ვარდი ვერვინ შემოგბედა,
ჩემი იყო გადმოგრგავდი,
ჩემს ეზოში ყვავილებთან...
ნუთუ, მართლა, მარტო დარჩი,
და ისევ ბედს ელოდები...
ნეტა, თუნდაც მომავალში,
დაეჯახონ ჩვენი გზები...
გეფიცები, გული დამწყდა,
რომ არ შევხვდით ადრე როცა,
შენ ჯერ კიდევ იდექ ზღვართან,
და ელოდი პირველ კოცნას!!!
თუმც მგონია, რომ ჯერ ისევ,

ცაზე მავალ მთვარეს ჰგავხარ,
და მოღელავ არაგვისებრ,
როგორც დილის წმინდა ტაღღა...
და თუ მართლაც მოხდა ასე
და გადაკვეთს ჩვენი გზები,
მე გაჩუქებ იმდენ ვარდებს,
შემიყვარებ, გეფიცები!!!

ტრელერა რანგა, ტრელარა რანგა... ჩემი ბედია? არ ვიცი რა ვთქვა...

მშვენიერი ხარ, ეგრევე ფარხმალს
ვყრი და პირდაპირ ხიდიდან ვხტები;
ჰო, არ არსებობს, აღარა გნახავ,
რატომ? რატომ და ნაღდად მოვკვდები...
ჯერ ერთი, ჩემი შენ არ გახდები,
ეს ვიცი, როგორც ორჯერ ორია,
ქვეყნისა მყავდა მე ლამაზები,
თუმცა შენ რომ ხარ? არა მყოლია...
შორსა ხარ, მაგრამ ისე ანათებ,
მაქედანაც მწვავს შენი სხივები,
დაგელოდები, როგორც განაჩენს,
კედელს გამაკარ ხანჯლის პირებით...
დაგელოდები, მაინც, რა ვიცი,
ქვეყნად ყველაფერს ღმერთი განაგებს...
და შენს მოსვლამდე თუ გადავიწვი,
საფლავზე ერთი ვარდი დამაგდე!
მშვენიერი ხარ, ულამაზესი,
ნეტა, ჩემამდე ვის ახარებდი,
ვინ ჩაგცქეროდა, ნეტა, თვალებში,
მე რომ მამსხვრევენ სიკამკამეთი...

ნიავი ვარ! თამუნა თაას!

მომენატრა ისევ ჩვენი ღამე,
მომენატრა ისევ შენთან ყოფნა,
ცრემლის მძივი დაგინამავს სახეს,
მთვარეს უყვარს ვიცი შენი კოცნა...
მე ამაღამ ალბათ ნიავს შევცვლი,
შენს საწოლთან მის მაგივრად მოვალ,
თეთრ შროშანებს ჩაგატოვებ თმებში
და შენს ახლოს გავაგრძელებ ქროლას...
გაიღვიძებ, ყვავილებსა ნახავ
და ღიმილით გაგეპობა ბაგე;
მოჟღურტულე ჩიტბატონას ჰგავხარ

და ალტარზე მოციმციმე სანთელს...
გაკოცებ და სარკმელიდან გავალ,
ჩავეწვნები ჩემს საყვარელ ღამეს,
შენს სიყვარულს გავიყოლებ წამლად
და სულს სადმე ლელიანში დავლევ!!!

წლები გადის და გვრჩება წამები

მე მომეჩვენა რომ ნაწყენი ხარ,
რომ რაღაც დარდებს გაუღე ხარკი,
მაგრამ, მგონია, მაინც მღერიხარ,
რომ სიმღერაში ჩაიკლა დარდი...
თუმცა, რა ვიცი, იქნებ არც ღირდეს,
ადრე რაც იყო ახლა სათქმელად...
დღეს ავდარია, ხვალ გადაიღებს
და ეს ღრუბლებიც გაიფანტება...
ისევ გაათბობს ზეცის კაბადონს
მზე უმდიდრესი და უსხივესი...
და შენც იქცევი ისევ ყაყაჩოდ
როგორც ყვავილი უნატიფესი...
მე მომეჩვენა, რომ შენს თვალებში,
ბავშვობის სხივი აღარ კიაფობს,
და გაზაფხულიც უმხურვალესი
აღარ გეძახის საგანთიადოდ...
და დარჩენილი სევდის ამარა,
ნოემბრის ქარებს ეხმიანები,
დრომ სიყვარულიც მიასამარა,
წლები გადის და გვრჩება წამები...

როგორ მომწონხარ

როგორ მომწონხარ, ასე მგონია,
თითქო, წყვდიადში შემოასხივე,
ალბათ დედისგან თუ დაგყოლია,
ეგ სინატიფე და სიმარტივე...
ჰოდა, მეც მინდა შეგშალო ისე,
რომ გაბოდებდეს ძილშიაც ჩემზე,
ვერ იშორებდე ღამეულ სიზმრებს,
ვერც ძილის წინ და ვერც ძილის შემდეგ...
და რომ ჩემს გამო ღიმილი ტუჩზე,
არ გშორდებოდეს არცერთი წამით,
და იგონებდე თბილისის ქუჩებს,
სადაც მე და შენ ვხვდებოდით ღამით...
მწიფე ხარ, როგორც ბაღში ატამი,

მზისგან დამწვარი, კანახლეჩილი,
შემომეხეთქე მკერდზე ზღვასავით,
ამისხმარტალდი ხელში თევზივით!
მე კი ვერაფრით ვერ შევაფასე,
ეს უნებლიე ჩემი ცოდვანი:
ეშმაკს შეაცდენს ეგ სილამაზე,
იწვები ველის ყაყაჩოსავით!

ეს აღტაცება...

მართალი გითხრა, ყველაფერი მე შენთვის მინდა,
თუ რამ არსებობს ქვეყანაზე, ბრწყინავს და ხარობს,
და ამოდიან ეს სიტყვებიც გულის სიღრმიდან,
რომ მწყურვალ მკერდზე სიყვარული გადმოგაღვაროს!!!
ჩვენ ვიბადებით და სამყარო ულამაზესი,
ფეხვეშ გვეგება გზააბნეულ ღმერთის რჩეულებს,
ჩვენ კი გვგონია, რომ მოვსულვართ ამ სიზმარეთში
და შვების ნაცვლად ყველაფერი გვანერვიულებს...
დილის ჩიტების გალობანიც კი აღარ გვესმის,
ვეღარც მზეს ვხედავთ, ზეცის თაღზე რომ დაბრდღვიალობს,
ეს ყოველივე მოვაბნიე ამწამს შენს ფერხთით,
შენ კი გარბიხარ სადღაც რომ არ დააგვინო!!!
ერთი წამითაც, ერთი წამით თვალის შევლება,
ამ სამყაროსთვის, უკვე ალბათ ნიშნავს ყველაფერს,
ჩვენ კი რაღაცას ვეძებთ, ვდაობთ, ნირი გვეცვლება,
და ამ უმაღლეს სილამაზეს მართლაც ვერ ვამჩნევთ!!!
შუბლი გახსენი, ამ საუნჯეს დანახვა უნდა,
რაც კი არსებობს ყოველივე მე შენთვის მინდა...
და შემომხედე, შემომხედე, სანამ დასრულდა,
ეს აღტაცება შენი ნახვით რომ წამეკიდა!!!

ტანზე ემოსათ გრიგალი

მე დროს ხანდახან ვივიწყებ,
და უკან წარსულს გავცქერი,
იმის სისხლიან ბილიკზე
წამოიმართნენ კაცები...
ხელში ხანჯლები ეჭირათ,
ხანჯლები პირალესილი,
მინდოდა დიდხანს მეცქირა,
ვიყავ პირამოგლესილი...
ყველანი ჩუმად იდგნენ და
უსიტყვოდ მესიტყვებოდნენ,
როგორ ავწერო ის სევდა

გულზე რომ აჩნდათ მეომრებს...
მათ უკან ჩანდა დიდძალი
ტანაჩეხილი ვაჟკაცი,
ტანზე ემოსათ გრიგალი
მტრისაგან გამონატაცი!
თვალს მარიდებდნენ ნაღვლიანს
თითქოს მსჯავრს მდებდნენ რაღაცას,
ზვავმა კლდე გამოარღვია,
მზე გაფერმკრთალდა, გაბაცდა...
მუხლი თავისით დაცურდა
და მათ წინ წამომაჩოქა,
არა, ტირილი არ მსურდა,
მაგრამ ვტიროდი რატომღაც!!!
ბევრი ვიფიქრე რა ხდება,
რა იყო მათი მიზანი,
კვდებოდნენ დაუმარცხებლად
ვაჟები ალგეთისანი...
მეც მათი სისხლის წვეთი ვარ,
მათი სიკვდილის მზღვეველი,
ზარი მესმოდა ზეციდან,
ხმა ენით აუწერელი...
და როცა აწმყო გაცოცხლდა,
მარტო ვიყავ და ვტიროდი,
თვალი მოვავლე ტაფობს და
ბღაოდნენ სანაპირონი...

ყივჩაღი ვარ

შენ რომ გნახე, ყივჩაღობა მომინდა,
რომ შენს ახლოს დავცე სადმე კარავი,
მე დავბრუნდი დიდი მარათონიდან,
და თუ ვკვდები, ჩემი ბრალი არ არი...
ვიცი, ჩემი გაგიჟება რომ გინდა,
და თანდათან ასეც ხდება მგონია,
ყივჩაღი ვარ, ნაძარცვ ალაფს მოგიტან,
შენზე ფიქრი ომშიც გამომყოლია...
ყურში ჯერაც მიდგა ცხენთა ჭიხვინი,
ბედს ვწვდები და აპეურებს ამოვდებ,
კარი გახსენ, მომეგებე კვიცივით,
შენი კანის მხურვალება გადმომდე!
ლამაზი ხარ, როგორც ქაჯი, ავსული,
კარს გახსნი და განათდება სამყარო,
ყივჩაღი ვარ, საბრძოლველად წასული,
მოვდივარ, რომ გამარჯვება გახარო!!!

ნუ დამამუნჯებ

მაკვირვებს ჩვენი გულუბრყვილობა,
გვინდა გვჯეროდეს, გვწამდეს, გვიყვარდეს,
ზოგმა ეჭვები შემოიღობა,
ზოგმა დარდები, ზოგმაც სიმართლე...
მე კი არ ვიცი რა შემოვღობო,
ალბათ რაიმე ხულუხლებელი,
მე ხომ ბოლო დროს ზღვებთან ვმეგობრობ,
და გრიგალია ჩემი მხლებელი...
იცი, ძვირფასო, ღალატს გავუძლებ,
გავუძლებ სიკვდილს, ჭირსაც გავუძლებ,
ჰო, ვისაც გინდა ესიყვარულე,
მხოლოდ ერთსა გთხოვ, ნუ დამამუნჯებ!
ნუ დამამუნჯებ, არაფრის გამო,
ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა სათქმელი,
მე სხეულიდან ამოსვლას ვლამობ,
შენ კი არასდროს არ მესარჩლები!!!

ლამაზმანს, რომელსაც მეგობრობა ვთხოვე და უარი მტკიცა...

მერე რა, რომ ლამაზი ხარ,
ეგ, უბრალოდ ღმერთმა მოგცა,
მე კი გულზე მახატია,
ქრისტეს ჯვრიდან გარდამოხსნა...
ერთ ჯიბეში მთვარე მიდევს,
მეორეში ვარსკვლავები...
რა მოხდა თუ ვერ გამიგე,
მე კი საზღვრებს გადავედი...
შენც რიგითი ყაყაჩო ხარ,
დღეს ანათებ, ხვალ დაჭკნები,
მაპატიე, თუ წამომცდა,
რამე ძნელად გასაგები...
შენ პირველი ხომ არა ხარ,
ტატო დარჩა უსატრფოოდ,
მერე რა რომ ყვავილს ჰგავხარ,
ყვავილებით მკვდარსაც ვგლოვობთ!!!

რაღას უცდი?

წელიწადში ერთი დღეა სიყვარულის,
დანარჩენი? ვინ ამიხსნის, ვინ იცის?
რაც შენ გნახე სულ თან დამდევს მე ამური,
და თავს იკლავს შენი სიყვარულისთვის...

ჩვენ კი, ალბათ, სიყვარულის დღეებს ვუცდით,
ეს დღეებიც არა და არ თავდება,
კვირა თავის ერთ დღეს კიდევ გადაფურცლის,
და მგონია სულ სხვა შეგიყვარდება...
არა სჯობდა, რომ ყველა დღე წელიწადის,
სიყვარულის ყოფილიყო მთლიანად,
რომ სამყაროს ეტრფიალა ჩვენი ჩათვლით,
ეტრფიალა თავის ხალხებიანად...
რა ძნელია, შენ არ იცი, როგორ მიჭირს,
როცა ბოლო აღარ უჩანს მოლოდინს,
ცოტასა აქვს, სიყვარულო, ტრფობის ნიჭი,
და მხოლოდ ერთს სიყვარულის მონობის...
დაიჯერებ, რომ ის ერთი შენს წინა დგას,
და ვერ ამბობს თავის სათქმელს ბოლომდე,
შენს ერთ სიტყვას თუნდ სიცოცხლეს შესწირავდა,
რაღას უცდი, ამოღერღე როგორმე!!!

ვარდს გაჩუქებ!!!

ვარდს გაჩუქებ უვარდესო,
სიყვარულის სულის წამალს,
უტკბილესო, უკარგესო,
მკერდს ცრემლებით მოგინამავ...
და თუ გტკივა ჩუმად გული,
მინდა ვარდით მოგირჩინო,
მოვა, მოვა გაზაფხული,
გეფიცები, მოდის, ცდილობს...
მართლაც მინდა ვარდსა ჰგავდე,
მოელვარეს ბაღში კენტად,
რომ მიყვარდე, ჰო, მიყვარდე,
სიყვარულზე უფრო მეტად...
უკეთესი სხვა რა გითხრა,
მინდა სჯობდე ყველა ვარდებს,
ზოგჯერ ისე ლამაზი ხარ,
ლამის მართლაც შემიყვარდე!!!

ჯვარი

მეც არ ვიცი რა მინდა,
რაღაც პირველყოფილი,
ძველებური სარკიდან
მიმზერს შენი პროფილი...
თითქოს რაღაც დასრულდა,
რაღაც გრძელი ეტაპი,

რა მივიღე საჩუქრად,
მხოლოდ სული სპეტაკი...
და ხელი რომ შევახო,
ვიცი, შემომატყდება,
შენ კი დგახარ ჩემს ახლოს,
როგორც ცივი ნათება.
უკვე დიდი ხანია,
არაფერი არ მიკვირს,
არც ეს ვაკხანალია,
არც ბრძოლა სიმართლისთვის...
მგონი, ყველა ჩვენგანი,
გოლგოთის გზას ვადგავართ,
ჯვარზე გაკვრა ნაღდია,
ჰო, ავალთ თუ არ ავალთ...
მითხარ, როგორ ვიცხოვრე,
დამიწერე ნიშანი!
ჩუმად გადამისწორე
გზანი წამებისანი...
მშურს ვინც აღარ არიან,
ვინც იყვნენ და წავიდნენ...
ჩემი ბოლოც ჯვარია,
შენი კი – ვერ გავიგე!!!

მიყვარდე, რა მოხდა

უზომოდ, უსისხლოდ, უხორცოდ,
მიყვარხარ, როგორც ჯერ არავის...
და რადგან შორსა ხარ, უფრო ვგრძობ,
უფრო ვგრძნობ, ძვირფასო, დანაკლისს...
არ ვიცი, სხვას როგორ და მე კი,
შენს გამო დავთრები მერევა...
ხსოვნიდან ამოვყრი დალექილ,
დამტვერილ ჩემ ბედნიერებას...
არ მინდა, არ მინდა ვიდარდო,
ცხოვრება ისეც ჰგავს კორიდას,
მინდა იმ ნაკვალევს მივაგნო,
რომელიც შენამდე მომიყვანს...
და თუ კი მიყვარხარ, არ ნიშნავს,
რომ შენი სარეცლის ღირსი ვარ;
არაფერს გიხატავ ვარდისფრად,
კვდები და ვიცლები სისხლისგან!
ვკვდები და თუ მაინც მწყურია,
კვლავ შენთან ყოფნა და ალერსი...
გაჩუქებ, ეს ჩემი სულია,
მიყვარდე, რა მოხდა, არ მესმის...

წუხელ მთვარეს ვარსკვლავებზე ვახლდი...

ეს სახლია ვარსკვლავების სახლი,
ეს ეზო კი ვარსკვლავების ეზო,
წუხელ მთვარეს ვარსკვლავებზე ვახლდი
და იქ შევხვდი ყვავილების სეზონს...
გავჩერდი და ვეჭორავე ერთხანს,
იას, ტიტებს, მოჟღურტულე შროშანს,
მერე ფრთებზე მოვეფერე მერცხალს,
მოვუსმინე ბეთჰოვენს და მოცარტს...
ვინც წამოხვალთ იქ ზეცაში ჩემთან,
დამიჯერეთ საოცრებებს ნახავთ,
მე მიგიყვანთ სიყვარულის ღმერთთან,
ვაჩუქნინებ საქორწინო ფატას!
ყველაფერი ადვილია ჩემთვის,
მთვარე თავის საიდუმლოს მანდობს,
თუ მზეს როგორ წაუკიდა ცეცხლი,
მაგრამ მაინც არ იკარებს ახლოს!!!
მზეს გავხედე, წამსვე შეკრა წარბი,
თითქოს ჩვენსკენ გამოხედვის შერცხვა,
მთვარემ ჩუმად გაისწორა ბაფთი
და ჩურჩული გააგრძელა ჩემთან...

ხვედრი

წარმოდგენა არა მაქვს,
წარმოდგენა არა მაქვს,
ვინ ვინაა ამქვეყნად,
ან მე თვითონ ვინა ვარ;
ან ეს ტვირთი ამხელა,
მარტოდმარტოს რად დამაქვს,
ჩემი მხრიდან, უბრალოდ,
ეს ხომ თავგანწირვაა!!!
ანდა, რატომ მგონია,
ეგებ ვინმემ ამიხსნას,
რომ სამყარო პოეტის
გამჭვირვალე გულია,
მე რომ ხელით მიჭირავს
და ვშიშობ არ დაიმსხვრას,
თუმცა ათასწლეულებს
მასზე გადაუვლია!!!
მე კი წუთი არ გავა
ჩემი სისხლის წვეთები,

ჩემი სისხლის წვეთები
ამ გულზე არ ვაწვეთო,
რასაც სწოვენ ომები,
სამკვდრო შეტაკებები,
ჩემი სისხლით როგორმე
კვლავ უნდა ვაარსებო!
ჰოდა, ცოტა ხმამაღლა
ვამბობ, ვიცი, ჩემ სათქმელს,
რასაც უნდა ვმალავდე,
როგორც ამოხველებას,
რადგან სწორედ პოეტებს
ჰკლავენ მუდამ ყველაზე,
ჰკლავენ მუდამ ყველაზე,
ალბათ, უპირველესად!!!
დღეს სამყარო ცეცხლშია,
ისე, როგორც არასდროს,
და ამიტომ ჩემს გულსაც
ემატება ბზარები,
იქნებ ვინმეს ჰგონია,
რომ რაიმეს ვთამაშობ,
ან ნაღმების ნახვისას
სადმე დავიმალები...
აბა, რა ვთქვა, რა ვიცი,
ტყვია არ მომხვედრია,
მაგრამ როგორ გგონიათ,
არ ვართ აჩეხილები?
რომ სიკვდილთან თამაში
პოეტების ხვედრია,
რომ გვარბევენ საოცრად
შურის ქარტეხილები...

ბედს ვერ ასცდები

შენს სილამაზეს ვერ ავრევ სხვაში,
როგორც ამბობენ, ბედს ვერ ასცდები,
ჩაძირული ვარ, ძვირფასო, ზღვაში,
და ხომალდივით მკერდზე მასკდები!!!
თბილი დინება ნავივით მარწევს,
დგას თოლიების კაკაფონია,
სულაც არ მინდა რომ შემიყვარდე,
შენ სხვანაირად რატომ გგონია!!!
მართლაც ვერ ვუძლებ რადგან შენს თვალებს,
ან არის ვინმე მათი გამძლები?
ჰოდა, მაჩუქე ეს ერთი ღამეც,
ხვალ კი წავალ და დავიკარგები!!!

ახლა შენი მძევალი ვარ

შინდის ტუჩი გახეთქილი,
როგორც მწიფე ბროწეული,
ძუძუს კერტი ტკბილზე ტკბილი,
მოვარდისფრო ძოწეული...
რა ვუშველო მწვანე თვალებს,
სად გავექცე, სად ვირბინო?
ბედი ხელში მიფართხალებს,
ტყვია მინდა ავიცდინო!
ტყვია შენ რომ გისროლია
და წივილით ჩემსკენ მოდის,
მთელი ჩემი ისტორია,
ხვანჩკარაა შენით თრობის!!!
და თუ სადმე ღამეს შევრჩი,
ღამეს გიჟს და ვნებებიანს,
ან ღალატი შემრჩა ხელში,
როგორც ხშირად შემრჩენია...
ბრალს ნუ დამდეგ, მე ამ ქვეყნად
ვერ დავიდე ვერსად ბინა,
ყველაფერი მეკარგება,
რაც მიყვარდა ასე წინათ...
ახლა შენი მძევალი ვარ,
შენს ბაღნარებს ვეტანები,
მელნისფერი პერანგიდან
გიჩანს ძუძუს მწვერვალები!!!

დაგორებული ვარ თოვლის ზვავი

ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
მენატრები და შენზე ვხმიანობ;
შენსკენ მოვყვები ღამეულ სიზმრებს,
ხან გულს ვიმშვიდებ, ხან ვეჭვიანობ!
დაგორებული ვარ თოვლის ზვავი,
მოვალ და კლდეებს მოვეხეთქები;
ხარ ჩემი ფიქრის ნათელი ბზარი,
ტანდახეთქილი ციხის კედლები!!!
ჩემ ვნებებს ცოტაც უნდა გაუძლო,
ჩემ ჟინს გაუგო და არ ეურჩო,
მე ღმერთებთანაც ისე ვსაუბრობ,
როგორც მნათობი ცაზე მეუფობს...
როგორ გიხდება ეგ ბროლის მძივი,
ყელზე სამჯერად შემოხვეული;

ვარ შენს ბაგესთან აჭრილი სხივი
და მკერდზე მკერდი შემომსხვრეული!!!

იქნებ თითოც დაგველია...

დავიჯერო მართლაც რაღაც...
მართლაც ფიქრობ ვითომ ჩემზე?
თუ ტყუილად მიბნევ თავგზას,
და ჩამივლი უხმოდ გვერდზე!!!
ქალი ნაღდად კატასა ჰგავს,
შენც რომ ჰგავხარ ეს თუ იცი?
კაცი კიდევ ალთა–ბალთას
ედება და ქალებს ითვლის...
ჰო, ვისთანაც ერთდროს იწვა,
კახპა იყო თუ ქალწული,
ზოგთან ცხადში, ზოგთან სიზმრად,
ვნებით ლოყებდაბრაწული...
მე ჩემს თავზე ვერ ავიღებ,
შენ თუ მართლაც შეგიყვარდი,
იცოდე რომ მახეს გიგებ,
იმიტომ, რომ მაგრად მაკლდი...
და თუ მსურს, რომ ჩემი იყო,
ჩემი იყო, როგორც სხვები,
არ დამიწყო, არ დამიწყო,
ახსნები და კამათები...
რა ლამაზი თვალები გაქვს,
რა ლამაზად მეპრანჭები,
იქნებ თითოც დაგველია
და სახლამდე მე გაგყვები!!!

თუ ოდესმე მინატრებ

ჩემთვის ასე ოცნებად
და სიზმრებად ქცეულო,
საით მიემგზავრები,
რომელ ხომალდს რჩეულობ...
მე კი მსურდა ლექსებით
შენი სული ამევსო,
ალბათ, ვეღარც შეგწვდები,
სხვას ნახავ საალერსოდ...
მაგრამ მინდა გახსოვდეს,
თუ კი გაგახსენდები,
რომ მე შენი სამოთხე,
ვნამე ჩემი ცრემლებით...

ჰოდა, თუკი როდისმე
სადმე ისევ შევხვდებით,
ისევ ჩუმად მოგისმენ,
ისევ მომეცრემლები...
ახლა წადი, გასწიე,
გიხმობს სულ სხვა აპრილი,
მისდევ სულ სხვა არწივებს
ზეცისაკენ აჭრილი...
მე კი ისევ მიწაზე
ვრჩები ფრთადაშვებული,
გაქრა ძველი სისწრაფე
ჟინით გატაცებული...
ერთს კი მაინც გეტყოდი,
თუ ოდესმე მინატრებ,
მე ნამდვილად გეტრფოდი,
მწყინს თუ ვერ გაგიმართლე...

მაინც ჩემი გახდები

არ არსებობს იცოდე,
მაინც ჩემი გახდები,
ჰოდა, გამომიწოდე,
ეგ ფაფუკი თათები!!!
მინდა ხელზე გაკოცო,
ალბათ, ცოტა შეკრთები,
მე მიწაზე არ ვცხოვრობ,
ხელით არ შეგეხები...
ვიცი გაგეღიმება,
ჩემს ლექსს ბოდვად მიიღებ,
მაგრამ, ნუ გეწყინება
მართლაც, ჩემი სიგიჟე...
აბა, კაცი მითხარი,
სხვა რამ უნდა შეშალოს,
ჰო, შენა ხარ ის ქალი
სხვა რომ უნდა შეცვალოს!!!
იცი, მინდა, არ მინდა,
უკვე ჩემზე არც არის,
თითქოს გაჩნდი ზღაპრიდან,
მე კი ფრენას გასწავლი!
მინდა, მინდა, ძვირფასო,
კალთა შემოგახიო,
ან როდემდე გიცადო,
რომ შარში არ გამხვიო...
მიყვარს, მიყვარს საოცრად,
შენი თეთრი მკლავები,

მე მივფრინავ, წამოხვალ?
მიცდიან ვარსკვლავები...

ეკა, აღარ შემხვდე რაა? (კ)

წარმოდგენა არა მქონდა საფრთხის,
რაც მელოდა მაღაზიის კართან,
შენ კი მივხვდი, შვლის ნუკრივით დაფრთხი,
გადმომედო მეც ეგ შენი განცდა...
ნეტა ჩემსკენ იღებოდეს მაინც,
რა ძნელია სახელურის ძებნა,
არა, შენსკენ იღებოდა კარიც,
შემოგხედე და ბავშვივით შემრცხვა.
გაგეღიმა, მომესალმე კიდეც,
გამარჯობა, მეც თავისით დამცდა;
რა სისწრაფით გავცდი კარის ძგიდეს,
აღარ მახსოვს არაფერი ახლაც...
ერთს კი იმწამს უნებლიედ მივხვდი,
რომ ჩემს ლექსებს კითხულობდი თურმე,
რომ არც ვიცით, რას გვკარნახობს სისხლი,
ან როგორ გრძნობს გაზაფხულის სურნელს...
მაპატიე ეს ლექსებიც, რადგან,
სილამაზეს მოვუხადე ხარკი,
ყვავილი ხარ, მეც ჩემ გულში ჩაგრგავ,
ისიც მხოლოდ სილამაზის ხათრით!!!

სურვილები დაფრინავენ ქარში

რატომ მინდა, ნეტა, ასე შენთან,
ან რა არის ეს უსაზღვრო ლტოლვა;
მე უშენოდ მარტოობა შემჭამს,
მე უშენოდ სიყვარული მომკლავს...
დღეების თვლას აღარა აქვს აზრი,
მალე შენსკენ გამოვყვები გრიგალს,
გესტუმრები ოქროსფერი რაშით
და აგიხდენ აუხდენელ სიზმარს!!!
სურვილები დაფრინავენ ქარში,
თვითონ მიწაც სურვილებით ფეთქავს,
იმედს ვეძებ ვულკანების ხმაშიც,
იმედები მომიყვანენ შენთან!!!
იმედები, იმედები ჩვენი,
გაათევენ კიდევ რამდენ ღამეს,
ვთიშავ დენს და მარტოდმარტო ვრჩები,
რაც გითხარი, ნეტა, მართლა მწამდეს!!!

სურვილები დაფრინავენ ქარში

რატომ მინდა, ნეტა, ასე შენთან,
ან რა არის ეს უსაზღვრო ლტოლვა;
მე უშენოდ მარტოობა შემჭამს,
მე უშენოდ სიყვარული მომკლავს...
დღეების თვლას აღარა აქვს აზრი,
მალე შენსკენ გამოვყვები გრიგალს,
გესტუმრები ოქროსფერი რაშით
და აგიხდენ აუხდენელ სიზმარს!!!
სურვილები დაფრინავენ ქარში,
თვითონ მიწაც სურვილებით ფეთქავს,
იმედს ვეძებ ვულკანების ხმაშიც,
იმედები მომიყვანენ შენთან!!!
იმედები, იმედები ჩვენი,
გაათევენ კიდევ რამდენ ღამეს,
ვთიშავ დენს და მარტოდმარტო ვრჩები,
რაც გითხარი, ნეტა, მართლა მწამდეს!!!

მაკოცე, ძვირფასო, მაკოცე!!!

მაკოცე, ძვირფასო, მაკოცე,
არ გაქრეს ალერსის სურვილი,
არ შეკრთე რაც უნდა წამომცდეს,
არ მიყვარს უაზრო დუმილი.
ამბობენ რომ გრძნობა უტყვია,
რომ სიტყვებს არა აქვს ფერები,
რომ ვარდებს ბავშვებსაც ჩუქნიან,
რომ გრძნობებს ვებრძვით და ვერევით!
არ ვიცი, მე კი ერთს ვიტყოდი,
ჩემს გრძნობებს არა აქვს საზღვარი,
გეტრფოდი, მიყვარდი, მინდოდი,
მეკიდა სურვილის ხანძარი...
მაკოცე, რომ იგრძნოს სხეულმა,
ხორციელ სიძვათა ვნებანი,
რომ შენით მთლად გადარეულმა,
გაგწურო ვით ყურძნის მტევანი!!

მე ამ რეალობას ვტოვებ და მტკვარს ნაკადულად ვერთვი,
განა სხვა რა უნდა პოეტს, თქვენი სიყვარულის მეტი...
ანუ ირმას და სოფიოს!!!

როდესაც რეკავს სამრეკლოს ზარი

და ზეცისაკენ ლოცვად გვიხმობენ,
მე მაგონდება ყოველი ქალი,
ვისთვისაც ღირდა, ალბათ, სიცოცხლე...
ისინი რომ არ, ისინი რომ არ,
ლექსებს რომელი გიჟი დაწერდა,
სიკვდილის მერე მე ისევ მოვალ
მათი ოცნების გადასარჩენად!!!
მოვალ, მოვტაცებ მზეს სიხალისეს,
ვარსკვლავებს ნათელს და ბრწყინვალებას,
და სიყვარულის ამ დიდ ნადიმზე
თითო ლექსს მაინც ვაჩუქებ ყველას!!!
და იმ ფერებით მოვეფერები,
რაც სიცოცხლეში ვერ მოვასწარი;
ჩვენი მხსნელები, ჩვენი მკვლელები,
ქალი, კვლავ ქალი და ისევ ქალი!!!

ხათო, რას მერჩი, რა დაგიშავე?

ხათო, რას მერჩი, რა დაგიშავე?
გამომეცხადე და უცბად გაქრი;
შენი თვალები ისე მთიშავენ,
ლამის ავდგე და გადავხტე მტკვარში...
არც გეცოდები, არც გებრალები,
შემომეყრები როგორც ზამბახი,
და კაცი ამ ხნის ნაწანწალები,
ჩამაბი ამ დიდ ხათაბალაში...
ხათაბალაში რომელსაც რა ვთქვა,
ან რა დავარქვა ისიც არ ვიცი...
შენმა ღიმილმა ბეჭებზე დამცა,
ან რას მიხვდები თუ რას განვიცდი...
კაი, ჯანდაბას სხვისი იყავი,
კაი, ნურასდროს ნუღარა მნახავ,
მაგრამ წასვლამდე მაინც მითხარი,
აი, სულ ოდნავ, სულ არ გიყვარვარ?

თამარს, ხვადაგიანს!!!

სავსე ხარ, როგორც ივლისის მთვარე
და სევდიანი როგორც დაისი,
წამო, მოგიმტვრევ იასამანებს,
რომ დაგავიწყო ჭმუნვა და ნისლი...
წამო, არაგვის პირას გავიდეთ,
ვნახოთ წინაპართ ნასახლარები,
ასე მგონია, იქ თუ ვართ ისევ

ციდან გვიცქერენ მათი თვალები.
ვიცოდე მაინც, ვიცოდე მაინც,
ყველაზე მეტად რა გიხარია,
ალბათ რამდენი წუთი თუ წამი,
ნაღველით სავსეც აგიტანია...
ჰოო, ცხოვრება სულაც არა ჰგავს,
ვარდის ფურცლებით მორთულ ხალიჩას;
გაგვახალისოს იქნებ არაგვმა,
ან ნაღველისგან მაინც დაგვიხსნას...
ან ამ ბოლო დროს რად ვფიქრობ ხშირად,
რა აწერია დღეს ქართულ ზეცას,
ის ძველებურად აღარა ბრწყინავს,
და ბევრად ხშირად მომესმის კვნესაც...
ჰოო, ზეციდან კვნესაც მომესმის,
თუ დამიჯერებ ზარების ნაცვლად,
მე ვერ ვერკვევი ცის კანონებში,
და არც ამათი ზღაპრების არ მწამს...
შენ კი, სვანების, ლამაზო ქალო,
კვლავ ელოდები, ალბათ, აისებს,
არც მე დაგინდე, ჰო, მეც უწყალოდ,
მოველ და გული სევდით აგივსე...

არ იცი, ხომ, რა არის სიყვარული? აბა გულზე ხელი დაიდე!

მე მინდა, გკოცნიდე, გკოცნიდე, გკოცნიდე,
გკოცნიდე, გკოცნიდე, გკოცნიდე მე მინდა...
არასდროს მოგწყინდე, მოგწყინდე, მოგწყინდე,
მახრჩობდე, მახრჩობდე, მახრჩობდე ვნებისგან!!!
იქნებ სიყვარული მართლაცდა არსებობს,
იქნებ არც არსებობს, არ ვიცი, არ ვიცი...
წუთში რომ ათასზე მეტჯერაც გახსენო,
თუ გვერდით არ მყავყარ, მე მაინც განვიცდი...
რას ვიზამ, დაგიცდი, ერთი დღე, ორი დღე,
თვეები, წლები და თუნდ ათწლეულები...
და ასე შორიდან ხომ მაინც მოგისმენ,
ისიც მიხარია, მანდ რომ მეგულები...
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
ეს ნიშნავს, ძვირფასო, რომ ვერ ვძლებ უშენოდ...
არ მეტყვი? მე მაინც გავიგებ მისამართს,
გიპოვი, რადგანაც თავს მინდა ვუშველო!

ასეთი ლექსი გინდოდა, ლიკა? შენი იყოს!

რატომ მინდა, რატომ მინდა,

ჩემთან ახლოს გადმოსახლდე,
როგორც თევზი არაგვიდან
ჩემს ფიქრებში ამოსხმარტლდე!!!
ვნებიანი ხელი გკიდო,
ჩამეტკიპო, ჩამომსხმარტლდე,
მკლავი მკლავზე გადმომკიდო,
კოცნით მოგკლა, ან მომკლავდე!
მერამდენე გაზაფხული
მოსულა და დავლურს უვლის,
მარწყვის ტუჩი დახატული
ჩემს ტუჩებზე იკლავს წყურვილს...
მერემდენედ უნდა შემხვდე,
და კვლავ თვალი ამარიდო...
მორჩა, ალბათ, ამის შემდეგ,
არ არსებობს, არ დაგინდობ!!!

შენს აივანთან

შენს აივანთან ვიდექი წუხელ
და ჩემზე მთვარეს ეცინებოდა...
მინდოდა, მაგრამ ვერ შეგაწუხე,
რატომ? მეგონა გეწყინებოდა...
ანდა, ვინ იცის, იქნებ მელოდი,
იქნებ სიზმრებში ბორგავდი კიდეც...
იქნებ მკოცნიდი და მეხვეოდი,
მე კი რატომღაც ვერ გაგაღვიძე...
ჰოდა, ვიდექი დატყვევებული,
მთვარის სიცილით, ღამის სიჩუმით,
როგორც სცენაზე ძველი ფიტული,
მარტოობისგან გამოფიტული...
მოგისმენია მელოდიები,
მწუხარებაზე რომ გვიყვებიან?
როგორ ჭკნებიან უხმოდ იები...
ნაკადულები როგორ კვდებიან...
რაღაც ამის მსგავსს ვისმენდი თითქოს,
ყელზე სიჩუმე შემომეხვია...
ჰაერში იდგა მაისის სითბო,
და სევდა მე რომ შემომეჩვია...
შენ კი გეძინა, გეძინა ალბათ,
და ფერად–ფერად სიზმრებს ხედავდი,
ქარი კი ისევ კვლავ საიდანღაც
ქუჩას ავსებდა ბურბუშელათი...

არ მოველოდი ამ სილამაზეს

ჩვენ ხშირად მხოლოდ თვალით ვაფასებთ
და გვიჭირს, გვიჭირს გულამდე დასვლა,
არ მოველოდი ამ სილამაზეს,
არ მოველოდი არაფრით მართლაც...
იცი, ძნელია, მართლა ძნელია,
ეს, თითქოს, რაღაც კატასტროფას ჰგავს;
მე ხომ განცდები შემომელია,
და დაცლილი ვარ გრძნობებისაგან...
და ამ დროს, როგორც შუქი გვირაბში,
გილიოტინა თუ ანათემა,
გამომეცხადე, როგორც მირაჟი,
როგორც ძველ დროში რომის დაცემა!
ვერ ვიმეორებ გაცვეთილ ფრაზებს,
თავში არ მომდის შედარებები;
ისიც ვიცი, რომ ვერ შემიყვარებ,
და უფრო მეტიც, ვერ დამნებდები...
მაგრამ ეს ღამე როგორც ჩაივლის,
ღამე შლეგობის, ღამე ფეთების;
მე მოვალ შენთან დილის ნამივით,
და ცხელ ტუჩებზე დაგეწვეთები!!!

ჩემო მამულო, შენც გული გტკივა...

ის ვინც პიეტას ესროლა ტყვია,
კაცობრიობას ესროლა, ალბათ!
მიქელანჯელოს ტკივილი მტკივა,
გულზე მატყვია პიეტას დამღა!
პოეტებს ტყვიებს დღესაც ესვრიან,
ან რა გამოლევს მუხთალს და წუნკალს...
განცვიფრებული დუღს ეკლესია,
და კელაპტრების ალითა სუნთქავს!
დღესაც ჯერ ისევ ქრისტეში სცვლიან,
ყველა ნაგავს და ყველა კაცისმკვლელს,
და ამ ყველაფერს სამართლად სთვლიან,
და ძირში სჭრიან ყველა ნატვრისხეს!!!
ჩემო მამულო, შენც გული გტკივა,
გულში მოგარტყეს, გული გატკინეს!
მაგრამ არასდროს არ არის გვიან,
დრო ისევ ისე გამოგაბრწყინებს!
ვიცი, დაცინვად იქცა ეს სიტყვა,
დასაცინია ის ვინც დაგცინის,
მაინც იცოცხლებ შენ სხვებზე დიდხანს,
შენი საოცრად თბილი ხალხისთვის!
არ დაანებო, არ დაანებო,

ამ ვიგინდარებს შენი კლდეები,
მე ისევ მიყვარს ჩვენი სამეფო,
ჩაგეკირები, ჩაგეკედლები...
ქედებს ჯავშანი ჯერაც აცვიათ,
დუმს მწვერვალები ცამდე აწვდილი,
შეუბღალავად დგას კავკასია,
და კვლავ უხდება თოვლის მანდილი...

ირინეს, ივანისელს!

შენ რაც გაწუხებს, მეც მაწუხებს, ალბათ, ირინე,
ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებით და ვიხრაკებით,
გადაივიწყე ყველაფერი და გაიღიმე,
და შევიგინოთ ჩვენებურად: ამათ კარგებიც!!!
ჰო, ესეც წავა, ესეც წავა, ესეც ჩაივლის,
დრო მკურნალია, დააყუჩებს ყველა ტკივილებს,
ბევრი არ დადის ჩვენს ქალაქში დღეს შენნაირი,
ბევრს არა სტკივა შენნაირად, ჩემო ირინე!
ბევრ ქვეყანაში საკუთარ ხალხს ტყვიას უშენენ,
დღეს ყველა ტირანს ჰყოფნის ამის გამბედაობა,
მაგრამ დღე დგება და როგორმე თუ თავს უშველეს,
მათ გვარსა სწყევლის მომავალში ყველა თაობა...
დღეს კი ჰაერში ყველა ვხვდებით დენთის სუნი დგას...
უცხო მიწაზე ფეთქდებიან ჩვენი ბიჭები...
განა რა დარჩა იმ ნამდვილი სიყვარულისგან,
ქართულ სუფრებზე უცხოელთან თავს რომ ვიქებდით...
დღეს სატრაბახო აღარაა თურმე წარსულიც,
ვინც კი გვიყვარდა ყველას მოხვდა გუნდა ტალახის,
მაგრამ, ყველაფერს, დამიჯერე აქვს დასასრული,
და გაყვავდება ისევ ნუში ამ ქვეყანაშიც...
დღეს კი მეც და შენც თუ გვაწუხებს დარდი ერთგვარი,
და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სიკეთე გვინდა,
რას ვიზამთ, უნდა გავიმაგროთ გული კლდესავით...
და არ შევბღალოთ თუ რამ დაგვრჩა ჯერ კიდევ წმინდა!!!

შენთან? თუნდ კლდეზე გადავიჩეხო... (ტ–ს)

ამცხადებია თითქოს სიზმარი,
თითქოს გიპოვე და შენით ვსუნთქავ,
ზოგჯერ სრულდება რაც ძნელი არი,
ადვილს კი ხშირად წვალება უნდა...
საოცარია, არა მბეზრდები,
არა მბეზრდები არცერთი წამით,
თითქოს მივფრინავთ, როგორც მერნები
და ქვებზე რჩება ნალების კვალი.

შენთან? თუნდ კლეზე გადავიჩეხო,
ცხელი ვულკანის კრატერშიც ჩავალ;
ძალა მომეცით, გაშლილო მთებო,
სიყვარული მკლავს, მომეცით ძალა!
საოცარია, მეხმიანება,
ყველა მთა, ყველა გზა და ბილიკი;
შენგან თვალები ისე ამება,
ათასი მტრის წინ ვდგავარ პირისპირ!
თითქოს ეს მთებიც ჩვენთვის გაიხსნა,
თითქოს გულმკერდი გადაიღეღეს,
მწვავს მხურვალება შენი კანისა,
ვთვრები და ზღვებიც ვერ მაფხიზლებენ!!!

ეს მე მომიწყო ბედმა გამოცდა

ჰო, ლამაზი ხარ, მაგრამ რა მოხდა,
სხვებიც ბევრია დღეს შენისთანა,
ეს მე მომიწყო ბედმა გამოცდა
და შენი თავი გამომიგზავნა...
გვერდზე გადავდე მეც სიამაყე,
ძველი ფიქრები და ოცნებები,
ასე მგონია შუბზე ამაგე
და მეც სიცოცხლეს ვემშვიდობები...
მაგრამ სიკვდილი სანამ წამიყვანს,
სანამ მიკეტავს ბოლო დარაბებს;
ხომ არ დაგვეწყო ისევ თავიდან,
რაც ერთხელ უკვე შემოგთავაზე?!

როგორი სიზმარია?

ავდექ, ხმალი ამოვწვადე,
შერჩენოდა ნამუსრევი;
ნაღვერდლებში გამოვწვართნე,
სისხლიც მოვცხე ცოტა ჩემი.
მუზარადი გადმოვიღე
ფარ–აბჯარში მოვისარკე,
შევარდნული თვალი ვკიდე,
მტერს და ვეცი ბრძოლისაკენ!!!
გადავჭერი ვისაც მივწვდი,
ჟღრიალებდა ჩემი ხმალი,
მე ვიბრძოდი სიცოცხლისთვის,
სიკვდილისთვის მტერი ხამი...
და მასხამდა სისხლი ყელში,
გავკიოდი, რატომ, რისთვის?!!

რას მომვარდა მტერი გრესლით,
გამვსებოდა გული რისხვით!!!
შენი რატომ არა გყოფნის?
თავთავივით ვლეწე, ვკაფე,...
მოვიწმინდე შუბლზე ოფლი
და გავწიე წყაროსაკენ!!!

სიტყვას დაეკარგა ფასი

რაღაც უცნაური დროა,
სიტყვას დაეკარგა ფასი...
ციდან ტყუილების გროვა
თავზე წარამარა მაწვიმს...
უნდა დავიცადო ისევ
სანამ სიყვარული მოვა,
სანამ კოშმარეულ სიზმრებს,
მჩუქნის მეზღაპრეთა ხროვა...
ვფიქრობ, ნეტა, რისთვის გავჩნდი,
თუ ვერ ვეხმარები მოძმეს,
რისთვის იბადება კაცი,
მხოლოდ იმისთვის რომ მოკვდეს?!
მათთვის საარაკო ჟამი
ეჭვებს ძაღლებივით მიქსევს,
ჩემი არაფერი არი,
ყვავებს დაუპყრიათ სივრცე.
ყველა წყაროები დაშრა,
მე რომ მარწყულებდა გუშინ,
ნავზე მომიგლიჯეს აფრა,
გული გადამიგდეს ჭუჭყში...
წამი დამიმძიმეს ისე,
ვათრევ, მაგრამ ვეღარც ვათრევ,
როგორც გოლგოთისკენ ქრისტე,
როგორც დამარცხების მაცნე!!!

ან ვინ იცის?

სიზმრად ვნახე, მომცემოდა
ქარის ჟინი, ზღვების ძალა,
ბინა მთვარის დისკზე მქონდა,
ვარსკვალების მყავდა ფარა...
ყველაფერი, ყველაფერი,
ჩემი იყო, რაც ცაშია...
მხრებზე მესხა ცის ნათელი
ტანს მემოსა კავკასია...

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
სურვილები, ოცნებები,
არწივივით ვშლიდი მკლავებს,
ვბობოქრობდი, როგორც ზღვები...
მაგრამ, როცა ღამე ჩაქრა,
და მზის სხივმა გამაღვიძა,
შენ მედექი სასთუმალთან,
და მიმზერდი წყნარად მძინარს...
ყველაფერში ბედი გინდა,
ჩავიქნიე ჩემთვის ხელი...
რომ იმ ჩემი სიზმრებიდან,
არ შემომრჩა არაფერი...
ღმერთის ნაცვლად ვიყავ მონა,
ფირუზ ზეცის, ზურმუხტ მიწის...
შენ კი ჩემი დეზდემონა,
თუ ნესტანი, ან ვინ იცის?..

თამუს, მეკობრეთა დედოფალს!!!

რას ველოდები? ქარიშხალს ზღვაზე,
უტოპიაა ჩემი ცხოვრება,
ღმერთი ყოფილა ნაღდად მეზღაპრე,
თუმც რას გვიპირებს არ წამოსცდება!
ბედნიერება ზღვების ქაფია,
და ოქრო–ვერცხლში ტყუილად ეძებ;
რა გვრჩება ხელში, ეპიტაფია,
ყველას, სულ ყველას, სიცოცხლის შემდეგ!
უკვე მზადაა ჩემი ხომალდი,
ჩატვირთულია წყალი და ღვინო,
რათა მომავალ შემოდგომამდის,
გემზე მეკობრემ არ მოიწყინოს!
გინდა, გამომყვე ზღვაზე დედოფლად,
გინდა, ისმინო ოქროს ჩხრიალი,
და დაიბადე რადგან მეკობრად,
უნდა ისწავლო დანის ტრიალი...
ჩვენ გავალთ, როცა ზღვა გაცოფდება,
და წარღვნის სუნი დატრიალდება,
ნაძირალათა ჯარი მომყვება,
სხვათა საუნჯის დასატაცებლად!
ჯერ კი ქარებმა უნდა დაფაროს,
ჰორიზონტამდე ზღვის ზედაპირი,
ჯანღმა ჯანღები უნდა აჰყაროს,
ტალღამ წალეკოს მთელი ნაპირი...
იცი, ძნელია ზღვაზე სიკვდილი,
თუმცა ჯარიც გყავს, მაინც მარტო ხარ;

შენ არ იფიქრო რამეს მივტირი!
გავჩნდი და ღმერთმა ზღვა მისახსოვრა!
წამო, ავუშვათ შავი აფრები,
ისე, რომ ზღვასაც კი ეშინოდეს,
მე ყველას, ყველას ჩავუსაფრდები,
ღმერთს კი, რაც უნდა იმას ფიქრობდეს!
ოღონდ არ გქონდეს ჩემი იმედი,
თავში რა დამკრავს არავინ უწყის,
მე ყველაფერი გამაქვს კბილებით,
მე მეკობრე ვარ და სიკვდილს ვუცდი!!!

შენთან მინდა

შენთან მინდა, შენთან მინდა,
მომენატრე, იცი, როგორც,
აი, ზამთარს ზაფხული და
ციდან სხივი მწვანე ფოთოლს!
გინდა ხელზე გიმკითხაო?
ვენერას კორდს რომ ვერ ვხედავ?
ხარ სიცოცხლის წმინდა წყარო,
მოფრენილი ჩემთან მერცხლად!
როგორ მომწონს ბროლის მკერდზე,
მარგალიტის თეთრი მძივი,
დილის ნამი კულულებზე
და ტუჩებზე ეგ სიცილი...
ეს იცოდე, არასოდეს
აიყარო ჩემზე გული,
იქნებ შვებულება მოგცენ,
რამე, თუნდაც დეკრეტული...

მუზას

გთხოვ მაპატიო, რომ შენი სისხლით,
როგორც წურბელა ვიკვებებოდი,
რომ ამოგწოვე სულ მისხალ–მისხლით,
ყველა გრნობები, ყველა ვნებები...
რომ არ გინდობდი არასდროს გრამით
და გაშიშვლებდი, როგორც ვენერას,
რომ გასვი ქვეყნის დარდი და შხამი,
შეუსვენებლად, შეუჩერებლად...
რომ ქოსასავით შენთან ვცრუობდი,
რომ არ გინდობდი და გღალატობდი,
რომ მტაცებლობით, ბრძოლით, ქურდობით,
გძარცვავდი, გსპობდი, გკლავდი, გახრჩობდი!!!

გთხოვ მაპატიო დღეს ყველაფერი,
რომ დაგივიწყე და არ მახსოვხარ,
რომ ბევრჯერ ჟინით თუ მისწრაფებით
ყულფზე დაგკიდე ჩამოსახრჩობად!!!
ერთხელაც გეტყვი, გთხოვ მაპატიო,
და თუ კვლავ ბედი ხელთათმანს მესვრის...
ამათ საჯიჯგნად აღარ გაგვწირო,
არც თვითონ მე და არც ჩემი ლექსი...

დამარხულია ჩემი საუნჯე

მე არავისი არა ვარ მონა,
არც შუბლის ძარღვი არ გამწყვეტია,
არა მაქვს სული, არა მაქვს წონა,
თუმც არაფერი არ დამკლებია...
არ დამკლებია არასდროს მუშტი,
ბედი რომელსაც მიბაგუნებდა,
ბედნიერება ვით საპნის ბუშტი,
გამსკდარა, იცით მისი ბუნება...
რადგან, როგორც კი ავიდგი ფეხი
გავრბოდი თავის გადასარჩენად,
მსეტყვავდა სეტყვა, მმეხავდა მეხი,
და ბედიც ერთი ფეხით მასწრებდა...
სადღაც ჯურღმულში და უფრო იქით
დამარხულია ჩემი საუნჯე,
არც მლიქვნელობის არა მაქვს ნიჭი,
ვერც გამარჯვებას ვერა გავუგე...
და როგორც ხართან ტორეადორი,
ვიდექ და ტყვიებს გულმკერდს ვუშვერდი,
ჯერაც ქანაობს ჩემი სასწორი,
დამწვარა ჩემი ხოდაბუნები...

სილამაზე

ღმერთო, რა ყოფილა სილამაზე,
უცბად სულ სხვა მხარეს გადამაგდო,
ალბათ თავს უკვე ვერც დავაღწევ,
ვეღარ გავიჭრები სანავარდოდ!
სულზე ჩამომაცვეს ბორკილები,
ფრთები დამიკეცეს სამუდამოდ,
ნუთუ არასოდეს მომწყინდები,
ჩემო უტკბილესო საჩუქარო!!!
ვინ მეტყვის, მართლაც რა სჯობს, ნეტა,
თავისუფლება თუ სიყვარული?

იცი, ასეც ნუ ამომკეტავ,
მიყვარს გოგონების ჟრიამული...

რომ ჩანჩქერებში გარდავიცვალო

დაგორებული ლოდი ვარ მთების,
მწვერვალს მოვწყდი და ქვემოთ ვეშვები,
გამოსხმული მაქვს ფასკუნჯის ფრთები,
მოვალ, მოვლეწავ, მოვეხეთქები!!!
ხეობებისკენ ზვირთნი შხუიან,
ზოგს მე ვასწრებ და ზოგნიც მასწრებენ,
ჩემამდე ქარებს ჩამოუვლიათ,
და მეც ქარები ჩამომაფრენენ...
მოვალ, მოვამტვრევ, კლდეებს, კლდის ქიმებს,
მინდა ქვა–ღორღი ფარად ვიფარო,
ჩამოვფეთდები, ჩამოვიგრგვინებ,
რომ ჩანჩქერებში გარდავიცვალო!!!

ლარი დასხლტა წუის ჩემი შვილდისარი

თურმე ქალი დემონებიც არსებობენ,
მართლა ვამბობ, ვნახე კი არ დამესიზმრა,
თითქოს ფრთებით ოკეანეს ჩაფრენოდნენ
და ურჩხული გამოჰყავდათ ტალღებიდან...
მერამდენედ, მერამდენედ უნდა გავხსნა,
ჩემი წლებით დამტვერილი საიდუმლო,
ასე ღამე ბრძოლას იწყებს განთიადთან,
რომ თავისი ხვაშიადი აისრულოს!!!
რატომ გიკვირს, ურჩხულებთან ბრძოლას ვიწყებ,
მაშ როდემდე უნდა ხაფონ ჩვენი სისხლი,
თორემ ხელში შემოგვემსხვრა ვარდობისთვე,
ვერც სურნელი ვერ ვიყნოსეთ ცხელი მიწის!!!
გამოუშვით, დემონებო, ეგ ურჩხული,
ერთი დარტყმით წავათალო ცხრავე თავი;
მოვამტვრიო ხელი ჩვენსკენ დამუშტული,
თითქოს იყოს ძველი კახპა და მეძავი...
აზანზარებს ნაპირებს და ჩემსკენ მოდის,
წყლულებით და ამაზრზენი სლიპი კანით;
ურჩხული ხარ? მაშ, მიიღე, აჰა, მოკვდი!
ლარი დასხლტა, წუის ჩემი შვილდისარი!!!

არა ვტყუი, დამიჯერე, ვგიჟდები

ვერ დავუსხლტი შენს სიყვარულს, ძვირფასო,

და როგორც ვგრძობ თავს ვერაფრით დავიხსნი...
გთხოვ, მორევში მაინც არ ჩამიტაცო,
არ ვიყავი, არა, ჯერ მზად ამისთვის...
გეღიმება, გეღიმება, კი, ვიცი,
რომ გიხდება ეგ ღიმილი საოცრად...
ახლაც რადგან დაგეჯახე პირისპირ,
ყველაფერი სულ თავისით წამომცდა...
არა, არ ღირს, ნუ მიყურებ თვალებში,
არა ვტყუი, დამიჯერე, ვგიჟდები,
ყველაფერი მოხდა რაღაც წამებში,
დრო სად მქონდა რაიმეს გაფიქრების...
და არც ვიცი, იქნებ უკანასკნელიც,
არის ჩემთვის ასეთი გატაცება,
არა გჯერა, მაინც მეკამათები...
მე კი ლამის გამათავონ განცდებმა!!!

ხათო

იცი, ძვირფასო, ზოგჯერ სიცივეს,
ისეთ სიცივეს ვიგრძნობ,
თითქოს ტყუილზე გამომიჭირეს,
წვიმით გამლუმპეს თითქოს...
როგორ არ მიყვარს ეს ცივი შხაპი,
გულს რომ თოვლითა ფარავს,
და მეც იმწამსვე დიდი სისწრაფით
ვეძებ სიცივის წამალს...
იქნებ შენ მითხრა, რად მეორდება,
ეს საშინელი წამი,
რისგან შედგება ჩვენი ცხოვრება,
თაფლს რატომ სჯაბნის შხამი...
და მართლაც, მართლაც იქნებ შენ მითხრა,
თუ ჩამოხსნიან ნიღაბს,
რატომ ატყდება ხალხს მისი რისხვა,
რისხვა ეკუთვნის ვისაც...
მსურს გათოშილი გული მაჩუქო,
გული ქცეული ნისლად,
ან ეგ თვალები შემომაშუქო
და სიკვდილისგან მიხსნა!!!

ვითვლი უკანასკნელ წამებს

როგორც სისხლიანი მთვარე,
როგორც განწირულნი ზღვაში,
ვითვლი უკანასკნელ წამებს,

წამებს გაფრენილებს ქარში...
ჩემი სურვილების ტყვე ვარ
სანამ მივაღწევდე მიზანს;
შენსკენ მოვაგელვებ მერანს,
როგორც გამოტყორცნილ ისარს...
ყველა მოგონება შენთვის,
შენთვის დამითმია ახლა,
ცხელი ვულკანების ფერფლი
ქუჩას ნაცრისფერში ხატავს...
დიდმა სიყვარულმა მუდამ
დიდი სინანული იცის...
თურმე ვარსკვლავებიც სწუხან,
მზისთვის გაუღიათ სისხლი...

ერთხელ ტკბილად გამიღიმო

რომ იცოდე, შენით ვსუნთქავ,
დღემდე შენით ვარსებობდი,
ისე გაქრი, ისე უცბად,
აღარაფრით არ გელოდი...
მე ამ დრომ და გაზაფხულმაც
არაფერი მომიტანა,
არც ყინვების დასასრულმა
არც აპრილის სხივის ძალამ...
არც ის ვიცი, ან რაიმედ
მიგაჩნია ჩემი პოვნა?
მე კი ჩუმად ამ ჩემს იმედს,
ვინახავდი ვით შენს კოცნას...
იქნებ მართლაც თავხედი ვარ,
იქნებ სულაც არ გჭირდები,
როგორც ჩიტი აფრენილხარ,
და სხვის ბაღში ჩაფრინდები!
ანდა იქნებ ჩემი ნატვრა,
მართლაც ღმერთმა ამიხდინოს,
თუ შევხვდებით და გიყვარვარ
ერთხელ ტკბილად გამიღიმო...

ვინ, ვინ შეგასხას ფრთები თავიდან?

ეს მერამდენედ დგება დაისი,
ზეცა წაშალა ისევ ნისლებმა,
საკუთარ მკერდზე ისევ დაისვი
დანა და ისევ სისხლმა იჩქეფა!!!
დაღამდა, ჩაქრა, მზე ალისფერი,

ძაძით შემოსილ მთებში ჩავიდა,
და საქართველო დარჩა შიშველი,
როგორც ამოჰყავთ ბავშვი აკვნიდან...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ჩემო სამშობლოვ, ბნელში გიხილო,
ვინ გამოგიყვანს ამ სიზმარიდან,
ასე დაცემულს და უღიმილოს...
ვინ, ვინ შეგასხას ფრთები თავიდან,
სად გაქრა რაში ცეცხლისმფრქვეველი,
რომ აღსდგე ისევ ნაპერწკალიდან,
რომ კვლავ დასძლიო დაუძლეველი!!!
ვით არაერთგზის, ვით არაერთხელ,
ავი ღრუბლები გაგიფანტია,
ხელს შეგაშველებ, რომ არ დაეცე!
და აგისრულებ, რაც გინატრია!!!

ვისი სადღეგრძელოა?

ვისი სადღეგრძელოა,
ვისა ლოცავ, ხათუნა?
შენი ტკბილი ღიმილი,
ჩემს გულს მოესალბუნა...
დღეს რამდენჯერ გეძებდნენ,
იცი, ჩემი ფიქრები?
აბა, სად მოგაგნებდნენ,
ჰოდა, ნუ გამიწყრები!
ეს ცხოვრებაც ერთგვარი
ჭაშნიკი და ღვინოა,
იშვიათად შემდგარი,
მეტჯერ სამარცხვინოა...
ზოგჯერ სამარცხვინოა,
მთელი ერის ცხოვრებაც,
თუმცა, რა საჭიროა,
ახლა შენი მოცდენა...
გამოცალე ფუჭერი,
ღვინო სისხლში წავიდეს,
დრო და წუთისოფელი,
ცოტასაც რომ გვაცლიდეს...
ყველაფერი გჯეროდეს,
მართლაც, კარგად იქნება,
დიახ, საქართველოს მზე
მაინც ამობრწყინდება!!!

სადღა არის გულები...

სულ გულები, გულები,
თანაც დამსხვრეულები.
გული ბროლის, ვარდების,
გული ბრილიანტების...
გული თოვლის, ყინულის,
გული გულს ჩაკირული...
რა უნდა ქნან გულებმა,
ასე სულწასულებმა...
ასე დამსხვრეულებმა,
ასე განწირულებმა...
დილას ვნახე ბაღჩაში,
ვარდი ვარდს ეუბნება,
ჩამიჯექი კალთაში
თუკი მოგეგუნება...
აუ, როგორ ეწყინა
თეთრ ვარდს წითლის ნათქვამი,
გაუფუჭდა გუნება,
თითქოს ასვეს ბალღამი.
ო, რამდენი სჭირდება
გულმა გულს რომ გაუგოს,
გულით რომ შეიყვაროს,
გულით რომ თანაუგრძნოს!
სადღა არის გულები,
გულები ერთგულები,
გულები შეკრულები,
როგორც თაიგულები...

რომ შენ გიმზერდე

ასე ვიჯდები ფეხმოუცვლელად,
რომ შენ გიმზერდე, შენით ვტკბებოდე;
წყალს წაუღია ქვეყნად სულყველა,
ჩემს გარდა, ვინც კი შენ გიცქეროდნენ...
მეც მინდა, მინდა, როგორ არ მინდა,
რომ სიყვარული გვალამაზებდეს,
როგორც ზღაპრული ნატვრისთვალი და
როგორც სიმღერა მაგ შენს ბაგეზე...
კი, მიყვარს, მიყვარს შენი სიტყვები,
კიდევ მითხარი რამე საჩემო,
რომ არასოდეს დაგავიწყდები,
რომ მუდამ, მუდამ გადაგარჩენო!
ასე მგონია შენით ინთება,
და იღიმება დილას ცისკარი,
როცა მზე ცაზე ამობრწყინდება,
და გაიღება სამოთხის კარი...

და არაფერი, მართლაც, არ მინდა,
ვუმზერდე როგორ იშლება ვარდი;
თუ როგორ ჩნდება შენი ბაგიდან,
ბგერები, გამა, მუსიკა, ჰანგი...

ასე მგონია

ასე მგონია, ასე მგონია,
უკანასკნელი მოჰიკანი ვარ,
ფრთები არასდროს არა მქონია,
მაგრამ ვხვდები, რომ შენსკენ მოვფრინავ...
შენსკენ მოვფრინავ, როგორც გავაზი,
რომ აგიწეწო ტკბილი ცხოვრება,
რომ მერე ასე თამაშ–თამაშით,
დაგახრჩონ ჩემმა ცხელმა კოცნებმა...
იცი, სახელი არც აქვს იმ გრძნობას,
რომელიც ციდან თავზე მემსხვრევა,
მე დღემდე ჩემი ცხოვრება მქონდა,
დღეს კი ვინა ვარ არ გამეგება...
ჰოდა, მოვფრინავ, გახსენი კარი,
თან ქარიშხლები მომდევს თავდებად,
რომ აგიხდინო ყველა სიზმარი,
რომელიც, ალბათ, არც დამთავრდება...
ერთი კი ვიცი, სანამ გზაში ვარ,
და გრიგალები მეალერსება,
მომწყურებიხარ ისე საშინლად,
როგორც ვულკანის ამოკვნესება...
მინდა გიხილო ისე შიშველი,
როგორც გაშლილი ზღვები ტალღებად,
დაფრთხები, როგორც დაჭრილი შველი,
და ვნება ხელში შემომადნება...

შორენას, ბიწაძეს!!!

მართლაც რა არის ქვეყნად მთავარი,
სახელმა ლამის დაკარგა ფასი...
არის კი ქვეყნად გამოსავალი,
მითხარ, ძვირფასო, ამ ქვეყანაში...
სადაც ყველაფერს ისე ჰყიდიან,
ჩალის ფასი აქვს ჭკუა–გონებას,
სადაც სიკვდილზე ისე მიდიან,
კოლიზიუმი მოგაგონდება.
თითქოს ყველა ვართ გლადიატორი,
და არენაზე გვიწევს თამაში,

წაიქცევი და წამს ვეფხვის ტორი,
მკერდს სასიკვდილოდ ჩამოგაკაწრის...
ჰოდა, მითხარი, რამდენ ხანს კიდევ,
კიდევ რამდენი უნდა ვიომო,
ვინ გამომყვება რომ გამიჭირდეს,
ან მრისხანება რით დავიოკო!!!
კი, ვიცი, ნერვებს არ უნდა ავყვე,
ვიცი, ეგ ვიცი, დიდი ხანია...
რას გეტყვი, იცი? ამ ბოლოს ვამჩნევ,
აღარაფერი არ მიხარია...

თინა ბერაძეს, სიყვარულით!

იცი, არ ვიცი, როგორ აგიხსნა,
შენს დანახვაზე რა მემართება,
ასე მგონია, გაჩნდი ვარდისგან
და ვარსკვლავია შენი პლანეტა...
ისიც გითხარი, როგორ მომწონხარ,
დამიჯერებ თუ არ დამიჯერებ,
ეს სულერთია, რადგან რომც მომკლა,
ღირს კი სიცოცხლე, მითხარ, შენს მერე!?
ერთი კი ვიცი, ვიცი, ნამდვილად,
რომ არავისში არ ამერევი,
ღმერთს საგანგებოდ დაუხატიხარ,
როგორც ზამბახი მზით ნაფერები...
ნება მომეცი, ხელი შეგახო,
რომ ვიტრაბახო მერე ათას წელს,
ჩემი ოცნების ტკბილო ვენახო,
თავს რით ვუშველო, შენ მიკარნახე!
იცი, სათქმელი ისე ბევრი მაქვს,
იმდენი რამე მინდა გიამბო,
ხან დედოფალად დამსიზმრებიხარ,
ხან მზის სხივებად საგანთიადოდ!
და მაინც, მაინც, ალბათ მეტიც ხარ,
ვიდრე სულ ყველა დანარჩენები,
ვინ თქვა, რომ გაჩნდი კაცის ნეკნიდან,
ასჯერ დავთვალე ჩემი ნეკნები...
და დავასკვენი ბოლოს რატომღაც,
თუ გაიყარა აქ ჩვენი გზები,
რომ გადავუხდი ჩემს ბედს მადლობას,
ერთხელ, თუნდ ერთხელ ხომ მაინც შეგხვდი!

ირმა

ნეტა, რა გშურს, სხვისი რა გშურს,
ასე ლამაზს, ასე ჭკვიანს,
გიყურებ და ვნანობ წარსულს
უშენოდ რომ გამივლია...
წამომყვები ცხრა მთას იქით,
გადასცურავ ცხრა ზღვას, ცხრა წყალს,
შემიყვარებ, გრძნობით, ფიქრით,
ასეთ ნაცემს, ასეთ საწყალს...
არ გეგონოს თავს გაცოდებ,
მართლაც ბევრი რამე ვნახე,
ვინ შემინდობს ამდენ ცოდვებს,
ვინ დამარქმევს ახალ სახელს...
ჰოდა, ნუ გშურს ნურავისი,
ვისაც ლექსებს ვუწერ, ვჩუქნი,
მე ვერავინ ვეღარ მიხსნის,
მე ყოველდღე მჭრიან გულში...
და თუ შენი კოცნაც მინდა,
ნუ დამძრახავ, ჩემო ტკბილო,
შეგიძლია სულ ადვილად,
ეგ ოცნება აიხდინო!!!

წადი, ბედი ეძიე!

გული შენსკენ მეწევა
ისევ შენსკენ მეძახის;
ფიქრი თუ დაგეწევა,
მქროლავს ღრუბლის პერანგში...
კარგი, ჩვენ გიჟები ვართ,
ზღვა რაღამ გააცოფა,
თითქოს შავი ფსკერიდან,
მოვარდნილა ღვარცოფათ...
ჰოდა, შენი სხეული
მინდა ტალღებს გავტაცო,
მინდა განრისხებული
ზღვა რომ შევაბარბაცო...
შენ კი ჩემგან მალულად,
მეკობრეებს მიჰყვები,
ზეცა გადაფარულა,
კუნაპეტი ნისლებით...
წადი, ბედი ეძიე,
მე კი ზღვას მსურს მივბაძო,
თუ კი ვერ დაგეწიე,
ნუ დამძრახავ, ძვირფასო!!!

შენ ნიავი მინდა იყო

მე სადა მაქვს იმის ძალა
შენ წინ ჩუმად თავსა ვხრიდე,
მე თუ რამე შემეშალა,
როგორ ფიქრობ, შენ დამინდე?
აპრილია, ბაღებს თეთრად
ათოვს ტყემლის ყვავილები,
ქარიც წყნარად დგას და პენტავს
ტყემლის ფურცლებს დაჟინებით...
შენ ნიავი მინდა იყო,
მე გიწევდე, გრიგალობას,
გაგიტაცო, შორს წაგიღო,
სადაც მთვარე მზესა ლოკავს...
სადაც სხივებს ნამი უყვართ,
ვარდის ფურცლებს დანამული,
ლეღვი სიტყვას გადაუკრავს
და წაუვა ატამს გული...
მთელი ღამე ვლოცულობდი
სანთელს შერჩა სუნთქვა ჩემი,
და კრთებოდა ხატზე თრთოლვით,
ანგელოზი თეთრი ფრთებით...
შევცქეროდი მე შენს სურათს,
ვარსკვლავები ისხდნენ ცაზე,
ნახე მთვარემ სად გასცურა,
ჩვენს ნაღვლიან სიმღერაზე...

ის რაც მსხვეპლს ითხოვს...

იქნებ არც ღირდეს,
იმ ყველაფრის გახსენება,
იქნებ არც ღირდეს,
იქნებ ჯობს მივყვეთ
კარგსა და ავს,
როგორც ბუნება...
და ეს ფერებიც
დღეს რომ მოგვწონს
გადაგვივიდეს,
სულ სხვა ფერები
მოიტანონ გაზაფხულებმა...
ვიცი, რომ გინდა
მიაღწიო რაღაც უმაღლესს,
ის რაც მსხვერპლს ითხოვს,
რაც არ მოდის ასე თავისით,
მაგრამ გახსოვდეს,

რომ ამ გზაზე ცოტას უმართლებს,
რადგანაც მუზამ
სიბრალული რაა არ იცის!!!
ის ველზე გტოვებს,
ის კი თურმე დანაღმულია,
გაივლი, ვითომ,
ამ ჯოჯოხეთს აუფეთქებლად,
მხოლოდ რჩეულებს,
ღვთის რჩეულებს,
ალბათ, სჩუქნიან,
მას, რასაც ჰქვია,
ჯადო სიტყვა,
შემოქმედება...
რაც გავლილია,
გახსენებად იქნებ არც ღირდეს,
იმ ყველაფერმა ჩაიარა,
მორჩა, გათავდა...
გაქრა ის ძველი იმედები,
ახალს დაგპირდე?
მაგრამ, მგონია,
რომ საოცრად შემომაღამდა...

ანუ წავიფილოსოფოსე...

არსებობს ქვეყნად რაიმე განძი,
რაიმე განძი სიცოცხლის გარდა...
ალბათ მუსიკა, ამბობს მოცარტი,
თუ პოეზია, ამბობს პეტრარკა...
აი, რაფაელს ვკითხოთ რას იტყვის,
წყნარად იკითხა მიქელანჯელომ,
ალბათ მხატვრობა არის მხატვრისთვის,
გაიღიმა და თქვა რაფაელომ...
მაშ ოქრო–ვერცხლი, ბრილიანტები,
ზურმუხტი, ლალი, ძოწი, ფირუზი?
კი, საუნჯეა, მაგრამ ეგ ჩემთვის,
წინ გამოვიდა ვიღაც ინდუსი...
თოთო ბავშვისთვის ალბათ ალერსი,
დედისთვის ჩვილი, მიკრული მკერდზე,
ზღვებისთვის წყალი, ზევსისთვის მეხი,
მზისთვის სხივები და ასე შემდეგ...
მაგრამ სიცოცხლე? სიცოცხლე, მითხარ,
არ არის განძი? ვის შევეკითხო?
არა მგონია, რადგან ის დიდხანს,
ყველაზე დიდხანს სიკვდილზე ფიქრობს!!!

...

ხალხით დაცლილს მივუყვები ქუჩას,
რაღაც ქილას ვაჟღრიალებ მტვერში,
ქუჩის ბოლოს მთვარეს ვამჩნევ ლურჯად,
მის მეტს აბა ვისღა სცხელა ჩემთვის...
ეს დუმილიც თავს მეფრქვევა ისე,
თითქოს ვიყო საბოლოო მგზავრი,
უფრო კარგი, ჩემთვის ღიღინს ვიწყებ,
აღარაფერს აღარა აქვს აზრი...
ჩემს ფიქრებზე ტუჩს იბზუებს მთვარე,
თითქოს მისი ქირქილიც კი მესმის...
დასაცინად ვერ მიმეტებს ღამე,
იცის, მაინც ვეღარაფერს შეცვლის...

ჭირიმე და გენაცვალე

ლექსს ვწერდი და
გამაჩერა ვიღაც გიჟმა,
მომივიდა წერილი,
რომ გადავწერო უნდა ათჯერ...
კიდევ ათზე გავამრავლო,
სულ იმდენჯენჯერ
თუ რა ხნის ვარ,
ანუ, იცით, რომ დავფიქრდი,
ალბათ, სადღაც მილიარდჯერ...
დამავიწყდა რაზე იყო,
ლექსი იმწუთს
რაზე ვწერდი,
რას ვერჩოდი ტყუილ–მართალს,
რა ჯანდაბას ვაბრალებდი.
კრებაარ, ახლა კიდევ,
მეზობლები მეძახიან...
ანუ მუზამ ვარდის ეკლებს
თეთრი ფრთები შეახია...
სწორედ მაშინ,
როცა ჩემთვის
იხსნებოდა თითქოს სივრცე,
სადაც თავს ვგრძნობ
როგორც თევზი,
სადაც ახალ სუნთქვას ვიწყებ...
სადაც მე ვარ
თვითონ ღმერთი
და ვერავინ ჩამერევა,

მსურს ვიქცევი დილის ნამად,
მსურს ვარსკვლავა ფანტელებად...
და ვერავინ ამ სივრცეში
ხმას ვერ გამცემს უბატონოდ...
აქ მეფეა ჩემი ლექსი,
მე კი მისი მუზა მხოლოდ...
ჰოდა, ვისაც ასე ტკბობა
ღირსებია ცხოვრებაში,
მას არ გასცვლის არაფერზე,
არც ღვინოში,
არც ქალებში...
და ნუ მიწყენთ,
თუ კვლავ წუთით,
ამ ჯამბაზებს გავეცალე,
მიყვარს როცა ამ წამს ვუცდი,
მიყვარს როცა ავდევ ქარებს...
მინდა, მინდა მზედ რომ ვიქცე,
მივცურავდე ქართლის მხარეს,
სადაც უყვართ ორი სიტყვა,
ჭირიმე და გენაცვალე...

ახალ ამორძალს

იქნებ შენ მითხრა, იქნებ შენ იცი,
რისთვის იბრძოდნენ ამორძალები...
რად მოიკვეთეს ძუძუ შიგ ძირში,
რატომ ეჭირათ ხელში ფარები...
რატომ ეჭირათ ხელში შუბები,
ან რად არჩიეს ბრძოლა ქალობას,
ან რას მღეროდნენ მათი ტუჩები,
როცა ომებში მიუხაროდათ...
ან რასა გრძნობდნენ, როდესაც მათი
დაშნა კაცის გულს ფლეთდა, ფატრავდა;
რითი ცხოვრობდა მათი ბანაკი,
სანამ რიჟრაჟი არ მოატანდა...
ვისა ჭორავდნენ, ვისზე ხარჯავდნენ,
იმ მოზღვავებულ გრძნობებს ქალები,
ან რა ეკეთათ, თითზე, მაჯაზე,
სამკაულები თუ ბორჯღალები...
ახლა სხვა დროა, ახალ ამორძალს
ძუძუმოკვეთილს ვეღარ იხილავ,
თუმც აბარებენ ისევ გამოცდას
და ძველებურად უყვართ სისხლისღვრაც...
იმასაც ვიტყვი, დღეს ბევრად მეტნი,
მეტნი არიან ამორძალები,

ისევ იბრძვიან იმავე ცეცხლით,
როგორც სპარსები თუ ოსმალები...
მე კი არ მინდა, რომ დაისაჯოს,
მათი მკერდი და მათი ქალობა,
რომ ძუძუმ მხოლოდ ძუძუდ ივარგოს,
რისთვისაც ღმერთმა ის უწყალობათ...
შენ კი, ლამაზო, ქერა ასულო,
ამორძალობა რისთვის ისურვე,
ღირს კი სიცოცხლე რომ დაასრულო,
თუ სურვილები არ აისრულე!
განა, არა სჯობს, ამორძალობას,
ძუძუს მოკვეთას ისევ დედობა?
ვაჟიანობა, ქალიანობა,
და ერთი ვინმეც ქმრად და მეგობრად?!

დილის ზეცას ანუ დილა მშვიდობისა

შენ გაზაფხულის შემოსვლით ტკბები,
მიწას უგზავნი ციურ მანანებს,
და წვიმის სველი, გაშლილი თმებით,
არწყულებ ქედებს და იალაღებს...
და ყვავილებიც მილიარდობით
თითქოს ყიჟინით გეგებებიან,
რომ დილა მოდის და მზე ამოდის,
რომ ყოველივეს ფრთები შესხმია...
ასე თენდება მშვიდობის დილა,
ჩემს უსაყვარლეს საქართველოში,
ვარდის ფურცლებზე ცის ნამი ბრწყინავს,
მთები ჩანჩქერებს თეთრად ჩამოშლის...
და ეღიმება მიწას თუ ზეცას,
კვლავ უსათუთეს ნაზი ღიმილით,
სადღაც არწივმა ფრთები დაკეცა,
სადღაც ირმების ისმის ყვირილი...
ვისა აქვს ზეცა ასე უბადლო,
ასე ლამაზი, ასე ბრდღვიალა,
მაშ, საქართველოს მზეს გაუმარჯოს,
და მიწას თავის ირმებიანად!!!

ბედი

ჯერ ჩემი ბედის თეთრი ხომალდი
ჩემსკენ მოცურავს, ისევ გზაშია...
ალბათ მოაღწევს მაინც ჩემამდის,
ნაღდი თუ არა, იმიტაცია...

იქნებ ყოველდღე უნდა მელოცა,
მერისხებინა უნდა ზარები,
რომ მის მოსვლამდე მაინც მეცოცხლა,
თუნდაც ათასწლის დაგვიანებით...
ბედი დაგვყვება დედის საშოდან,
ხან მომღიმარი, ხან კი ჯალათი...
ბედს არ სჩვევია, ალბათ, დანდობა,
მას ბევრად უფრო მოსწონს ღალატი!
როგორ სწრაფია წუთისოფელი,
თვალების ერთი დახამხამება,
ბედნიერების უარმყოფელი,
ეშმაკის ჩვენზე ახარხარება...
სად ჰკვალავს ჩემი ბედის ხომალდი,
რომელ გრძედსა და რომელ განედებს?
მე მძევალი ვარ ჩემი მომავლის,
შენ კი, რატომღაც, თავს არ მანებებ!!!

ზღვა

მიყვარს როცა ზღვები ღელავს,
როცა ტალღა ურტყამს ტალღებს,
როცა ზღვებზე ბედისწერა
ახალ–ახალ ხიფათს ბადებს...
როცა კუნძულს, როგორც მძევალს,
შტორმი ესვრის თავის ბადეს
და გემებსაც ქარიშხალი
ნაფოტივით ათამაშებს...
ელვა–მეხზე ზღვა რომ კრთება,
ვით ქალწული სატრფოს ხმაზე,
როცა კლდეებს ეხეთქება
ზღვის ტალღათა სიგიჟმაჟე...
მიყვარს, მიყვარს ამ ველურთა
სიდიადე, ჰარმონია,
რომ ზღვას ბედი წამებულთა,
თავიდანვე დაჰყოლია...
ჰოდა, ისიც ღელავს, იბრძვის,
კვალს არ ტოვებს თავის გზაზე,
რომ თავისი ქარიშხლისთვის,
ისიც იყოს ვნებით სავსე...
და მზის გულზე გაწოლილი,
ყოველ წამებს ეხარბება...
როგორც ხმალი ამოწვდილი,
როგორც ჟამთა ელვარება...

იქნებ მსხვერპლი ვარ

იცი, ოტელო არა ვარ მართლაც,
არც წყურვილი მკლავს ძალაუფლების,
არც ადვილია დღეს ქალზე გათვლა,
ან სილამაზეს რას მიუხვდები...
მე მიმზერ, მაგრამ იქნებ სხვას ხედავ,
სხვას ეფერება შენი თვალები,
იქნებ მსხვერპლი ვარ, რომელსაც ბედმა,
არგუნა მხოლოდ ეჭვიანები...
ან, ნეტა, მართლაც ვის ეკუთვნოდა,
ვფიქრობ, ვინ იცის, ან კი, მოგაგნებ?
რას გამოსწურავ ამ საწუთროსგან,
ჰოდა, მეც ვიცდი მზის ამოსვლამდე...
ისე კი მინდა, მინდა გიხილო,
ან იქნებ, მართლაც, მიყვარხარ კიდეც,
ყველა ოცნება, რომ გაგიმხილო,
ის ღამე ამად ხომ უნდა ღირდეს...
იცი, ქალს სულში თუ არ ჩახედე,
სილამაზეში განა რა ყრია,
არც ისე მინდა გაგითავხედდე,
ყვავილს რომ წყვეტენ და გადაყრიან...
ამ ორ ცეცხლს შუა ბავშვივით ვდგავარ,
რა კლდე–ღრეს ვეცე, როგორ მოვიქცე?
თავგზააბნეულ ოტელოს ვგავარ,
უკვე გასულა ეს ვარდობისთვეც...

მუხამბაზური სატრფიალო ანუ ორივეა, რა... (თ.ბ.)

შენ რომ ახლა ჩემთან იყო,
ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა,
ჩვენი ტრფობა შემდგარიყო,
მოკლულიყო ჩვენი ვნება.
ეჰ, სადაა სამართალი
ქვეყანაზე, თორემ, ალბათ,
აბა, რაა დასამალი,
თუ დაედე ამ გულს წამლად...
თუ ყოველწამს მაგონდები,
და სინანულს გავურბივარ,
ციხე ვიყავ, ალბათ ხვდები,
სილამაზეს ავუღივარ...
თუმც ასეთი დამარცხება,
ნეტა, ვის არ უნატრია,
უკრაინა ჩემთვის ეხლა
სტალინური გულაგია...
აბა, მანდ რა ჩამოაღწევს,

დაკეტილა ყველა გზები,
გულზე შენი სევდა მაწევს,
მენატრები, მენატრები...
ვტიალდები, სმასღა ვასწრებ,
ჩამოვცალე ჯიხვის რქები...
ან უშენოდ როგორ დავწვე,
ფეხზე მძინავს, გეფიცები!!!

ნუკრის

ნუკრი, შენც შველის სახელი გქვია,
ასე მგონია, რომ ჰგავხარ კიდეც...
ბარში ირმები რად ჩამოდიან,
იქნებ შენ მითხრა, რა უჭირთ ირმებს...
რადა ტოვებენ კლდეებს ციცაბოს,
რად მოჰყვებიან მთების ნაპრალებს,
გაზაფხულამდე რომ არ იცადონ,
ჩვენამდე გზები ვინ მოასწავლეს...
ან კაცთან მოსვლას რა აბედინებთ,
კაცი ხომ მათი ძველი მტერია,
ლამაზებს, მთებთან ჯვარდაწერილებს,
ბარში, ვინ იცის, რა უწერიათ!!!
მართლაც ვინა ვართ, მითხარ, რანი ვართ,
ნუთუ მგლებზეც კი უარესები?
ვინ გაუძღვებათ უკან ბარიდან
მთებისკენ, ვითომ, ჩვენი მწყემსები?
ვაის გაექცნენ, ვუის ელიან,
თვალცრემლიანი დგანან ირმები,
და მართლაც, ალბათ, საკვირველია,
გადარჩებიან? რომ დაფიქრდები...
ეს იგივეა, რომ შენც გესროლონ,
რომ შენც გამოგჭრან ყელი ამ დროში...
არ შემიშინდე, ირმების სწორო,
მეც ხომ მგელი ვარ, კრავის სამოსში!!!

სულ არ მენახე

რა მოხდებოდა რომ არ მენახე,
სულ არ მენახე, რა მოხდებოდა,
ასე მგონია სული შემახე,
სული, რომელიც ასე გშვენოდა...
მაგრამ არ ვიცი რა მემართება,
მაინც დავდივარ თითქოს უსულოდ,
რადაგანაც ვიცი, ასე არ ხდება,

ყველა ოცნება რომ აისრულო.
არადა, როგორ დიდხანს გელოდი,
არადა, როგორ მენატრებოდი,
იცი, უშენოდ საქართველოთი,
მე ბევრად უფრო მაგრად ვტკბებოდი!
ახლა რა, თითქოს ომში დავმარცხდი,
თითქოს წამართვეს რაც რამ გამაჩნდა,
და სული ჩემი, როგორც წარმართი,
შენს სიყვარულზე ალაპარაკდა...
ვინა თქვა, თითქოს, რომ ტრფობის დროა,
რომ ბედი ახლავს ყველა თარიღებს...
რომ სული შენი ის ხარაჩოა,
მე რომელზედაც უნდა ავიდე.
მაგრამ, ძვირფასო, მე კარგად ვიცი,
ამ ჩემი ბედის გაკვეთილები;
რომ გადმომაგდებს მწვერვალის ძირში,
მე კი ვარსკვლავებს ვეპოტინები...

წვიმს, ცივი ქარი სახეს მისველებს...

ის ლამაზია, ჰო, ლამაზია,
შენც ლამაზი ხარ დილის ვარდივით...
ჩემს სიტყვებს ალბათ გროშის ფასი აქვს,
და დროც მიაფრენს ქარიშხალივით...
მაგრამ, ვინ იცის, ვისი ბრალია,
ამ ვერაგული დროის ჭენება,
მე უკვე არსად მიმიხარია,
დაყრუვდა, მოკვდა ბედნიერება...
რაა მიზანი უსამშობლოოდ,
ან რა აზრი აქვს იმ გამართლებას,
თუ შენი ხალხი ნაღველში ცხოვრობს,
და წასვლა იქცა კვლავ პანაცეად...
წვიმს, ცივი ქარი სახეს მისველებს,
ფეხათრეული ქუჩას მივყვები,
ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე,
ცხადად ვიგრძენი გულზე თითები...
მკერდიდან გული ვინ ამომიღო,
ის გასკდომამდე იყო მისული...
შიგ წვეთი სისხლიც კი აღარ იყო,
გული აღმოჩნდა გამოფიტული...

პასუხი არ მაქვს

მუდამ სიყვარულის ხასიათზე ვერ იქნები,

ვერც სინანულისაზე, ალბათ,
ამიტომ ტყუილად მეკითხები,
პასუხი ნამდვილად არ მაქვს...
მგონია წარსულში დამაბრუნეს,
გაძარცვულ ქალაქში დავალ,
დავეძებ, ახლობლებს დაკარგულებს,
ვერა ვცნობ, ვერა ვცნობ ქალაქს...
შენობებს დამწვრის სუნი ისევ ასდის,
კვამლი ყველა მხრიდან ხრჩოლავს,
ხეებს ფოთლებიდან სისხლი დასდის,
აზრი აღარა აქვს ბრძოლას...
თვალებს ვხუჭავ, ვახელ, ისევ ვხუჭავ,
აქ აღარაფერია ჩემი...
ჩემს წინ, თითქოს, ტირის, ტირის ქუჩა,
მე კი გამშრობია ცრემლი...

თვალები

არ ვიცი, როგორ იტყოდნენ სხვები,
შენ რომ უყვარდე მათაც ჩემსავით,
ჩემს დანახვაზე კვიცივით ფრთხები,
მე კი ჩემს მხრებზე უხმოდ შეგვსვამდი...
და ალბათ ასე მოგატარებდი,
ყველა მიწას და ყველა ქვეყანას,
რომ გახელილი შენი თვალები,
ჩემი კითხვებით არ დამეღალა...
მე შევიყვარე შენში სიმართლე,
დღეს, ვის, ვისღა აქვს ასეთი მზერა,
შენი თვალებით წყვდიადს ვინათებ,
და ყველა შენი სიტყვისაც მჯერა...
და რა მაშფოთებს, ან რა მადარდებს,
გაგეცინება, რომ გითხრა ნაღდად,
სიკვდილის მერე მაგ ლამაზ თვალებს,
ვეღარასოდეს რომ ვეღარ ვნახავ...

აქ ჩემი ცაა, ჩემი სახლი და ჩემი კარი...

კი, საქართველო თითქოს თვალწინ დამინამცეცეს,
მე კი სამყარო მთლიანობად მინდა აღვიქვა,
შევინარჩუნო წიანაპრებმა რაც მიანდერძეს,
და არც არსებობს ჩემთვის სხვა მზე, სხვა გალაქტიკა...
აქა ჰყვავიან გაზაფხულზე ჩემი ვარდები,
აქ ჩემი ცაა, ჩემი სახლი და ჩემი კარი...
აქ არის ჩემი სამლოცველო, ჩემი ტაძრები,

და თუ საფლავი მეღირსება, ისიც აქ არი!!!
არ ვიცი, იქნებ, ჩემს მიწაზე ბევრად ლამაზი,
უკეთესებიც არსებობენ სხვაგან მიწები,
მაგრამ აქ არის ჩემი მცხეთა, ჩემი არმაზი,
ის ყოველივე თუ კი რამ მაქვს დასაფიცები!
მე უამათოდ სიხარული არ შემიძლია,
მე ჩემს საფლავზე, შესაძლოა, დოღიც გავმართო,
მე ჩემი მიწა, წინაპართა სისხლად მიცვნია,
და ყველა როლი მე აქა მსურს გავითამაშო!
ვერ ვიტყვი, როგორ, რა ჯაჭვით ვარ ამ ცას მიბმული,
ეს წყევლა არის თუ დალოცვა ვერც ამას ვიტყვი;
ეს მიწა ოთხმხრივ ჩემი სულით გადატიხრული,
სწორედ ჩემსავით, ცოცხლობს, ფეთქავს, კვდება და იბრძვის!!!

უკვდავება ანუ სიკვდილი

მე აღარ მომწონს ცხოვრება ჩემი,
უკვე ყველაფერს წარსული ფარავს,
თითქოს ჩამორჩა სხვებს ჩემი გემი,
უხმოდ ვშლი გუშინ აწყობილ კარავს...
არ მენანება, რაც იყო, იყო,
ნაცნობ სახეებს ვიხსენებ მშვიდად,
გამინაწილა ვინც თავის სითბო,
ვინც გულში მუდამ თავისად მთვლიდა.
თუ იცი, რისგან შედგება წლები,
სიხარულისგან? სიყვარულისგან?
რა გვენანება, როდესაც ვკვდებით,
ვინ წონის ცოდვებს, მისხალ და მისხალ...
სატანა? ღმერთი? ან იქნებ სულ სხვა,
ვისი სახელი არც კი გვსმენია,
ვინც წლები ჩვენი გულგრილად ფურცლა,
და გადაფურცლავს რაც დაგვრჩენია...
დროება წაშლის იმ ძველ თარიღებს,
ჩვენ რომ მოგვწონდა, ჩვენ რომ გვიყვარდა,
მართლაც ვერაფერს იქ ვერ წავიღებთ,
როცა სიკვდილი მოვა ტიხართან!!!
ერთ დროს ხომ ენთო ჩვენი სანთელიც,
ზოგჯერ ბრდღვიალა, ზოგჯერ მბჟუტავი,
გაქრება ალბათ ბევრის სახელიც,
ვისაც ეგონა თავი უკვდავი...
ან კი არსებობს, ჰო, უკვდავება,
რა რჩება ჩვენი სიკვდილის მერე,
როცა ცა შავად დაიფარება,
და დაგვიკრეფენ გულმკერდზე ხელებს...
რა რჩება? გეტყვი, მარადიული,

მარადიული სიბნელე მხოლოდ,
ამაოება, როგორც ყინული,
რომ უკვდავება სიკვდილში ვპოვოთ!!!

მარტოობა

ვიცი, ტყვე ხარ გრძნობების,
მარტოობა გაშინებს,
არავის ელოდები,
არავინ შეგარჩინეს...
შენი მზერა ნაღვლიან
სარკეს შეეყინება,
კედლებს ფარშევანგიანს
განახლება სჭირდება...
მოჩანს ძველი სარკიდან
ცრემლის ნაკადულები,
და დამჭკნარი ვარდიდან
ცვივა თეთრი ფურცლები...
ვისი იყო ცხოვრება,
ფიქრობ, ვერ აგიხსნია,
შენი დღე და მოსწრება
გზებს გაჰყურებ ნისლიანს,
მთვარის გასაოცებლად
მკერდი გადაგიხსნია...
მაგრამ კარგა ხანია,
ის არავის მასპინძლობს,
ჭკნობის პირზე არიან
ეგ ორივე აკიდო,
შემოდგომის ბრალია
ყოველივე რაც იყო,
ბევრსა ფიქრობ ძალიან,
დაკარგულა სასიძო...

ვიღაც მღერის თავისთვის

ვიღაც მღერის თავისთვის,
მე კი ჩემი მგონია,
მის მაგიერ განვიცდი,
რაღაც მელანქოლიას...
ის კი მღერის, არ იცის,
რომ მე კედლებს ვეხლები,
რომ ჩემს სულში ქარი ქრის,
ბევრად თავგამეტებით...
ვიცი, ეს ყველაფერი

მისთვის წუთიერია,
მე კი გულში გაჩენილ,
ბზარებს ვერ მოვრევივარ...
მღერის, მღერის, მისი ხმა,
მიქრის, მიიკლაკნება,
მკერდზე ვერცხლის თილისმა,
ქრება და იკარგება...
ვეღარ ვუძლებ, წავედი,
ის კი ფრთებსა მთავაზობს,
ისე ვარ ნაწამები
ყველაფერზე ვკამათობ...
სადაც უნდა წავიდე,
ბედი უკან მომყვება...
მთვარე ღრუბლებს ამშვიდებს,
მზე ბრაზობს და ცოფდება...

მოდი, გაჩუქებ ტკბობის ფიალას...

მოდი, გაჩუქებ ტკბობის ფიალას,
და ვეღარასდროს ვერ შემეშვები,
ჰო, რომ იცოდე, თავფეხიანად,
ჩემს ოცნებებში გადაეშვები...
ტანთ ყვავილების კაბა გეცმება,
თმებში ჩაწნული პეპლის გვირგვინი,
წინ მაყრიონი შემოგეყრება
სიხარულის და თრობის ყიჟინით!!!
შენ ტახტრევანზე ვით ლეოპარდი,
დამშვიდებული დილის ზღვასავით,
ვით საზეიმო ჰანგი მოცარტის,
ამობრწყინდები, როგორც ვარსკვლავი...
თუ გამიმართლა, ღიმილს მაჩუქებ,
თუ შემიყვარებ, ჩემი იქნები,
ამოგიკოცნი თაფლიან ტუჩებს,
და სიყვარულში გამოგიტყდები...
რომ მნათობებმა, როგორც ბავშვებმა,
ხელი ჩაჰკიდონ, წრეში ჩაებან,
რომ გადმოგვედოს ჩვენც აღტაცება,
და დაგვიჩოქოს წინ უკვდავებამ...
მოდი, არასდროს არ გაგეყრები,
შენი ვიქნები კუბოს კარამდე,
მოდი, ვარსკვლავებს ხელით შევწვდები
და შენს გულმკერდზე ჩუმად დავაბნევ!!!

თამუნა თაას!

დაღამდა და რატომღაც
შეიცვალე პროფილი,
შენი სუნთქვა გამომყვა,
წმინდა, პირველყოფილი...
ხშირად ვფიქრობ, ვინა ვართ,
ვინ გვბადებს და გვაცოცხლებს,
შენ ხმას გულში ვინახავ,
როგორც ტკბილს და ახლობელს...
მიყვარს, როცა მამშვიდებ,
როცა თაფლად მედები,
თუ ოდესმე დაგჭირდე,
მეც ყველაფერს ვეცდები...
მართლაც განა რა გვინდა,
თითო სიტყვა გულიდან,
მოწყვეტილი ბაგიდან,
ცოტაც სიყვარული და
ცოტაც ვინმე გამგები,
აი, გრძნობაც თუ გინდა
და ნუ დამეკარგები...

სევდა

სევდა ჟანგივით მხრავს,
რომ აღარაფერს მწერ,
რატომ მარიდებ თავს,
მითხარ, გაფიცებ მზეს...
ღამე ვარსკვლავებს შობს,
მთვარეს დარდები ჰკლავს,
ღრუბლებს ძუძუსა სწოვს
მზე და მარიდებს თვალს...
მივალ, მივყვები გზას,
ზურგით მივათრევ ბედს,
ვეჩურჩულები ქარს,
ნუ მომიგზავნის მგლებს...
სად გაექცევი მტრის ხელს,
თოკით მიმაბა ცას,
მესვრის მოწამლულ ისრებს,
ცეცხლს მიკიდებს და მწვავს...

მარადისობად მიქციო წამი

მინდა, რომ შენი ისევე მწამდეს,
როგორც ბავშვს დედის, როგორც მზეს მთვარის,

რომ მიქარვებდე ყოველგვარ დარდებს,
მარადისობად მიქციო წამი...
გიყვარდეს ჩემი გულუბრყვილობა,
გეღიმებოდეს ჩემ შეცდომებზე,
თორემ მზე დილას ისე ტიროდა,
იმისი ცოდვით მე დავიკვნესე.
არა გჩვეოდეს გამოდევნება,
მისავიწყებელ ათას წვრილმანზე,
შეხედე მტრედი მტრედს ეფერება,
ქალს კი რა შვენის, მაინც სინაზე...
გახედე ზეცას, როგორ ენთება,
ვაზს ატმის კვირტი შეჰყვარებია,
და თავის შტოებს იქით ეწევა,
სადაც კვირტები უკვე სკდებიან...
მინდა, რომ გვქონდეს ერთი მიზანი,
თუ ერთად ყოფნა გვარგუნა ბედმა,
რომ ეგ ტუჩები ალუბლისანი
მუდამ ითხოვდნენ სიყვარულს ჩემგან...

რომ საფლავები ჩვენი აქ არის

იცი, არა ვარ კაკო ყაჩაღი,
არ შევხვედრივართ არც ყვარლის ტყეში,
ვმეგობრობთ, ასე თამაშ–თამაშით,
"გული–გულს იცნობს", ამას კი გეტყვი...
მართლაც, ვინა ვართ ერთმანეთისთვის,
ან მეგობრობის კი ვიცით ფასი?
მოვკვდებით, როგორც ძველად რწმენისთვის,
თავს რომ სწირავდა ასი ათასი?
მოვკვდებით, მართლაც საქართველოსთვის,
რომ ჩვენი მიწა გადავარჩინოთ?
დახვდება ჩვენს ხელს ხელი მეგობრის,
როცა იქნება, მართლაც, საჭირო?
ვიცი, ძვირფასო, ვერ მიპასუხებ,
რადგან სხვა დროა, სხვა სინამდვილე,
ჭეშმარიტება აღარ აშუქებს,
ჭეშმარიტებაც მოკლეს, გასწირეს!
მაშინ, რა არის, რომ ერთმანეთის,
გვინდა ვგჯეროდეს, გვწამდეს, გვიყვარდეს,
გადახვეულნი ვდგავართ მკლავებით,
ოთხმხრივ გაძარცვულ ამ ჩვენს მიწაზე...
იქნებ სიცრუე არის ეს ფიციც,
ჰო, ჩვენც გავტეხოთ ფიცი ღალატით,
ეს მეგობრობაც გავსვაროთ სისხლით
და სხვა ათასი დარდუბალათი...

მითხარი, არა, მითხარი დროზე,
"არაა" ახლა ჩვენთვის წამალი,
მიმღერე ისევ საქართველოზე,
მიმღერე რამე არ დასამალი...
რომ ძველებივით ჩვენც აქ მოვკვდებით,
რომ საფლავები ჩვენი აქ არის,
რომ ისევ რწმენით შევიმოსებით,
რომ კვლავ ვჭირდებით მიწას თამარის...
რომ უწმინდურნი, შვილნი მაცილის,
ვერ შებღალავენ ამ სიწმინდეებს,
რომ ძველებივით რწმენას არ ვიცვლით,
რომ ვუფრთხილდებით, ბურჯებს, ციხეებს...
მითხარი, სანამ გამსკდარა გული,
სანამ ფეთქავს და ამ მიწის სჯერა,
რომ ჯერაც ისმის ისევ ზღაპრული,
ულამაზესი ჩვენი სიმღერა!!!

ხათოს! იცი, მე მინდა კალენდარი გადავაკეთო...

შენ ალბათ ფიქრობ, რომ მე შენთვის აღარ ვარსებობ,
რომ ჩაიარა ყველა წყალმა შენსკენ მავალმა...
იცი, მე მინდა კალენდარი გადავაკეთო,
რომ ეს შენ იყო ჩემზე დიდი, მე კი პატარა...
გაგეღიმება ჩემს სიტყვებზე, ამ ჩემს ზღაპრებზე,
რომ ჩემს გარშემო ეს ცხოვრება დუღს და გადმოდუღს;
რომ გაზაფხულიც ისევ მღერის ვარდთა ჰანგებზე,
რომ უალერსებს დილის ნამი ზამბახს, მარტოსულს...
მთიდან კი რბიან ჩანჩქერები, კლდეთა ნაჟური,
თითქოს ზეციდან მოაქვთ ჩვენთვის სამახარობლო,
მითხარ, უშენოდ რატომ გადის ეს გაზაფხულიც,
მითხარი რამე ისეთი, რომ გამომაცოცხლო...
იქნებ, ნამდვილად, ყველაფერი დროთა ბრალია,
იქნებ დაჟანგდა, აღარა სჭრის ჩემი ფრანგული,;
და დღევანდელი ეს გიჟური ვაკხანალია,
ამ ღმერთს ამდენხანს ჩვენთვის ჰქონდა გადანახული...
თუმცა, ვინ იცის, მე მამღვრევს და შენ კი გამშვიდებს,
იქნებ, შენ სხვებმა მოგიტანეს ჩემი ვარდები,
და სანამ ჟამი სილამაზეს შემოგაფცქვნიდეს,
ჩემთან დაიტკბო სიყვარულის არდადაგები...

ტანგო

ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ,
გამახსენე ტანგოს სტილი,

მკერდი მკერდზე დამახიე,
ხმა გამიხდეს ჩახლეჩილი...
არ დამინდო, შემომხვიე,
ვნებიანად შენი მკლავი,
თმებს ჩაგაწნავ დილის იებს,
მთვარე გახდეს უნახავი...
ბზრიალებდეს ჭერი თავზე,
ბრჭყვიალებდეს სანთლის ჭაღი,
სინამდვილეს დროზე გავცდეთ,
გვმასპინძლობდეს ზეცის თაღი...
გადაებას ტალღა–ტალღას,
ეხლებოდეს თეძო თეძოს,
მოფრიალე შენი კაბა,
კოცონივით შემომეგზნოს...
ჩამეკარი, არ დამინდო,
როგორც რიტმი გახელდება,
რომ ეგ ტანი ისე ვიგრძნო,
როგორც ცხენი ყალყზე დგება!!!

ტანგო

ხელი მომე, გაკოცო,
შემაგებე თვალები,
ტანგომ რომ გაგაოცოს,
გიწვევ სხვა მოკრძალებით...
შენს წინ ვინც გავიწვიე,
მადნებოდა მკლავებში,
შენ ვერ შემოგიჩვიე,
ტანგოს ამ გრიგალებში...
მეშინია მოქნილი
თითების და ფრჩხილების,
თავი წინ გადმოხრილი,
კოცნა დანაპირები...
შენი ცხელი ტუჩები,
დღემდე თავგზას მირევენ,
უკვდავების წუთები,
ცისკენ მიმაცილებენ...
მიყვარს ორი სხეული
ერთ ტანად რომ იქცევა,
ტანგო გაცოფებული
ვნების ჟინით ივსება...
მიყვარს წითელ პომადას
ლოყაზე რომ მაჩნევენ,
გრძობებს ვერ გამოვხატავ,
სანამ გამიტაცებდე...
მაღლიდან რომ დაგვყურებს

მკრთალი მთვარის დისკია,
მომწონს შენი საყურე,
და მაგისი მისია...
რომ ეგ ყურის ბიბილო,
მაგან ჩამაყლაპინოს,
არა, არ გამიღიმო,
მირჩევია დამცინო...
იქნებ, ასე გადავრჩე,
შენით აღტაცებული,
თუნდაც ვიყო ათასჯერ
უკვე დამარცხებული...

იცი, სად ურტყამს...

იცი, სად ურტყამს, გულის რომელ ძარღვს,
გაუგებრობამ რომ დაგვაცილა,
შესაძლებლებლობა რომ არ მომეცა,
ვქცეულიყავი ქორად, არწივად...
რომ მომეტაცე, როგორც პატარა,
როგორც პატარა ხუნდები მტრედის,
და გეღუღუნა სიტყვადამტკბარად,
შენი ყოველი ოცნება ჩემთვის...
ახლა კი თითქოს ფრთები დამაჭრეს,
ჰო, კუპრის ქვაბში მხარშავდნენ თითქოს,
და გულსაც ასე ძალით ნაბაწრევს,
მოაკლდა შენი თვალების სითბო...
სად იწერება ჩვენი იღბალი,
რომელი ქაჯი მიაფრიალებს,
ერთი ლამაზი სიტყვა მითხარი,
სიტყვა, რომელიც მომგვრის სიამეს...
სამგლოვიარო ეს რექვიემი,
თითქოს მოუძღვის ქვესკნელის ჯარებს,
გადამსხვრელი ომებში ხმლები,
კვლავ აჩრდილებმა ამოიწვადეს!
კიდევ დავხატო, რასაც განვიცდი?
თუ სამყოფია, მეტი არა ღირს,
შენ დასჯილი ხარ სილამაზისთვის,
მე კი წამიღებს მალე არაგვი...

რა უნდა მსურდეს გამოიცანი

ზღვით შემოსული ეს ბოროტება
დღეს როგორ გინდა კოვზით დაცალო;
მართლაც, რამდენი რამის მომსწრე ვართ,
თვალწინ ჭანჭყარებს მთელი სამყარო...

რომ ამ ვნებათა ამდენ ღელვაში,
ჩათრეულნი ვართ როგორც მძევლები;
ბედს მეც ვერ ვხედავ ბედისწერაში,
და მეც ღმერთს მხოლოდ ერთს ვეხვეწები...
რას ვეხვეწები, ვითომ რა მინდა?
რა უნდა მსურდეს, გამოიცანი...
რომ გადმოგვხედოს ზოგჯერ მაღლიდან,
გადმოგვაფრქვიოს მადლნი ღვთისანი...

ჩვენ სხვათა ომში რად ვიჭყლიტებით...

იქნებ, შენ მითხრა, რატომ ემტვრევა,
რატომ ემსხვრევა ხეებს ტოტები,
თავზე დამტყდარი ქარიშხლებისგან
თან ელვა–მეხის გაბოროტებით!!!
ღრუბლები ცაში შესჯახებიან,
რა შუაშია ქვემოთ ხეები?
მთებზე ჯიხვები რატომ ფრთხებიან,
რატომ ბღავიან ასე ხევები?
ჩვენ სხვათა ომში რად ვიჭყლიტებით,
რა არის ჩვენი დანაშაული?
ვიღაცას უნდა სკიპტრა დიდების,
ვიღაცას ოქრო და საწყაული...
ჩვენ კი ამ ქვეყნის ცოდვის შვილები,
რად ვიჭყლიტებით, როგორც მძევლები?
ფოთლებ და ტოტებშემოცლილები,
დგანან ხეები, ვით მოწმეები...

მე დღემდე ვეძებ (ანუ ტატა კვეკვესკირს)

როგორც ზეცისას ცისკრის ანთება,
ისე გადმოდის შენზე ნათელი,
შენი სიცილი რად მენატრება,
თვალები, ორი თაფლის სანთელი...
მე დღემდე ვეძებ, არ გიგიკვირდეს,
გული რომელიც გზად დამკარგვია...
ჰოდა, მაგ გულში რომ გამიცვლიდე,
ყველაფერს დავთმობ რაც გამაჩნია...
თუმცა, როგორ ვთქვა, ვინ მიმიხვდება,
რა არის ჩემი ავლა–დიდება;
ალბათ, პირველი ლექსით იწყება,
ხოლო ამ ბოლო ლექსით თავდება...
მაგრამ მე ვიცი, შენ უკვე მზადა ხარ,
რომ შენი გული ჩემთვის გასწირო...
არა უჭირს რა, გნახავ ხანდახან,

რომ ჩემი სევდა გაგინაწილო...

პირველ კოცნამდე

მე შენ გასუსულ შვლის ნუკრს მაგონებ,
რომ დაუღია ფართოდ თვალები,
საწყალი ყველამ რომ მიატოვეს,
რომ აღარა ჰყავს მისიანები...
რადგან არ იცის რა ელოდება,
ბეჩავი თვალსაც ვერ ახამხამებს,
ხეზე თუ სადმე წკირი მოტყდება,
მაშინვე გული შეუფანცქალებს...
ნუ გეშინია, ასე ნუ ფრთხები,
ძვირფასო, შეჭმას კი არ გიპირებ,
მე სულ არა ვარ, იცი, უხეში,
ვერც გაგიწყრები, ვერც დაგიყვირებ...
რად გაფურჩქნულხარ, როგორც შროშანი,
როგორც ზამბახი მიუკარები,
ეგ თეთრი მკერდი ხავერდოვანი,
რად სუნთქავს ასე იდუმალებით...
ო, როგორ მინდა, სულ რაღაც წუთით,
შენს მფეთქავ მკერდზე გამოვიძინო,
მომეცი ხელი, ჰა, რაღას უცდი,
დავსხდეთ და გინდა, ერთად ვიტიროთ!!!

დამავიწყდება როგორ მიყვარდი

რაც უნდა ბევრი ვარდები კრიფო,
ვერსად წაუხვალ სიცოცხლის ვარდებს,
და რომ მოწყვიტო სულ თითო–თითოდ,
იცოდე, უნდა ყველა გიყვარდეს!
უნდა გიყვარდეს, როგორც მზეს ზღვები,
ღრუბლებს კი ზეცა შეჰყვარებიათ,
იცი, საოცრად მიყვარს ვარდები,
ვარდები მიწის სიმღერებია...
მომაგონდები, შენც, როგორც ვარდი,
როგორც ზეციდან მთვარის ღიმილი,
ზაფხული ბაღებს წითლად რომ ბარდნის...
მზეც ზღვაში ჩადის ღიღინ–ღიღინით...
რა საოცრება არის ეს ღამეც,
ვარსკვლავები კი ჭორებს გვიყრიან,
ვითომ მეც და შენც სხვა შევიყვარეთ,
ვითომ ღალატიც კი შეგვიძლია...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,

ამ ჭორიკანა ქალთა ქალაქის,
გაუშვი, მართლაც გული იჯერონ,
ჩვენზე ჭორებით, სხვებზე ლაქლაქით...
ზაფხული გავა, მიიძინებენ,
შემოდგომაზე ბაღჩა–ბაღები,
ცოტასაც კიდევ იჭრიჭინებენ,
ჩვენი ქალაქის გულთმისანები...
ყველაფერს გასდის ამ ქვეყნად ყავლი,
ამ ჩვენს ტრფობასაც ეს უწერია...
დამავიწყდება როგორ მიყვარდი,
ჯერ კი, იქამდე მთელი წელია...

მოდი, სანამ მიხარია...

მოდი, სანამ მიხარია,
ჩემთან მოდი, ჩემო ტკბილო,
თუ ცხოვრება სიზმარია,
მოდი, მოდი, მოვილხინოთ...
განა ვხუმრობ, რამეს ხედავ
ჩემს ნათქვამში სახუმაროს?
ჩემს ეზოში ღამე წვება,
აკი, საბანს დაგხურავო?
აკი, მოვალ, როცა მეტყვი,
აკი, შენთან დავრჩებიო,
მეც შენსავით დავალ კენტი,
მოდი, მოდი, დავეწყვილოთ...
მოდი, თორემ ზამთრის სუსხი,
შენც გდარაჯობს, მეც მდარაჯობს,
და ეჭვებიც შესამუსრი
ჩემს ნერვებზე მეტასტაზობს...
მოდი, თორემ, როგორც სარკე,
გული სევდით გაბზარულა,
მოდი, მკერდზე მომეტმასნე,
დამეღვარე ნაკადულად...
მოდი, მოდი, მომიტანე
სურნელება ღამის იის,
შენი კანი გამჭვირვალე,
როგორც თოვლი კავკასიის...
მოდი, თორემ შენს მაგიერ
მარტოობის მოვა ღამე,
მოდი, გულზე დამაბნიე
შენი სულის სიკამკამე...

ვარსკვლავთცვენაა

ვარსკვლავთცვენაა, თავისი ფრთები,
დაუშვა ღამემ ჩამქრალი ციდან,
თითქოს მსეტყვავენ ეს ვარსკვლავები,
მე კი სხივებთან შეხვედრა მინდა...
მაგრამ დილამდე მთელი ღამეა,
თავის სიზმრებით, თავის ზღაპრებით,
შენი სულივით მოელვარეა,
ეს მოლაპლაპე ცის კელაპტრები...
მინდა გადარჩეს ჩვენი რწმენიდან,
რაღაც ისეთი, რაც გვიშველიდა,
რა რჩება მიწას ვარსკვლავთცვენიდან,
ან ცას თავისი ოცნებებისგან...
მართლაც ვინ იცის, როგორ განიცდის,
როცა ასეთი ვარსკვლავთცვენაა,
ცაც იბრძვის, ვიცი, გადარჩენისთვის...
და ვარსკვლავები მისი შვებაა...
ან როგორ გინდა, რომ ცად ავმაღლდეთ,
აქ გაჩენილი ყველა მოკვდავი,
თუკი დაკარგა მან სილამაზე,
როგორც მზემ თავის კრიალოსანი...

პირფერობის არ მაქვს ნიჭი

თითქოს ყველაფერი ვიცი,
თითქოს ყველაფერსა ვხედავ,
პირფერობის არ მაქვს ნიჭი,
რა ვქნა სულ არ მეხერხება.
ამიტომაც ხშირად ვაგებ,
ამიტომაც ხშირად ვცდები,
ზოგჯერ, მართლაც, თითქოს განგებ,
მიწას მკერდით ვენარცხები!!!
მერე სანამ წამოვდგები,
მერე სანამ მოვშუშდები,
აღარაფრად გამოვდგები,
საკუთარ წრეს ვეხეთქები...
ვერ გააღწევ, ვერ გააღწევ,
ყველგან მხოლოდ ტალახია,
ისევ ჩემ ბედს შევეჯახე,
ბედს სასტიკს და მათრახიანს...
დღესაც ზურგზე მაჩნევია
მოსხეპილი ტყავის კვალი,
ღვინის ჭიქა წამქცევია,
გამომთხრია თითქოს თვალი...
არა მჯერა, არა მჯერა,

რომ ამბობენ ჩაივლისო,
თითქოს ზვავმა გადამთქერა,
ჩავინამქრე თოვლში თითქოს...
დამაგლიჯა ბედისწერამ,
ყველა კბილი თითო–თითოდ...
მართლაც ჩემი ბედის ტყვე ვარ,
გავჩენილვარ საიმისოდ!
ყველა გზები ჩამიკეტა,
საგაისოდ, სამერმისოდ,
სად ვიარო, რა გზით, ნეტა,
რომელ კედელს ავეგლისო,
ნუთუ აღარ მეღირსება,
კოცნა შენი თვალებისო...
ალბათ არა, ალბათ არა,
მარტოდმარტო ვდგავარ გზაზე,
იქით ქარი ამეშარა,
აქეთ მთვარე მადგას თავზე...
ყველა მხარეს გზები გადის,
საით წახვალ, რომელ მხარეს?
მეკითხება ჩემი ბედი,
დამქირქილებს, დამხარხარებს,
და სიცილით თან თავხედი
გვარიანად მაჭანჭყარებს...
ვინ ამიხსნის, ან ვინ მეტყვის,
სად მიდიან ჩემი გზები,
ანდა გულისხეთქვის მეტი
უნდა მქონდეს სხვა იმედი?
ისევ ალბათ კამათელი
უნდა ვყარო ბედის წილად,
ჩამოვართვი მთვარეს ხელი,
ქარმა ურცხვად ჩაიცინა...
ვიცი, ყველაც ჩემი გზაა,
რომ სულ ყველა არის ძნელი,
ახლა ალბათ ჩემი ხსნაა
სწორად დაჯდეს კამათელი...

ახლა დრო ჩემთვის გახდა სათუთი

ლია წიკლაურს...

ბევრი ყვავილი შემომხვდა ქვეყნად,
მაგრამ შენნაირს პირველად შევხვდი,
რატომ მაგონებ გაფრენილ მერცხალს,
ან აფეთქებულს ბაღებში ხეხილს...
იცი, არასდროს წუთებს არ ვთვლიდი.
ახლა დრო ჩემთვის გახდა სათუთი,

ასე მგონია შარშან გაფრინდი
და გაზაფხულზე უკან დაბრუნდი...
როცა ხეებზე კვირტები ჩნდება,
პატარძალივით ჰყვავის აპრილი,
როცა მთებს მწვანე ტანზე ასკდება,
ასი ათასი ფერის ყვავილი.
მაშინ მოხვედი, მაშინ ჩამეწან,
ამაბობოქრე, ამაქარიშხლე,
დილის ზღვასავით მოკამკამე ხარ,
ვით სურვილებით სავსე ნატვრის ხე...

რადგან ნერვი ვარ ახლა შიშველი

დიდი ხანია დღეებს არ ვითვლი
აზრი არა აქვს არავითარი...
ტვინს აღარ ვიღლი უაზრო ფიქრით,
მაინც ვერაფერს ვეღარ ვისწავლი.
როგორ მოვიქცე, რომ წინ წავიდე,
რომ ბევრს ვაჯობო, რომ ბევრს გავასწრო,
მე ყველაფერზე ხელს ვერ ავიღებ,
გადავულოცავ სხვებს ამ მარათონს...
ისე გიყვარდეს, რჩევებს ვარიგებ,
ვიცი, ვინ როგორ უნდა მოიქცეს,
ვის ვესაუბრო უნდა ვამპირზე,
ვის ვეჭორავო ვინმეს ლოგინზე...
თავს კი ვერაფრით მე ვერა ვშველი,
რადგან ჟამია პრაგმატისტული,
რადგან ნერვი ვარ, ალბათ, შიშველი,
მუდამ დაფლეთის ზღვართან მისული...
მართლა, მითხარი, ვინმე გინახავს?
საკუთარ ნერვზე ჩამოხრჩობილი?
და ვერც ამ კოცნას ვერ შეგინახავ,
შენ ზარდე შენი ახალშობილი...

კარგად იცი, რისთვის მოველ...

თურმე შენსკენ მოვდიოდი,
თურმე შენსკენ ვისწრაფოდი,
მთიდან ზვავებს მოვკიოდი,
ზღვებზე ტალღებს მოვაპობდი...
მოვდიოდი, მოვფრინავდი,
ვერაფერმა შემაჩერა,
ხან მოვარდნილ გრიგალს ვგავდი,
ხან ვულკანის ამოფრქვევას...

ცხრა მინდორი გადმოვლახე,
ცხრა კარიბჭე შემოვლეწე,
რომ მენახა შენი სახე,
რომ მეკოცნა თეთრ ლოყებზე...
და პირველი რაც შევნიშნე
თვალში მეცა შენი ბრჭყალი,
რომ შვილდივით ცივად მიმზერს,
ქორისებრი ორი თვალი...
მართალს გეტყვი, შემაჟრჟოლა,
ეს არ იყო ჟრჟოლა შიშის...
იწყებოდა გრძელი ბრძოლა,
ერთმანეთის დაპყრობისთვის...
ხმალი გვერდზე მოვისროლე,
მოვიყარე შენს წინ მუხლი,
კარგად იცი, რისთვის მოველ,
ალბათ უსმენ ჭექაქუხილს,
მერე, მშვიდად ხელი გთხოვე:
გახსენ შუბლი, რაღას უცდი!!!

ერთი ნატვრა ამისრულე

არ გამოდის, არ გამოდის,
ბევრჯერ, ის, რაც გულით გვინდა,
ჰო, ნამდვილად, მზეც ამოდის,
მზეც ამოდის სულ სხვა მხრიდან...
მე მგონია, მე მგონია,
შენი გვერდი გადავკეცე,
შენნაირი არ მყოლია,
ჯერ არავინ არცერთ გვერდზე...
ალბათ გვქონდა წუთი როცა,
ერთმანეთზე ვლოცულობდით,
წმინდა იყო ჩვენი ლოცვა,
სუფთა როგორც ღამის თოვლი...
როგორც ნამი ყვავილებზე,
და ნიავის ჩამოქროლა,
როგორც ჩვილი მამის მხრებზე
და მამულის გამო ბრძოლა...
ლამაზი ხარ, ლამაზი ხარ,
ატმის ნაზი ყვავილივით,
ღვინოს დავცლი მაგ თასიდან
ცხელ მკერდზე რომ ღარად მიდის...
ერთი ნატვრა ამისრულე,
ერთი ღამით ჩემთან დარჩი,
რომ ამწუთას რაც ვისურვე
ხშირად მოხდეს მომავალშიც...

გჯეროდეს მოვა კვლავ შენი წუთი

ერთხელ წააგე? არაუჭირსრა,
ერთხელ ღმერთებიც აგებენ თვითონ!
მტვერიღა რჩება ზოგჯერ გუნდისგან,
წაგებაც უნდა კაცურად ზიდო!
გჯეროდეს, მოვა კვლავ შენი წუთი,
ზოგჯერ ჯურღმულშიც აღწევს სხივები,
წამოგაყენებს დაცემულს ზურგით,
ხშირად მომავლის მცირე იმედი...
კი, მტერი მოდის, როგორც სარანჩა,
და ულამაზესს შენს მინდვრებს იპყრობს,
მაგრამ გახსოვდეს, ვინც ვერ გადარჩა,
დაეცა კრწანისს, დაეცა დიდგორს!
უნდა შეება ზოგჯერ თვით სიკვდილს,
არ შედრკე მტერი თუ მოგერია,
რადგან ვინც მუდამ სხვებზე წინ მიდის,
თუნდაც სიკვდილშიც ის პირველია!

ბავშვობა

მე ავაფეთქე ჩემი ბავშვობა,
თუ ამიფეთქეს ვერაფერს გეტყვით,
წავშალე რაც კი დამამახსოვრდა,
გადავაყარე სიზმრების ფერფლი...
თუმც დროა ახლა ბევრად სასტიკი,
გვარიანადაც წაიქარიშხლებს,
ჯერაც ატყვია კვალი სვასტიკის,
ავარდისფრებულ ფერად მაისებს!
ალბათ, დათვივით ბევრჯერ დაგვტორავს,
ბედი მრავალჟამს დაბედებული...
დავიწყებული ჩვენი ბავშვობა,
მართლაც ჩვენგანვე აფეთქებული!!!

ლექსთან ლაციცი (ქეთი გორდელაძეს)

მადლობა, მაგრამ, იცით, არც ვიცი,
შემიძლია კი ლექსის ფერება,
ან, როგორც თქვენ თქვით, ლექსთან ლაციცი,
ჯობს, მართლაც, ლექსის გადამტერებას!
იცით, მე ლექსი ლოცვა მგონია,
რომ ლოცვებია ჩემი ლექსები,
რომ ლექსები ჰქმნის იმ ჰარმონიას,

მე რომ ტაძრებში სულით ვეხები.
თვითონ სიცოცხლეც პოეზიაა,
ლექსი მგონია ეს მიწა–წყალიც,
რაღა თქმა უნდა, ჩემთვის ღიაა,
ჩემთვის ღიაა სამოთხის კარიც...
ისე აქაურს ვარჩევ სამოთხეს,
მიყვარს ქვევრს რომ ხდის გლეხის ხელები,
მერე ქარვისფერ ღვინოს გადმოგცემს,
სავსეს ცის მადლით და სურნელებით...
ან გაზაფხულზე მთების პირები
ყაყაჩოთი რომ მოირთვებიან,
მოწკრიალებენ ნაკადულები
და მდინარეებს მორცხვად ერთვიან!
იქნებ ესაა ლექსთან ლაციცი,
რომ ხელის გულზე მიდევს ლექსები,
რომ ყველა ბგერას მძაფრად განვიცდი,
რომ მთის ბროლივით ლექსებს ვემსხვრევი...
მართლაც არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი,
ლექსი მგონია მე ჩემი სულიც,
ლექსი, რომელიც სიყვარულისთვის,
ჩნდება, კვდება და ვერ მიკლავს წყურვილს!!!

ეს ლექსი რუსის "მათრახისა და ნამცხვრის" (კნუტ ი პრიანიკ) ტაქტიკაზეა...

გავყურებ, ვხედავ აიმღვრა სივრცე,
ძველი ხმალ–აბჯრის მესმის ჟღარუნი,
დაღლილ გულმკერდზე ღვედები მიჭერს,
ავდრის ღრუბლებად შემოჯარული...
რა დამრჩენია, ჩემს გულს ვასკდები,
იქნებ, როგორმე ნაღველს გავუძლო,
დგანან ტაძრები და მონასტრები,
დგანან, რომ წარსულს გაესაუბრონ...
მითხარ, ვისა აქვს ამის პასუხი,
რომ დაფდაფები არ ხმიანობენ,
რომ მტერი დაძრწის ჩემ წილ მამულში,
და მდაბიონი დადიანობენ!!!
ერთი კი ვიცი, როგორც არასდროს,
რომ წინაპართა დიდი მაქვს ვალი,
რომ ისევ იმათ მსურს ვუთანაგრძნო,
ვისიც ოდესღაც ჰკაფავდა ხმალი...
და ისიც ვიცი, "შხამით და თაფლით",
ველარ შემაცდენს გადამთიელი,
რომ დამყურებენ ღმერთები მაღლით,
რომ არწივების ვარ ბაზიერი!
და როცა ძაფი მართლაც გაწყდება,

როცა გადმოვა შხამის ფიალა,
ალბათ წარსულიც ამიჯანყდება,
და მეც დავწვდები, მაშინ, იარაღს!!!

დავანაწევრე ყოველივე მე იმედებად

მე დავიღალე,
მე ქარს ვატან ყველა იმედებს,
ცივია მიწა,
დახუნძლული კატასტროფებით,
ღირს კი ლოდინი,
ღმერთი როდის გამოიმეტებს,
რასაც აქამდე
დავეძებდით თავგამოდებით.
ბევრი ვიფიქრე
ეს სამყარო რისგან შედგება...
მართლაც რა არის:
ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი...
აი, ღვთაების
უმაღლესი შემოქმედება,
სწორედ ამისთვის
ჰკლავდა აბელს, ალბათ, კაენი!
მე ამ ამბების
ბევრი მართლაც არ გამეგება,
მე ცეცხლიცა მაქვს,
წყალიც, მიწაც, მყოფნის ჰაერიც;
დავანაწევრე
ყოველივე მე იმედებად,
მაგრამ აღმოჩნდა
რომ ვყოფილვარ ნაღდი ფრაერი...
რად შევიყვარე
დედოფალი თოვლის და ყინვის,
მე ხომ უფალმა
უფლისწულად არ გამაჩინა,
ვერც გადაარჩენს
დღეს სამყაროს ადამის სისხლი,
დაღვრილი სისხლი
ვერ აღდგება ასე ადვილად!!!
დამნაშავე კი,
როგორც მუდამ
სუსტი სქესია,
ბედნიერება განისვენებს
ბროლის კუბოში;
ნუ გააცოცხლებთ, ასე ბევრად უკეთესია,
ან ვინ ამოხსნა საიდუმლო ამ საწუთროსი...

არ შემიძლია, მე ვერ გავცემ ასე სიყვარულს...

ჩემი ცხოვრების ბნელ კუნჭულებს მე ვერ ვეხები,
შენ კი რატომღაც ისე უცბად დამისაკუთრე,
არ მავიწყდება შენი ტკბილი ამოკვნესები,
რატომ მთხოვ პასუხს, რაზეც ღმერთსაც ვერ ვუპასუხებ!
არც მდომებია არასოდეს უცოდველობა,
ყველაც დაათრევს ყველასაგან რამეს ფარულად,
განწირულია თავიდანვე შენი მცდელობა,
და პირველ თოვლშიც გზა ჯერ კიდევ არ გაკვალულა...
მართლაც მძიმეა, იცი, ჩემი გულის სარქველი,
ვერ ასწევ, ალბათ, ერთადერთი, უნდა აგლიჯო,
კი, მართალია, ყველას ვუთხარ ჩემი სათქმელი,
მაინც არა მსურს გულზე ფეხი ვინმემ მაბიჯოს!!!
სანამ მეტყოდე, გაიაზრე რის თქმას აპირებ,
დაუფიქრებლად ნუ მომახლი, როგორც გჩვევია;
რაც რამ გამაჩნდა, მე ხომ უკვე გავუნაწილე,
ვინც ბავშვობიდან მტრედებივით შემომჩვევიან!
არ შემიძლია, მე ვერ გავცემ ასე სიყვარულს,
ვერ გაგაკარებ ჩემი მუზის წმინდა სამეფოს!
ვინ უნდა იყოს, ასეთი რამ, განა ვის ძალუძს,
რომ ყველა ძველი სიყვარული ერთად წალეკოს!!!

ტანგო

ყველაფერი შეიძლება შთანთქოს,
ყველაფერი, ყველაფერი რიტმმა...
ქალბატონო, იქნებ ნება დამრთოთ,
მოგეხვიოთ, ისე, როგორც მინდა...
ნუ გახედავთ მოცეკვავე წყვილებს,
მე მიმზირეთ და ჩემს თვალებს ენდეთ,
ჩაგჩურჩულებთ ულამაზეს სიტყვებს,
მხოლოდ თუკი შევაწებებთ მკერდებს...
იმედია, ჯერ არავინ გიყვართ,
ნუ იმკაცრებთ, ნუ მარიდებთ თვალებს,
მაგ თვალებმა რაც არ უნდა მითხრან,
ტუჩის კუთხე უეჭველად გაგცემთ...
გაგეღიმათ, აი, ხედავთ, თურმე,
სულ არა ხართ, სულ არა ხართ მკაცრი,
იცით, მე თქვენს გულისცემას ვუსმენ,
აი, ნახეთ როგორ გიცემთ ძარღვი...
ახლა აქეთ გაგვიტაცებს ქარი,
არ შეშინდეთ, მომყევით და მენდეთ,

მხარზე ფრთხილად გადამხვიეთ მკვლავი,
ასე, უნდა დავბზრიალდეთ შემდეგ!
ცოტა ჩუმად, ნუ კისკისებთ ასე,
ყველას ჩვენსკენ გამოექცა თვალი,
რა მკერდი გაქვთ, მთვარესავით სავსე,
ვცეკვავ თქვენი სურნელებით მთვრალი...
არ გაჩუმდეს, არ გაჩუმდეს, ნეტა,
ეს მუსიკა, ტალღებივით ჩქარი,
არ გეწყინოთ, კოცნას გაგიბედავთ,
ოღონდ, უნდა მოიხედოთ წამით!!!

რის ტახტი, სკიპტრა, სიყვარულმა მონად მაქცია...

მიყვარხარ,
მაგრამ საიდუმლოდ მინდა გაგანდო,
ჩემს ავადმყოფურ ფანტაზიას
ვეღარ ვენდობი;
ნაღდად არ მინდა,
იცი, თავი რომ დაგამადლო,
და ამიტომაც,
დაპირებულს ვერ გაგენდობი...
სხვა იქნებოდა,
ვყოფილიყავ ტახტის მემკვიდრე,
და ხელთ მჭეროდა
ოქროსფერი სკიპტრა მეფეთა,
რომ გავძღოლოდი ლეგიონებს
ბრძოლის ველისკენ,
უცხო ქვეყნების
სასახლეთა ასაფეთქებლად!!!
სხვა იყო, მართლაც,
გღირსებოდა გადედოფლება,
ვარდის ფურცლები
შენს ბილიკზე ხონთქართ ებნიათ,
მე სიყვარული
მომეტანა შესამოსელად,
და ოცნებებად
ვარსკვლავები გადმომეფრქვია...
ახლა რა,
ხელში შემრჩენია სევდის მარაო,
რის ტახტი, სკიპტრა,
სიყვარულმა მონად მაქცია,
შენი უარი
მოუხდება ჩემს სასაფლაოს,
ხოლო ცრემლები,
მარმარილოს ეპიტაფიას!!!

დარდით შევიმოსე, როგორც ელეგია... (მანანა მალაზონიას)

დარდით შევიმოსე, როგორც ელეგია,
მწუხრმა ჩამომვერცხლა თმები დაფენილი...
ვიცი, ვარსკვლავები ამიმხედრდებიან,
სევდით მოკირწყლულა ჩემი ქვაფენილი...
შენი ოცნებანი ჩემთან ვეღარ აღწევს,
ნისლად ქარიშხალმა სულში შემოგრაგნა,
ყველა მოგონება ისე გამიძარცვეს
ვეღარ ვლაპარაკობ ვერცერთ მეგობართან...
თვითონ სამყაროა ძაძით შემოსილი,
თითქოს ვულკანებსაც ძალა დაუკარგავთ...
ვიცი, მელოდება ჩემი დედობილი,
მთვარე დაღვრემილი თავის ქოხის კართან...
მაინც იმედი მაქვს იქნებ გამიღიმოს,
იამ გარიჟრაჟთან ერთად ამოსულმა,
ღამით ჩამოშლილი თმები დამიხვიოს,
ვარდმა ჩამომჭკნარმა, ჩემზე მარტოსულმა...

რომ ჩემს გაჩენას ანგელოზი არ ესწრებოდა.

ზოგჯერ მგონია, რომ არავინ არ მყვარებია,
რომ ვიტყუებდი თავს, რატომღაც თუ ვერთობოდი,
რომ არასოდეს, არასოდეს გამხარებია,
რომ დამყვებოდა მეც სულ ყველგან სული ბოროტი!
რომ ჩემს გაჩენას ანგელოზი არ ესწრებოდა,
რომ ღმერთებს ჩუმად დასცინოდა ლიუციფერი,
რომ ზეცა სეტყვის ღრუბელივით იქუფრებოდა,
რომ დღემდე დავალ, დღემდე დავალ კვლავ ფეხშიშველი...
რომ ქრისტეს ჯვარი გოლგოთისკენ მეც ზურგით ვზიდე,
რომ გაკრული ვარ მეც ამ ჯვარზე როგორც იესო,
რომ უკან დამდევს ბელზებელი და ეძებს მიზეზს,
რომ გადაბუგოს ჩემი სახლი და ჩემი ეზო...
რომ არწივი ვარ, მათ კი უნდათ ყვავად მაქციონ,
რომ დამჩხავიან თავს ყორანთა ლეგიონები,
რომ სული ჩემი ხელთ ჩაიგდონ და უსასყიდლოდ
მეც მიმსახურონ, როგორც ყვავნი, როგორც ყორნები...
მე ჯერ ვიცოცხლებ, სანამ ჰყვავის იასამანი,
სანამ ჩემს მთებში რუხისფერი მგლები ყმუიან,
სანამ მყინვარი კვლავ იქნება ასე მაღალი,
სანამ გრიგალებს საბოლოოდ არ ჩაუვლიათ!!!

რად მეგონა

შენთან მოსვლას ვაპირებდი,
ვარდის სურნელს მოვყვებოდი,
გადიოდნენ აპრილები,
მე კი მაინც ვოცნებობდი...
ქარიშხლები, ხორშაკები,
დამდიოდა, გულს მიჭამდა;
რად მეგონა მოგაგნებდი,
მაჩუქებდი სულის წამალს...
რად მეგონა, რად მეგონა,
ვარდი მარად ივარდებდა...
გადაქცეულს ანგელოზად
სიო ცისკენ მიგაფრენდა...
დადევნებულს ქარიშხლებმა
ჩამიხერგეს ყველა გზები,
შენმა ფრთებმა ქარისებრმა,
დაადუმეს ქარიშხლები...
დღესაც შენსკენ მოვიჩქარი,
გზებს მოვყვები ვარდებიანს,
მეხეთქება მკერდზე ქარი,
ისევ კვალი ამრევია...
ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე,
მომავალი შენსკენ გზები,
ქარი ლტოლვას მიასკეცებს,
ვერც ამ ვნებებს ვერ ვერევი,
შენს მაგიერ ცაში მერცხლებს
და ბეღურებს ვეფერები...

ეს ზღვა როგორ გადმოვლახო

რადა ხდება ის ვინც მიყვარს,
მართლაც ვისზეც მზე ამომდის,
ვერ ვნახულობ დიდხანს, დიდხანს,
და მის ნაცვლად მირაჟს ვკოცნი...
მიირწევა ჩემი ნავიც,
ზღვის ტალღებზე მარტოდ–მარტო,
და მსუბუქი ეს ნანავიც,
აღარც მათრობს, აღარც მატკბობს...
და ეს ფიქრიც შეჩენილი
აღარაფრით არ მეშვება,
რომ ზღვაც არის ცივზე–ცივი,
რომ ზღაც იქცა ერთ დიდ ცრემლად...
ეგებ იცი, ეგებ გახსოვს,
ეგებ გახსოვს და შენ მითხრა,

ეს ზღვა როგორ გადმოვლახო,
ან გიხილო თუნდაც სიზმრად...
რომ შენს ქერა კულულებზე,
ჩემი კოცნა დავაბნიო,
მაგრამ, თუკი ვერც ეს შევძელ,
ალბათ, უნდა მაპატიო!!!

როგორ მინდოდა

სულ ყველაფერი, სულ ყველაფერი,
დამვიწყებია შენს შემხედვარეს,
ანთიხარ, როგორც წმინდა სანთელი,
სილამაზით კი სჯობიხარ ვარდებს...
ეს ყველაფერი გულიდან მოდის,
განა იმიტომ, რომ სულ მთვრალი ვარ,
მინდა იცოდე, ეს შენ მათრობდი,
და ვარდის ეშხი შენი ბაღიდან...
ერთსა გთხოვ მხოლოდ, მე ბევრს ვერ გეტყვი,
ანდა ბევრის თქმას ვინ დამაცლიან...
როგორ მინდოდა მქონოდა ფრთები,
მაგრამ ბუმბული სულმთლად გამცლია...
და რომ იცოდე, ამ დიდ სივრცეში,
რომელსაც ჩვენი სამყარო ჰქვია,
ერთი შენ გნახე ყვავილისებრი,
ხოლო მეორე ვარდი და ია...

იცი, ძვირფასო, როგორ მიყვარხარ! (კ)

იცი, ძვირფასო, როგორ მიყვარხარ,
ალბათ, არც იცი, ალბათ, ვერც ხვდები,
რომ საიდუმლოს გულში ვიმარხავ,
რომ ვერას გეტყვი, როცა შემხვდები...
რომ მაგიჟებენ მე შენი თმები,
ჩამოშლილები მკერდზე ტალღებად,
რომ შენთვის გავჩნდი და შენთვის ვკვდები,
რომ შენი ნახვა სულ მენატრება...
იცი, ძვირფასო, როგორ მიყვარხარ,
იცი, რამდენი გელოლიავე,
როგორ გავუძელ ბედს, რომ მირტყამდა,
ან ახლა საით მიმაფრიალებს...
რომ შენ ერთი ხარ, თუმც მილიონებს
და მილიარდებს რომ მირჩევიხარ,
რომ ვიმეორებ, სულ ვიმეორებ,
რომ სხვისი ხარ და მაინც ჩემი ხარ!
რა მოხდებოდა, რა მოხდებოდა,

სადმე, სულ სხვაგან რომ შევხვედროდით,
ჩემს მეტს არავის არა რგებოდა,
ეგ შენი ძუძუს ტკბილი მტევნები...
კი მყვარებია ალბათ რამდენჯერ,
მართლაც ვის აღარ გადავეყარე,
და, იცი, ბევრნი თუ მიმართლებდნენ,
ბევრსაც სათოფედ არ გავეკარე...
როგორ მიყვარხარ, როგორ მაღელვებ,
მწყურიხარ, როგორც წყალი ქარავანს,
მინდოდა, მაგრამ თავს ვერ განებებ,
შენმა თვალებმა დამადამბლავა!!!

კითხვაზე: როდინდელი აღსარებაა?

ალბათ როცა ალუბლები ალუბლობდა,
და ნატვრისხემ გამოისხა სურვილები,
როცა ტკბილად ვჩურჩულებდით ატმის რტოსთან,
ვკოცნიდით და არ ვიყავით გულგრილები...
მაშინ, როცა მზეს თვალები უბრწყინავდა,
და ვარსკვლავებს ერთმანეთი აღელვებდათ,
როცა ღამეს, ყველა ერთად, ღრუბლის გარდა,
ერთმანეთის სიყვარულით ათენებდა...
აღარ მახსოვს მიყვარდი თუ არ მიყვარდი,
მაგრამ ალბათ, მცირე გრძობა მაინც მქონდა,
როცა ჩემსკენ მოქროდი და მოფრინავდი,
მერცხალივით გაფრენილი სამშობლოდან...
როცა, როცა, როცა ზეცას ნაქარგებად,
მიჰყვებოდნენ წეროები გადამფრენი,
როცა ჩვენი სიყვარულის გადარჩენა
გვსურდა მაგრამ არ მოხერხდა არაფერი...
რადგან ბალმა კაკლის ხესთან დამაბიზღა,
რომ ატამი ალუჩაზე გიჟდებაო,
და კაკალიც, ეს კაკალიც მთლად გაგიჟდა,
მე ატამზე ალერგია მიჩნდებაო...
აი, სწორედ მაშინ გთხოვე პატიება,
როცა ატმებს კანი წითლად გვასკდებოდა,
შენ გიყვარდა გულიანი გაცინება,
მე კი გულში უკვე ჭია გამჩენოდა...

თითქოს დაჭრილ ვეფხვს გადავეყარე...

ამ ხეობაში სადაც კლდეებზე,
და ნაპრალებზე გადის ბილიკი,
სადაც დევები მიაჭენებენ

და ვარსკვლავების ისმის ქილიკი...
შენთან შეხვედრამ ისე შემაკრთო,
თითქოს დაჭრილ ვეფხვს გადავეყარე,
ვინ იცის ღამეც კი მომელანდო,
არწივის ხმაზე მთებში მყეფარე...
ვიცი, ადვილად ვეღარ მენდობი,
რომ მოჭრილია შენსკენ ყველა გზა...
რომ ზვავმა შთანთქა ყველა ფერდობი,
რომლებიც უნდა გადამელახა...
გაზაფხულდება, დნობას დაიწყებს,
მთა ჩანჩქერებად აელვარდება,
თუმცა, ეს გული ვერას გაიგებს,
რატომ? რადგანაც სხვა ეყვარება!

სიბერე

ვისაც უნდა დაგკარგავს,
ვისაც უნდა გიპოვის...
მისდევ წლების ქარავანს,
თბები სანთლის სითბოთი...
ცაზე ავდრის ღრუბლები,
თავის წუთებს ელიან,
ისევ გაილუმპები,
ისევ ვერ გიშველიან...
წევხარ ჩუმად ქვიშაში,
როგორც გამორიყული,
როგორც თევზი ჭიქაში,
როგორც მტრედის ფიტული...
აღარავის ახსოვხარ,
აღარავის სჭირდები,
როგორც მტვრიან თაროსთან
მიგდებული წიგნები...
თუმც ეგ გული ოდესღაც
რამდენ რამეს იტევდა,
გესხა ქვეყნის ოცნება
ყელზე მარგალიტებად...
დაწყდა, დაწყდა ძაფები,
უძვირფასეს მძივების,
წარსულს დაეწაფები,
სულს იქით იმზირები...
სადაც დღემდე ჰყვავიან,
სიჭაბუკის ვარდები,
სადაც კვლავ გრიგალია,
ანდა კარნავალები...
სადაც ნიღბის ქვემოდან,

გდევდნენ ქორის თვალები...
ტუჩზე კბენა გელოდა
და შიშველი მკლავები...

რა ადვილია ტყვიების დახლა

ვინა ხარ, მინდა ვიცოდე მართლაც,
მაგრამ შენს სულში ვერაფერს ვაგნებ,
რადგან მიფრინავ მაღლა და მაღლა,
მე კი მიწაზე მივამსხრევ საგნებს...
და ერთიც მინდა, ძვირფასო, გითხრა,
აყალმაყალი არ მიყვარს ყალბი,
არ მიყვარს ყალბი არცერთი კითხვა,
თუ კი ისედაც არაფერს არ ცვლის...
სახე პირიქით არ ამბობს სათქმელს,
ის სათქმელს ხშირად მშვენივრად ფარავს,
ვერ შევიცანი მე შენი სახე,
რადგან ღიმილი გეფარა ფარად!!!
ახლა კი როცა ოცნებებს გავცდით
ყველაფერს თავის სახელი ჰქვია,
დუელიანტი, ცხოვრება მკაცრი,
ცივი მკვლელივით გვიმიზნებს ტყვიას...
საოცარია, რომ სწორედ ახლა,
არცერთი სიტყვა არ გვაქვს სათქმელი...
რა ადვილია ტყვიების დახლა,
და რა სასტიკი კი განაჩენი!!!

იქ სიწმინდეში

იქ სადაც ჯერაც, იქ სადაც ჯერაც,
პირველყოფილი სევდა თარეშობს,
სადაც პატარა ბავშვივით სჯერათ,
რომ გავჩენილვართ სულ საალერსოდ...
სადაც არავის მოუვა თავში,
შური ან მტრობა დაუფარავი,
სადაც არავინ გაგაგდებს კარში,
არც მოგაწყევლებს არსად არავინ!
სადაც ჯერ კიდევ, სადაც ჯერ კიდევ,
ყველაფერს თავის სახელი ჰქვია;
სადაც არავინ არ დაგიმიზნებს,
სადაც არავინ არ გესვრის ტყვიას!
სად სიკეთეა უკიდეგანო,
და ბოროტებას არა აქვს ფრთები,
სად უკვდავების გადმოჩქეფს წყარო,
სადაც ერთმანეთს ლოცავენ მტრები...

იქ მინდა მოვკვდე, იქ, სიწმინდეში,
რომ ვერვინ ნახოს ჩემი საფლავი,
მხოლოდ შენ იდგე ვარდებით ხელში,
ჩემი დაღლილი მზეთუნახავი...

შური

აუ, მინდა, მეც მინდა,
ასე გეხუტებოდე,
შენი გულის ცეცხლიდან,
ვთბებოდე და ვტკბებოდე...
თორემ რა გამოვიდა,
თეთრი შურით ავივსე,
შენთან ყოფნა მომინდა,
და შენთან სიხალისე...
შენი გიჟი თვალების
ფსკერზე ჩავიძირები,
სადაც ბრილიანტების
ყრია თეთრი მძივები...
როგორ მინდა, ძვირფასო,
აქვე სადმე დამაბა,
მეც შენს ლეკვებს მივბაძო,
გლოკო, გკბინო ხანდახან...
იქნებ, მაგ შენს დობილში
სულ მცირე ხნით გამცვალო,
ჩამიგორო ლოგინში
და აღარ გამაწვალო...

მაია მაიკოს

რა უფერულად გადიან წლები,
მიჯრით, მიყოლით, უმისამართოდ...
ყავის ნალექის იმედად რჩები,
თუმცა, რაც გსურდა, არც ყავა ამბობს...
არადა, ჯერაც შენს კანს სითეთრე
და ბზინვარება არ მოჰკლებია.
მალე აპრილი ისევ იფეთქებს,
ტყეში ხოხბებიც წამოფრთხებიან...
შენ კი, რატომღაც, ვიღაცის ჯიბრზე,
ვისაც გინდოდა, იმას ვერ ხვდები,
წაჰკიდებია ალმური მინდვრებს,
ვით ქალის ლოყა ანაღვერდლები...
შენ კი, ხეობის თეთრო ასულო,
კვლავ ფანჯარასთან დგახარ და იცდი,

წამი გრძელდება კვლავ უსასრულოდ,
მიიკლაკნება ქედებზე ნისლი...
ის კი ვერა და ვეღარ გამოჩნდა,
არსად ჩანს რაში ცეცხლისმფრქვეველი,
რაღაც წამებში მოსაღამოვდა,
გაუდაბურდა უცბად ტყე–ველი...

ეგებ შენი სურვილია

ეგებ შენი სურვილია,
დღეს ვერავინ რომ ვერ გამჩნევს,
ეგებ სწორედ ასე გინდა,
ეგებ სწორედ ასე არჩევ!
მითხარ, მითხარ, მართალი ვარ?
გამოვიცან შენი ფიქრი?
ხედავ, ზეცა როგორ ბრწყინავს,
მე მზადა ვარ თანხმობისთვის!
მე მზადა ვარ, რა ხანია,
მე ხელს მხოლოდ სხვა რამ მიშლის,
წინ რომ ცივი ზამთარია,
ცივი, ჩვენი ალერსისთვის...
შენ ფიქრობ რომ მივაფურთხო,
რაც წინ მელის, ან შორს დარჩა,
რომ ის წლები გადავფურცლო,
რომ შენ უკვე მელი კართან!
მინდა, იცი, როგორ მინდა,
შენთან მოსვლა, შენთან ყოფნა,
რომ შენს ღიმილს ასე წმინდას,
მევ ვაჩუქო ცხელი კოცნა!
მითხარ, მითხარ, კიდევ მითხარ,
მოვიდე თუ არ მოვიდე,
მეტყვი და ფრთებს გამოვისხამ,
რომ ზღვასავით გადმოვიდე!
რომ შენამდე რაც შემხვდება,
მივამსხვრიო ნაფოტებად,
მიყვარს, მიყვარს გამეტება,
ზღვა თუ საზღვარს გადმოსცდება...
არ შეშინდე, ოცნებებად
ჩამითვალე ეს მუქარა,
ხშირად როცა ქარი კვდება,
იცი, ნიავს თვლიან ქარად!!!

არადა თითქოს იდილიაა

მე ისევ ამცდა ნასროლი ტყვია...
ახლა ვარდების სროლის ჯერია,
რაც რამ გამაჩნდა ამ დღეებს მიაქვს,
არც მეკითხება, რა მირჩევია!!!
გავცქერი ჩუმად, როგორ მიცოცავს,
მდინარის პირას აყრილი ნისლი,
ღამემ ხელები გამომიწოდა,
მთვარე ღელეში ფშატებთან მიცდის...
არადა, თითქოს იდილიაა,
გაყუჩებული ვდგავარ და ვუსმენ,
ცხოვრება მუდამ ჩემზე წინაა,
რადგან ვერასდროს ვერაფრით ვუსწრებ!!!

მიპატიჟება

არის დღეები,
ჩემი სული როცა ივსება,
რაღაც სითბოთი,
სიყვარულით,
ბედნიერებით,
ასე მგონია
სხეულიდან ამოფრინდება,
ვეღარ უძლებენ
ამდენ რამეს გულის კედლები...
და მეც წინ მინდა გავიხედო,
უკან სევდაა,
უკან სევდაა,
მეგობრების დანატოვარი;
უკან ნამდვილი შემოდგომის ფოთოლცვენაა,
ვარსკვლავთცვენა კი,
ვარსკვლავთცვენა ჯერაც წინ არი...
დარდებს მოვისვრი,
ვით მოსასხამს,
როგორც მჩვევია,
და სულთან ერთად
სხვა ზეცაზე გადავფრინდები,
და თუ მეგზურად
სიყვარული ამირჩევია,
სადაც ინებებს
ჩემი სული
იქ დავმკვიდრდები...
და, თქვენც,
ლანდებად მოვლენილნო
მიწის სტუმრებო,
თქვენ, ვისაც გშიათ,

გწყურიათ და ხართ უსახლკარო,
დაფიქრდით,
ჰოდა,
თუკი ვინმეს მოგეგუნებოთ,
ჩემთან წამოდით,
უსაზღვროა ჩემი სამყარო...

რექვიემი

ვუსმენ რექვიემს და ვფიქრობ მზეზე,
მორჩა ღამეებს ვეღარ ვენდობი,
ცა დაიწვება და შუადღეზე,
გადაჭრელდება ვნებით ფერდობი...
მჟღერი ბგერებით აღტკინებული,
მერცხლები ღრუბლებს შეესევიან,
თითქოს ჩაუბამთ ალვებს ფარხული,
და ერთმანეთის ტრფობით ტკბებიან...
დარბაზებიდან გამორეკილი,
შუა ქუჩაში უკრავს ორკესტრი,
ეს რექვიემიც მკლავმოწყვეტილი,
არის ფრაგმენტი ძველი კონცერტის...
კარზე კი რეკავს გაბმულად ზარი,
კარს არ გავაღებ, კარს არ გავაღებ,
მე ვერაფერი ვერ მოვასწარი,
შენც არაფერი შემომთავაზე...
და ახლა როცა რეკს რექვიემი,
და ღამე ფიქრობს თვალის გახელას,
მწვანე ლარნაკში ჭკნება ტიტები,
და ვიღაც ცდილობს ჩემს გადარჩენას...

იცი, სიკვდილი რატომ მაშინებს?

შემომეჩვიე, როგორც მელია,
და ფიქრებს მპარავ, როგორც წიწილებს;
გული ვერაფრით შემოგელია,
არ გაიკარა გულმა სიცივე...
იცი, სიკვდილი რატომ მაშინებს,
არა იმიტომ, რომ არ ვიქნები;
ვაჰ, თუ ღმერთებმა იქაც გამწირეს
და სხვებს ეფერონ შენი თითები...
იქაც სხვას ჭვრეტდნენ შენი თვალები,
სხვისთვის ისვამდე ფერ–უმარილებს,
სხვების წყურვილებს ნაზიარები,
მე იქაც ისევ თვალს ამარიდებ...

ნეტა, რატოა, ბედის ბრჭყალებმა,
თუ ერთხელ დაგვწვდა და დაგითრია,
არც სინანული, არც შებრალება,
იმათ, ძვირფასო, აღარ იციან...
შორსა ვარ, ახლოს ვერ გეკარები,
ღამემ გრძნობანი შემომაფლითა,
ვარსკვლავნიც, მთვარის სეფექალები,
მე დამცინიან იმ სიმაღლიდან!!!

ისე ლამაზად მისაყვედურე

თქვენ მაწყენინეთ, თქვენ მაწყენინეთ,
იმეორებენ შენი ტუჩები;
მე მეღიმება და ხმას ვერ ვიღებ,
რა გაწყენინე, არ მეუბნები...
არაუჭირსრა, გადავივიწყებ,
მობოდიშებას არავინ არ გთხოვთ...
და უნებლიედ ტუჩზე იკბინე,
მეც კი მეტკინა ტუჩთან სულ ახლოს!
ღმერთო, ეს ბავშვი რა ლამაზია,
როგორ აქამდე ვერ შევამჩნიე,
რა სიმშვიდეა, რა სინაზეა,
ვაითუ, მართლაც, გული ვატკინე...
რა უნდა მეთქვა, შენ დამემდურე,
მე დასჯილივით შენს წინ ვიდექი,
ისე ლამაზად მისაყვედურე,
რომ ერთხელ კიდევ გაწყენინებდი...

კვერთხი

ზოგს ხალიჩას უქსოვს ბედი,
და სამეფო ტახტზე აჰყავს,
ბზინავს, ბზინავს ოქროს კვერთხი,
კვერთხზე არსად სისხლი არ ჩანს...
სისხლი არ ჩანს სასახლეში,
ყველაფერი ბზინავს, ბრწყინავს,
მეფეც ღრეობს კვერთხით ხელში,
მეფეს კვერთხით ხელში სძინავს...
მაგრამ გარეთ, სადაც ხალხი,
ხალხი კვერთხის ქვეშა გმინავს,
ტაძრის ხატებს ცრემლი დასდის,
ციდან მოდის სისხლის წვიმა...
არასოდეს მყვარებია,
მეფის ტახტი, მეფის კვერთხი,

ხალხს თავისი ხატები აქვს
და იფარავს თავის ღმერთი...

წამები

იცი, ბევრს ვფიქრობ, ვინა ვარ შენთვის,
მართლა გიყვარდი, თუ თამაშობდი?
იქნებ ეს იყო ლტოლვანი მდედრის,
და მეორეწამს აღარც გახსოვდი...
კი, წამიერი არის ყოველი,
არა გვთავაზობს ბედი არჩევანს,
რაც იყო შენი და ახლობელი,
წამიც და ისიც სულ სხვას დარჩება!
წლები მძივებად ძველ წლებს მიჰყვება,
წამები არის ჩვენი ცხოვრება,
და ერთი ტრფობა თუ დაიწყება,
მეორე იმწამს იქვე მოკვდება!!!
იცი, ძვირფასო, მე ავადა ვარ,
ჰო, ავადა ვარ, რაც მიმატოვე,
შენ ერთადერთი იყავ ქალთაგან
ვისთანაც მსურდა მე სიახლოვე...
რა ვუყოთ, დარჩი ჩემთვის უცნობი,
და ვხვდები, ალბათ ასეც გაწყობდა...
მთელი ცხოვრება რასაც ვუფრთხოდი,
მგონი სიკვდილიც მომიახლოვდა...
ასეა, სხვისთვის არასდროს მითქვამს,
რომ ერთადერთი ის არის მხოლოდ...
შენთვის წამები არაფერს ნიშნავს,
მე კი ყველა წამს თუ კვდება, ვგლოვობ!!!

წმინდა იყოს სიყვარული ჩვენი

რაც დრო გადის, რაც დრო გადის, ვამჩნევ,
ყოველივეს ეკარგება ფასი,
როგორ მინდა სადმე ბნელში ჩავრჩე,
თან მფარავდეს რამე მკვრივი გარსი...
დედამიწა ტრიალებდეს უკან,
წინ კი არა, როგორც ახლა ხდება;
ვდარაჯობდე დადუმებულ ვულკანს,
და ქალებზე ვკამათობდე ღმერთთან...
როგორ მინდა, როგორ მინდა იცი,
ისევ იმ ჩვენ სამოთხეში ვიყოთ...
ვიყოთ ისევ ერთმანეთის ღირსნი,
გვამშვიდებდეს ერთმანეთის სითბო.

ჩავცქეროდე შენს უძირო თვალებს,
და სინათლეს ვპოულობდე მათში,
ბოტიჩელის გაზაფხულსა ჰგავდე,
და ყაყაჩოს ველის პირას გაშლილს...
წმინდა იყოს სიყვარული ჩვენი,
ვით ქალწულის უკოცნელი ბაგე,
და სიტყვებიც იყოს ისე წრფელი,
უთქმელადაც, უთქმელადაც გვწამდეს...

ტანგო

კიდევ ერთხელ,
კიდევ ერთხელ მინდა,
შენთან ერთად
რომ ვცეკვავდე ტანგოს,
მთელი ღამე,
დიდხანს,
ისე დიდხანს,
რომ მზის ალი წაეკიდოს ტატნობს...
მიყვარს,
მიყვარს
რომანტიკა ორთა,
თითქოს ქარი
გვაბზრიალებს ცაში,
მიყვარს წამში
ელვასავით კოცნა,
და ორგიის
ჟრუანტელი ტანში...
შეგრძნება მაქვს
ვეჯიბრებით გრიგალს,
მივფრიალებთ,
ვეჯახებით ღრუბლებს,
მიყვარს,
მიყვარს,
შენი კოცნა მიყვარს,
ვეწაფები გულმკერდს,
ძუძუს,
ტუჩებს...
ქარვისფერი
ღვინოსავით ტანგო,
წითელ ვარდთა
სარეცელში გვარწევს,
დღეს ამურმა
შენი თავი მანდო,
მაგრამ ქარი
კაბას გხდის და გტაცებს...

აქ კი უკვე
ედემია სრული,
ბოლო ბგერა
ილევა და ქრება,
თითქოს ყელში
ამოვიდა სული,
თითქოს გედი თავს აგდებს და
კვდება...

მუსიკა

თუ მუზები და დემონები იკრიბებიან,
ალბათ,
მაშინ იწერება ნაღდი მუსიკა...
ცაში,
იქ,
სადაც ვერცხლისფერი ვარსკვლავებია,
და მელომანი იბადება მთვარის მუცლიდან...
ჰო, მხოლოდ მაშინ,
ჯადოქრები თუ წრეს შეკრავენ,
და ვიოლინოს ხემს შეახებს
ხელს თვითონ ღმერთი,
და დემონები და მუზები თუ შეეჯახნენ,
ერთმანეთს,
როგორც დრაკონები
შუბლების შეხლით...
მერე კი ზეცა
სისლისფერად უნდა აფეთქდეს,
და გაანათოს
ღვთიურ ცეცხლით მთელი სამყარო,
დემონთა ცეკვას
შენს მუზებთან შეუდარებელს,
გადმოფრქვეული
ნაპერწკლები რომ შეადარო...
თუ არ შეასკდა
იქ ზეცაში
ეს ორი ძალა,
ორი საწყისი
სიკეთის და ბოროტებისა,
თუ მუზის სისხლი
ცოტა მაინც არ დაიღვარა,
თუ არ იგემეს
დემონებმა სისხლი ღმერთისა...
რომ დაიწეროს,
დაიწეროს ნაღდი მუსიკა,

არა უბრალოდ, კარგი,
არა,
რამე ღვთიური,
აღარაფერი უნდა
დარჩეს შენი მუზისგან,
და, შესაძლოა,
გაჩნდეს
რამე
დემონიური...

ნატვრა

ლამაზი ხარ, როგორ გითხრა,
ვენახს ჰგავხარ მსხმოიარეს,
მიმზერს შენი თვალებიდან
ვარსკვლავები, მზე და მთვარე...
ვდნები შენი სიყვარულით,
როგორც თოვლი გაზაფხულზე,
ბულბული ვარ მინაბული
სტვენა–სტვენით მაგ შენს გულზე...
მაგრამ რა ვქნა, შენი ბაღჩა,
ჩემთვის შორი საზღვარია,
შენ მტევნები დაგეშაქრა,
აქ კი ჯერაც ზამთარია...
ჰო, ყინულის მარწუხები,
მიჭერს, მიჭერს, არ მეშვება,
როგორც ვატყობ ამ ბედს ჩვენთვის
არაფერი ემეტება...
სადაცაა შემოდგომა
მოვა, მალე გვესტუმრება,
ეგ მტევნები მწიფე როა,
დაგეწურა ჩემთვის, ნეტა...
ჰოდა, რადგან მარცვალ–მარცვალ,
არ მეღირსა მათი სიტკბო,
შეგენახა შენც შარბათად,
ჰო, შარბათად დამტკბარიყო...
და როდესაც ქარვის წვენი,
აივსება სურნელებით...
დავთვრებოდი შენი მკერდის,
უტკბილესი ფუჟერებით..

როდის იქნება

ქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული,

ქვეყნად ყველაფერს ჟამი ჩაყლაპავს;
შენთან შეხვედრა იყო ზღაპრული,
მაგრამ შენ ჩემი რომ აღარა გწამს...
იცი, ვიქეცი თითქოს მდინარედ,
და ხეობებებში მოვეხეთქები,
გამოვაღვიძო მინდა მძინარე,
ხავსმოდებული ციხის კედლები...
ამღვრეული ვარ, როგორც მორევი,
მინდა წავლეკო გზად რაც დამხვდება,
ვარ გაქცეული ნაკატორღელი,
გაცოცხლებული ვარ მოლანდება...
ასე მგონია ფეხი მისხლტება,
ვერსად ვერაფრით ვერა ვჩერდები,
გამოიყოლეს ჩემმა ზვირთებმა,
ლოდები კლდიდან ანათქლეშები...
მოვალ, მოვარღვევ, მხოლოდ ჩემი ხმა,
ჩემი ღრიალი ესმის ხეობებს,
როდის იქნება განრისხებისგან
ჩემსავით ზღვებიც აზვირთდებოდეს!
როდის იქნება, როდის იქნება,
გაიღვიძებდეს ირგვლივ ტყე–ველი,
ჩემი მორევი დაიწმინდება,
და ვივლი ისევ აუმღვრეველი...

მეგობარ პოეტს რომელიც ახალწლის წინა დღეს გარდაიცვალა (ნოდარ ადეიშვილს)

ყველას იგივე მოგველის,
არც ჩვენ გვექნება სხვა ბედი...
მწარეა წუთისოფელი,
გულიდან ამონაღვენთი...
ხან გაგაბრუებს იმედით,
ხან გზისპირს ჩაგისაფრდება...
ჩვენგან სულ, ალბათ, მცირედი,
სულ პაწაწინა რამ რჩება...
სულ, ალბათ, ერთი ყვავილი,
საფლავის ლოდთან მდუმარი,
მოსული სამდურავისთვის,
შენი ლამაზი სტუმარი...
გადაებმება დღეები,
გადაუღებელ წვიმებით,
შავი ღრუბლების ცრემლებით,
სოფლებით დამეწყრილებით...
განა ჩვენ რა ბედს ვეწიეთ,
რა ტკბილი გვქონდა ხილვანი,
ვუმზერდით დილით მზეწვიებს...

ღამით გვაფრთხობდა სიზმარი...
ამიტომ ხელჩაქნეული
მუდამ სასწაულს ველოდით...
და ვამაყობდით რჩეული
დაჩოქილ საქართველოთი...

თამუნია წერეთელს

რად გვიხარია წლები რომ გადის
ის, რომ ერთი წლით უფრო დიდი ვართ?
მოვდივართ ქვეყნად ღმერთების ხათრით,
და ეშმაკების ხათრით მივდივართ...
ჯობს, გადიოდეს მართლაც ეს წლები,
იცი, ისინი მუდამ გვჭირდება,
თუკი შევძლებდით, თუკი შევძლებდით,
სიყვარულს, ტრფობას, თავდავიწყებას!
მე კარგად ვიცი, რომ შენ არსებობ,
და ჩემთვის მხოლოდ სიკეთე გინდა,
საკმარისია ერთხელ მახსენო,
შენთან გავჩნდები თუნდ მეცხრე ციდან...
ერთს კი გეტყოდი, თუ დამიჯერებ,
ქვეყნად გაჩენა პირობითია,
მეტყვი, რა გველის სიცოცხლის მერე?
ან სიცოცხლისას, არ შეგიძლია?
ისე კი მართლაც ჩვენს არსებობას,
ჩვენს არსებობას თუ კი აქვს აზრი,
ვისურვოთ, თამუ, უკეთესობა...
გოზინაყის მზე და მთვარე თაფლი...

ინგას, ციციშვილს...

იქნებ არც ღირდეს გაცნობა ჩვენი,
დავრჩეთ უცნობნი, როგორც ვიყავით,
რადგან არა მაქვს შანსი არჩევნის,
მე დამნაშავე, შენ გამკითხავი...
მძიმეა ჩემი დანაშაული,
მას სიყვარული ჰქვია სახელად,
მაგრამ გულგრილად გვერდს ვერ ჩაუვლი,
მეც ვიბრძვი თავის გადასარჩენად...
თუმც ვიცი, ვიცი, რომ დავმარცხდები,
როგორც ამბობენ, სული ტკბილია,
შენ ისე ღიად მეთამაშები,
ვხვდები, რომ ჩემი არ გეშინია...
იცი, არ გირჩევ ჩემთან ხუმრობას,

არც სხვებთან მინდა გამაიგივო,
მე ავირჩიე თავისუფლება
და გრიგალებთან მინდა ვიფრინო...
როგორ გგონია, გაუძლებ გრიგალს,
როცა თავს რისხვით ესხმის ქალაქებს,
როცა გააპობს ღრიალით ცისკარს,
მთვარეს კი ლამის მზეს შეანარცხებს...
ჰო, გრიგალი ვარ, მაგრამ, ძვირფასო,
მე ფარ-ხმალსა ვყრი შენთან ბრძოლაში,
რომ სიხარული შენ განიცადო,
მე კი სულს დავლევ შენს მონობაში...

ნონას, ჩემს მოგვარეს...

ისეთ ხასიათზე ვარ, ისე მიშლილ-მოშლილი,
ერთად რომ დაგესხმება, ათასობით ფიქრები,
შენ კი ყელზე გკიდია, ვიღაც ავგაროზივით,
ირგვლივ ყველა იცვლება, მხოლოდ შენ არ იცვლები...
იცი, მინდა გიშველო, თუკი არის საშველი,
მაგრამ არა მგონია, რადგან გჭირს უსაშველო,
გრძნობას შენ რომ შეგყრია ვერ დავარქვი სახელი...
ისეთი სიგიჟეა, რომ ვტოვებ უსახელოდ...
იცი, მართლაც ბედია გაჩხერილი თქვენს შუა,
მხოლოდ თითო-ოროლა თუა ბედის დამჭერი,
თუმც, ეგ შენი სიგიჟე, მართალი ვთქვა, შემშურდა,
მართლაც არა მსმენია მსგავსი მე არაფერი...
გიყვარს? უნდა გიყვარდეს, რა სჯობია მაგ გრძნობას,
ნირვანაში გამყოფებს და დაფრინავ ჩიტივით,
მაგრამ ალბათ მიფრინავს შენი ახალგაზრდობაც,
შენ კი მაინც ინახავ ხსოვნას სერდოლიკივით.

... (ტ–ს)

გითხრა, როგორ მიყვარხარ?
როგორც ფსკერი მდინარეს,
როგორც ოქრო მინანქარს,
როგორც სისხლი ტირანებს!!!
გითხრა როგორ გენდობი?
როგორც ღამეს ჯაშუში,
როგორც ზრუნვას დედობრივს,
როგორც ყვავილს გაფურჩქნილს...
გითხრა, როგორ მინდიხარ?
როგორც ტუსაღს გაქცევა,
როგორც პოეტს სიტყვისგან

უნდა თავის დაღწევა.
მიყვარს როცა ოცნებით
ვინმე მეჩურჩულება,
ცეცხლოვანი კოცნები
და შენი ერთგულება!!!

წამოდი ჩემთან (კ–ს)

მე შევეჩვიე შენს ჭკვიან თვალებს,
თვალებს სევდიანს, თვალებს ფიქრიანს,
ჰოდა, ძვირფასო, ნუღარ მაწვალებ,
წამოდი ჩემთან, თუ შეგიძლია...
წამოდი ჩემთან, სანამ მახსოვხარ,
სანამ მიყვარხარ, სანამ გიტკბები,
თორემ შემშალა ამ უაზრობამ
და უარყოფამ გამოგიტყდები...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ ზღვაში ვარ და ნაპირს ვერ ვაგნებ,
ყველაფერს გვერდზე ჩაუქროლია,
რაც კი რამ იყო, ალბათ, შენამდე...
ვიცი, რომ გესმის ჩემი ძახილი,
ვიცი, რომ ფიქრობ, შენც ჩემზე ფიქრობ,
მინდვრებში ჰყვავის თეთრი ასკილი,
მთვარეც კი მზესთან შეხვედრას ითხოვს...
წამოდი, იქნებ ჩვენ შევარიგოთ,
ვერ ვიტან წყვდიადს, ღამეც მაცოფებს,
ისე კარგი ხარ, მზისა არ იყოს,
შენ ერთიც შეცვლი ყველა მნათობებს...

ზოგჯერ

ზოგჯერ ჩაივლის შენს გვერდით ქალი,
და სულში თითქოს თავის კვალს სტოვებს...
თითქოს ზედ გულზე დაგაჩნდა ბზარი,
და არვინ, არვინ შენს სიახლოვეს!
რომ უმკურნალოს ტკივილებს შენსას,
რომ გაგამხნევოს თავისი ეშხით,
რომ შენთან ერთად ის შხამიც შესვას,
რომელიც ხშირად გადადის ყელში!!!
არადა, ზოგჯერ რა ცოტაც გვყოფნის,
რომ ჩვენც წამოგვცდეს, "შეჩერდი წამო!"
ის კი წავიდა და აღარ მოდის,
ვერც დააბრუნებ, ტყუილად ლამობ!

ნუ გეწყინება

შენ ალბათ ფიქრობ, რატომ გაწუხებ,
შენს სიახლოვეს რა დამრჩენია...
მე კი არც ვიცი, რას გიპასუხებ,
იქნებ და ღმერთის განაჩენია...
ზოგჯერ როდესაც გამოვექცევი,
ციურ გრიგალებს, ელვებს, ვარსკვლავებს,
როცა ვერ ვხვდები სად დავეცემი,
თავს შენს სიმშვიდეს შემოვაფარებ...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
თუ მოგახვიო ჩემი დარდები..
მე საქართველო სადაც იწყება,
იქ ვიწყები და იქვე ვმთავრდები...
მითხარ, რა არის ცუდი ამაში
თუ სხვაგან ბუდე არ მეგულება,
რატომღაც მიყვარს შენთან თამაში,
და თავს მივეცი ამის უფლება!

ალბათ, იყო, იყო...

ალბათ იყო, იყო, ეს ცხოვრება ტკბილი,
იქნებ ახლაც არის, სადმე, მთებში, სადაც,
ვერა გრძნობენ გულთან ვერავითარ ტკივილს,
და სიცოცხლის დღენი მიაჩნიათ ზღაპრად...
არ აწუხებთ სულაც არც საზღვრების ბედი,
არც იციან სადმე თუ ეს ხაზი გადის;
არ უნახავთ ტყვია, არც ნაღმი, არც დენთი,
ისრულებენ ყველა სურვილსა და წადილს...
სადაც დღეს დღე ჰქვია, ხოლო ღამეს ღამე,
სად ბუნება მეფობს, დღემდე ისევ მყარად,
სადაც ჩანჩქერები მზეს უშლიან მკლავებს,
და ქარები ქრიან კლდეთა სანახავად...
ვიცი, სულ სხვა დროა, ახლა დეკადანსებს,
და სევდაზე ჩივილს დაუპყრია აწმყო;
მე კი მთებში მინდა, სადაც მზეა სავსე,
სადმე წყაროს პირას, ვარსკვლავებთან ახლოს...

როგორ მინდა

როგორ მინდა სადმე შორს, წამიყვანა აქედან,
სადაც მარტოობაში ბოლო დღეებს გავლევდი,
სადაც ჩემი სხეული ცისკენ გაემართება,
სადაც არ დამჭირდება სიტყვაც თავის მართლების...

სადაც წამომართული უთეთრესი მთებია,
სადაც ცას ეხებიან იმათი მწვერვალები,
სადაც ჯიხვნი ერთმანეთს რქებით ეჯახებიან,
სადაც ვეფხვნი იბრძვიან ჟინით და გააფრებით!!!
სადაც უკან გავყვები დაგორებულ ქვა-ლოდებს,
როცა შემოიხევენ ტანზე პირქუშ ხეობებს,
სადაც ვარდის ბაღებში ბულბულები გალობენ,
და არავინ არაფერს მეტყვის საქართველოზე...
სადაც ჩემი წარსული აღარ გამახსენდება,
სადაც არ ქარიშხლობენ ქარნი წყვდიად ღამეში,
სადაც შუბის ბუნიკით მოვკლავ ცოცხალ გველეშაპს,
და მის თავებს მივუყრი მგლებს ღორღიან ხრამებში...
როგორ მინდა შორს ვიყო, ამ უყალბეს წლებისგან,
თუნდაც მტრებმა ჯარები გულზე გადამატარონ,
არსად დარჩეს ნამცეციც ჩემი მყიფე ძვლებისა,
რომ გამიღონ ღმერთებმა ცისიქითა სამყარო!!!

იცი, უმიზეზოდ შემიყვარდი (ტ–ს)

არ ვიცი რა არის სიყვარული,
არ ვიცი, არ ვიცი არაფერი...
რად ხართ, ქალბატონო, მხიარული,
როგორც კვირიონი გადამფრენი...
რად ხართ, ქალბატონო, მომღიმარი,
ნუთუ ქარიშხლებმა ჩაიარა,
ნუთუ სულმთლად გაქრა ომის კვალი,
თავის თოვლებიან-ქარიანად...
მიყვარს, მიყვარს ეგ შენი ღიმილები,
ჩემს კითხვებს ნუ მიაქცევ ყურადღებას,
მე ხშირად უმიზეზოდ ვიგინები,
როგორც შენ იღიმები უნაზესად...
იცი, უმიზეზოდ შემიყვარდი,
შენ კი უმიზეზოდ ვერ ამყვები...
ისე, ყველა მიყვარს, შენი ჩათვლით,
თუმცა, სხვებზე მეტად მენატრები...

დროს როცა ვკარგავ

ჩემ თავს ვამშვიდებ, დროს როცა ვკარგავ,
არაფერია, არაფერია,
იქნებ მელოდა ტყვია და ჯვარცმა,
იქნებ შემთხვევით გზა ამერია.
იქნებ არც ღირდეს ამდენი შფოთი,
იმისთვის რისაც დღემდე მჯეროდა,

რომ დაწურულა ყველა ნაყოფი,
ჩემთვის ნათქვამი სადღეგრძელოდან...
რომ აღარა ღირს ღელვა და ფიქრი
და თავგანწირვა მამულისათვის,
რომ საზღვართან ვარ და საზღვარს იქით,
თუნდ გიწოვია ძუძუ მგლისათვის...
რომ რაც არ უნდა სწრაფად იარო,
ვერ გაექცევი ამაოებას,
რომც გაგაღმერთონ, რომც გაღიარონ,
ბოლოს რა, კუბო და სასოება...
როგორ არ მინდა ჟანგმა შეჭამოს,
როგორ არ მინდა ნისლი ფარავდეს,
ღირსებას ჩემსას უკიდეგანოს,
სიყვარულს ჩემსას ან სიამაყეს...
მე უძლური ვარ, ვერ შევაჩერე
დრო და ვერც უკან ვერ დავაბრუნე...
დაფნის გვირგვინით ის სხვებს ამშვენებს,
და მე კი ალბათ ეკლებს მარგუნებს!
თუმცა, მე ჯერაც ისევ მაცოფებს,
როცა უაზროდ წუთებსა ვკარგავ,
ისე, დრო თუ არ დამიმახსოვრებს,
ეზოში მიდგას ვარდიც და დაფნაც!!!

ისევ მთვრალ ალუბალს

ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ,
როგორც ორაგულს არაგვის წყალი,
ასე მგონია, ადრეც მინახავს,
ადრეც მინახავს შენზე სიზმარი...
აპრილის თვეში ალუბლის ბაღში,
იცი, მესიზმრე პატარძლის კაბით,
ალუბლის ყვავილს იბნევდი თმაში,
და ალუბალზე ნაზი იყავი...
რისთვის მესტუმრე, ვიყავი ჩემთვის,
ჰო, გავურბივარ უკვე სიყვარულს,
შენ კი შიგ გულში ჩამასვი ნემსი,
და ვებრძვი გრძნობას რაღაც ტიტანურს...
მართლაც სურნელით ისე გავივსე,
ვით გაზაფხულის თეთრი ბაღები,
თითქოს დამედგა ფეხი ყვავილზე,
ნუ მენაზები, ნუ მენაზები...
კი, ვიცი, ვიცი, თავს ვერ ვუშველი,
ახალ ხაფანგში უნდა გავება,
მე ირემი ვარ, შენ ჩემი შველი,
ჩემ ცხელ ვნებათა აბრიალება!!!

მე და ზღვა

მიყვარს, როცა მე და ზღვა ვართ მარტო,
და ზღვა უტევს ნაპირს გააფთრებით,
თითქო, თავის მოგიჟება ართობს,
და ზეცისკენ მიფრინავდეს ფრთებით...
მე მგონია ზღვა თავს იკლავს ამ დროს,
თავგანწირვით ეხეთქება კლდეებს,
რომ ჩემსავით მასაც ბოღმა ახრჩობს,
აუხდენელ სიყვარულის შემდეგ...
მოაგორებს აქაფებულ ტალღებს,
ერეკება მათრახით და შოლტით,
ზღვა ღელვისას იკლავს გულის დარდებს,
ნაღველს, რაც მან ვერ მოიკლა კოცნით...
და მორეკავს, მოახეთქებს ტალღებს,
გადაყლაპვით ემუქრება მიწას,
თითქოს ჩემს წინ აშიშვლებდეს განცდებს,
დამბღაოდეს: მიყვარს, მიყვარს, მიყვარს!!!
ზღვას გავუგე, ქარიშხლებსაც ვუგებ,
ჩემს წინ ზეცას ჩამოგლიჯეს ფარდა,
თუმც მეც ვკვდები, თავი მიდევს კუნძზე,
ყველა ტირის, ყველა, ერთის გარდა!!!

ის წუთები მირჩევია

გული მწყდება, გული მწყდება ყველაფერზე,
რასაც უკვე მტვერი ფარავს დავიწყების...
და ვიხსენებ, და ვიხსენებ მერამდენედ,
წამებს, წუთებს, იმ პირველი გარინდების...
წამებს, წუთებს, იმ პირველი სულისშეკვრის,
და ნაპერწკლებს გადმოცვენილს თვალებიდან,
როცა ასე ემთხვეოდა სურვილები,
როცა თავბრუ გვეხვეოდა ალერსისგან...
ნაკადულებს ქაღალდების ნავებივით,
ყველა ჩვენი ოცნებანი მიჰყვებიან,
არაფერი მყვარებია ქალებივით,
მაგრამ მაინც ის წუთები მირჩევია...
ის წუთები, მოდგაფუნე ნაკადული,
პირველ კოცნით, პირველ ღამით აღტაცება,
სურნელება აფეთქებულ გაზაფხულის,
გულისცემის ერთმანეთზე გადაცემა...
იყო რაღაც, იყო რაღაც სიმბოლური,
რბილი მიწა, ლორთქო, გრილი ბალახები,

ტყის ჩურჩული, ჩუმი, მშვიდი, მინორული,
და მაღლიდან მობრდღვიალე ვარსკვლავები...

მეც ოკეანის ერთი წვეთი ვარ!!!

მეც ოკეანის ერთი წვეთი ვარ,
მაგრამ იქა ვარ, სადაც ყველანი,
როცა ტალღები აზვირთდებიან,
ჩვენ ერთად გვიწევს ჭაპან–წყვეტანი...
ჰო, ოკეანე ეს მე ვარ თვითონ,
ის ჩემთან ერთად აბიჯებს მიწას,
ჩვენ ვართ წვეთები, ჰო, თითო–თითო,
მაგრამ ნამდვილი ოკეანისა...
და როცა ხმელეთს ის ომს უცხადებს,
ჩვენი სიკვდილი გარდუვალია,
მაგრამ მათ ვისაც არ გაუმართლებთ,
სამარადისოდ ჩვენთან არიან!!!
ხშირად ამბობენ, რომ ჩვენ ერთნი ვართ,
დედამიწისთვის, ზღვაც და ხმელეთიც,
თუმც, ეს გზა ჩვენ არ აგვირჩევია,
რომ მიწას დავცეთ ელეთ–მელეთი...
მე, მართალია, ერთი წვეთი ვარ,
ერთი პატარა, მიკროსკოპული,
მეც საჭირო ვარ აჯანყებისას,
მეც ვიბრძვი მტრებით გარშემორტყმული...
მეც ოკეანის ერთი წვეთი ვარ,
მაგრამ იქა ვარ, სადაც ყველანი,
როცა ტალღები აზვირთდებიან,
ჩვენ ერთად გვიწევს ჭაპან–წყვეტანი...

რად მომწონდი, რად მიყვარდი, ნეტა...

ვარდი იყავ, გადაიქეც ალვად,
ცას ეკიდა ვარსკვლავების მძივი,
და გხედავდი, ისე, ისე ნათლად,
როგორც ღამეს ჰკვეთს წითელი სხივი...
რად მომწონდი, რად მიყვარდი, ნეტა,
ჩემთვის იყო მაშინ გამოცანა,
ალბათ რადგან დადიოდი კენტად,
ალბად რადგან დადიოდი ცალად...
მე კი მუდამ გულუბრყვილოდ მსურდა,
რომ არწივებს გავყოლოდი ცაში,
რომ მეხილა მთვარე რითა სუნთქავს,
როგორ მალავს გრძნობებს ღამით განცდილს...

თან ვეძებდი უკვდავების წყაროს,
გველეშაპი რომ დარაჯობს მუდამ,
რადგან ჩემი ხალხი ასე წვალობს,
რადგან ყველას უკვდავება უნდა...
შენი სახე მინათებდა ღამეს,
შენი მკერდი მაწოვებდა ძუძუს,
გველეშაპებს სწორედ მაშინ ჰკლავენ,
როცა ციხეს დაუმსხვრევენ ურდულს...
ვერ გავიგე ვინ გაგიღო კარი,
ან სადა ხარ, ნეტა, ვისთან ერთად,
მე კი შენთვის, ერთ დროს, ალბათ, მკვდარი,
შენს მაგიერ ვლაპარაკობ ღმერთთან...

შენს დაკარგვას ვერ ავიტან...

ხშირად სადაც სიტკბოს ვეძებ,
იქა მხვდება სწორედ შხამი,
შეყვარებულს სიცოცხლეზე,
აღარა მაქვს ბრძოლის თავი...
იცი, მოვვლე ტაიგები,
უდაბნონი გადამშრალი,
თავს არაფერს ვარიდებდი,
ხან მწყურვალი, ხანაც მკვდარი...
რომ ადრიან გაზაფხულზე
შენთვის ია მომეტანა,
რად დამადგი ფეხი გულზე,
რად დამარტყი მკერდში დანა...
მიყვარს, მიყვარს, როგორ მიყვარს,
ძველი სიტყვა ხავსიანი,
შენს დაკარგვას ვერ ავიტან,
ნუ ხარ ასე ნავსიანი...
იას მოგცემ, გამომიტან,
წითელ ღვინოს ძველი თუნგით,
მე რომ შენთან ყოფნა მინდა,
წუხელ ცოლსაც გამოვუტყდი....

ვნახე სიზმარი...

იცი, ვიცოდი რისთვის მოვედი,
რა აზრი ჰქონდა ჩემს დაბადებას,
ან ეს რძისფერი საღამოები,
ასე ერთმანეთს რად გადაება...
გზადაგზა ვშლიდი მე ჩემს შეცდომებს,
რაც უნებურად დღემდე მომსვლია,

თუმც ჩავიხვიე და ვიმეორებ,
ღმერთო, ეს ნაღდად ანგელოზია...
და ამიტომაც ვერ გეკარები,
ცხადში ეს თავშიც ვერ გამივლია,
მხოლოდ ეს ვიცი, რომ მეყვარები,
და ამ სიყვარულს ვერ დამიშლიან...
ვერც ჩაგონებით, ვერც შთაგონებით,
ვერანაირი ტკბილი ქართულით,
მე მოსული ვართ მხოლოდ დროებით,
და შენ ხარ ჩემი აწმყოც, წარსულიც...
იცი, წუხელაც ვნახე სიზმარი,
სადღაც შორს, სულ შორს, უცხო მხარეში,
სადაც ბუნება, როგორც მისანი,
ქალწულთ ჩასცქერის მშვიდად თვალებში...
იქ თვალუწვდენელ ყვავილებიან
მინდვრების სპეტაკ სილამაზეში,
მე და შენ ერთად გაგვღვიძებია,
გვერდიგვერდ, როგორც ბავშვებს აკვნებში...
შენ უნაზესი იყავ შროშანი,
მე კი ეკლები გამომაყარა,
შენ ღამის თეთრი მანდილოსანი,
მე კი პირქუში მამრი აშკარად...
კოცნა მინდოდა, მაგრამ კოცნამდე,
ეკლები უნდა შემომეცალა,
უნდა მეკოცნა მზის ამოსვლამდე,
რადგან დღისით შენ აღარ გეცალა...
იქვე კუნელი გაუცინარი,
მე მაგონებდა: სხვისი ცოლია...
ხვდები, რომ ბედი თურმე სიზმარშიც,
სიზმარშიაც კი არა მქონია...

ჩემი პასუხი ლევან ნატროშვილს!!!

ისევ დამეკარგა ბედის ანგელოზი,
ალბათ ქარიშხალმა ფრთები შეალეწა,
როგორც ღამურები ბებერ სამრეკლოში,
მეც ბედს ვემალები სწორედ ბედთან ერთად.
როგორც აზარფეშა ბევრჯერ დამიცლია,
შხამით გავსებული ბროლის ფიალები,
ვერცხლზე არასოდეს ჯერ არ გამიცვლია,
ჩემი დაფხრეწილი სულის იარები...
თუ რამ დამიკარგავს სულ არ მენანება,
ტურები მეფობენ ბრიყვთა ქვეყანაში,
მიცურავს ზეცაში ცოდვათა პლანეტა,
ეჭვებით, ცრემლებით, გაცემით, ღალატით!!!

დაღამდა, გაშავდა მზის თეთრი სხივები,
ეკლების გვირგვინი იუდას რგებია...
ვერაფერს გახდები, არ გქონდეს იმედი,
ვერ გასტეხ და ვერც რქებს მოამტვრევ რქებიანს!!!

მე პოეზიის დამდევდა ღმერთი

არ მინდა მწვავდეს, არ მინდა მწვავდეს,
შურისძიების ალი და ცეცხლი,
მე გავურბოდი პოეტის სახელს,
თუმცა, როგორც ჩანს, ამ სახელს შევრჩი...
ჩემს ნათქვამს ნურვინ გაიგებს ცუდად,
ნურც დამაბრალებთ სიყალბეს რადგან,
არ მხურებია არასდროს ქუდად
მე არაფერი ლექსების გარდა...
და იმ თავიდან, რაც გავჩნდი, დღემდე,
ჩემს არსებობას თუ ჰქონდა აზრი,
მხოლოდ და მხოლოდ ვბოდავდი ლექსებს,
ლექსში ვეძებდი სამყაროს საზრისს...
ქვესკნელში, ცაში, სადაც კი ფეხი,
ალბათ დამიდგამს სიზმრად თუ ცხადში,
მე პოეზიის დამდევდა ღმერთი,
და მაცოცხლებდა ლექსებად დაცლილს...
და ახლა თუკი მზე ზღვაში ჩადის,
ანდა ტაძრებში იწვის სანთლები,
მე ჩემი მუზა სტრიქონებს მაწვდის,
ის სულ თან დამდევს ლექსის თანხლებით...
თუმცა არ ვიცი რა ჰქვია ამას,
სიბრძნე, სიგიჟე, შემოქმედება?
მე მას ვერავინ ვერ ამიკრძალავს,
მას ვერც სიკვდილი ვერ შეეხება!!!

ნამდვილ სიყვარულს უყვარს დუმილი (კ–ს)

მე შენ არაფერს, არაფერს გკითხავ,
მე შენ არაფერს, არაფერს გეტყვი;
უბრალოდ, შენი ყურება მიყვარს,
უბრალოდ, მართლაც, უბრალოდ გეტრფი...
და ერთსაც გეტყვი, თუ დამიჯერებ,
მე შენ არასდროს არ მომწყინდები,
რატომ? მგონია, რომ წლების მერე,
უფრო და უფრო გამობრწყინდები...
რომ სილამაზეს თუ ის არსებობს,
ვფიქრობ შენს გამო დაედო ფასი,

მიყვარხარ, მაგრამ, ხედავ, არ გჩემობ,
არ გჩემობ, რადგან, ვიცი, რომ მაცლი...
და რაც დრო გადის შენი სურვილი,
უფრო და უფრო მეტად მედება,
ნამდვილ სიყვარულს უყვარს დუმილი,
ყალბი კი აქცევთ მიჯნურთ ყბედებად...
აი, რატოა, რომ ჯერ არაფერს,
რომ ჯერ არაფერს არ გეკითხები...
ვიცდი, თუ გრძნობა არ მიღალატებს,
მაშინ კი, ალბათ, შენი ვიქნები!!!

სადა ხარ, გელი...

სადა ხარ, გელი, უკვე რამდენჯერ,
ყველა იმედი გადამეწურა,
მე კი არ მინდა, რომ ბედს დავნებდე,
მე ომს ვაპირებ კვლავ ძველებურად...
მართლა! არ გჯერა? მზად მყავს მერანი,
ერთი შემორტყმა უნდა დეზების,
მიწას გაუვა ჩლიქთა თქერანი,
გამინათებენ გზებს ნაპერწკლები...
მე გელოდები, ჰო, გელოდები,
ვის უყვარს ყალბად ხმლების ჩხრიალი;
შენა ხარ ჩემი ოქროს ზოდები,
და ჯაფრასტალი ასვერცხლიანი...
მე ვერ დავუთმობ შენ თავს ვერავის,
ვერა ყივჩაღს და ვერა ყიზილბაშს,
ზღვებს გადალახავს ჩემი მერანი
არსად აიცდენს არცერთ სისხლისღვრას!
და თუნდაც მომკლან შენთვის ბრძოლაში
შენ ჩემი სული არ მიგატოვებს,
შენთან დარჩება მახსოვრობაში,
გაჭირვებისას ის გიპატრონებს!
ჯერ კი ეს გული სანამ ცხელია,
სანამ თენდება ისევ ვარდისფრად,
მე შენთვის ბრძოლა ამირჩევია,
სანამ სიკვდილი ჯვარს გადამისვამს!
სადა ხარ, დასკდა ლამის ძარღვები,
სადა ხარ, დროზე გამომეცხადე!
უშენოდ სიკვდილს ვერ ჩავბარდები,
მე ვიბრძვი მხოლოდ გამარჯვებამდე!!!

თამუ...

იცი, სამყარო დაპატარავდა,
რატომ მგონია, რომ ეს კარგია,
ფერი იცვალა თითქოს ქალაქმა,
იმასაც თითქოს რაღაც დარდი აქვს...
გინდა, მე შენთვის სანთლებს ავანთებ,
უკვე ავანთე, მინდა გჯეროდეს,
მარტო არა ხარ ამ ქვეყანაზე,
ტკბილი მარწყვი ხარ, მარწყვის მდელოზე...
მართლა, ყველაზე მეტად მიყვარხარ,
გულს შევეკითხე, ნაღდად ასეა?
ჰო, დაღლილია ის ფიქრისაგან,
მაგრამ მთლიანად თაფლით სავსეა...
რა მიპასუხა, აი, ხომ ხედავ,
გულმა, რომელიც არა ტყუვდება,
მიატოვებსო თამუნას სევდა
და რაც კი სურსო აუსრულდება!!!

ვიცოდი, რომ ანგელოზი იყავ...

არც კი ვიცი, დამიჯერებ, რადგან,
დავინახე სიფრიფანა ფრთები,
და საოცრად გამჭვირვალე თანაც,
ზურგზე გქონდა დედას გეფიცები...
ვიცოდი, რომ ანგელოზი იყავ,
მაგრამ მაინც გულს კაწრავდა ეჭვი,
შენთან ყოფნა და ჩურჩული მიყვარს,
როგორც ზღვის წყალს, ზღვის ნაპირას კენჭი.
შენი ზღვა ვარ, მკლავებს გავშლი კარგო,
მომეკარი, მომეწებე მაგრად,
მინდა, შენი სიყვარული მანდო,
გეფიცები, არსად დაგიკარგავ!!!

სევდა

არ მეგონა, არ მეგონა ასე,
თუ დამწვავდა შემოდგომის ზეცა,
მზე მიწაზე ჭრელ ხალიჩას გაფენს,
ცეცხლის ალი უკიდია მწვერვალს...
გასულია, გასულია უკვე,
სამაისო სიხალისის წლები,
ბაღში ვარდი მიმოფანტავს ფურცლებს,
ლარნაკები გავსებულა ცრემლით...
სარკმელს უტევს სევდიანად ქარი,

თვალზე ლიბრი გადაჰკვრია ქუჩებს,
მობუტბუტებს დაწრეტილი მტკვარი,
ბოლო ლოცვა წამოსცდებათ ტუჩებს...
მოლოდინი ყოველგვარ აზრს კარგავს,
გარეთ ვიღაც დაბანცალებს მთვრალი,
მთვარემ ვერცხლის ჩამოუშვა ფარდა,
სადღაც ახლოს გაჯახუნდა კარი...

რაღას ველოდო

მე ვერ დავიცდი, არ შემიძლია,
ან თუ კი მიყვარს, რაღას ველოდო,
დღეები მზეებს შემოიბდღვნიან,
ჩვენ კი ჯერ ისევ მხოლოდ ვმეგობრობთ...
არადა, ლამის ცხრაჯერ დარეკა,
ზარმა რომელიც სიყვარულს უხმობს,
და ათასობით ქალიც დანებდა,
უსიყვარულოდ ნაცნობს თუ უცნობს...
შენ კი, რატომღაც კვლავ ეურჩები,
ზეცით დაწერილ ბუნების კანონს,
და უკოცნელი შენი ტუჩები,
არას წარმოთქმას ამაოდ ლამობს..
ვერ გამიგია რას ელოდები,
ალბათ უფლისწულს, დარახტულ რაშით,
ჰო, რაღაც ზღაპარს სხვა საოცრებით,
სხვა სილამაზით, ანდა, სხვა განცდით!!!
მაგრამ, ძვირფასო, იცი, ტუჩები,
როცა ერთმანეთს ეწებებიან,
ჩვენი გრძნობანი ნასათუთები,
სადღაც მეშვიდე ცაზე რჩებიან...
ჰო, სიძვის მერე, იქვე, იმწამსვე,
შენს წინ ცხოვრება გაახელს თვალებს...
და ბრუნდებიან ცოდვილ მიწაზე,
შეყვარებული მზეცა და მთვარეც...

რას ამბობენ ეგ თვალები, მითხარ...

ვეღარ ვუძლებ შენს სევდიან თვალებს,
იქნებ წამით გაიღიმო ოდნავ...
თორემ შენდაუნებურად მაბნევ,
თითქო, მამრთა გაწყვეტილა მოდგმა...
რად ჩამესმის ყურში შენი სიტყვა,
რად არ მტოვებს მოგონება შენზე,
ან ეგ სახე რატომ შემოიჭრა,

ვით ჭრილობა გადაღეღილ მკერდზე...
ნუთუ მიყვარს, ვეკითხები ჩემ თავს,
გადაბმული ქარიშხლების შემდეგ,
რადგან, რასაც სიყვარული ერქვა,
მილიონჯერ ჩაუვლია გვერდზე...
რას ამბობენ ეგ თვალები, მითხარ,
ანდა, რატომ შეუპყრია სევდას,
რად მაგონებ ულამაზეს სიზმარს,
როცა ზეცა დაუნდობლად მსეტყვავს...
გამიღიმე, გამიღიმე, კარგო,
უკან დარჩეს სინანულის წლები,
ანდა, მითხარ, ასე რატომ დარდობ,
შეხვედრისას ასე რატომ კრთები...

ისევ გაშლიან ფურცლებს ვარდები

თითქოს დაკარგა ცხოვრებამ აზრი,
ასე მგონია, სცენაზე დამწვეს,
და ორპირ დაშნას შიგ მკერდში გაყრილს,
დღეს შენთან ვატან სცენიდან მაცნეს!
სიცოცხლე არის ცეცხლთან თამაში,
და მობრიალე გულში კოცონი,
ვისთვის ბროლია, ვისთვის ბადახში,
ვისთვის დამჭკნარი ლეღვის ფოთოლი...
შენ გადარჩენას არ მაპატიებ
და მეც მოწამლულ შუბზე ვეგები,
ასეთ სიცოცხლეს რადგან ვარჩიე,
ნაღდად ყველაზე მძიმე შედეგი...
თუმცა დილით მზე ისევ ამოვა,
ისევ გაშლიან ფურცლებს ვარდები,
მაგრამ დილამდე ეს საღამოა,
ალბათ გულიდან ამოსაღები...
შენ უარის თქმა არაფრად გიღირს,
ჰო, ასეთია შენი როლები,
მე კი დანტესის ტყვიით დაჭრილი,
სხვა პოეტებში გავმეორდები...
მათში ვინც ქვეყნად სხვებისთვის მოდის,
რათა სიცოცხლე მსხვერპლად გაიღოს,
იცი, ძვირფასო, მეც ვთამაშობდი,
აკაკის, ვაჟას, რემბოს, ბაირონს...
რომ მეც დამქონდა მარადიული,
სხეულით წყლული მოურჩენელი,
რომ ამომეთქვა ალბათ ღვთიური
სიტყვები შენი გადამრჩენელი...

ქალის ხმაში არის რაღაც ჯადო

როცა ღმერთი ამ სამყაროს ჰქმნიდა,
რას ფიქრობდა, შენ ხომ ვერას მეტყვი,
მე მგონია, რომ ესმოდა ციდან,
ულამაზეს ბანოვანთა ხმები...
და მგონია, რომ რაც ჰქონდა ნიჭი,
მთელი ნიჭი ქალის ხმაში ჩადო,
ჰო, მგონია, მამაკაცთა ჯიბრით,
ქალის ხმაში არის რაღაც ჯადო...
ყური უგდე, მართლაც როგორ ათრობს,
ქალის ბაგეს მოწყვეტილი ბგერა,
რა სინაზით მიუყვება ტატნობს,
როგორ ატკბობს სულს ნატიფი ჟღერა...
შევაღებდი, შევაღებდი თუნდაც,
მე ამ ხმაზე ჯოჯოხეთის კარებს,
ჰოო, კუპრშიც ვიბანავებ სულაც,
თუ კი იქვე ამღერებენ ქალებს...
მიყვარს, მიყვარს ეს ლამაზი ხმები,
თუ მათ ვუსმენ, ვთვლი, რომ ღმერთი მწყალობს,
ალბათ ქალებს ნაღდადა აქვთ ფრთები,
და მათი ხმით ანგელოზი გალობს...

მე ირემი, შენ კი შველი...

ისე მინდა შენი ნახვა,
გადმოვცურო ლამის ზღვები;
რით ვერ ახდა, რით ვერ ახდა,
ეს ოცნება და სიზმრები...
მართლაც, ისე მენატრები,
გამშრალ მიწას, როგორც წვიმა,
ხომ არ დაჭკნა შენი ზვრები,
კვირტმა ხომ არ მოიწყინა...
თუ ასეა, მინდა, მინდა,
შევაშველო მტევნებს ხელი,
გესტუმრები მალე მთიდან,
მე ირემი, შენ კი შველი...
იქ წავიდეთ, სადაც მზე და
ატეხილი ჭალებია...
სადაც მხოლოდ სინათლე და
სიყვარულის ქარებია...
სადაც ვიცი არასოდეს,
გულს არავინ გვატკენს ცუდად,
ზეცა ნამავს ხეზე ფოთლებს,

ნაკადულში მთვარე ცურავს...

ტანგო

კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ მინდა,
შენთან ერთად გავეჯიბრო წყვილებს,
შენი წელი თვალებივით მხიბლავს,
და მუსიკაც თავის რიტმში მითრევს...
დამყოლი ხარ, როგორც თოვლის ფიფქი,
თითქოს ველზე ვეცეკვები ნიავს,
გიყურებ და მხოლოდ ტაქტებს ვითვლი,
თან განვაგრძობ შენთან ერთად სრიალს...
სხვებთან მუდამ ეროტიკას ვგრძნობდი,
შენ კი მგონი ამაფრინე ცაში,
სურვილი მაქვს მხოლოდ ერთხელ კოცნის,
როცა ცეკვა გათავდება, მაშინ!!!
ისიც ყვავილს ვაკოცებდი მხოლოდ,
შენ რომ ობლად გაბნევია თმაში,
აი, ტაქტი, მგონი, მართლაც ბოლო,
გაკოცებ და ხსოვნიდანაც წაგშლი!

დღეს შენი ნახვა ამოვიჩემე...

ბედი რამდენსაც ამაფართხალებს,
მე, იმდენჯერვე თავს ვერ მოვიკლავ...
მე სიყვარული შენში გავცვალე,
თუმცა, რაც მსურდა არ გამოვიდა...
მაინც რად გვიყვარს, იქნებ შენ მითხრა,
რომ გვინდა მივწვდეთ ცაში ვარსკვლავებს...
და ვეწვალები მეც ასე დიდხანს,
თუ შემიბრალე, თუ დამაცალე...
მაინც რა არის ბედი, ავბედი,
ან რა უნდოდა ჩემგან, ვერ ვხვდები,
ალბათ, მსხვერპლი ვარ ნაღდად განგების,
სადაც არა სჯობს, იქ რომ ვეჩრები...
დიახ, მშურს შენი სილამაზისა,
დიახ, რადგანაც ასე მინდიხარ,
და ვცლი სამსალას მეც იმ თასიდან
ყოველდღიურად ცა რომ მიწვდიდა...
იცი, რას მივხვდი, არ დაიჯერებ,
რომ სილამაზე მუდამ მკვლელია,
დღეს შენი ნახვა ამოვიჩემე,
მერე, თუნდ მოვკვდე, არაფერია...

ქროლვა ბევრს როდი რგებია

როგორც ველს თავის ყაყაჩო,
შენი ღიმილი მჭირდება.
მზემ მთვარე კოცნით დაახრჩო
და დღე ამიტომ ბინდდება...
ნეტა, ვის ეალერსები,
ვისი მკლავები გარწევენ,
თვალები, შენი მერცხლები,
შენს ნდომას გამიასებენ...
ვერცხლით მორთული რაში მყავს,
ზედ ხავერდგადაფენილი,
ჩემი ოცნების ვარდი ხარ,
მოწყვეტას გადარჩენილი...
მოგიტაცო თუ წამოხვალ,
ეჭვებს გაუმხელ დაქალებს,
უსპეტაკესი წყარო ხარ,
მთების ძირში რომ წანწკარებს...
წამოვაჩოქო ცხენი თუ,
შენ თვითონ შემომიხტები:
მაგ შენი სავსე მკერდითურთ.
თითთ შეაწებე თითები...
ახლა კი უნდა გავქროლდეთ,
ქროლვა ბევრს როდი რგებია,
მსურს ზეცას მივუახლოვდეთ,
ანთებულ ვარსკვლავებიანს...
გეძებონ ვეღარ გიპოვონ,
ერთგულმა კავალერებმა,
არავინ არ დაიტოვო,
მე უნდა გკოცნო, მე, ერთმა!!!

ეგ ჯადოსნური თვალები (კ–ს)

ვერ ვხვდები, რას მეკითხება,
ეგ ჯადოსნური თვალები,
ის რაც ვერ მითხრეს სიტყვებმა,
ვერანაირი წვალებით...
იცი, ბევრად მეტს ამბობენ,
და თანაც ბევრად ლამაზად,
არც იცი, როგორ დამმოძღვრე,
შენი თვალებით ანაზდად...
განა ვერ ვხედავ, ვერა ვგრძნობ,
რამდენი რამ აქვთ სათქმელი,
მინდა დრო გაგიფერადო,
არა ვარ დაუნახველი...

მაგრამ, რით, როგორ, თუ გარეთ,
მარადიული ბინდია,
და თვითონ მთვარეც მწუხარე
შენს წამწამებზე ჰკიდია...
მითხარი, რა გენატრება,
ისევ სიტყვებით მითხარი,
მომკლავს მე შენი ნათება,
შენი თვალების ცისკარი!

მირაჟია ყველაფერი

მირაჟია,
მირაჟია ყველაფერი,
მირაჟია,
რაც არ უნდა ჩაიფიქრო,
არ არსებობს არაფერი
დღევანდელი,
ყოველივე,
ყოველივე უკვე იყო.
მე ვიცი, რომ სადედოფლოდ
გამზადებენ,
უკვე მოაქვთ შეკვეთილი
ოქროს ტახტი,
ისიც ვიცი, უეჭველად
დამასწრებენ,
თუმცა ღმერთებს ყველაზე წინ
შევუთანხმდი...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
რომ როგორმე,
გზამიუვალ,
აუღებელ სალ კლდედ ვიქცე...
ან ვულკანად,
რომ ერთ დღესაც ამოვბორგდე,
და ერთბაშად გადავლეკო
მთელი სივრცე...
ქალწული ხარ,
ციურ ვარსკვლავს ედარები,
ისიც ვიცი,
ვერცერთი ვერ შეგედრება,
სადედოფლოდ
ყველა მეფეს ეამები,
თუმც მე ერთი
მომაჯაჭვა შენს ბედს ბედმა..
ისე მაინც ყველაფერი მირაჟია,
ვარსკვლავი ხარ,

დრო გავა და შენც ჩაქრები,
როგორც ბევრი სამეფო თუ დინასტია,
როგორც ხატთან
ჩაფერფლილი
კელაპტრები...

რომ სული ჩემი ქარიშხალია

ვიცი, არაფერს უნდა ველოდე,
მაგრამ რაღაცას ყოველთვის ველი,
ისე, როდემდე უნდა მჯეროდეს,
როდემდე ღმერთის, როდემდე შენი...
კი, გააჩნია, მართლაც, არჩევანს,
და, ალბათ, იმას, ვის ან რას ელი,
რა ადვილია ხშირად წაქცევა,
წამოდგომა კი ყოფილა ძნელი...
მე ისიც ვიცი, რომ ახლობლები,
ჩემგან არაფერს აღარ ელიან,
არც არაფერში არ გამოვდგები,
მე არც ბოლო ვარ, არც პირველი ვარ...
ან როგორც ვეფხვი გააფთრებული,
როცა მეუღლე წამეკიდება,
მიწას რად სწყდება ჩემი სხეული,
ზეცისკენ კიბეს რატომ მიჰყვება...
როგორ ავუხსნა, როგორ ავუხსნა,
რად გამომიხრეს გული ეჭვებმა,
რომ ის აღარ ვარ, ვინც მას საჩუქრად,
ამოუყვანეს წყლიდან გედებმა...
რომ უკვე ძალზე დიდი ხანია,
მე გრიგალებმა დამისაკუთრეს,
რომ სული ჩემი ქარიშხალია,
და მარტო ებრძვის ის ამ უკუნეთს...
რომ ამ უნიჭო ტანცი–მანცებში,
მან სათავისო ვერა იპოვა,
რადგან არ ჰქონდა ბრჭყალი მტაცებლის,
და სწამდა მხოლოდ "არა იყო რა"...
აქ გავჩუმდები, ჩემი ნათქვამი,
გააახმიანეს ხეთა ფოთლებმა...
და, ალბათ, ჩემი ბედის ვარსკვლავიც,
სადღაც გააქრეს ანგელოზებმა.

მე გულის გარეთ ვერ ვიხედები...

მართლაც არ ვიცი, ვის რა სწყურია,

ვის რა არგუნა ქვეყნად განგებამ,
ვინ კეთილია, ვინ ავსულია,
ვინ რომელ ვარსკვლავს ეთამაშება...
მე არც ის ვიცი, ვინ ვისთვის ჩნდება,
ვინ ვისთან ცხოვრობს, ან ვის ვინ უყვარს...
ან სიყვარული როცა იწყება,
რა იმალება ხშირად მის უკან...
იცი, ძვირფასო, როგორ აგიხსნა,
მე სიყვარულით თუკი ვივსები,
მეც გადმოვდივარ, როგორც შავი ზღვა,
ნაპირზე თავის ლურჯი ზვირთებით...
შენ უნდა მითხრა, რა გირჩევია,
მშვიდი ცხოვრება თუ ბობოქარი,
ოდესმე ღმერთი გაგრისხებია,
გინახავს მტერთან ომისდროს ჯარი?
გინახავს ველზე მქროლი მერნები,
როცა მკერდები მკერდებს ეხლება,
ან როცა ვარდზე ვარდის ეკლებით
სტვენით დაღლილი ბულბული კვდება...
ვიცი, შენც ეძებ ბედნიერების,
წუთებს, რომლებიც არ გვავიწყდება,
მე გულის გარეთ ვერ ვიხედები,
როცა ვერ გხედავ მე გული მწყდება...
მინდა დაგიწნა, მინდა დაგიწნა,
თეთრი გვირგვინი გვირილებისა,
მატკბობს მარწყვები შენი ბაგისა,
და მწვავს ალმური ხორბლის მკერდისა...
ღვინობის თვეში მინდა გეახლო,
როცა დღეები გატკბილდებიან,
რომ ქარვის მარცვლებს ხელი შევახო,
და ვსვა ბადაგი მაგ მტევნებიდან!!!

როგორ მშურს მისი

როგორ მშურს მისი, როგორ მშურს მისი,
ვინც შენ მოგწყვიტა და დაგიჩემა...
ვიცი, თავისი მგელმაც კი იცის,
მგელმაც კი იცის, ლეკვის მიჩვევა...
ასე მგონია, მაინც მეძახი,
მაინც წარმოთქვამ ჩუმად ჩემ სახელს,
ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ ავცდი,
შენი მკერდისგან დაგებულ მახეს.
და თუ უშენოდ დღეებს მივათრევ,
ზოგჯერ სუფთას და ზოგჯერ ცოდვიანს,
მე სუფთა დღეებს შენს სახელს ვარქმევ,

ცოდვილთ კი ჩემი სახელი ჰქვია...
ჰო, რაც შენ გნახე, ასე მგონია,
რომ ეშაფოტზე მომკვეთეს თავი,
და რომ შენამდე ვინც კი მყოლია,
უბრალოდ, ყველა იყო მეძავი...
რა ვთქვა, არც ვიცი, ვერ გამიგია,
რად მანადგურებს შენი სიწმინდე,
ვხვდები, რომ რაღაც ვერ გამითვლია,
რაც თავგანწირვად უნდა მიღირდეს...
ვინ იცის, იქნებ თვალი მატყუებს,
იქნებ არცა ხარ ასე ლამაზი,
და რადგან სხვებმა დაგისაკუთრეს,
ამაზე მომდის, უბრალოდ, ბრაზი...

მაკას!!!

არა, შენ ვერ შეგიყვარებ,
იმიტომ რომ პატარა ხარ,
დაგიკოცნი ირმის თვალებს
და ლოყაზე პაწაწა ხალს...
თუკი მომთხოვ გულს გაჩუქებ,
ან ვის უნდა დღეს ეს გული,
ტკივილს ოდნავ დააყუჩებს,
რაღაც ასე გაცემული...
მერე რა, თუ ლამაზი ხარ,
და სარკეში თავს იწონებ,
შენს ოცნებებს მე ვინ მკითხავს,
მე, უბრალოდ, თვალს გისწორებ...
სულ ადვილად შემიძლია,
სულ ადვილად ამოვიცნობ,
ჩემთვის სიზმრად რაც გითქვია,
და თუნდ ცხადშიც რასაც ფიქრობ!!!

ჩემს სხეულს შენი თვალები ავსებს... თამუნა თაას!

ჩემს სხეულს შენი თვალები ავსებს,
არ მინდა ფეხი რომ ამერიოს,
როგორც გემები დაცურავს ზღვაზე,
ვშიშობ ზღვასავით არ დამელიო...
არ დამელიოს შენზე ფიქრები,
ჩემს სიახლოვეს დღეს რომ ავსებენ,
დაუწერელი ჩემი წიგნები,
ოდესმე შიშვლად წარმოგაჩენენ...
როგორ გწყუროდა ბედნიერება

ბედისთვის წამით გამოგეტაცა,
ვერ გაიმეტეს ჯერაც ღმერთებმა,
შენთვის და ჩემთვის ალბათ ეს განცდა...
ვიღაცას ჩემში ველური უყვარს,
ვიღაცას შენში უმანკოება,
რა იმალება განცდების უკან,
იცის კი ვინმემ რას რა მოჰყვება...
არა, ცხოვრებას არ დაგაცლიან,
რომც არაფერი გინდოდეს, რადგან,
ისინი, ამას სიკეთედ სთვლიან,
როცა მე და შენ სიყვარულს ვკარგავთ...

სახსოვრად!!! (კ–ს)

არ ვიცი, როგორ შეინარჩუნე,
რა სიბრძნეს აფრქვევს შენი თვალები,
შენ, ალბათ, ზღვები თუ გადასცურე,
ან ბროლის კოშკში თუ იმალები...
კი, ვხედავ, ვხედავ მე შენს აურას,
უულამაზეს აისის ფერებს,
საოცარია, ასე ქალურად,
თუ ღვთაებრივად როგორ მიმზერენ...
რა ამოვიცნო მე შენს დუმილში,
ძნელია ჩემთვის წარმოუდგენლად,
ნუ დამსჯი შენი სიყვარულისთვის,
სხვებს უარს ვეტყვი, გინდა, სულყველას...
ვერ გამიგია, რად გამიხარდა,
როცა, უეცრად შევხვდით პირველად,
და რომ გავიგე სულ სხვა გიყვარდა,
თითქოს დამსუსხეს ტანზე ჭინჭრებმა...
ჰო, რა მოხდება, გადაიყვარო,
ნუ მიმზერ ასე განრისხებული,
ან ვინ არ არღვევს დღეს ტრფობის კანონს,
დღეს ღალატია ყველას მეგზური...
ჰო, ვბოდავ, ვბოდავ, რა მოხდა მერე,
შენზე მაბოდებს სხვაზე ხომ არა...
ვუსმენ ზეციდან გადმოღვრილ ბგერებს,
ვინ იცის, გაჭრას ამ სახსოვარმა...

მე და ჩემი მერსედესი

როცა ჩემი მერსედესი
თავბრუსხვევით მიქრის გზაზე,
ელვით ხელში მე ვარ ზევსი

ირემივით ვკვეთავ ტრასებს...
არ ვაშინებ ქალთა მოდგმას,
შეუძლიათ გვერდით იყვნენ,
და მანქანაც მიქრის, ბორგავს,
მთელი ჟინით ოცნებისკენ!!!
მეც კი ლამის რკინად ვიქცე,
მაქვს ათასი ცხენის ძალა,
მერიდება თვითონ სივრცე,
მივაფრენ და გზას მივკვალავ!!!
არ გეგონოთ მხოლოდ მივქრი,
ცეკვავს ჩემი მერსედესი,
მე ლამაზი თვალებისთვის,
ყველა ქალი ამყავს ხელში!!!
უნდა შევძლო, უნდა შევძლო,
რაც კი რამე დავისახე,
ბრძოლის ჟინი გადამედო,
დღემდე ამდენ შურის მნახველს!!!
ჰოდა, სანამ აფრინდება,
მერსედესი როგორც ვეფხვი,
სანამ ზეცა გაწითლდება
და ქალაქიც დნება ფერფლში.
მომიტანე ხელი გულთან,
ბოლო კოცნა, როგორც წესი,
ტუჩი დაწვას ცხელმა ტუჩმა
სანამ ჩავალთ ჯოჯოხეთში...

იყო თუ არა

აგრილდა, ხმელი ფოთლების ბზრიალს,
მოაქვს სიმშვიდე და სევდა ერთად,
რაღაცას ჰყვება საღამოს წვიმა,
მგონი, მახსენებს შეხვედრას შენთან...
წვიმები, ნაღდად, ღრუბლის თმებია,
და მოდის, ალბათ, როცა ივარცხნის,
მე შენი სახე დამსიზმრებია,
ეს, მაშინ, მგონი, როცა მიყვარდი...
როცა მიყვარდი, როცა გიცდიდი,
და შენს სახელზე სანთლებს ვანთებდი,
როცა იმ ჩვენი სიყვარულისთვის
ყველა კოცნისას თავს ვიმართლებდი...
როცა წვიმაში და ნიაღვარში,
ვიდექით ცისკენ ხელებაწვდილი,
როცა გვართობდა ერთად თამაში,
და სიხარული ერთად განცდილი...
ვზივარ, ვფიქრობ და ხსოვნას ვასკდები,

ეს ყოველივე იყო თუ არა,
წვიმს, ანანურთან დუმს მონასტრები,
გული მატკინა შენმა უარმა...

ეს ამისრულეთ

არ ვიცი, რატომ, მიყვარს ხმაური,
ვერ შევეჩვიე მე ამ სიჩუმეს,
მიყვარს ელვა რომ ცას გადაუვლის,
და მერე იქვე რომ დაიქუხებს...
მიყვარს ღვარცოფი რომ მოვარდება,
და ცა პირქუშად გაიქარიშხლებს,
წვიმების თქეშში როცა ღამდება,
და დღეს შეუნგრევს ღამე კარიბჭეს!
მიყვარს მოხეთქვა მთიდან ზვავების,
რომ გააღვიძოს მთელი ხეობა,
ან სიჩუმეში ხმა ვულკანების,
ჯანღთა და ქართა მონაცვლეობა...
ვერა, ვერ ვიტან, მართლაც, სიჩუმეს,
ანდა, რა ყრია მდუმარებაში,
როცა მოვკვდები ეს ამისრულეთ,
მიმასამარეთ, საფლავში ტაშით!

რატომ არ მნახავ... (ცირა ადამიას)

მე ვარდისფერი დღეები მიყვარს,
და მაისობას შენთან ვაპირებ...
თუმც დამიგროვდა ბევრი შეკითხვა,
გინდა ზოგიერთს გაგინაწილებ...
იცი, ძვირფასო, მე მართლაც მიჭირს,
მიჭირს, საოცრად ამ მძიმე დროში,
როცა ღიმილი მიცქერის ნიღბით,
ანდა, იუდა ლოყაზე მკოცნის...
თუმცა ესენი შენ არ გეხება,
დავაგვიანე მოსვლა შენამდე,
მე გამქრალი მაქვს სივრცის შეგრძნება,
ისიც არ ვიცი, რად მომენატრე...
ისიც არ ვიცი, თუ რის ბრალია,
რად მაგონდები ხელში ვარდებით,
ან ჩემთან ყოფნა თუ გიხარია,
რატომ არ მნახავ, რატომ არ მხვდები?

დედა–მიწა ვარ!!!

სამყაროს გულში დარწეულა ჩემი აკვანი,
დედა–მიწა ვარ, ჩემს გულ–მკერდზე დარგეთ ვარდები...
ვარსკვლავებს შორის სულ ყველაზე ნაღდი ვარსკვლავი
უკვდავებისკენ რწევა–რწევით მივემართები...
ყველა ღმერთები ესწრებოდნენ ჩემს დაბადებას,
ყველა მათგანმა საკუთარი სული ჩამიდგა,
ჩემს ბედს წარსულის ქარიშხლები აქანდაკებდა,
ჩემი ხმელეთი ირწყვებოდა ოკეანიდან...
ყველა, სულ ყველა, ჩემს სხეულზე, მართლაც, რაც კია...
ჩემი დარდია, ჩემი ზურგით სატარებელი,
მაგრამ უსაზღვრო, უდიდესი მაქვს ფანტაზია,
და ამიტომაც ბრწყინავს ჩემი სულის კედელი...
თუმც ყველა ბედი, ყველა ბედი ლაბირინთია,
ვერვინ ამოხსნის, ვინ ჩარჩება, ვინ გამოაღწევს,
ვულკანის ფერფლით იწერება ჩემი ბიბლია,
ღმერთების სისხლი გადავუსხი მე ჩემს მონასტრებს!!!
ცეცხლის, ომების, ათასობით ცოდვის მნახველი,
ჩემს ბედისწერას მე სინათლეს და წყვდიადს ვანდობ...
ორივე მართავს ამ სამყაროს ზეცის სახელით,
გიკვირთ? სიკვდილი, მეც სიკვდილი მიგზავნის საზრდოს!!!

ოღონდ არ დამიჯერო (მარიკა ბერძენაძეს)

ვზივარ და ვფიქრობ, იცი, ბევრს ვფიქრობ,
შენზე და ჩემზე, და კიდევ სხვებზეც,
თუ რატომ გვართმევს ცხოვრება დიდ დროს,
აუარებელ ამ წვრილმანებზე...
თენდება დილა და, იცი, ჩემს თავს,
რამდენ უაზრო აზრებს ახვევენ,
მე ალბათ უნდა ჯამბაზი მერქვას,
ხელით დავათრევ სულის ნახევებს...
და ვაკოწიწებ ჯადოქარივით,
ოცნებებს შენზე, ოცნებებს სხვებზე,
მე ელვები ვარ ცხელი ქარიშხლის,
შემოგრაგნილი შენს ბროლის ყელზე...
რად მელოდები, რა იმედი გაქვს,
როგორ მიყვარხარ, ალბათ, არც იცი,
გულს ამოვიღებ თუნდაც მკერდიდან,
და ერთ კოცნაში უხმოდ გაგიცვლი...

მიყვარხარ (კ–ს)

მიყვარხარ, სიყვარულისთვის,
რა სასჯელია არ ვიცი...

ნუ გამიწყრები შურისთვის,
ასე მძაფრად რომ განვიცდი...
ნუ გამიწყრები კოცნისთვის,
წუხელ სიზმრად რომ გაკოცე,
კიდევ ათას წელს მოგიცდი,
გავუძლებ ყველა ღვარცოფებს...
ოღონდაც ერთხელ მეღირსოს,
რას არ გავცვლიდი თუნდ ერთშიც,
შენს მკერდზე ჩამომეძინოს
იმ ულამაზეს წუთებში...

მსჯავრი

რატომ არჩია ქრისტემ გოლგოთა,
რატომ იტვირთა ჩვენი ცოდვანი,
ვინ იცის, იქნებ ჯვარცმა მოსწონდა,
მას ანაცვალა ყველა დრო–ჟამი...
ან სასახლეებს ცად ამართულებს,
რატომ არჩია გვირგვინი ეკლის...
ან ყოველდღიურ დოღში ჩართულებს,
სად მიგვაქანებს ზნეობის ეტლი...
იქნებ გვჭირდება ისევ ჯალათი,
ჩვენს ვნებებს ჯვარზე ვინც მიალურსმებს...
ვინც სიყვარულით, ანდა, ღალატით,
მსჯავრს გამოუტანს ჩვენს საუკუნეს!
ეგებ, მართლაც ღირს ტანჯვად, წამებად,
ყველა სასახლე, ყველა მეფობა...
როგორც ფარვანა შუქს ეტანება,
მომკლავს, მეც მომკლავს ეს უღმერთობა!!!

შენ კი ნაკადული ხარ...

მართალია, ვარსებობ,
ან ვარსებობ? რა ვიცი...
მსურს რომ მოგიალერსო,
უშენობას განვიცდი...
ახლა ისე მწყურიხარ,
როგორც მიწას ღრუბელი,
შენ კი ნაკადული ხარ,
ჯერაც გამოუცდელი...
ჯერაც ისევ უმანკო,
როგორც ნუკრის თვალები,
უზადო და უნაკლო,
როგორც ძუძუს ხალები...

მოდი, მოდი, ამეკარ,
მოდი, ნუ გერიდება,
ჩემი ბოლო ღამე ხარ,
ჩემი თავდავიწყება...
გინდა, ნამად ვიქცევი
და ბუტბუტით წამიღე...
რატომ არ მავიწყდები
ვერაფერი გავიგე...
ველზე სადაც ოცნების
იშლებიან ვარდები,
შენთან ერთად მოვკვდები...
შენთან ერთად გავქრები...

მე ჩემი თავი მონა მგონია...

უკვე მომბეზრდა შენზე ლოცვებიც,
მომბეზრდა ყველა და ყველაფერი,
რაც გამაჩნია სულ შენ მოგცემდი,
გინდა, ეს ლექსიც უკანასკნელი...
ოღონდ, არა თქვა, ოღონდ, ნუ იტყვი,
რომ დავიშურე შენთვის რაიმე,
ამ უსასტიკეს საუკუნისთვის,
მე ჩემი სისხლი სულმთლად გავიღე...
იცი, ვერც გეტყვი, ვის რას ვჩუქნიდი,
ვისთვის ვათევდი და ვაღამებდი,
რაღაც წუთიერ სიხარულისთვის,
ვისთან რამდენჯერ ზღვარს გადავედი...
ახლა ისეთი მძიმე ჟამია,
არის კი რამე, ნეტა, ადვილი?
ან ამ წყვდიადში რა სიამეა,
თუნდ შენნაირი ქალის წადილი...
მე ჩემი თავი მონა მგონია,
მონა ამ სასტიკ სინამდვილისა,
ჰო, ყველაფერი მონაგონია,
ყველა ჯილდო და ყველა თილისმა...
ან ვის რად უნდა, რაში მჭირდება
ყალბი დიდება, ყალბი სახელი,
როცა სატანა ოქროს გპირდება,
შენი ხალხი კი სულში ჩაგცქერის...
ჰოდა, ძვირფასო, მეპატიება,
მეც ეს მონობა იძულებითი,
რომ კარი მხოლოდ სხვისთვის იღება,
რომ შენც კი, შენც კი, გაჩნდი სხვებისთვის!!!

თუნდ ზოგჯერ მტერმაც იხაროს...

ტრფობას, სიხარულს, სიძულვილს,
მე ერთნაირად განვიცდი,
სამარის კართან მისული
რომ ვიყო მაინც დაგიცდი...
რომ სიკვდილის წინ სიცოცხლე
თუნდ წუთით გავიხანგრძლივო,
ცხენს მივაჭენებ მინდორზე,
ქორი ვარ, მაგრამ ვარწივობ!!!
რით ვგავარ თიხით მოზელილს,
მივფრინავ, ვასწრებ ფასკუნჯებს,
შენგან თუ არას მოველი
ზეცა მომაყრის საჩუქრებს...
თან გამაყოლებს გრიგალებს,
რომ ჩემს ბედს გადავუარო,
ბოლოს კი ვიცი ინანებ,
დღეს, რომ ჩემს კოცნას უარობ...
დავბადებულვარ ასეთი,
მიყვარს მეფეთა მტერობა,
მე ბედს ყოველთვის ვასწრებდი
თუ განსაცდელი მელოდა...
დღემდე არცერთი ნაბიჯი,
არ გამითვლია წინასწარ...
მერე, რა, თუკი არ ვიცი,
საით მივალ და ვინა ვარ...
თუმცა ეს თვითონ ვარჩიე,
მზე ვარ და მზისკენ მივილტვი,
მუდამ სჩვევიათ არწივებს
ბედთან ჭიდილი პირისპირ...
გაუშვი, ნუ გათენდება,
თუნდ ზოგჯერ მტერმაც იხაროს,
მე ბრძოლა მიღირს ედემად,
მინდა გავასწრო იკაროსს!!!

აღარაფერი რამ საიდუმლო

აღარაფერი რამ საიდუმლო,
აღარაფერი რამ სანუკვარი,
მთვარემ მზეს ღამით კარი გაუღო,
იყო ქალწული და გახდა ქალი...
თუმც, სიყვარული რას არ დაგმართებს,
მთვარემ დაკარგა სულმთლად ღირსება...
კარგა ხანია ცაზე არ ათევს
სხვაგან ეძლევა თავდავიწყებას...

რომელ ვარსკვლავის რომელ ლოგინში,
მზე ვეღარ მიხვდა უკვე ვერაფერს...
და არც მიიღო მთვარის ბოდიში...
ეჭვიანობდა ის ვენერაზეც ...
დღეს ყველამ იცის მთვარე ვინც არის,
რომელ ვარსკვლავთან როდის ათენებს...
მზე კი ვარსკვლავთა ნაღდი ტირანი,
არავინ იცის, სად დააჭენებს...
მთვარე ხან გარეთ ვერც კი გამოდის,
ნეტა, სად ათევს, ვის ემალება?
ან იქნებ სულაც ცრემლი ჩამოსდის,
ასე უბრალოდ მზეს რომ დანებდა...

აღარ

აღარც გელოდები, აღარც მახსენდები,
ალბათ სადღაც რაღაც გაწყდა...
ვიცი, რომ ვიღაცას თავს ევლები,
ვიცი, რომ ახლოს ხარ ზღვასთან...
და თუ სურვილი გაქვს, ანდა ავარდები,
ან თუ მოგენატრა ვინმე,
წამსვე ქარიშხალშიც გარეთ გავარდები,
ქროლით გადაკვეთავ მინდვრებს...
აღარ მაგონდებით შენ და შენი ზღვები,
აღარც უცხოობას ვმალავ,
აღარც ძველებურად აღარ მენატრები...
აღარ, აღარ, აღარ, აღარ...

სულ პირველი, უწმინდესი...

სად დასრულდა, სად დამთავრდა,
სიყვარულის ბილიკები,
გახსოვს, მაღლა, მეცხრე ცასთან,
ყველაფერს რომ ვივიწყებდით?
ვიცი, გახსოვს, იმას ხომ ვერ
დაივიწყებ ვერასოდეს,
სულ პირველად რომ გაკოცე,
ბავშვები კი გვეძახოდნენ...
ჩვენ გვესმოდა გულის ფეთქვა,
და სხვა მეტი არაფერი,
ავდექით და მიწას შერჩა
ბალახები განათელი...
გკოცნიდი და იქვე ახლოს
ბუტბუტებდა ნაკადული,

ვარსკვლავები თვალს რომ ატკბობს,
სულ სხვა თვალით დანახული...
და ვუსმენდით სიმფონიას
გალობად რომ იღვრებოდა,
ერთმანეთი გიპოვიათ,
სიო სულში გვიძვრებოდა...
ტკბილი იყო, უტკბილესი,
ის წამები ალბათ გახსოვს,
სულ პირველი უწმინდესი,
კოცნა, სადღაც, ტუჩთან ახლოს...

ბუნება

როგორ იბადება სილამაზე,
როგორ იბადება შედევრები,
ალბათ გრაალის წრეს თუ შეამსხვრევ,
ანდა ზეცას ხელით შეეხები...
ან დედოფლის კოცნას თუ გაბედავ,
მოკლავ გველს, ევა რომ შეაცდინა?
შეცვლი ამ მსოფლიო მწუხარებას,
ზვავად დაეშვები მწვერვალიდან?
იცი, ყველაფერი შედევრია,
რაც ქვეყნად ბუნებას შეუქმნია,
ეს, მართლაც, ზღაპრული შედეგია,
ეს მის მეტს, არავის შეუძლია...

იქნებ მელი (კ–ს)

მაშინ, როცა დილა დგება
და ცა ხდება ვარდისფერი,
შენი სახე მესიზმრება,
და თვალები ოდნავ სველი...
იქნებ მელი, იქნებ გინდა,
შენც ამ დილას ჩემთან ყოფნა,
შენი ცრემლი დამაწვიმდა,
ჩემი სიზმრის შესამკობლად...
შენც იცი, რომ აღარა ვარ,
შენი ნდომა მწვერვალს აღწევს,
მზისგან სხივებს მოვიპარავ
და მძინარეს გადმოგაფრქვევ...
ვერ აუველ ამ სურვილებს,
ვერაფერი ვეღარ მშველის,
ერთი, ეს კი ავისრულე
სიზმრად ვკოცნე ბაგე შენი...

ტანგო

მხოლოდ ჩვენ ორნი, მხოლოდ ჩვენ ორნი,
და ცეცხლოვანი ტანგოს რიტმები,
ჩახსნილი მკერდი, ვით ვნების მოლი,
ვით ცაში ქროლა თავდავიწყებით...
მიყარ–მოყარე ყველა ეჭვები,
გრძნობები სულმთლად უნდა გაშიშვლდეს,
ხან ზევით, ხანაც დაბლა ვეშვებით
და ამურები სთვლიან ნაბიჯებს...
როგორც მზის გული, ცხელია თეძო,
გავარვარებულ მარტენს მაგონებს,
უნდა როგორმე ბოლომდე შევძლო,
უნდა გავუძლო ამ სიახლოვეს...
სარკმლებს ედება, როგორც ხანძარი,
ტკბობის სურვილი და გახელება,
და ცხრება რიტმი, თითქოს ფართხალით,
ბნელში მომაგნეს შენმა ხელებმა...

ცრემლები მახრჩობს

ნუ ელოდები, ნუ ელოდები,
სითბოს, სინათლეს, სიტკბოს და ალერსს,
ის მაშინ მოვა, როცა მოკვდები,
როცა დახუჭავ, ძვირფასო, თვალებს...
მკაცრი ვარ, ვიცი, ალბათ შეგაკრთო,
ჩემი სიტყვების შავმა აურამ,
ვინ იცის, მაგრამ რასაც მე ვამბობ,
გთხოვ, ნუ მიიჩნევ, შენ სასწაულად...
იცი, რამდენი რამე მინახავს,
ცხოვრების ეტლმა სად არ მისროლა,
ან რამდენ რამეს გულში ვიმარხავ,
რამდენმა რამემ გადამიყოლა...
ეს დროა, როცა მაღლა ამოდის,
ცხოვრების ფსკერზე რაც კი რამ არის,
როცა ზეიმობს მხოლოდ ჭაობი,
როცა ირყევა რწმენის ტაძარი...
მე პატიებას არავის არ ვთხოვ,
და არც სიმართლეს არ ვემალები,
მაგრამ, ძვირფასო, ცრემლები მახრჩობს,
ცრემლები ძრწოლის და მრისხანების!!!

ვერა ვხვდები ვისი ნაჩუქარი ხარ...

როგორც კარტში ისე ამომიხვედი,
გულის დამა კაროლს მკერდზე დამეცი...
სულში ნაბზარს ისე ნაზად მიხვევდი,
არ მეგონე, იცი, მართლაც, ასეთი...
გამჭვირვალე, როგორც მთვარის თვალები,
წმინდა, როგორც ნაკადულის შხეფები,
თითქოს მუდამ გულით დაგატარებდი,
ატმის ყვავილს ნუშის ბაღში გეძებდი...
ვერა ვხვდები ვისი ნაჩუქარი ხარ,
ბედის, ღმერთის თუ ამურთა ნაკრების...
დაღამდება, ცა ვარსკვლავებს დაისხამს,
ხელს მომხვევ და მთვარის ბილიკს გავყვებით...
მინდა ერთად უსასრულოდ ვიაროთ,
და ეს ღამეც არასოდეს გათენდეს,
სარეცელზე ვარდნი ჩაგვეზიარონ,
ანგელოზნი აბრეშუმში გვახვევდნენ...

ცა იმუქრება

ცა იმუქრება, გრგვინავს,
უცბად იცვალა ფერი,
შუბლით ვეხები მინას,
ვგრძნობ რომ მენგრევა ჭერი...
მალე დაუშვებს წვიმა,
ქარი უკვალოდ დაძრწის,
შენი სიშორე მტკივა,
შხამით სავსეა ყანწი...
როგორ მჭირდები, იცი,
თითქოს ბავშვივით მცივა,
მინდა გავექცე სირცხვილს,
ცა კი ელავს და გრგვინავს...
ცა კი ელავს და გრგვინავს,
ან მე ვინა ვარ ცისთვის,
შენი სიშორე მტკივა,
როგორც წვეთები სისხლის...
როგორ გვპარავენ, როგორ,
ბედნიერების წუთებს...
ჩემი ჟანგდება ოქროც,
სხვისი ბროლია წუმპეც...

თუ დამივიწყებენ

სულ თარსი დღეები როგორ მებედება,
სად გაქრა ცისკრები
ერთად რომ ვხვდებოდით,

ან როცა მიყვარდი,
ხომ გთვლიდი შედევრად,
სავსეა, სავსეა დღე უიმედობით...
რატომღაც მგონია
შეჯიბრში მიწვევენ,
თუმც დაფნის გვირგვინებს მე მაინც არ ველი...
თუ დამივიწყებენ,
თუ დამივიწყებენ,
შენ დაიმახსოვრე კვლავ ჩემი სახელი...
ან იცის კი ვინმემ,
ვინ რისი ღირსია?
აფრიან ხომალდებს დაემსხვრათ ანძები...
მე ზღვაში მოვკვდები
და წყალში მისვრიან,
როგორ მენატრები,
როგორ მენატრები...
ზეცისკენ ყურებით დამაწყდა თვალები,
შენც გედი ყოფილხარ
და სხვაგან მიფრინავ...
არ შეცდე, ძვირფასო,
დავნიშნე წამები,
მიზიდავ, მიზიდავ, მიზიდავ, მიზიდავ...
რად ჩადის, რად ჩადის,
რად ჩადის მზე ზღვაში,
არ მესმის, იქ, აბა,
ვის უნდა უნათოს...
ვიღლები, ვიღლები,
მე სხვების ძებნაში,
მე ხომ შენ მიყვარდი,
მითხარი, თუ გახსოვს...

ამ სანთელმა მეც გამათბო

და სულ ფსკერზე, სადაც ჩემთვის,
ადგილი გაქვს შენახული,
როგორც თბილი ბუდე მერცხლის,
სანთელივით იწვის გული...
მეც მის გვერდით მოვკალათდი,
სულს ვუბერავ რომ არ ჩაქრეს,
წვეთავს სისხლი როგორც თაფლი,
იწვის შენი სილამაზე...
შენც ლამაზი სანთელი ხარ,
ჩემთვის ღმერთის დანთებული,
თუ შემთხვევით ჩამეძინა,
გამაღვიძებს შენი გული...

რა ძნელია რომ ანათო,
რომ ანათო, როგორც სხივმა...
ამ სანთელმა მეც გამათბო,
სისხლმა შენგან დაღვენთილმა...

ვინა ვარ შენთვის

მიყვარს სიცოცხლე, სიცოცხლე მიყვარს,
შენში რომ ასე ღელავს ზღვასავით,
გავუმკლავდები ყოველგვარ რისხვას,
მტერს შემოსეულს კალიასავით...
არად ჩავაგდებ ბედის მუქარებს,
მეხეთქებოდეს ზღვა ფერშეცვლილი,
თავს დამყურებდეს მთვარე მწუხარე,
და მომკიოდეს ქარი შეშლილი...
მართლაც, მითხარი, ვინ ან რა შეცვლის,
შენი თვალების ღვთიურ ნათებას,
ვინა ვარ შენთვის, ვინა ვარ შენთვის,
ჯვარცმა, იმედი თუ ანათემა...
საშინელია, დღემდე არ ვიცი,
უნდა მიყვარდე თუ არ მიყვარდე?
თითქოს, სულ ბოლო წრეზე დავიწვი,
და ნახატივით სადღაც მიმაგდეს...
თუმცა, სიცოცხლე მარადიული,
თავის თოკებით შენსკენ მეწევა,
შენ წვეთები ხარ ჩემთვის ციური,
შენით ვამარცხებ მე უმეცრებას...
ხელი მომხვიე, ხელი მომხვიე,
არ მომაცილო შენი თვალები...
ეს სიყვარული აწყობს ორგიებს,
მე კი ვერ ვხედავ, შენ მეფარები...

მტრედად ვიქცევი

მე შენი მზერა არა მბეზრდება,
როცა მიყურებ ვარდის თვალებით,
შენ ფრთები მოგცეს თეთრმა მტრედებმა,
მე კი, იცოდე, მზრდიდნენ სვავები...
მთებში, ყინულთა სიკრიალეში,
როცა ლაპლაპი გააქვთ მნათობებს,
მე წამოფრენას ცისკრებს ვასწრებდი
და დავცქეროდი ციდან ტაფობებს...
კი, მიყვარს, მიყვარს მტრედის ხუნდები,
მიყვარს იმათი ფრთების ფართხუნი,

შემოვირიგე სეტყვის ღრუბლები,
რომ გადავთქერო ეს გაზაფხული...
შენ კი, ძვირფასო, თუ ვერ ამიტან,
არც გიყვარვარ და არც გესიზმრები...
მტრედად ვიქცევი მაშინ ხვალიდან,
და შიგ ბუდეში ჩაგიფრინდები...

ჩემებს

მე სათითაოდ შევკრიბავ სითბოს,
თქვენგან რომ ასე უხვად იღვრება,
ცა გახსნილია და ზეცაც თითქოს,
უბედნიერეს წუთებს გვპირდება...
მე მუდამ ვამჩნევ თქვენს სიახლოვეს,
რომ სანთლებივით იმედს მისახავთ,
ის სიხარულიც თქვენ მისახსოვრეთ,
ჩემს აწმყოზე რომ გამოისახა...
უამრავ სიტყვებს მოაკლდა ფერი,
უამრავ წუთებს გადაშლის ხსოვნა...
მაგრამ დარჩება ერი და ბერი,
და აქ ახალი თაობა მოვა...
ჩვენ კი ერთმანეთს მინდა ვეფეროთ,
ულამაზესი დილა გვმასპინძლობს,
ხელში ყანწს ვიღებ, ვსვამ სადღეგრძელოს,
ჩვენს ერს, სიცოცხლე, სამარადისო!!!

ნუ ამაცილებ!

შენ მაპატიე, თუ შეგიძლია,
ჩემს დანაპირებს რომ ვერ ვასრულებ...
მეც ჩემი თავი ვერ შემიცვნია,
მას შემდეგ, რაც შენ მომინახულე...
მას შემდეგ, რაც შენ მომინახულე,
თითქოს მიხმობენ სხვა დარბაზები...
მესიყვარულე, მესიყვარულე,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები...
ნუ მიბრაზდები, მე ავადა ვარ,
მე ველარ ვპოვე ვერსად სიმშვიდე,
არ მინდა მოვკვდე შენს უნახავად,
და მინდა, მინდა, რომ გამიფრთხილდე...
იქნებ შენ მითხრა, მასწავლო შენვე,
რით გადავურჩე მოჯადოებას?
კი, მინდა, მინდა, რომ ხელსა მხვევდე,
მაგრამ რა ვუყო, შენს სათნოებას...
რა ვუყო თვალებს, სანთლების მზერას,

მზერას, საოცარს, სულს რომ აშიშვლებს,
მოდი, მესროლე, მე შენი ტყვე ვარ,
ნუ ამაცილებ, ნუ ამაცილებ!!!

ნეტა, როგორი იქნები, მაშინ...

როცა ყველაფერს ამაოდ ჩავთვლი,
და სხვის ფეხის ხმას ვეღარ ავყვები,
დავმარხავ დღეებს უშენოდ ჩავლილს,
როცა აღარც შენ მომენატრები...
როცა დავკარგავ ყველა თილისმას,
ან შემრჩებიან გატეხილები,
დამეზარება სხვებთან ღვინის სმა,
და მარტოობის შემჭამს ჩრჩილები...
ნეტა, როგორი იქნები მაშინ,
ახლა რომ ავსებ ოქროს დარბაზებს...
ისევ გექნება გვირილა თმაში,
ისევ სიყვარულს შემომთავაზებ?
თქვენ ხომ ვერ იტანთ, ძვირფასო, ჭკნობას,
არ მავიწყდები, არ მავიწყდები...
მაშინ, კი, როცა სიკვდილი მოვა,
მეც, როგორც ყველა, გარდავიცვლები...

მაინც ჩემი ხარ

მაინც ჩემი ხარ
და ვერასდროს ვერ გაგცვლი სხვაში,
რატომ?
იმიტომ, რომ, უბრალოდ,
სხვებს მირჩევნიხარ,
და თუ გადავრჩი
ამ საშინელ ჯგლეთა–ჭყლეტაში,
მე შენ საჩუქრებს ჩამოგიტან ვარსკვლავებიდან...
ვიცი, რაც გიყვარს,
რაც იტაცებს შენს თვალს საამოდ,
რა გიხარია,
რა ატყვევებს შენს სულს ტკბობამდე,
შენ იქნებ ფიქრობ,
რომ ვარ შენთვის შეუსაბამო,
ჭორამდე დაგყავს ეს სიტყვებიც,
ჰო, ლაყბობამდე...
არ ვიცი,
თუნდაც იყოს ასე, არაფერს ვკარგავ,
ყველა მიიღებს იმას,

ალბათ,
რისიც ღირსია,
ასე მინდვრებში ვარდი ხარობს,
სხვა ვარდებს არ ჰგავს,
მაგრამ ამ ვარდზე
სხვა ვარდებმა არა იციან...
ისიც მეყოფა,
რომ გიპოვე სხვა ვარდთა შორის,
და რომ დავბრმავდი
შენი უღვთო სილამაზისგან,
მე დავიღალე გრძნობებსა და
ნერვებთან ბრძოლით,
თუმც სურნელებას
მაინცა ვგრძნობ შენი ვარდისას...

წყლული

რაღაც სხვაგვარი, სულ სხვაგვარი განცდებით დავალ,
არ ვიცი ვინ ვარ, ან რა ხდება ჩემს სამშობლოში...
ან სული ჩემი რატომ ითხოვს ყოველწამს წამალს,
ან რატომ გავჩნდი, რატომ გავჩნდი ამ წყეულ დროში...
ყველა იმედი ნელა–ნელა მიდის და მტოვებს,
ჩემი მამული ჩემგან ითხოვს ხარკსა და ღალას,
მისი ველები გაუყვიათ ყვავებს და ყორნებს,
და უსტვენს ქარი, მოვარდნილი, ზვრებს ფარღაღალას.
ვინ მეტყვის, მართლაც, ხმას ვინ გამცემს, ვინ მიკარნახებს,
რა გზას დავადგე... სად წავიდე, როგორ მოვიქცე?
ცილისწამების და სიცრუის ვისმენ ტრაქტატებს,
ვარჩევდი სიკვდილს, დღეს სიკვდილი სულზე მომისწრებს...
ვარ ცოდვის ყუთი, ამ დარდების და სინანულის,
ჩემი ცრემლები ვით მდინარე დღეს წყალუხვია,
ვერ მოვირჩინე გაჩენილი სხეულზე წყლული,
რადგან ქვეყანამ გატკეპნილ გზას გადაუხვია...

თითქოს მზე ჩაქრა

რატომ ვერ ვხედავ, რატომ ვერ ვხედავ,
შენ ლამაზ თვალებს, უსიყვარულესს...
თითქოს მზე ჩაქრა და მთვარეც კვდება,
მთვარე სიკვდილის ცეკვას ასრულებს...
და მიყოლებით, როგორც ციფრები,
ცის მნათობები ჩუმად ქრებიან,
ზღვებიც ჩაყუჩდნენ და ლიცლიცებენ,
არც გემებს აღარ ემუქრებიან...

აღარ ირწევა, აღარ ირწევა,
არსად არცერთი ჩვილის აკვანი...
ჭირს ქვეყანაზე რამის მიღწევა,
ქარიც არ დაძრწის მიუსაფარი...
აღარც სატანა, არც ლუციფერი,
აღარც ღმერთები და ანგელოზი,
გამორთულია კომპიუტერი,
და ცხედარივით დუმს კავკაზუსი...

არ მახსოვს

არ მახსოვს, არ მახსოვს, მიყვარდი როდისმე?
მითქვამს კი, მე შენთვის რაიმე ამგვარი?
მითხარი, მითხარი, მე მაინც მოგისმენ,
მითხარი სიტყვები სურვილით გამთბარი...
ნუ უსმენ, ნუ უსმენ, ნურავის ნუ უსმენ,
დღეს შენი სიკეთე ცოტას თუ ახარებს...
უსმინე სამყაროს, წყაროთა ჩუხჩუხებს,
უსმინე ფრინველებს, ცასა და ვარსკვლავებს...
და, მართლაც, ისინი არასდროს ტყუიან,
უსმინე საკუთარ გულსა და მას ენდე...
ვერ ხედავ, გარშემო სიცრუის ბუმია,
ეს ღამეც ოდესმე ხომ უნდა გათენდეს...
სხვა დროა, სხვა დროა, იმსხვრევა კერპები,
მიყვარხარ? არ ვიცი, თუმც შენი დარდი მაქვს...
მივდივარ, ძვირფასო, მე ვერ შევჩერდები,
და გრძნობაც შენდამი, რაც მქონდა, თან მიმაქვს...

ან ხელის დაკვრით კაშხალები ვის აუგია

ასე მგონია, ყველაფერი თითქოს დამთავრდა,
თითქოს ბოლომდე ამოვწურე ჩემი სათქმელი...
თუმცა, ვერ მივხვდი, წინათგრძნობამ სად მიღალატა,
სად ცეცხლი იყო, სად კი მხოლოდ კორიანტელი...
ან ხელის დაკვრით კაშხალები ვის აუგია,
ან კი შველიან შუქურები ვითომ ხომალდებს...
მე ხომ ღმერთებთან არაერთგზის მისაუბრია,
ჰო, მიკითხია, სამოთხიდან რად გამოგვაგდეს...
დღეს ყველამ იცის, თუ გამოსცდი, ჩასჭრი მეგობარს,
ჰოდა, რად გვიკვირს ევა გველთან თუკი ჩაიჭრა...
რომ ჩაჭრილი ვარ ახლა შენთან, ესეც მეყოფა,
და ცრემლიანი თუკი ვხვდები ყველა გარიჟრაჟს...
შენც კარგად იცი, შენ იყავი ჩემი აისი,
მე კი ზღვა ვიყავ აისებზე განრისხებული,

სანამ არ მოხველ, სანამ ხაზი არ გადამისვი,
და ფსკერისაკენ არ წავიდა ჩემი სხეული...
ვისთვის ანათებს თეთრ სადაფის მრგვალი საყურე,
ყველა ხომალდი ჩემი უკვე ზღვების ფსკერზეა,
ერთი ღიმილი, რით ვერაფრით დავიმსახურე,
მე ჩემი ვთქვი და ჯერი ახლა, ალბათ, შენზეა...

მართლაც

მართლაც, რა არის ბედნიერება?
ბევრი რამეა, ძალიან ბევრი...
კაცი მხრებით თუ ზეცას ეხება,
ქალს სიხარულის თუ მოსდის ცრემლი...
ჩემთვის კი, ჩემთვის, ბედნიერება?
ისე შორია, მიუწვდომელი,
ზოგჯერ მუზებს თუ გაემეტებათ,
რასაც იმათგან ასე მოველი...
მე კი რაც მქონდა, ალბათ, გავეცი,
მე ჩემი სისხლი ფულივით ვხარჯე;
მე გავიარე ამ გრიგალებში
გზა ცეცხლოვანი მიწიდან ცამდე...
რა მაღალია სული, რომელსაც,
ვერ ეკარება ჭუჭყი და ღველფი...
მე ანგელოზის ხმაც კი მომესმა,
ბევრჯერ, როდესაც ჩემს ლექსებს ვწერდი...
მაგრამ რა იყო, დღემდე არ ვიცი,
განცდა, რომელიც ხშირად მქონია;
ლექსი გამომდის, მე კი განვიცდი,
რაღაც სევდას და მელანქოლიას...
იქნებ იმიტომ, იქნებ იმიტომ,
რომ ჯერაც ისევ ყალყზე მდგომელი,
ყველა ქართველის საფიქრალს ფიქრობს,
მკერდში დაჭრილი სვეტიცხოველი...
დღეს ისევ ცოდვით მძიმდება სული,
და შვებას ითხოვს მიწა ვედრებით...
იყო დიდება, იყო წარსული...
დღეს? სულ ღალატი, მსხვერპლი, ცრემლები...

ვერ ვპოვე

რად ნანობ, რად ნანობ, რად ნანობ,
მე მუდამ უფსკრულზე ვკიდივარ...
ამ წუთებს, ამ დღეებს ვაბრალოთ,
წლები რომ გვიქცია ტკივილად...

ჩამესმის, ჩამესმის, ჩამესმის,
როგორ კვეთს, შორს, წყვდიადს შენი ხმა;
ნუ მიმზერ, ეგ მზერა თვალებს მჭრის,
მე ბედმა ისედაც შემრისხა...
ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს,
ვერ ვპოვე, ის, რასაც ვეძებდი;
ეს ღამე გუშინდელს ბევრად სჯობს,
ამას კი აჯობებს შემდეგი...
ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ დასასრულს,
იმ ჯაჭვის, ბედმა რომ გაგვიბა;
თუმც შხამის დალევა არა მსურს,
ამათი არც თაფლი არ მინდა...
ღრმავდება, ღრმავდება უფსკრული,
აქ სადღაც ედემის ბაღია...
ამ ადგილს დარაჯობს ურჩხული,
რომელსაც კახპები ვარცხნიან...
ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ნუ წახვალ,
ჩადგება ეს ცივი ქარები...
ნუ გამხდი ქალების უნახავს,
მაჩუქე ეს ბოლო წამები...

სველი თმები

სულ მგონია, შენ რომ გხვდები,
ვიმუხტები დადებითად...
მიყვარს შენი სველი თმები,
და თვალები მაგ თმებიდან...
ამბობენ, რომ ყველა ამბავს,
აქვს თავისი ისტორია,
მე კი შენი თმებით დამთვრალს,
ვერაფერი მიპოვია...
მოკვდა, მორჩა, ძველი ხანა,
სიწმინდე და უმანკობა,
შუბლში ტყვია დაიხალა,
და სიმშვიდე ცაში ჰპოვა...
ამით იმან თავს უშველა,
მე სიმშვიდე სად ვეძებო,
მე ხომ შენი თმების ტყვე ვარ,
და შენს სურვილს უნდა ვენდო...
თითქოს ხელზე დამიხვია,
და ბავშვივით ამიჩემა;
შენ კი მიმზერ ვით სიცხიანს
და არ გინდა ჩემი შველა...
ყველა ქალი ერთმანეთს ჰგავს,
და ჯანდაბას ჩემი თავი...

მერქვას, მერქვას, გიჟი მერქვას,
ჭკვიანი კი შენ იყავი...
მაგრამ თუკი მაინც შევცდი,
ვერ მოვთოკე სურვილები,
წამეკიდა ისევ ცეცხლი,
ცეცხლი შენი სველი თმების...
მითხარ, რომ სხვებს არად ჩათვლი,
რომ გიჟდები მხოლოდ ჩემზე.
რომ გიყვარვარ როგორც ძაფი,
დაკიდული ნატვრის ხეზე...

რად არის ასე

რად არის ასე, რად არის ასე,
ასე შორიშორს სამყაროები...
მაშინ, როდესაც მზე თვალებს ახელს,
მთვარე იძინებს განმარტოებით...
ასე დაგეძებ ცაშიც, მიწაზეც,
მაგრამ ვერაფრით ვერ მიპოვიხარ...
როცა, შენ, ალბათ, მთებში იზამთრებ,
მე ზღვებზე დავქრი, არ გამოვრიცხავ...
ამბობენ, თურმე იშვიათია,
იშვიათია ბედთა თანხვედრა...
შენ ვარსკვლავეთის ხარ სიმპათია,
მე შორეული მკვდარი პლანეტა...
იქნებ ვხვდებოდით კიდეც ოდესმე,
და ერთმანეთი ჩვენ ვერ ვიცანით...
მე ვიყავ, ალბათ, ვინმე მოლექსე,
შენ გზას გითმობდნენ თაღნი ცისანი...
და მართლაც ვნანობ, რომ ეს სამყარო,
დააქუცმაცეს ასე ღმერთებმა...
მოდი, აბჯარი მინდა ამყარონ,
და დამიმონონ შენმა ხელებმა!!!

ნუ ჩამიქრობ

ნუ ჩამიქრობ, ნუ ჩამიქრობ,
სანთელს, შენთვის რომ ავანთე,
ნუთუ, გული არას გიგრძნობს,
ხომ იცი, რომ ხელს არ გახლებ...
გადასულა, გადასულა,
ჩემი ვაზი შენს ატამზე,
სად წასულა, სად წასულა,
შენი უღვთო სილამაზე...

გაყინულა, დათოვლილა,
გაზაფხულის ფარდაგები,
ჩემი მკერდი დაფოთლილა,
შენი ტუჩის მათრახებით...
ჩავიძინებ და თავიდან,
სიზმარს პირველ კოცნით ვიწყებ...
ვერ ავიტან, ვერ ავიტან,
თუკი, მართლაც, დამივიწყებ...

სულ მგონია

ეს წამებიც როგორ გარბის,
მინდა, მინდა ხელი ვტაცო,
რა დრო რჩება შენს ხილვამდის,
რა ვიღონო, რა მოვასწრო...
სულ მგონია, სულ მგონია,
რომ ჩემს გამო ლამაზდები;
რამდენ ქარებს უქროლია
ამ მხარეში გაბრაზებით...
მითხარ, მართლაც რა ვაკეთო,
ამ შტორმსა და ქარიშხლებში,
სხვებმა თუნდაც გაგაღმერთონ,
შენც აენთო გარიჟრებში...
ნუ დამასწრებ, ნუ დამასწრებ,
სიტყვის დაძვრას სიყვარულზე,
ამ გიჟ ქარებს როგორ ავყვე,
როგორ ავყვე სეტყვის ღრუბლებს...
შენც სულ მალე აალდები,
შენშიც ბედი არ მქონია,
მებრძვის, მებრძვის გააფთრებით,
შენი უღვთო ჰარმონია...

დავრჩები შენთან

დავრჩები შენთან, დავრჩები შენთან,
ოღონდ, ძვირფასო, შენ თუ მიმიღებ...
ჩემი თვალები შენს თვალებს შერჩა,
დავრჩები, მართლაც, თუ შემირიგებ...
მაგრამ, იცოდე, მე ქარიც მახლავს,
ქარი რომელიც სევდას შემპირდა,
ის გულის კედლებს ეხლება ახლაც,
და გამოღწევას ცდილობს მკერდიდან...
მე, ვიცი, ვიცი, ვერ გადავრჩები,
რომ კატაფალკა ჩემსკენ მოგორავს,

რომ დაბერილი ჩემი ძარღვები,
ვერ გაუძლებენ სისხლის მოწოლას...
ვერ ვხვდები, ნუთუ, კვლავ მარტოს მტოვებ,
გესმის, რა ძალით რეკავს ზარები...
ერთს გთხოვ, დამმარხო შენს სიახლოვეს,
მაგრამ საფლავს ნუ გაეკარები...

ხელს ნუ ამიკრავ

ხელს ნუ ამიკრავ, მე წამებს დავთმობ,
წუთებსაც დავთმობ, თუ საჭიროა,
იცი, ძვირფასო, დღეს შენ რომ გათრობს,
ჩემი ფიქრების სანაპიროა...
სანაპიროა, ჩემი ზღაპრების,
ჩემი ოცნების სანაპიროა,
ნუ მისაფრები, ნუ მისაფრდები,
შენ და ჯაშუში? სასაცილოა.
სასაცილოა, თუმცა, რატომღაც,
აღარაფერზე არ მეცინება...
მე შენი სახე დამამახსოვრდა,
ბავშვობის ნათელ გაკვეთილებად...
ასე მგონია, მკლავებს მომხვევ და
ამ ზღვაში ერთად ჩავიძირებით,
გითხრა, რა არის გასხივოსნება?
აელვებული ზღვის ნაპირები...

არ მოხვედი

არ მოხვედი, მე გიცდიდი,
ჩემი სული მორევს მიაქვს...
მოზიდული ჩემი შვილდი,
შევალეწე ლოდებს კლდიანს...
შენნაირი მრავალია,
შენ არა ხარ ერთადერთი,
მთვარე ღამემ გადარია,
ცა აიკლო თურმე კვეხნით...
შენნაირი? ზღვის ნაპირას
ხვინჭასავით ბლომად ყრია...
სანაპირო, კონცხის ძირას,
ჩემი ძველი მონმარტრია...
მე უშენოდ ისედაც ვძლებ,
შენ უჩემოდ? ღმერთმა უწყის...
სხვა მოგიტანს წითელ ვარდებს,
ალბათ, ვისაც ღიმილს სჩუქნი!!!

სხვა გიპოვია

სიყვარულივით ღალატსაც თურმე,
მილიონობით სახე ჰქონია...
ზღვა ჩამჩურჩულებს, ზღვა ჩამჩურჩულებს,
რომ ჩემს მაგიერ სხვა გიპოვია...
სხვა გიპოვია, ჩემზე ამაყი,
ჩემზე მდიდარი, ჩემზე გულღია,
გვიან გავიგე შენი ღალატი,
ჩემ რაშს ლაგამი გადაუღრღნია...
მოთქრიალებენ, მოთქრიალებენ,
ვენიდან სისხლის ნაკადულები...
ვიცი, ძვირფასო, რომ თავს მანებებ,
რომ უკვე სულ სხვას ეერთგულები.
რომ სული ჩემი უკვე აიჭრა,
ჩემი მკერდიდან გამოაღწია,
ცას შეეჯახა და გადაიმსხვრა,
რომ მალე გულსაც ამომაცლიან...
ჩემი ფიქრები თრთოლას იწყებენ,
არავინ იცი, რომ მანუგეშონ?
სანამ ღრუბლები გადამისწრებენ,
რომ სული ჩემი გააუხეშონ...

გადაივლიან ცაზე ქარები (ირინა თურქიას)

როგორ მახსოვდა, როგორ მახსოვდა,
ბავშვობიდანვე შენი სახელი...
მითხარი, მთვარე რას გიამბობდა,
რატომ უვლიდა ან ჟრუანტელი...
ქარის ბრალია, ქარის ბრალია,
ჩვენ რომ ვერ შევხვდით გზად ვერასოდეს,
ვინ იცის, მართლაც დასანანია,
ვერც ვერაფერი გამოასწორებს...
გადაივლიან ცაზე ქარები,
და შორს ცის კიდეს მიაშურებენ,.
ნუ ეკრძალები, ნუ ეკრძალები,
სთხოვ და სამ სურვილს აგისრულებენ...
მაგრამ რას ეტყვი, რა მიგაჩნია
ნატვრად, ეს არის ამოსაცნობი,
ზოგჯერ სურვილი ისე მძაფრია,
ტყვიებს აასწრებს ცისკენ ასროლილს!!!

ნუ გენანები

ისევ დუმილი, ისევ სიჩუმე,
თითქოს დამცხრალან ოკეანენი,
ბრძოლა მისურვე, ომი მისურვე,
ნუ გენანები, ნუ გენანები...
თოვლსა და ყინვას ცეცხლს ვამჯობინებ,
ჩამქრალ ვულკანებს ამოფრქვეულებს,
მოდი, სამყარო შემაცნობინე,
სადაც დავეძებ მე ორეულებს...
ზღაპარი მიჯობს დღეს რეალობას,
იყოს სამყარო ირეალური,
არ მინდა ვთხოვდე ღმერთებს წყალობას,
გაიღე ჩემთვის ზღვა სიყვარული...
გაიღე, თორემ გული გაცივდა,
ასე გედები ტბებზე კვდებიან,
მომასმენინე ყეფა არწივთა,
სიკვდილს მკერდით რომ ეხეთქებიან...
ნუ, ნუ დაუსვამ წერტილს ნურაფერს,
ქროდნენ წამები უკიდეგანოდ,
რომ წმინდა სისხლის შავთეთრ ულაყებს,
აღარ ჩაევლოთ არსად უკვალოდ...

როგორ მეგონა

რატომღაც გაწყდა დროთა კავშირი,
აზრი არა აქვს თანმიმდევრობას,
რა უსასრულო გახდა მანძილი,
მე კი როგორი მოკლე მეგონა...
როგორ მეგონა, როგორ მეგონა,
რომ მოგაწვდენდი ჩემს გულის ძახილს,
უირაღოდ როგორ მეომა,
მე ხომ დიდი ხნის დაჭრილი გახლდი...
ნუთუ, ჩემს მკერდზე ჯერ არ გინახავს,
ახალთახალი ნატყვიარები,
მე ისევ ვანთებ რწმენის ჩირაღდანს,
რომ მოვირჩინო ნაიარევი...
ვიცი, პირქუშად ისევ მოღელავს,
სისხლის მდინარე აზვირთებული,
და მიყვარს, მიყვარს ცაზე რომ ელავს,
და სეტყვაც უშენს განრისხებული...
მე და ბუნება ნაღდი ძმები ვართ,
მართლაც უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს,
შენ კი რა სწრაფად დაგვიწყებივარ,
მიხსენი, სანამ თავს მომკვეთავენ...

მოდი, მაგრად ჩამეკარი...

ნეტა, ღმერთი რატომ ხატავს,
რატომ ხატავს ეშმაკს ქვაზე,
ერთს დედოფლად თუკი ნათლავს,
სხვას ლუკმაპურს რატომ ართმევს...
კაცმა რომ თქვას, ისე მართლაც,
რა დროს სხვებზე დარდებია,
მე მექცევა ბედი მკაცრად,
მუზებს მაცნობს წამგებიანს...
ან, შენ, თუნდაც, რატომ გახდი,
როგორ გახდი, ჩემი მუზა?
სად დგას შენი ოქროს ტახტი,
შენ სულს მშვიდად ვინა ფურცლავს...
მე აქ ხანძრებს ვემალები,
გადარჩენის ზღურბლზე მდგარი,
რომ ეგ შენი მწვერვალები,
ვერაფრით ვერ დავიპყარი...
იღრუბლება, იღრუბლება,
ზეცა, ჩემი საკუთარი,
ქარიშხლები წყება–წყება,
თოვლი, წვიმა, სეტყვა, ქარი...
ჩემს ხელთ არი, ჩემს ხელთ არი,
და ვაპირებ შენსკენ ვგზავნო,
მოდი, მაგრად ჩამეკარი,
და გრიგალებს დავემგზავროთ!!!

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,
რითაც მე ახლა თქვენ მენატრებით...
გინახავთ, სულთა გამყინვარება?
დუმს თქვენი სახე ვით მწვერვალები...
მე კი მგონია, რომ თავს მესხმიან,
და მონატრებას თქვენსას მტაცებენ;
რომ სული წყენას გადაეჩვია,
რომ თქვენს სიყვარულს არ შემარჩენენ...
მარტოს ნუ მტოვებთ, ნუ მტოვებთ მარტოს,
აქ კვლავ მეფობენ ზამთრის ქარები...
დაწრიალებენ ჩემ სულთან ახლოს,
მეკი სათოფეს არ ვეკარები...
მაგრამ, გაუშვი, თოვლი ფარავდეს
მიწას, უცვლიდეს ქურქებს სუსხიანს,
ქარი ახლიდეს სარკმლებს დარაბებს,

და ღრიალებდეს რაც შეუძლია...
გაუშვი, ქროდეს, სანამ დაღლილი,
სადმე, ველებზე მიესვენება,
როგორც მერანი ფაფარაშლილი,
ქვა–ღორღს მიჰკვალავს, მიეთქერება...
გაუშვი, თავის თავზე აიღოს,
ბუნებამ ჩვენი მიეთ–მოეთი...
და ღმერთმაც ცოტა ხარკი გაიღოს,
რომ ლექსს უწერდეს ვინმეს პოეტი...
რომ იჯდეს, ბჭობდეს და ჩურჩულებდეს,
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ღმერთი...
მუზა კი ჩუმად კარებს უღებდეს
და აკვირვებდეს ღმერთს სიშიშვლეთი...
ეს მე ვარ, მართლაც, ეს მე ვარ ღმერთი,
მე თვითონ დროც კი მემორჩილება...
მე სიყვარული მომქონდა თქვენთვის,
მაგრამ არ გეყოთ, თქვენ, მოთმინება...
იცით, ვვარვარებ, როგორც ვულკანი,
საშინელია ყოფნა უთქვენოდ...
მალე ზეცაში წავალ მუქარით,
რომ ვნება მოვკლა, თავს კი ვუშველო!!!

ნუ გამომარჩევ

ნუ გამომარჩევ, მე არაფრით გამოვირჩევი,
უბრალოდ, სხვებზე მეტს ვფიქრობ, ალბათ,
ისე დავტანჯე და ვაწამე ჩემი ფიქრები,
ვდგავარ და მათთვის ეშაფოტს ვმართავ...
რომ მოვიცილო, ჩამოვახრჩო ყველა ერთბაშად,
განა, რას შველის ფიქრი, მართლაც, რის მაქნისია.
ვდგავარ ფიქრებით წამომართულ სახრჩობელასთან,
და ფიქრებს ვკიდებ ყულფზე, რადგან საკმარისია...
საკმარისია, დამანებოს თავი სულყველამ,
რადგან მგონია, ყველას ნაცვლად, მე ვფიქრობ მარტო...
ჩავჭიდებივარ ათასობით ტყუილს, ცრურწმენას,
რომ არ ვიფიქრო შენზე, ალბათ, არ მომენატრო...
ვიცი, ფიქრები სათითაოც რომც ჩამოვახრჩო,
და აფართხალდნენ ჩემს წინ, როგორც ხმელზე თევზები,
მაინც გავუძლებ, ჰო, გავუძლებ, რომც ვერ მოვასწრო,
შენზე ფიქრები კი მძარცვავენ ვით გარეწრები...
საკმარისია, თვითონ ავალ სახრჩობელაზე,
რადგან უშენოდ, უკვე ფიქრმაც დაკარგა აზრი,
ყელზე მაქვს ყულფი, ამოცოცდა სული ენაზე,
აი, ეშმაკიც, ისეც ვიცი, საით გამგზავნის...

ვილაპარაკოთ ბავშვის ენაზე

მადლობა ყველას, ვინც ჩემთანა ხართ,
მადლობა ღმერთს, რომ თქვენ დაიბადეთ,
ყველამ, სულ ყველამ, სოფლად, ქალაქად,
ვილაპარაკოთ ბავშვის ენაზე...
ვიცინოთ, როგორც ბავშვი იცინის,
და ბავშვებივით გულით ვიტიროთ,
და დამარცხდება, მაშინ, სიკვდილიც,
ულაპარაკოდ და უსიკვდილოდ...
აღარ იქნება ქვეყნად ომები,
სავარძლებს ძალა გამოეცლებათ,
ვიქნებით ყველა თანასწორები,
ფულსაც შევხედავთ, მშვიდად, გულგრილად.
ვიქნებით ყველა ისევ ბავშვები,
გავიბუტებით და შევრიგდებით,
მუდამ კარგები, მუდამ მართლები,
და მუდამ, მუდამ, ერთად ვიქნებით!!!

ვარდი მესროლე

როცა ყველაფერს, როცა ყველაფერს,
უიმედობის დაფარავს ხავსი,
აღარ ვიქნებით ქვეყნად მე და შენ,
და ხსოვნაც ყველა წიგნიდან წაგვშლის...
ვის გაახარებს, ნეტა, ვარდების
ჭრელი ფერები ულამაზესი,
აქაფებული კლდეზე ჩანქერის
ვარდნა ქუხილით და გაბრაზებით...
მართლაც ვინ იცის ხვალ რა იქნება,
მეფე კი არა დრონი მეფობენ...
მრავალი ვარდი გაიცრიცება,
მაგრამ დღეს ხომ ვართ, შენც დღეს მესროლე!

ვერ ამოვხსენი

არ გადაკვეთეს ჩვენმა მიზნებმა,
მაგრამ არ იყო ეს ბრალი ჩვენი...
სხვა არის ლტოლვა, სხვა გაგიჟება,
და სულ სხვა კიდევ – ზეცის სასჯელი...
არ დავეძებდი ბედნიერებას,
არასდროს, რადგან არ მიმართლებდა,
რას ვიფიქრებდი შენთან შეხვედრა

თუ სულ სხვა ბაღებს გამინათებდა...
რა მოხდა მაინც, შენგან მიზეზი,
ვერ ამოვხსენი ვერასდიდებით,
ან თავს თუ ასე გაიგიჟებდი,
მართალი გითხრა, ვერ ვიფიქრებდი.
უარი გრძნობებს, უარი განცდებს,
რა გვრჩება ბოლოს? უღიმღამობა...
ვინ ახარებდა შენს წითელ ვარდებს
შენს მკერდზე ვინა კოტრიალობდა...
ახლა არც ვიცი, ან რისი დროა,
ამ წლებს ვერაფრით ვერ შევეგუე...
თუ სიყვარული თავისით მოვა,
ასე უბრალოდ, ვერ გიერთგულებს...
მე შენს ადგილზე, ალბათ, ჩათრევას,
ისევ ჩაყოლას ვამჯობინებდი,
მეც ერთხელ მაინც გამიმართლებდა,
მითხარ, არ მქონდეს, თუნდაც, იმედი?

წინ მერნებო

სულ პირველი დილის სხივი,
როცა გაჭრის ქართლის ველებს,
და შროშანი ვარდის ღიმილს
ტიტასავით შეიფერებს...
გამოვრეკავ კარში რემას,
მაყვლისფერი ტაიჭების
სანამ ჯანღი აირევა,
ნაღვლისფერი ქარიშხლების...
წინ, მერნებო, თქვენს სილაღეს,
ვერაფერი დაუდგება,
სულერთია სად მიმაფრენს,
გახელებულ ცხენთა რემა...
დავძრავთ ნისლებს, დავძრავთ ზვავებს,
და დაიწყებს მიწა გრიალს,
მთას ღრუბლებში მოტორტმანეს,
ხელი ცისთვის ჩაუვლია...
წინ, მერნებო, თქვენი ქროლა,
ველს და ქედებს გადაედოთ,
ნისლმა ელვა აიყოლა
და მეხის ხმა გრგვინავს ექოდ!
მიქრის მთებში ცხენთა რემა,
გატაცებით, გახელებით...
როგორც მოჭმულ დროთა ნგრევა,
როგორც ვარდნა ჩანჩქერების!!!

მე არ ვცხოვრობდი, მე ვიწვებოდი... (კ–ს)

ხომ, შესაძლოა, რადგან ვერ ვხვდებით,
გადასხვაფერდეს ეს გული, მართლაც,
ნუთუ შემთხვევით, თუნდაც, შემთხვევით,
აღარ შევხვდებით არასდროს, არსად...
იცი, რას ვფიქრობ, რა საჭიროა,
რომ სხვებსა ვჯობდეთ თუნდ რაიმეთი,
შენი ცხოვრება სუფთა ტილოა,
ჩემი კი, ჩემი სავსეა ფერფლით...
მე არ ვცხოვრობდი, მე ვიწვებოდი,
მე ვიწვებოდი ცოდვების ცეცხლში,
გადაღლილი ვარ მე უღმერთობით
და შენნაირი ქალების ეშხით...
სულ მინდა გითხრა, სულ ვიმეორო,
ყველა სიტყვები ულამაზესი,
შენმა წყურვილმა მომიღო ბოლო,
ეს დროც რომ გარბის, მით უარესი...
მით უარესი, ეს ალბათ ჩემთვის,
რადგან როგორი გასაძლებია,
როცა ვერაფერს, ვერაფერს ვერ ცვლი,
ვით დუელისას მტრები დგებიან.
როცა სიცოცხლეს გიჯობს სიკვდილი
და ნასროლ ტყვიას შენს მკერდს ახვედრებ,
და შენი ცხენიც გარბის ჭიხვინით,
გვალვით გადამწვარ იალაღებზე!
ჯერ კი დასასრულს მაინც ვერ ვხედავ,
ჯერ ცოცხალი ვარ, შენს თუ ჩემს ბედზე,
ლარნაკში თეთრი ვარდები ჭკნება,
ნუ, ნუ ჩამივლი გულგრილად გვერდზე...

აშკარად გატყობ

აშკარად გატყობ, გატყობ აშკარად,
შენს მთლიანობას გაუჩნდა ბზარი...
ის სიყვარულიც თითქოს გამქრალა,
რომელსაც ერთ დროს გაუღე კარი...
და მეტიც, თითქოს ძაფზე ჰკიდია,
შენი ამაყი სული, ღირსება...
თუ რამ გადაგრჩა, მასაც ჰყიდიან,
მასაც ჰყიდიან და იყიდება...
თუ რამ შეეძლოთ, შენმა თვალებმა,
თითქოს ბოლომდე გამოასხივეს...

სადღაც გამქრალა ის მრისხანებაც,
თავდაჭერაში რომ აქვთ არწივებს...
და ხვდები, უკვე სხვისი ჯერია,
რომ სხვებს უფენენ წითელ ხალიჩას...
ბედნიერება, ვით მისტერია,
წლებმა გულიდან ამოგაგლიჯა.
დაბნეული ხარ, რა არის შენი,
შენი რა არის, ვეღარ მიმხვდარხარ...
ეს ღამეც, როგორც გველის ნაკბენი,
შენს ლურჯ თვალებში ამოითალხა...
განიცდი, მაგრამ ვერაფერს შველი,
ვეღარ ატარებ ქარვის ყელსაბამს...
კარგი, ნუ დარდობ, მომეცი ხელი,
შენ ჩემთვის ჯერაც აღმოჩენა ხარ!!!

თუკი თვალები შემოგაფეთე

არ ვიცი, როგორ გავექცე წარსულს,
დავკარგე ყველა გზაგასაყარი...
ახლა ვზივარ და ველი დასასრულს,
დასაწყისი კი აღარსად არი...
დავკეტე ყველა შემოსასვლელი,
გულსაც სუდარა გადავაფარე,
თითქოს ეშმაკი მიტევს სანთელით,
თითქოს შიშველი ხელით მფატრავენ...
მწყურია, მაგრამ წყალს არვინ მაწვდის,
დამშრალა ჩემთვის ყველა წყარონი,
გაბოროტებულს დაღლილს და აჭრილს,
არცა მჭირდება ხელი წყალობის....
ვინ გამოგიწვდის, ვინ გამოგიწვდის,
ქარი ვარ, ვბორგავ, ცას ვეხეთქები...
გამომყოლია ნაღველი სიზმრის,
მძინავს თუ მღვიძავს ისევ ვერ ვხვდები...
ისევ ვერ ვხვდები, საით მივდივარ,
როდემდე ვკეცო მარათონები...
არც დრომ არაფრით არ შემირიგა,
და არც არავის არ ვაგონდები...
კარგა ხანია, კარგა ხანია,
გავითავისე ყველა უფსკრული...
ჩემი ცოდვების ვაკხანალიას
მუდამ მიყვება სიძვა ჩურჩულით...
და სანამ განმსჯი, შენს გულს ჩახედე,
რაზე ტრიალებს მთელი სამყარო...
თუკი თვალები შემოგაფეთე,
შევუყვარდიო, არ დამაბრალო!

რადგან, ვინ იცის, თვალების იქით,
რა საიდუმლოს მალავს წარსული...
ან, იქნებ, მართლაც, არის პირიქით,
სწორედ შენგან ვარ დღეს დათარსული...

ლალი მორიელს

რა ცოტა გვინდა, რა ცოტა გვყოფნის,
ჩვენ ამ ცოტასაც კი ვერ ვიმეტებთ,
გული გიპოვის, გული გიპოვის,
შენ გული ჩემი დაგაიმედებს.
ვისთვის მღერიხარ, ვისთვის მღერიხარ,
ბგერებს ირეკლავს ფრთხილად კედლები...
შენ, ალბათ, ამ დროს ბედნიერი ხარ,
ნება რომ დაგრთონ სულ იმღერებდი...
შენ სიმღერისთვის მსხვერპლსაც გაიღებ,
მსხვერპლსაც გაიღებ ულაპარაკოდ...
თუმც მეგობრების ძვირფას თარიღებს,
ვინ იცის, ეგებ, ღმერთიც გკარნახობს...
იმღერე ჩემთვის, იმღერე როცა,
ცრემლი გაავსებს სულში ნაპრალებს...
როგორც კანდელთან ქალწულის ლოცვა,
როგორც ხატები მოლაპარაკე...

შენ გესმის ჩემი უიმედობის (ბელას, ალანიას)

საოცარია, ვის არ გადაგყრის,
ვის არ გადაგყრის ზოგჯერ დროება...
ასე მგონია სულის ხარაკირს,
მომთხოვს ამ დღეთა ამაოება...
ბევრს არა, მაგრამ შენ კი გენდობი,
შენ ფრინველი ხარ და ბუმბულს იცვლი...
შენ გესმის ჩემი უიმედობის,
რომ მეც მჭირდება დღეს სხვისი სისხლი...
რადგანაც ჩემი ველარ პასუხობს,
ჩემი სხეულის ჩამქრალ იმპულსებს,
მე დღემდე ისევ დავდივარ უხმოდ,
და ჩემს ტკივილებს სევდით ვიყუჩებ...
იქნებ ამიხსნა, როგორ მოვიქცე,
რით, როგორ მივწვდე, წლებს გაფრენილებს?
თუ სინანულმა დაიპყრო სივრცე,
და ყველა წუთი შხამს მალევინებს...
ან ვინ ამიხსნას, საით მივდივართ,
ან ეს დრო–ჟამი საით გაუტევს...

მე შენ გეძახდი სხვა ნაპირიდან,
შენ კი არცერთხელ არ მიპასუხე!
მე შენი სულის მშურს სიმსუბუქე,
რა ადვილია მისი ტარება...
ერთი მზის სხივიც გაჰკვეთს უკუნეთს,
თუ ღამეს დილა შეუყვარდება...

იცი, მეგონა...

რად მიხარია, როცა უეცრად,
იქ მხვდები, სადაც არ გელოდები,
თითქოს იპოვეს ყურე სულებმა,
სადაც ბუდობენ ანგელოზები...
და ჩვენთან ერთად ბედნიერები,
ჩვენს დიდ სიხარულს იზიარებენ,
მე მჯერა, მჯერა, მართლაც, შემხვდები,
და ერთად გავლევთ გზას სამარემდე...
მითხარი, განა, რაა ნუგეში,
მასთან გვაშორებს, ალბათ, მტკაველი...
რომ ამ ცოდვიან საუკუნეში,
იყო ლამაზი და საყვარელი...
რა უჭირს თუკი ბეწვზე ჰკიდია,
ჩვენი სულები, როგორც სანთლები,
თუ გული შენთვის გამომიწვდია,
იცი, მეგონა, ჩამომართმევდი...

მწიფდა, მწიფდა ალუჩა

იცი, ქარი ეზოში,
ხეებს როგორ გლეჯავდა?
მხოლოდ საქართველოში,
ალბათ, თუ გაბედავდა...
რადგან, ვერას ვშველოდი,
დავაცადე ალიონს,
შენც ხომ მეკითხებოდი,
რას გიპირებს ქარიო...
კარგად, იცი, რამდენმა
ჩაიარეს დროებმა,
თავზე ჩაჩქნიანებმა,
ომი ომს რომ მოება...
ახლა როცა მღვრიე წყლებს,
ველარ ჰგუობს კალმახი,
ზღვები მანდობს ცის ეჭვებს,
ისევ ქარის კარნახით!!!

რომ წინ გველის მრავალი,
ჯერაც უამინდობა,
დროა გარდამავალი
მოკლეს, ჩვენ რაც გვინდოდა...
მწიფდა, მწიფდა ალუჩა
და ჰყვაოდა ატმები,
ნუშმა კოცნა გაჩუქა,
მთვარემ ბრილიანტები...

დილა

დილა სუნთქავს ალისფერად,
როგორც დისკი მოელვარე,
ღამემ ჩუმად განისვენა,
ციდან გაქრა ვერცხლის მთვარე...
რატომ მინდა, რატომ მინდა,
სული იყოს გამჭვირვალე...
მომიწყვიტე მაგ ბაღიდან,
სიყვარულის მსგავსი რამე...
გინდა ვარდი, გინდა ია,
ნუ, ნუ მეტყვი ახლა უარს,
იცი, მე რაც მინატრია,
ზოგჯერ მხოლოდ დარდი თუა...
და ნუ გიკვირს, დილის სხივებს,
თუ აღვიქვამ მზის ღიმილად,
მე ხომ ზეცა კარებს მიღებს,
გაჩენიდან ყოველ დილას!!!

შენ ხომ ვერ მეტყვი

შენ ხომ ვერ მეტყვი, რატომ სწყდებიან,
რატომ სწყდებიან კლდეებს ირმები...
როცა უფსკრულში იჩეხებიან,
თავგამეტებით, თავდავიწყებით...
რას ნიშნავს, მართლაც, მათი ნახტომი,
ლტოლვას, შეცდომას თუ თავგანწირვას...
მე მცივა, შენ ხომ არ გამათბობდი,
თორემ მე ვხტები ირმის მაგივრად...
ისე მომბეზრდა დახვეწილობა,
ვარჩევ ველური მთების ღრეობებს...
სად ჩანჩქერები ღია ჭრილობად
მკერდზე ატყვიათ უღრან ხეობებს...
სად ზეციურნი ბედის ვარსკვლავნი,
ლურჯად ერწყმიან წყვდიადს მირიადს...

ხომ ვერ ამიხსნი, ხომ ვერ მასწავლი,
ახლა ზეცამდე რა მანძილია...
რომ ჩავაქსოვო ირმის ნახტომში,
ჩემი ნატვრები აუხდენელი...
თორემ ქვევრს ვგავარ ღვინოგამოცლილს,
გაბზარული მაქვს ყველა კედელი...

როგორც არავინ

რა მოხდებოდა, ამ დღეებს თუნდაც,
შენთვის და ჩემთვის გამოედარა,
რომ ჭრელ ველებზე მაისის სუფრას,
ჩვენი ოცნება ამოეყარა...
უკვე არ ვუგდებ ყურს აღარავის,
მე ეს დღეები შენით ვარსებობ,
მიყვარხარ, რაა აქ დასამალი,
როგორც არავინ, ალბათ, არცერთ დროს...
თუმცა, არ ვიცი, როგორ ვუმზირო,
ან რა დავარქვა ამ სილამაზეს,
შენი თვალების სევდას უძიროს,
სახეს უნაზესს, ტანს მოკალმახეს...
რატომ მგონია, რაც კი აქამდე
რამე გამაჩნდა სულ წამიგია...
თურმე წარსულიც კი მივაფლანგე,
და ვერაფერი ვერ გამიგია...
ზღვა ხარ, მემსხვრევი მკერდზე ტალღებად,
მინდა მაწვიმდე, მინდა მათოვდე,
ჩემი სიცოცხლის ხარ ცისარტყელა,
ნუ, ნუ გაქრები ნუღარასოდეს!!!

არ დამემდურო

არ დამემდურო, უბრალოდ, შენთან,
როცა ვარ, ცაზეც ვერ ვამჩნევ მნათობს...
მაცოფებს შენი უმანკოება,
ასე მგონია რომ თოვლი გათოვს...
გასაოცარი იცი დუმილი,
შენ მაგ დუმილით ყველაფერს ამბობ...
მე კი დაღლილი მოგზაურივით,
მარტო დანახვაც კი შენი მათრობს...
და, მართლაც, ვის არ შემყარა ბედმა,
პილიგრიმივით სად არ ვეხეტე,
ათსა ვკოცნიდი და ვიყავ კენტად,
ჰო, სანამ შენ არ შემოგეფეთე...

თუმც, ამ სიყვარულს მზის ჩასვლა ჰქვია,
მართლაც, თუკია უკანასკნელი,
ცხელია, როგორც ჟაკანის ტყვია,
როგორც ქალწულის ხელში სანთელი...
შენ კი, ჩემს თვალწინ დარდებს დაისევ,
და თოვლის ნამქერს მაყრი თვალებით,
ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
მწყურიხარ, მსურხარ, თუმც, გეკრძალები...
მე, გთხოვ, გაჰყარო ზამთრის ღრუბლები,
რომ მაგ შენს ყინვებს ხელი აუკრა...
დევს პიუპიტრზე თეთრი ფურცლები,
და ვიღაც ჩემთვის რექვიემს უკრავს...

სულს ნუ ამომხდი

სულს ნუ ამომხდი, რადგან სამარეს,
არავინ იცის, სად გამითხრიან,
ჩემი ცხოვრება ჰგავდა კაბარეს,
და მეც ვიყიდე სული ნისიად.
ჰოდა, ამიტომ ტკივილს ვერა გრძნობს,
მას ეძახოდნენ სხვა სიამენი,
სულმა ხან უნდა გაიმერანოს,
ხან ქალის მკერდზე თვალოს ხალები...
სულს ნუ ამომხდი, სული ტკბილია,
მეც სული ჩემი კბილით მიჭირავს,
დღეს ჩემი კუბო გადახდილია,
მე ხომ სიკვდილშიც დიდი ნიჭი მაქვს.
ხან დღეში, ალბათ, ათასჯერ ვკვდები,
მაგრამ ყველაფერს ფეხზე ვიკიდებ...
რომ ათასჯერვე წამოვდგე მკვდრეთით,
თუნდ თავს მადგნენ და წამებს მითვლიდნენ...
მართლაც, საერთოდ, ამ რიტორიკულ,
კითხვებს რა დალევს ამ ჩვენს ყოფაში...
ამ წლებს დაკარგულს, ამ დღეებს ბითურს,
გინდა, გაგიცვლი წამის მორალში...
ჰოდა, შეეშვი, ჩემს სულს, უბრალოდ,
მან როგორც შესძლო, ისე იბრძოლა...
უსისხლოდ, სუფთად, წმინდად, უაბჯროდ,
და ვერ აქციეს ვერაფრით მონად!!!

გადაიფრინე

არ დაუჯერო, თუ ვინმემ გითხრას,
რომ სილამაზემ დაკარგა ფასი...

შენ კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს,
ნატვრის ფრთებს ისევ გედივით გაშლი...
ჩემს ცაზე სადაც კვლავ ათასობით,
ჯერაც ქორნი და სვავნი ბუდობენ,
სადაც ჯუნგლების ცივი კანონით,
ძარცვავენ, ჰკლავენ, რყვნიან, ქურდობენ...
შენც გადაიფრენ, ალბათ, დროდადრო,
სად ორბი დაფრენს ვერცხლისბრჭყალება...
მინდა მოვასწრო, მინდა მოვასწრო,
თვალი შევკიდო ამ ელვარებას...
გადაიფრინე, გადაიფრინე,
რომ დავუბრუნდეთ ბავშვობას ჩვენსას,
როცა პუტავდი საწყალ გვირილებს
და ყვავილების პერანგი გეცვა...

დღეს შენთან მინდა (ტ–ს)

გეძახი, შენი მოხმობა მინდა,
ნეტა, სადა ხარ, რომ არ გამოჩნდი,
შენს შემდეგ სულში ჟინჟლავს და ჟინჟლავს,
ალბათ, გულიდან ვეღარც ამოგშლი...
ვიცი, რომ გიკვირს ჩემი სიტყვები,
არ მოგერევა მათზე ცრემლები,
მე კი ამდენხანს რომ გაკვირდები,
თანდათან უფრო მეტად გნებდები...
არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ არ არსებობს ტრფობის რეცეპტი,
მე შენ შემომხვდი სულ სხვათა ნაცვლად,
გამოგიტყდები შენ არ გეძებდი...
რა არის წამი, ზოგჯერ უაზრო,
ისეთი სხივით გასხივოსნდება,
შეძლებს ყველაფერს გადაუაროს,
რაც წინ დახვდება, რაც ქვეშ მოჰყვება.
ჰოდა, შენც, ახლა, რაც უნდა მალო,
საკუთარ თავს ვერ დაემალები,
იცი, არც მინდა სხვებს მიგათვალო,
შენ ცალკე დგახარ და მენანები...
და გიხმობ, გიხმობ, დღეს შენთან მინდა,
მინდა გამოჩნდე, მინდა გიხილო,
არ დამიჯერებ და თუნდაც სიზმრად
მსურს ეს სურვილი რომ ავიხდინო!

მომწონს ეგ კაბა, შენც მომეწონე

რატომ მიყურებ ასე ეჭვიან
და მოლოდინით სავსე თვალებით,
რა გსურდა ჩემში გამოგეწვია,
გრძნობა სურვილის, თუ შებრალების?
ან მითხარ, იქნებ, ორივე ერთად,
იქნებ, გწყურივარ, ვით ირემს წყალი?
ან გინდა იყო დროდადრო ჩემთან,
მაშ, ასე რატომ დამადგი თვალი?
კი, ლამაზი ხარ, ვერაფერს იტყვი,
მომწონს საყურეც და სამაჯურიც,
მკერდზე კი, მკერდზე ეგ გულსაკიდი,
და ძეწკვი ცოტა დაბლაც ჩასული...
ვიცოდე მაინც რა დაგიშავე,
რას ამაცეტე და მაყიჟინებ,
ამ უთენია დილა–სისხამზე
არიფივით რომ გამომიჭირე.
ძნელია შენგან თავის დაღწევა,
ძნელია, მაგრამ სხვა რა ჩარაა...
ცოტაც და ალბათ აარტყამს წნევა,
ვხტები, აქ სადღაც ხომ ფანჯარაა?

თავისი დრო აქვს ყველა დასასრულს

ვიცი, სულ მალე აყვავილდები,
რომ ჩემს სიმშვიდეს წერტილს დაუსვამ,
ნუ გამიწყრები, ნუ გამიწყრები,
მთვარეს ღამე და მზეს კი ცა უყვარს...
და თუ მეშლება მეც მისამართი,
ჩემი კი არა, შენი ბრალია,
შენ ყველაფერი ისე წამართვი,
არც გიფიქრია, არც გიწვალია...
მე ვერ მოვიყვან ახალ გაზაფხულს,
ვერც ჩანჩქერივით გადმოვჩქეფდები...
თავისი დრო აქვს ყველა დასასრულს,
და მეც უტკბესი მიყვარს მტევნები...
შენ კი, სულ მალე გაიყვავილებ,
ააფერადებ დღეებს უფეროს,
თუ შემეშალოს, შენ დამარიგე,
რომ ჩემს სურვილებს რამე ვუშველო...
შენ ჩემი ტკბობის თეთრი ყლორტი ხარ,
მაგიჟებს ფერი შენი კანისა...
შენ მე სიყვარულს ვეღარ მომიტან,
ალბათ, ყვავილებს კი, სამარისას.....

დედას ვფიცავარ

საშინელია, ნიჭისათვის რომ გაგრიყავენ,
და რჩები მარტო, როგორც ბევრი, ბევრი შენამდე...
ასე მგონია, ბავშვობაში როგორც მირტყამდნენ,
მცემენ ყოველდღე, მცემენ ჩუმად, გამეტებამდე...
ვეცემი, ვდგები, კვლავ ვეცემი და მაინც ვდგები...
და ვგრძნობ, სამყარო ჩემს გარშემო როგორ ტრიალებს...
რომ მე კი არა, ჩემს სამშობლოს წააჭრეს ფრთები
და მისი ყველა არტერია დააზიანეს...
და მეც, ვინ იცის, სად მოვკვდები, რომელ მიწაზე,
ან ვის ქარიშხლებს უმასპინძლებს ჩემი სამარე...
თვით სამარემდე, სამარემდე ან კი მივაღწევ?
ვინ იცის, ნეშტსაც, როგორც ლექსებს, გადამალავენ!
ვინ იცის, მართლაც, არც მეღირსოს, არსად საფლავი...
და განმეორდეს ისტორიის ჩემზეც მზაკვრობა...
დედას ვფიცავარ, დაზღვეული არ ვართ არავინ...
მე რომ ვუყურებ, მე რომ ვხედავ ამ უაზრობას!!!

რა მქვია, იცი?

ვინა ვარ, მართლაც, ვინა ვარ, ნეტა?
რა მქვია, იცი? ჩამდგარი ქარი...
როგორ მინდოდა გრიგალთან შერწყმა,
არ გამოვიდა, ვერ მოვასწარი...
ახლა ვზივარ და შენს სახეს ვძერწავ,
და მეჩვენება, რომ ღმერთებს ვძარცვავ...
რადგან ისინი მართმევენ შენს თავს,
და მეც განვიცდი ყველაფერს მძაფრად...
რამდენი წელი გამქრალა თურმე,
რამდენი ღამე სხვებთან ალერსში,
რამდენი რამე ვერ ავისრულე,
ან ვერ ვიპოვე სხვის სიამეში...
ახლა კი, ალბათ, მეც აღარ ვიცი,
აკრძალულ ხილს თუ ვეპოტინები,
და ამიტომაც ასე განვიცდი,
ჰო, რა გამოდის, სხვას ვეცილები...
და ამიტომაც რას აღარ ვბოდავ,
ხან ქარი ვარ და ხან კი გრიგალი...
მე ყველაფერი დამამახსოვრდა,
რაც შენ გაბედე, რაც შენ მითხარი...
იცი, არა ღირს, მართლაც არა ღირს,
ამ წლებში ან ვის ექორწილება,
თორემ ქარს, აბა, მართლაც, რა დაღლის,

თუკი ყვავილებს ეკოცნინება...

ჩემს ელენიკოს, დღეს 2 წლის გახდა...

ყველაზე მეტად შენ გესმის ჩემი,
და მე რატომღაც დიდი მგონიხარ,
მომეცი ხელი, მომეცი ხელი,
შენ, მართლაც, ჩემი თანასწორი ხარ...
ვიცი, როდისმე უნდა დავცილდეთ,
დავემორჩილოთ ბედის კანონებს,
მაგრამ იქამდე შენ ამაცილებ,
ჩემსკენ წამოსულ ყველა ფანტომებს...
იცი, რა არის ამ ქვეყნად შვება?
შენი გაჩენა, შენი სიცოცხლე...
შვებაც, სინათლეც და გადარჩენაც,
მე შენში ვხედავ, შენ რომ იცოდე!
და ვიცი, იქნებ, ბევრი ვერც მიხვდეს,
უკვე ასე რომ მეიმედები...
შენა ხარ ჩემი სულის მემკვიდრე,
ჩემი ზღაპარი და ჩემი ფრთები...

სიმშვიდე

არა და არა, ვერ ვეღირსე სიმშვიდეს სულის,
როგორც ტალღებად მონანავე ნიავი ბაღში,
როცა საღამოს ჰარმონია მყარდება სრული,
და ნაკადული მირაკრაკებს კვლებში თამაშით...
ეს, ყველაფერი აღარც მახსოვს თუ როდის იყო,
ახლა გულის ფსკერს ვიღაც ჩიჩქნის, ჩიჩქნის და ჩიჩქნის...
საშინელია, როცა სული არაფერს ითხოვს...
როცა ძარღვებში იყინება თავისით სისხლი...
ასე მგონია, გამუდმებით მესმის მუქარა,
ისევ უაზროდ იყრებიან დღედაღამენი...
აღარ მაწუხებს მზემ ვარსკვლავებს რა დაუბარა,
რას ჩურჩულებენ ხის ფოთლები მონანავენი...
ან რომელია, ნეტა, ჩემი ბედის ვარსკვლავი,
ნეტა, ჰკიდია ისევ ცაზე, თუ ჩამოვარდა?
შემომჩენია რაღაც ფიქრი ობობასავით,
რომელმაც ყველა სურვილები მიფანტ–მოფანტა...
თითქოს ტაატით მიათრევდნენ დროის კიდობანს,
ჩემი ცხოვრების დაღვრემილი ანგელოზები,
მე ხომ წარსულმა მხოლოდ აწმყო გადმომილოცა,
შემივსე თასი, საბოლოოდ დავილოცები...

მზერა (ნანას, შველიძეს)

თვალს თვალში მიყრი, თუმც, ფიქრებს მალავ,
ასე მგონია, დუელში მიწვევ...
მე ხომ შენს მოკვლას ღმერთი მიკრძალავს,
თუმცა, მომწონხარ და ენა მისწრებს...
ნეტა, ჩემამდე ვის ეკუთვნოდი,
ვინა გჩუქნიდა ვარდებს ეკლიანს?
ან, მართლაც, ნეტა, ვისთან ბუდობდი,
ვისი ცხოვრება გაგიფერთხია...
მეც ამადუღა კარმენის მზერამ,
ხელი მომხვიე, ხელი მომხვიე,
მინდა შევიგრძნო მაგ გულის ძგერა,
გთხოვ, კარმენივით შემომემსხვრიე...
მაგრამ, ვინ იცის, ვითხოვდე იმას,
რისი უფლებაც იქნებ არც მქონდეს...
მე შენი მზერა სახსოვრად მიმაქვს,
რომ სამუდამოდ დამამახსოვრდეს!!!

როგორ შევცვალო

აქ შევჩერდები, ძალიან დიდხანს,
მქონდა შეგრძნება შენი ბრჭყალების...
ცხადშიც ვაგრძელებ მე შენზე სიზმარს,
თან მიყვარხარ და თან მენანები...
როგორ შევცვალო, როგორ შევცვალო,
წლები, ქარივით გაფრენილები...
თავხედობაში არ ჩამეთვალოს,
ეს უმძიმესი გაკვეთილები...
კი, მინდა, მინდა ფეხი ავუწყო,
შენს მისწრაფებას, სულისკვეთებას...
მართლაც წამებში გადის საწუთრო,
და ზეცაც ტირის და იცრემლება...
მე ველოდები ზღვაზე მოქცევას,
და ზღვაც მედუზის მიმზერს თვალებით,
მე ხომ მომსწრე ვარ, მართლაც მომსწრე ვარ,
მზისა და მთვარის გარდაცვალების...
გაყუჩებულან, სთვლემენ ტალღები,
და მე მინდება შენი ფერება...
როგორმე ღამეს შევუთანხმდები,
დამითმოს ცოტა ბედნიერება...
და მისი ციკლი რომ გასრულდება,
როგორც კი ოდნავ, ოდნავ ინათებს,
ამოვალ ზღვიდან შენს საკუთრებად,
და იმ ერთ დილას გაგიჩირაღდნებ!!!

რად არ მოკლდება ეს მანძილები

რას ითხოვ ჩემგან, რას ითხოვ ჩემგან,
რატომ არ მეტყვი, მე რა მბრალდება...
თუ სიყვარული დავტოვე ყველგან,
სულ ბოროტება რად მისაფრდება...
ან ამ ბოლო დროს შენი სხივები,
რატომ ვერ აღწევს, მითხარ, ჩემამდე?
რად არ მოკლდება ეს მანძილები,
შენამდე მოსვლას რატომ ვერ ვასწრებ...
რად ვიხარჯები ასე სხვებისთვის,
ბოლო ლუკმასაც რომ ვერ ვინახავ...
ვიბრძოდი შენი დაბრუნებისთვის,
ვიბრძოდი, მაგრამ ვინ დაინახა...
ასე მიდიან ომში გმირები,
თავს მამულისთვის ასე სწირავენ...
მე კი ამ ეჭვებს შევეწირები,
ავსებული ვარ სევდით პირამდე...
და ველი, ველი ბოლო აკორდებს,
და მინდა წმინდა იყოს ფინალი...
ერთხელ ხომ მაინც დაგიმარტოვებ,
თუმცა ის წამი ჯერაც წინ არი...

ნუ მესვრი ტყვიებს

არ ვიცი, რაა, მართლაც, სიცოცხლე,
რატომ გვჩუქნიან, რისთვის ღმერთები...
სანამ გამიცნობ არ გამისწორდე,
ნუ მესვრი ტყვიებს ასე ფეთებით...
ისევ აიმღვრა ზღვების ნაპირი,
სისხლი სწყურია ისევ ქარიშხლებს,
და სული ჩემი გრძნობის ვამპირი,
კედლებზე აკრავს შიშველ აფიშებს...
ზოგჯერ მგონია, რომ სიზმარია,
ულაყებივით გარბიან ზღვები,
ზვირთებს ნაპირი დაუფარია
და პორტებს ესხმის ცა გააფთრებით...
თითქოს ყველაფრის წაშლას აპირებს,
რაც კი აქამდე ხატა და ქარგა,
თითქოს ზღაპარი და სინამდვილე,
ელვით და მეხით ერთმანეთს ფატრავს...
აღარ ვარსებობ, აღარ ვარსებობ,
აღარც ის მახსოვს თუ ვარსებობდი,
და თუ ოდესმე ვინმემ მახსენოს,

თქვენ აუხსენით როგორც ვკვდებოდი...
თუ გრიგალებმა როგორ მიშვილეს,
როგორ ვებრძოდი ჯანღებს ბნელეთის,
მოვედი, ცაზე გადავიფრინე,
და მათ დავუთმე მათი ხმელეთი...

ვშლი ყველა თარიღს

ასე მგონია, რაღაც უბრალო,
და ამოუხსნელ სიზმარში ჩავრჩი...
ვის გინდა გული გადაუშალო,
ყველგან ღალატი და ევას ვაშლი...
ვშლი ყველა თარიღს, რაც კი მიყვარდა,
ხსოვნას სარქველი გადავაფარე...
ლამის მისულმა ჩემს გარიჟრაჟთან,
დღე ღამისაგან ვეღარ გავყარე...
რად დგახარ მარტო, რად დგახარ მარტო,
ქარვა აყვითლებს გიშრის საყურეს,
შენს წაკიდებულ ცეცხლს ვეღარ ვაქრობ,
შენ კი ერთხელ არ მომინახულე...
მინდა რომ მითხრა, რა ჰქვია ამას,
სხეულს იზიდავ, სული კი გარბის,
და შებინდების ნაცნობი გამა,
შენს მკერდზე თოვლის ფიფქივით ბარდნის...
და მინდა მხოლოდ ფიქრებს დავჯერდე,
ნუ, ნუ მიყურებ მსხვერპლის თვალებით...
მართლაც, ვინ იცის, უკვე რამდენჯერ,
მიღალატე და კაენს დანებდი!!!

მე მირჩევია

ხარ მოწყვეტილი უსაზღვრო საზღვარს,
გადაჩეხილი ვით კრავი ხრამში...
და მაინც სადღაც პოულობ საგზალს,
კვლავ მიუყვები მთებს ცამდე აწვდილს...
შენ კარგად იცი, არწივი საკენკს,
არც კენკავს, არც სურს, არც ეკარება,
ის თავის ჯიშზე სწვრთნის თავის მართვებს,
ცაში განიცდის ის ნეტარებას...
არ მაქვს სურვილი, არ მაქვს სურვილი,
ტყეში წიწკანებს ბუდე ვუშალო...
და მომდებია ზამთრის სუსხივით,
ჩემს ბედთან ბრძოლა მეც სამუდამოდ!
გაუშვი სხვებმა კენკონ საკენკი,

და ჯაჭვიც ყელზე სხვებმა ატარონ,
მე მირჩევია სხვათა გატკეპნილს,
გაუტკეპნელი ჩემი სამყარო!!!

გზას ვინ გინათებს? (თამუნა ხელაძეს)

მითხარი, როგორ მეგობრდებიან,
მეგობრდებიან კი პოეტები?
იქნებ, უბრალოდ, ესეც ბედია,
რომ ერთმანეთზე ასე შევჩერდით?
რა გიყვარს, ნეტა, ანდა, ვინ გიყვარს,
იქნებ, ამწუთას, სულაც არავინ?
რანაირი ხარ, რანაირი ხარ,
ჩემთვის ვარსკვლავი ხარ უთვალავი...
ვიცი, არც შენთვის არის ადვილი,
რომ ქალის ტვირთი უფრო დამძიმდა,
თან თითქოს არის ამოვარდნილი
ამ მღვრიე დღეთა ტახტრევანიდან...
გზას ვინ გინათებს, ცას ვინ გინათებს,
ვის აგონდები ან ენატრები?
ვის ოცნებებში დაიბინადრე,
ვისთვის ბრწყინავენ შენი სანთლები?

იცი, მანანა! (მანანა ელიაშვილს)

ძნელია, ვიცი, რომ გწერ აქედან,
შენ კი ვერ მხედავ, ისე შორსა ხარ,
რომ სიყვარული შემოგათენდა,
რომ გაღვიძებაც კი ვერ მოასწარ...
მსურს ავაცილო შენს სულს ნამქერი,
მინდა ზამთრებმა რომ ვერ დააზროს,
რომ გაზაფხულის კორიანტელი,
ჯერ კიდევ ბევრჯერ გაგეთამაშოს...
რით განსხვავდება ჩვენი ბედები,
იცი, გეტყოდი, ალბათ, არაფრით,
მეც მქონდა წამი ბედნიერების,
თავის ვნებებით, თავის ღალატით...
ძნელია, როცა ტალახში გსვრიან,
მოგაწებებენ ათას იარლიყს,
დაუნანებლად გესვრიან ტყვიას,
თავის დაცვასაც არავინ გაცლის...
კვეხნით იკლებენ მერე ქვეყანას,
რომ მოკლეს ტატო, მოკლეს ილია,
რომ მათთვის ტყვია არ დაენანათ,

რომ ქართვლის მიწა ხმალგაყრილია...
იცი, მანანა, მე ბევრჯერ ვფიქრობ,
ვინ ეხმარება ნამდვილ პოეტებს?
ვინ მიაპკურათ ის გრამი სითბო,
თუნდაც პოეტურ საღამოებზე...
მე ვიცი, ახლა შენ გაიფიქრე,
რომ არსებობენ შენისთანები,
მაგრამ კლებულობს რიცხვი დღითი–დღე,
იმათი, ვისაც ჩვენც ვენანებით...

მაგრად მეწყინა

მწყინს მეგობრები თუკი მძარცვავენ,
მტრისაგან ვის რა უნდა ეწყინოს...
ყელს ისე მშვიდად ამოგღადრავენ,
ოღონდ რამეში არ შეეცილო...
ამ ქვეყანაში საწყენს რა დალევს,
თუმც ტკივილებიც განსხვავდებიან,
კანიბალებმა ქვაბში ჩამხრაკეს,
კანიბალიზმიც გადამდებია.
არ მიჭამია მე კაცის ხორცი,
ახლა ისე ვარ, ალბათ, შევჭამდი,
თუ მძარცვავ, მერე, პირზე ნუ მკოცნი,
გამძარცვე, ბარემ, გატყავებამდი!!!

ჩემი პასუხი

მინდა ავაკრა ცისარტყელა ცას ლავაშივით,
და ეს ხმელეთი ცეცხლის თონედ გადავაქციო...
ზღვები მოვიხმო მერნებივით ფაფარაშლილი,
და კავკასია აკვანივით გადავარწიო...
არავის ვტოვებ, ყველა მიმყავს ვინც გამომყვება,
იალქნის ფრთები გაშლილი აქვთ ზღვებზე ხომალდებს,
ვაზის ყლორტები დავიკიდოთ ავგაროზებად,
ვთხოვოთ გალობა დაგვადევნონ ქართულ მონასტრებს...
სხვებმა იომეს, ახლა უკვე ჩვენი ჯერია,
მაგრამ არც ჩვენით ისტორია არა მთავრდება,
ჯერაც გრძელდება უსასრულო ჩვენი სერია,
ვუხმობ წინაპრებს ამ ბრძოლებში მთავარსარდლებად...
რა სილაჩრეა გვამონებდეს კაცთ მომავალი,
ერთად დარეკონ მინდა ზარი ყველა ტაძრებმა,
მსურს ცად გავტყორცნო პოეზია, როგორც ვარსკვლავი,
და მოვაფრქვიო ცოდვილ მიწას ნატვრისთვალებად!!!

როცა გაბედავ (მზენათიიიი)

ასე მგონია შენი თვალებით,
სხვაც ათასობით ქალი მიმზერდეს,
შორს დგები, ახლოს არ მეკარები,
შენ ჩემთვის წამწამს არ დაისველებ...
არ შემიყვარებ, როგორც უყვარდათ,
მხურვალედ, წლობით, როგორც ველურებს...
რადგანაც, ყველას არ გაუმართლათ,
სიყვარულისთვის გადადებულებს...
რამდენი რამე უნდა ჩაიკლა,
რამდენ სურვილებს ელოლიავო,
ნეტა, რა გიყვარს, მართლაც რა გიყვარს,
რომ გათქმევინო, გადამრიაო...
ჩემით კი, თუ გსურს, იებს გაჩუქებ,
როცა გაბედავ და მოხვალ ახლოს,
მე ხომ სისხლში მაქვს კვლავ სიჭაბუკე,
სად, ვინ გაჩუქებს ჩემნაირ ამბორს!!!

კოცნას რად დამაჩვიე

ისევ გარბის სიყვარული,
ფართხა–ფურთხით ვაცილებ...
თუ გიყვარდი, მართლაც, გულით,
თვალი რად მომაცილე...
რად მეძებდი ათას სხვაში,
რატომ გამომარჩიე,
სიყვარულის ამ თავსხმაში,
კოცნას რად დამაჩვიე...
ვინა გთხოვა, ვინ გეხვეწა,
დამითმეო ბაგენი...
მოწმე არის მაღლა ზეცა,
შენ თვითონ მომაგენი...
ჩემზე გული აიცრუე,
სხვებს დაუწყე ფერება,
რად შემეშვი, რად ისურვე,
ჩემი გადამტერება...
მიყვარდი და გეხვეოდი,
კოცნას არ გიკრძალავდი,
შენ კი თურმე მერყეობდი,
არჩევანს მიმალავდი...
ახლა შენი ქერა თმები,
სხვის სურვილებს ატკბობენ,
რომც დაბრუნდე, ვერ დაგხვდები.
არც შენ მომიახლოვდე!!!

სულს, შესაძლოა, ენატრებოდე... (მანანას, ელოშვილს)

ალბათ, არსებობს, სულთა კავშირი,
რაღაც ვარსკვლავთა კავშირის მსგავსი...
იცი, სულს, ალბათ, არც აქვს ნაპირი,
ის სამყაროა თავის სისავსით...
ჩვენი სულები ისე კვეთავენ
ერთმანეთს, რომ არ ეჯახებიან,
იქნებ, ვერც შევხვდეთ ვერსად შენ და მე,
თუმცა სულები უკვე ხვდებიან...
არა მგონია, რომ არსებობდეს,
სული უხეში, ანდა, თავხედი...
სულს, შესაძლოა, ენატრებოდე,
და სხვებზე მეტად სულს ებრალები...
და ვინც არ მომწონს, ანდა, არ მიყვარს,
იცი, მე იმათ სულს არ ვაკარებ,
ხომ ვერ მომიწყვეტ შენი ბაღიდან,
ორიოდ ყვავილს, სულ, სულ პატარებს...

რომ დრომ ჯერ კიდევ როდის გამასწრო

დაკვირვებიხარ, მართლაც, რა ხშირად,
საოცრად ხშირად ჩერდება გული...
ზოგჯერ სიყვარულს დრო არ მაცლიდა,
მეც ვასკდებოდი ცას შერაცხული...
ვინ ვიყავ, იტყვის მემატიანე?
თუ ამ ყველაფერს გადაშლის შლამი...
მგონია, ბედი შევატრიალე,
და უკან მიდის ახლა დრო–ჟამი...
შენ კი ვარსკვლავთა ცივი ასული,
ჩემი ცხოვრების მკაცრი ნიშანი,
რატომ იყავი ხაზგადასმული
ჩემგან, ვერაფრით გამოვიცანი...
ასე მგონია ისევ მარწევენ,
ჩემი ბავშვობის ლურჯი ტალღები...
მაგრამ შენამდე ვეღარ აღწევენ,
რადგან ჩემსავით არ ენატრები...
ვიცი, იტყვიან, რომ კვლავ ვთამაშობ,
რომ არავინაც არ მყვარებია,
რომ დრომ ჯერ კიდევ როდის გამასწრო,
რომ შენი ტრფობაც დამბრალებია...
მე იმედი მაქვს, მე იმედი მაქვს,
რომ შენ არ უსმენ ამ აბდაუბდებს...

მე ისევ სისხლი დამდის მკერდიდან,
მე, ჯერაც ამ დროს, ვერა გავუგე!!!

ვალი

ვეღარ ვიხსენებ, ვეღარ ვიხსენებ,
ვიღაცას კოცნა ემართა ჩემი,
მოდი და ენდე ქალს ამის შემდეგ,
აორთლდა, გაქრა, არც რამ საშველი...
ძლივს გავიხსენე, აუ, რამდენი,
კოცნა ემართა, ბოლოს ვერც თვლიდა,
ის არც ყოფილა წინააღმდეგი,
როგორც ყოველთვის, მე შემეშინდა...
არა, კოცნაზე უარს არ ვამბობ,
კოცნას სადღა აქვს ამ ქვეყნად ფასი...
მერე გახდება სახათაბალო...
ცრემლები, ეჭვი, ინტრიგა, ფარსი...
იმ ცოდვილ კოცნას ქვეყანას მოსდებს,
იცით, ენასაც ძვალი არა აქვს,
ჰო, ააგორებს და ყველა კოცნებს,
გამოიყენებს ხვალ იარაღად...
ისე კი, მაინც ვალი ვალია,
მე რომ მემართოს გადავუხდიდი,
კაი, ჩავთვალოთ, ჩემი ბრალია,
მე ხომ ამდენხანს მაინც ვუცდიდი?

მე გული მწყდება

მე გული მწყდება, რომ სხვად ჩამთვალეს,
ყველას მიაგეს მისაგებელი,
ვიღაც სატანებს ზედ მიმათვალეს
და ჩამიკეტეს მერე კედელი...
ბრიყვნი ბრიყვულად მსჯელობდნენ ჩემზე,
რაღაც ნაჯღაბნებს მიფრიალებდნენ...
მტერი ვყოფილვარ სულ ყველა მტერზე,
ალბათ, კვლავ დედას მიტრიალებენ...
თურმე უვიცთა თავშესაყარში
მოვხვდი, ხელები გადაიბანეს,
ძმებო, იცით, რა? თქვენი დემარში,
გამოადგება, ალბათ, პილატეს!

მე მეყვარები

წლები, შენ, ალბათ, ჩანჩქერებად თავზე გეღვრება,

და კიდევ უფრო, კიდევ უფრო გალამაზებენ...
შენს უჭკნობ სხეულს მისი მტვერიც ვერ შეეხება,
დრო და წამები ვერასოდეს ვერ გაგასწრებენ...
დილის ლოცვა ხარ, ნამი ვარდზე მიმობნეული,
შემოგხედავ და ჩემს წინ, თითქოს, ველი იშლება;
გეფერებიან მზის სხივები თითოეული,
ქალზე ნათქვამი, ყველა მითი შენს წინ იმსხვრევა...
კარგი იქნება, ალბათ, ენას კბილს რომ ვაჭერდე,
რადგან სიტყვებში, შენი კანის ალი მკრთალდება,
შენ, რომ ოდესმე ჩემს გულისკარს შემოაღებდე,
მე ხომ სიცოცხლე ასჯერ უფრო შემიყვარდება...
მაინც კარგია, იმედები როცა ცოცხლობენ,
თუ ახლავს სევდაც, სევდა, თუნდაც მიუწვდომლობის,
მე მეყვარები, შენ კი თუნდაც სხვები მოგწონდეს,
სანამ დამფერფლავს, სანამ დამწვავს შენი კოცონი!!!

მა რი – ს!!!

ნუ ითვლი წამებს, ნუ ითვლი წამებს,
დროს გამუდმებით ბენეფისი აქვს,
ჰოდა, რად გიკვირს მისი სისწრაფე,
თუკი მიჰქრის და წამებიც მიაქვს...
ვთქვათ და გაჩერდა მართლაც უეცრად,
დრო გაიყინა ან გაქრა სულაც,
რაც იყო დარჩა იმად ბუნება,
მზეც შერჩა ზეცას, სვლა დაასრულა...
და რა გამოვა, ჩვენც გავქვავდებით?
ვინ, სად და როგორ, შევრჩებით წამებს?
და ჩვენც ვიქნებით სულ ლამაზები,
თუ დრო არ გავა, არ შევიცვალეთ!
ხედავ, რა ძალა ჰქონიათ თურმე,
ჩვენ რომ უბრალოდ წამი დავარქვით,
შენ ნუ იდარდებ, ჩემ წლებს გაჩუქებ,
ოღონდ, მე თვითონ თუკი გადავრჩი...

გადავიარე ფეხით ზღვის ფსკერი

რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს,
ანგელოზები მლოცავდნენ ციდან,
თითქოს მსოფლიოს ვიცნობ და მიცნობს,
და ბავშვობიდან მსოფლიო მზრდიდა...
რომ ჩემი თავის მოყვარეც, მტერიც,
მე თვითონ ვიყავ დაბადებიდან...
ჩემს სახლს მე თვითონ ავხადე ჭერი

და წამოვდექი აკლდამებიდან...
ბევრჯერ დიდებაც ბეზრდებათ, ალბათ,
ბევრჯერ სახელიც, ალბათ, მახეა...
მეც ბევრჯერ ხშირად ღმერთების ნაცვლად,
ჩემს გვერდით ეშმა დამინახია...
და ვასწორებდი, სულ ვასწორებდი,
შეცდომებს, გზა–გზა რომ მეშლებოდა,
ხან ვიქცეოდი და ვაბოდებდი,
ხან უმიზეზოდ მემღერებოდა...
მტერიც მყავდა და მყავდა მოყვარეც,
მძულდა? ვერ ვიტყვი, უფრო მიყვარდა...
და ვხსნიდი, ხსნიდი იმ ამოცანებს,
რომლითაც ბედი მცდიდა, მისვამდა...
საოცარია, ასე მგონია,
გადავიარე ფეხით ზღვის ფსკერი...
ვერა ვერ გავცვლი ამ ჰარმონიას,
შენ რომ გამომცდელ თვალით მიცქერი...

ცეცხლი, რომელიც დღემდე შენია!!!

ისევ დაცურავს ჯერ ჩემი გემი,
აფრაგაშლილი ხვდება აისებს,
და როგორც ყელში ბადაგის წვენი,
სიცოცხლეც ისევ გავიხალისე...
თითქოს ასრულებს ზეცის ბრძანებას,
ტალღებს მიაპობს, ვით ქარს მერანი,
მას არ აშინებს ზღვის მრისხანება,
შორს მოისროლა ბედისწერანი.
მუდამ ზღვა იყო ჩემი სტიქია,
აკვანს მირწევდნენ ოკეანენი,
ბევრჯერ სიკვდილთან ბრძოლაც მიცდია,
თვალს ვუსწორებდი ლულებს დატენილს...
და გამოწრთობილს ქარიშხალებში,
სიტყვა აუგად არ დამცდენია...
მე კვლავ მინთია ცეცხლი თვალებში,
ცეცხლი, რომელიც დღემდე შენია!!!

აპრილი აღარ გაგეკარება

თუ გაზაფხული თავს დაგანებებს
და შემოდგომის ნისლში გასცურავ,
თუ აარიდებს თავს შენს ბრძანებებს,
თავს ჩათვლი მძევლად და გაძარცულად...
აპრილი აღარ გაგეკარება,

არც მაისობა არ აგაღელვებს,
არც აღარავინ არ გეყვარება,
და ღამის ტკბობას თავს მიანებებ...
როცა წარსული და მომავალი
გაქრება შენთვის, როგორც ქიმერა,
და გავლენ წლები, როგორც მრავალი,
წამები გარბის დაუფიქრებლად...
ნუ შეეხები, ნუ შეეხები,
შენს დაცლილ ვნებებს დაუკითხავად,
როგორ ვერ ხვდები, როგორ ვერ ხვდები,
რად გაქრა ყველა, ვინც კი გიყვარდა...
სად გაიკრიფნენ, ანდა, მნათობნი,
ცა, მითხარ, რატომ ამოტრიალდა...
თუკი ერთმანეთს ვერ გავათბობდით,
სად გაქრა ჟინი ადამიანთა...

მტკენდა გული ნანემსარი

რით ვუშველო, რით ვუშველო,
ამოვარდნილს სულში ქარებს,
რად გრძელდება უსაშველოდ,
რად მიტოვებს კანზე ბზარებს...
შემოგლიჯა, შემოგლიჯა,
შემოგლიჯა ღამემ კარი...
მე ველოდი წუხელ გრიგალს,
მტკენდა გული ნანემსარი...
შენც შორსა ხარ, ისე შორს რომ,
ტყუილად მთხოვ თანაგრძნობას,
თანაც ვხედავ, როგორ მორცხვობ,
გაურბიხარ ჟინს და ტკბობას...
მე კი, დღემდე გადაყრილი,
ათას ვინმეს, ათას ვნებებს,
შენც მათსავით გადაგივლი,
ჰოდა, თავი დამანებე...
დამანებე, თორემ, ვიცი,
მიწა ჩემ სისხლს ველარ იტანს,
ვიცი, ვიცი, მიწა მიცდის,
მოვკვდები და შენც ჩაგიტან...

მიახლოვდები

მიახლოვდები, თუმცა კი, ნელა,
მაინც თანდათან მიახლოვდები,
ლტოლვა, ეჭვები, იმედი, წყენა,

ასდევს შენს სხეულს, როგორც ლოცვები...
რაში გჭირდება, ნეტა, ვიცოდე,
ეს სიახლოვე ნაღმის მაგვარი,
ვინ იცის, ახლოს რომ გამიცნობდე,
ამ სიახლოვემ დაგცეს თავზარი...
მე ხომ არ ვიცი, მე ხომ არ ვიცი,
რომელ ოცნებებს ვეპოტინები,
კი, შესაძლოა, გულს გადაგიხსნი,
მაგრამ იმ გულში, შენ, არ იქნები...

სიყვარულის რძით ამავსე (ი.მ. – ს ვალი)

სიხარულის ბაღი მქონდა,
თეთრ ღრუბლებზე გაკიდული,
გაზაფხულზე გაიფოთლა
შიგ დარგული შენი გული...
ვეფერები, ვეფერები,
არ ვაკარებ ახლოს ნიავს,
მთიდან ბროლის ჩანჩქერები,
შენს თბილ მკერდზე ჩამორბიან...
როგორც უნდა გაიკვირვო,
მე აპრილებს მაინც ველი,
რომ მარჯნებად გაიკვირტოს,
შენი ტანი საკვირველი...
ნიავი ვარ, დილის ცაზე,
სულს ვუბერავ შენს თეთრ ღრუბლებს,
სიყვარულის რძით ამავსე,
და კოცნებით გადამთუთქე...

მე და მთვარე

წუხელ მთვარეს გადავაწყდი,
ჩემს ეზოში, სულ, სულ ახლოს...
იჯდა ხეზე, როგორც ბარტყი,
გაჰყურებდა ზეცის ტატნობს...
გავიფიქრე, ასე, ალბათ,
გასათხოვარ ქალებს რთავენ,
ვარსკვლავების დასი ახლდა,
სთავაზობდნენ მოსართავებს...
იქნებ, ძალით ათხოვებენ,
მას კი სხვა ჰყავს, იქნებ, გულში,
მაყვლის ეკლებს გამოვედე,
აიბზუა მთვარემ ტუჩი...
როგორ ვუთხრა, რანაირად,

რომ მეც მიყვარს, რომ მეც მომწონს,
როცა ცაზე მთვარე ბრწყინავს,
როგორც ქალი სადედოფლო...
თვალი თვალში გავუყარე,
თითქოს მანაც რაღაც მითხრა...
წაიყვანეს ჩემი მთვარე,
მე კი, იქვე, ვიდექ დიდხანს...

რას ელი (ქეთის)

რას ელი, ციდან ვარსკვლავთა ცვენას,
თუ მარგალიტებს, გაბნეულს ზღვაში...
მე დაგიბრუნებ დაკარგულ რწმენას...
და შენც დაკეცილ ფრთებს ისევ გაშლი...
იცი, სულ ცოტა უნდა ეცადო,
ზოგჯერ ღიმილიც საკმარისია,
და მინდა, მინდა, რომ გული მანდო,
თუ უკვე სხვისთვის არ გაგიცვლია.
მე არც მოწყვეტილ ყვავილს ვიწუნებ,
ზოგჯერ ფერები მასში მეტია...
აჰა, გვირილა, რაც გსურს ისურვე,
რა იცი, იქნებ, ბევრნიც გეტრფიან!!!

მწარე სიმართლე საკუთარ თავს

არა, ღირს ფუჭი მოთქმა და ოხვრა,
სულს რომ აწმყოში სევდით ავსებენ...
შენ ხომ იცი, რომ მეორედ მოხვალ,
ბოლოს ხომ მაინც აღმოგაჩენენ...
უსმინე, როგორ გალობს რიჟრაჟი,
რაც უნდა წერო, მას ვერ აჯობებ...
შემოქმედება არის მირაჟი,
მუდამ რომ დაძრწის შენს სიახლოვეს...
ჰოდა, მითხარი, რაში გჭირდება,
ყველას მოსწონდე, ყველას უყვარდე;
რამდენ ხანს გასძლებს შენი დიდება,
ჰაა, დილიდან ღამის მწუხრამდე?
თან, ვისაც შენ თავს ასე აწონებ,
ყველანი სადღაც სხვაგან არიან...
დაემორჩილე, ზეცის კანონებს,
რამ აგიყოლა, რამ გადაგრია.

დასასრული

დღეს დილიდან ვზივარ და
ვიხედები შენს სულში,
ვიხედები შენს სულში
და თავს ვერსად ვპოულობ,
თურმე სულ არაფერი,
არაფერი მეკუთვნის,
ვრჩები გაპლუტებული,
ლამის მთლად უსხეულოდ...
რად მეგონა, რომ ვფლობდი
შენს უთვალავ საუნჯეს,
რად მეგონა, რომ მეფე
ვიყავ შენი სიზმრების,
დავრჩი გულგატეხილი,
შენს სულს ვერა გავუგე,
ამის შემდეგ, ძვირფასო,
ცოტა ფრთხილად ვიქნები...
ალბათ, კვლავ გარეგნულმა
სილამაზემ მაცთუნა,
რადგან მუდამ მიყვარდა
ოცნებებში ფათური,
ყველაფერი დასრულდა,
ყველაფერი დასრულდა,
თუმცა, არც მე არ მომწონს
ასეთი დასასრული...

მაკვირვებს, მიპყრობს ეს სიდიადე...

ცა მზის სხივებმა აამეტყველა,
მაკვირვებს, მიპყრობს ეს სიდიადე...
მეც ხომ სამყაროს ერთი მეკვლე ვარ,
სხვასავით ველი მეც განთიადებს...
მიყვარს ცისკრების გამონათება,
მეტეორების ცვენა წყვდიადში,
ცაზე ვარსკვლავთა ათინათება,
და სული, სული ადამიანში...
მიყვარს ქალწულთა ლოცვა კანდელთან,
ააალებული სანთლის ლაპლაპი,
ჩუმი ჩურჩული ხატთან ბაგეთა,
ხატზე ფირუზი და დიამანტი...
მიყვარს გედები ტბას რომ ხატავენ,
გაბრწყინებული მიყვარს თვალები,
როცა სიხარულს გამოხატავენ,
თან აღტაცებით, თან მოკრძალებით...
ო, იცით, იცით, მართლაც რამდენი,
რამდენი ღამე უნდა მეთია,

რომ თუნდაც წამი აღფრთოვანების,
თქვენს ნატკენ სულში გამომეწვია...
და ვიცი, ვიცი, მეპატიება,
ოდესმე ყველა შეცოდებანი,
მჯერა, ერთხელაც ცა გაიხსნება,
და ჩვენც ზეცაში წავალთ ყველანი!!!

სადაც ვიწყები, იქვე ვმთავრდები...

პოეტებს მუდამ დუმილით ჰკლავდნენ,
და კვლავ მოკლავენ დუმილით იმათ,
ვინც თეთრ ფურცლებზე სიცოცხლე დადეს,
ან, ვთქვათ, უბრალოდ, ის, ვინც თქვენ გიყვართ...
მეც, ალბათ, სწორედ ამის მსხვერპლი ვარ,
სადაც ვიწყები, იქვე ვმთავრდები...
ვერ გამოვედი ამ ლექსებიდან,
როგორც ტყვიები მკლავენ ბწკარები...
და ველი, ველი, ვინ შემოაღებს,
ჩემი პარნასის ჩალეწილ ჭიშკარს,
ჩემი სხეულის დამწვარ მონასტრებს,
მედროშესავით სიტყვები იცავს...
და მჯერა, მჯერა, მაინც მოვასწრებ,
რომ განახლების ვნახო ქარები...
ან აქვს კი აზრი, ამ ჩვენს მონაზვნებს,
ვეყვარები თუ არ ვეყვარები!!!

მომხვიე, მომხვიე, ეგ შენი მკლავები...

ვიცი, რომ არა ხარ
ჩემი საჩუქარი,
და თუ უნებლიეთ
საზღვარს გადავედი,
ერთსა გთხოვ, ნუ ჩაკლავ
ჩემს სურვილს მუქარით,
მომხვიე, მომხვიე,
ეგ შენი მკლავები...
შეხედე, საღამო
ვარდების ფერია,
საღამო, რომელიც
მზის ჩასვლით მთავრდება,
გამოდის, რომ დღეს
ღამე მოერია,
შენც, ალბათ, შენც, ალბათ,
სხვა შეგიყვარდება...

მზეებიც კვდებიან
და ცაზე ვარსკვლავებს,
დრო მოვა, შესცვლიან
სულ სხვა ვარსკვლავები...
შენს წყურვილს ჩემშიაც,
ჩემშიაც ჩაკლავენ,
მომხვიე, მომხვიე,
ეგ შენი მკლავები!!!

თამუნა თაას!!!

ვინ იცის, შევრჩეთ მე და შენ ამ დროს,
რას მარცვლავს ბედის კრიალოსანი?
მინდა მცირე ხნით რომ დამემგზავრო,
მე წყარო ვიყო, შენ კი შროშანი...
შენ კარგად იცი, სიყვარულისთვის,
ორი რამ არის მხოლოდ საჭირო,
არ გამიბრაზდე ამ სურვილისთვის,
გთხოვ, მომეფერო და გამაცილო...
მე შენს ყვავილებს მალე გავცდები,
გადავიქცევი ნაკადულებად,
და თუ შენს მერე ამებნა გზები,
ნუ მიენდობი ჩემს ერთგულებას...

წვიმს

წვიმს დაჟინებით,
წვიმს უხალისოდ,
ზეცას ამოაქვს,
ალბათ, ნაღველი,
და მიწაც თითქოს
ზეცას მასპინძლობს,
მიწა ამდენი რამის მნახველი...
სულს ნუ ახსენებ,
სულს ნუ ახსენებ,
სული ისეც წყლით გაჟღენთილია...
ქუჩაში ვდგავარ
წვიმა მასველებს,
წვიმა, მე მგონი, ღრუბლის შვილია...
და ვიცი, ვიცი, არ გადაიღებს,
სანამ არ ჩაკლავს
დარდებს წვეთებში...
ახლა ისე ვარ
წვიმაც მაგიჟებს,

ატანს ფანჯრებში,
ატანს კედლებში...
მომეცი ნება,
მომეცი ნება,
შენსკენ ვიარო თუნდაც თავსხმაში...
ნუ გეწყინება,
ნუ გეწყინება,
მიჭირს, ვეღარ ვძლებ ამ აკლდამაში...

ანათებ, მაგრამ არ ათბობ...

ანათებ, მაგრამ არ ათბობ,
მე კი უმზეოდ ვერა ვძლებ,
ვიცი, შენ შენსას არ დათმობ,
რომც იყო სახრჩობელაზე.
მე ჯერაც ისევ გზაში ვარ,
ამხედრებული მერანზე,
ჭენებას გავუტაცივარ,
თუმცა უშენოდ ვეღარ ვძლებ...
მე ერთი რამე მაცოფებს,
ვერ გამიგია რა ხდება,
გადავუდგები ღვარცოფებს,
მწვერვალს ხმლით ორად გავჩეხავ...
და გთხოვ, ამ ალეგორიას,
ნუ ჩამომართმევ კვეხნაში,
თუ შემხვდი, ბედი მქონია,
ამ დღეთა ბედისწერაში.,..
შენ თუ მზეობა გინდოდა,
დარჩენილიყავ ზეცაში,
შენს მეტი ვინ დამიპყრობდა,
ამდენ ქალების დევნაში...

ვიცი თავი მოგაბეზრე

ჩემს წინ მთელი ოკეანე გაწოლილა,
მზის ჩასვლამდე რჩება რაღაც წუთები,
ეს ლოდინი, ეს ლოდინიც რა ყოფილა,
მე გიცდი და შენ კი ტალღებს უწვები...
რა მოხდება, რა მოხდება ამ ტალღებმა,
ჩემთან ახლოს, ჩემს ნაპირზე გამოგრიყოს,
სისხლმა ისე მძაფრად იგრძნოს განახლება,
ოკეანემ წყალში ლოჟა გამოგვიყოს...
საიდანაც სასწაულად გამოჩნდება,
როგორ ჩადის მზე ქალთევზთა სამოთხეში,

რა მოხდება, რა მოხდება, რა მოხდება,
ჩემი გახდე, კაი, თუნდაც, სამ–ოთხ დღეში...
ვხუმრობ, მაგრამ, შენც ხომ იცი, ხუმრობაში,
ნახევარი რომ სიმართლე ურევია,
აიქოჩრა ოკეანე სულ ორ წამში,
ოკეანე ღამეს გადაურევია...
აიქოჩრა, წამოვიდა ტალღა ჩემსკენ,
გადამფარა და თევზივით გადამყლაპა,
ვიცი, ვიცი, ვიცი თავი მოგაბეზრე,
ზღვა წამიღებს, ზღვა მომკლავს და ზღვა დამმარხავს...

ნუ, ნუ მენდობი...

ნუ, ნუ მენდობი, არა ვარ სანდო,
ჩემი ცხოვრება ტკბილი ხილია,
შენ კი ასეთი ნაზი და სათნო,
ჩემი აყოლა სად შეგიძლია.
მე დღესაც ისეთ ხასიათზე ვარ,
მსურს გრიგალები გამოვიძახო,
ომის კანონი არის დასწრება,
მე კი არ მინდა, რომ მტერს მივბაძო...
მითხარი, ჩემზე თუ გიფიქრია,
დაგთენებია ჩემზე სიზმრებში?
მტერი მოყვრებში ამოგიცვნია?
ამოგიხსნია ამის მიზეზი?
კარს მომდგომიან შავი მუზები,
გადამიმსხვრიეს ყველა ქნარები,
დაიმახსოვრე, ყველას თუ ებრძვი,
მხოლოდ ცად, ღმერთებს, თუ ეყვარები...
და ამიტომაც, მე კარგად ვიცი,
ჩემი ადგილი მხოლოდ ცაშია,
სადაც ტახტი და დიდება მიცდის
და სადაც ყველა ჩემი მსგავსია...
და თუკი ლაგამს ვინმე ამომდებს,
ცას შეაძრწუნებს ჩემი ჭიხვინი...
მინდა გამომყვე, მინდა გამომყვე,
გვერდით გამომყვე თეთრი კვიცივით!!!

იმას ვერ ამბობს ჩემი ნაწერი

არ გაგიკვირდეს, ისე მიყვარხარ,
ფეხით გადმოვალ, ამ ოკეანეს;
შენზე ლამაზი, მითხარ, ვინა მყავს,
სიყვარულს სხვა ვინ დამიკანონებს...

მაგრამ რა ვუყო, ამ წლებს გაწელილს,
ჩემს სინანულზე ჯვარდაწერილებს,
იმას ვერ ამბობს ჩემი ნაწერი,
შენთვის ამ ლექსებს რაც მაწერინებს...
ნეტა, რას ნიშნავს სიტყვა უფლება,
რომელმა მტერმა გამოიგონა,
ჩამსაფრებია თავისუფლება,
თავისუფლება ზნეობის მონა...
რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ,
როგორც მაისში ვარდების კონა,
შენი სურვილის ყლორტზე ავცრილვარ,
ვარ შენი ბედის ჭიაკოკონა...
მაგრამ დანახვა უნდა ყველაფერს,
როგორც მე ვხედავ შენს მკერდზე ხალებს,
ხელი შემახე, ხელი შემახე,
ჩემს გაქცეულ წლებს შემოეფარე...
მაკოცე ისე, როგორც ჰკოცნიდნენ,
ულამაზესი ერთ დროს ქალები,
როცა კოცნებით სულს ამოხდიდნენ
მტრებს და ხოცავდნენ ამორძალები!!!

დღეს ერთ ლექსში ამოვიკითხე

მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რას ვწერ,
იმათ იკითხონ, ვინც არ იციან...
მე პოეზია ღმერთებს მოვტაცე
და ყოველ ბწკარში ჩემი სისხლია...
კი, მართალია, ამ ქვეყანაზე,
არავინაა შეუცდომელი,
მაგრამ პარნასს ხომ მუზა განაგებს,
მუზა სასტიკი და ულმობელი?
და ვთვლი, რომ მაგრად მიჰკიბ–მოჰკიბავს,
ვინც გულს უარყოფს და სულს არ ეძებს...
ჰოდა, წასულხართ პარნასს იქითაც,
თუ ივლით ხალხის გულის ბზარებზე!!!

ვიცი, მიმიღებ... (რ.ბ. –ს)

შენც ხვდები, ალბათ, მღვრიე ჟამია,
ახლა შენს გვერდით დავისვენებდი...
მართლაც, აღარსად მიმიხარია,
მიწა გაივსო ფარისევლებით...
შენ, მართალია, ისე შორსა ხარ,
რომ ვერ შემიცვლი, ვიცი, განწყობას,

მაინც წამოვალ, მაინც მოგნახავ,
აღარ ვაპირებ აქ მკითხაობას...
ვიცი, მიმიღებ, ვიცი, გიყვარვარ,
რომ ჩემზე გრჩება ლურჯი თვალები,
ვიცი, რომ სადღაც ზღვის ნაპირას ხარ,
თევზი რომ იცის სიფრიფანები...
ჰოდა, მეც, ალბათ, ზღვებით წამოვალ,
სანამ აისი აფერადდება,
და სირინოზთა ჩუმი გალობა,
მომაცილებენ შენს ტკბილ ბაგებთან...

დღეს მეც ომში ვარ

ვინ გითხრა, თითქოს აღარ მახსოვდე,
არ დაიჯერო სხვისი სიტყვები,
აღარასოდეს, აღარასოდეს,
აღარასოდეს დამავიწყდები...
ვერ გნახე, ალბათ, ჩემი ბრალია,
ვერ მნახე, ზოგჯერ შენც ხომ იჭრები,
მიყვარხარ, ისე, ისე ძალიან,
როგორც შენ, შენი მარგალიტები...
ყველაზე მეტად, ყველაზე მეტად,
მანცვიფრებს შენი ხელის მტევანი,
ვერ გამოკვეთდა, ვერ გამოკვეთდა,
ღმერთების მეტი, ალბათ, ვერავინ..
ვიცი, მერნები მხედრებს ნატრობენ
და მერე ერთად ომში შედიან,
მეც ასე მინდა მოგიახლოვდე,
ეს ჩემთვის, ალბათ, ომზე მეტია...
დღეს მეც ომში ვარ, შენმა თვალებმა,
ჩემი დაჭრილი მკერდი შელეწეს,
დაგინახე და თავგზა ამებნა,
უარესი ვარ დღეს მკრეხელებზე...

აანთეთ ყველამ

აანთეთ ყველამ, აანთეთ ყველამ,
ცეცხლი ეკიდოს ყველა ჩირაღდანს,
თუმც წყვდიადია, მე დღემდე მჯერა,
რომ ღმერთი მაინც ხელს გაგვიმართავს...
ჩვენ ყველას გვინდა თავისუფლება,
და ქარიშხლები თუკი გვიტევენ,
არ მოკლა რწმენა, არ მოკლა რწმენა,
ტყვიებს ღმერთები აგვარიდებენ...

რომ ერთად შევხვდეთ მზეს და განთიადს,
ჩვენ რომ ასეთი ძალით გვიყვარდა,
ეს ხდება, ცოტა დრომ დაგვაბნია
და გულშიც სევდა დაგვიბინადრდა...
მე მჯერა მაინც ჩვენსას გავიტანთ,
და ამ წყვდიადსაც გავაჩირაღდნებთ,
ხელი ჩამკიდეთ, ერთად, თავიდან,
მტერს დავუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე.

შენ ფრთები გქონდა

შენ ფრთები გქონდა,
გეფიცები,
მე შევამჩნიე,
განა ცოტა ხართ
დღეს ფრთიანი ანგელოზები?
მოდი, მიშველე,
ამ საგიჟეთს გადამარჩინე,
სანამ მოვკვდები
და სუდარით შევიმოსები...
მოდი, მიშველე,
გამიტაცე მაგ შენი ფრთებით,
შენ სულ ადვილად
მოერევი ჩემს სიმსუბუქეს...
წამო, ვიფრინოთ,
სადმე, სულ შორს,
ღრუბლების ზევით,
სადაც მოხუცი და კეთილი
ღმერთი ბუტბუტებს...
იქ სადაც ქარნი
და ელვანი ერთად ბუდობენ,
სადაც ვერავის
დააბრალებ შურსა და მტრობას,
სადაც ერთმანეთს
ბავშვებივით თანაუგრძნობენ,
იქ, იქ დავიდოთ ერთად ბინა
ღმერთის მახლობლად...
შენ ანგელოზი,
მე კი შენი სულის რაინდი,
ბედნიერების საძებნელად
მზემდე ასულნი,
სადაც ბრწყინავენ
ვარსკვლავები ნაირ–ნაირი,
და არ არსებობს დღე,
არც ღამე,

არც დასასრული!!!

გესტუმრებოდი

გესტუმრებოდი,
მაგრამ არ ვიცი,
ან რა მაჩერებს,
ან რა მაშინებს,
მომწონხარ,
ალბათ,
სილამაზისთვის,
რომლითაც,
ერთხელ გადამარჩინე...
მაგრამ დრო გადის
და მეც ეჭვებმა,
ჰო და არაზე ისე გამყინეს,
როგორც მყინვარის წვერთან შეხება,
როგორც ცივია ეს სინამდვილეც...
არავინ იცის სილამაზისგან,
ქალი აგებს
თუ იგებს რაიმეს...
შენც, ალბათ,
ფეხი ბევრჯერ დაგიცდა,
ხან სეტყვა გვსეტყვავს,
ხან გადაიღებს...
ან ვინ განაგებს ამ ჩვენს სურვილებს,
რას იზამ,
ბევრი არც გვისრულდება,
ჩემს ბედს ქალები ხშირად ფურცლიდნენ,
შენ, თავს ნუ მისცემ ამის უფლებას...
არ დამივიწყო,
არ მიმატოვო,
როგორც ტოვებენ ზოგჯერ ქალაქებს,
ჩემს მეტი სხვა არ დაიახლოვო,
თორემ,
იცოდე,
მეც გიღალატებ!

ფიქრები რასიზმზე

არის დღეები, როცა არაფერი,
მართლაც, არაფერი აღარ გინდა...
ჩაფიქრებული ხარ, ქალაქს გადასცქერი,
ქალაქს გადასცქერი ქალაქიდან...

შენს უკან იმხელა, იმხელა სინდისი დგას,
ზურგით მიათრევ და ვეღარ ეზიდები,
უმზერ და არ იცი, უკვე რისთვის გინდა,
ყველამ გადაყარა თავის სინდისები...
აღარც სურვილები, აღარც იმედები,
თითქოს ყველაფერი წყალში იძირება,
თურმე გიპოვია რასაც კი ეძებდი,
ერთი დაგრჩენია, ბოლო მიძინება...
ვეღარც რწმენა გშველის, ვეღარც წმინდანები,
და მარადისობაც თეთრი ურჩხულია...
ისეთი გრძნობაა, თითქოს, მტერს დანებდი,
და აღარაფერი გაღელვებს სრულიად...
შენ არც ის სკამი გაქვს, ზედ რომ ეკრობიან,
და მერე ვერაფრით ვეღარ აუგლეჯავთ...
არც იმას განიცდი, როგორ გეპყრობიან,
ჩუმად იმეორებ, ერთი, მაგათ დედაც...
და ასე ნელ–ნელა ტვინი იწმინდება,
და აი, გრძნობ, კიდეც, თურმე რის ბრალია...
გადიხარ ქუჩაში, ისევ ზანგი გხვდება,
და ფიქრობ, ესენი, აქ, რატომ არიან?

შენ გგონია გაპატიე?

შენს ლურჯ თვალებს,
შენს ლურჯ თვალებს,
რად მიმიზნებ,
როგორც ტყვიებს,
სიყვარული არ მაცალე,
არ დასჯერდი ოვაციებს...
მაგრამ, ახლა, სადაც გნახავ,
სულ, რომ ვაის თქმებით გასკდე,
შემოგახევ მაგ ლურჯ კაბას,
და ჩემს მკლავებს შემოგახვევ...
რად მომწონხარ,
რად მიტაცებ,
ვერაფერი გამიგია,
კი, მესროლე,
თუ დამასწრებ,
ჯერ ხომ სროლა არ გიცდია.
მაგრამ თუკი ამაცდინე,
მერე, ვაი, შენი ბრალი...
შემაცდინე, შემაცდინე,
მკერდზე ვიგრძნო შენი ბრჭყალი...

შენ არ მოწყვიტე ვაშლი იმ ხიდან?

შენ ჩუმადა ხარ და მე მაშფოთებს,
შენი სიჩუმე ისე ძალიან,
მიხმობს ჯალათი და ეშაფოტზე,
ცოტაც და, ვიცი, თავს წამათლიან...
ანდა, რა ყრია, თქმაში, ართქმაში,
წამები წუთებს ასამარებენ,
სადღაც ერთ სვლაში გვიცდის შამათი,
კაი ბიჭი ხარ და არ დანებდე!
ცელი? რის ცელი, რომელი ცელი?
სიკვდილი დადის ხელში ატომით;
შავია მისი შესამოსელი,
არ ჰყავს არავინ, შვილი, გვარ–ტომი...
რამე მითხარი, მითხარ, რა გინდა?
გინდა, ეს ბოლო ხელიც წავაგო?
შენ არ მოწყვიტე ვაშლი იმ ხიდან?
ახლა ნაჭამი მე გადავაგდო?

შენს ხელთაა სული ჩემი

ვკარგავ, ვკარგავ,
რას არ ვკარგავ,
თავსა ვკარგავ,
განა ვხუმრობ,
მივატოვე ვინც მიყვარდა
და შენ მინდა დაგეუფლო...
ვერა ვხვდები, როგორ შესძელ,
გიკიდია თითქოს ცეცხლი,
მიაჭენებ ჩემს ოცნებებს,
მეც ვერაფერს უკვე ვერ ვცვლი...
შენს ხელთაა სული ჩემი,
აფრიალებ,
როგორც აფრას,
ვიცი, ვიცი,
ვინმეს რჩევით,
ბოლოს მაინც უნდა გამთქვა...
მინდა, მაგრამ ვერ გეწევი,
ზღვას მოვყვები კალმახიანს,
ზეცა შენი ნამეწყრები,
მთვარემ თავზე დამახია.
სად გავექცე, სად გავექცე,
ჩემს სურვილებს ან შენს მკლავებს...
როგორც წიგნი გადამკეცე
და მეც ბწკარებს შევეფარე...

ზოგჯერ მგონია

ზოგჯერ მგონია,
ჩემს წვალებას არა აქვს აზრი,
რადგან ქვეყანას
არ ანაღვლებს ბედი ლექსების...
სანამ მოვკვდები,
ალბათ,
ვინმე სულს ამომაცლის,
და მეც უსულოდ,
სადმე,
მშვიდად ჩავიკეტები...
მომბეზრდა ბრძოლა,
მოვისროლე ჩემი აბჯარი,
მართლაც, ძნელია,
ვერ დაჯაბნი უნიჭოებას;
კი, ვიცი, ვიცი,
დაეცემათ ხშირად თავზარი,
წინ რომ ვერაფრით ვერ აღუდგნენ ჩემს ბევრ ოცნებას...
ეს მართალია,
კარგად ვიცი,
ბრძოლა მოვიგე,
რომ მათს მცდელობას გადამასწრონ,
აზრი არა აქვს...
ისინი მუდამ წააგებენ ჩემთან კორიდებს,
აღარ მანაღვლებს
აღარაფრით
მათი თავდასხმა...
და თუ კვდებოდნენ
პოეტები მუდამ უსულოდ,
მინდა იცოდეთ,
რომ ეს მათი ნიჭის ბრალია...
წაიღეთ სული,
თავს სიკვდილი მინდა ვუსურვო,
რადგან,
იქ,
ნამდვილ პოეტებთან მიმიხარია!!!

სახეზე გატყობ

შენ დაჭრილი ხარ,
ვიცი, ჩემგან,
სახეზე გატყობ,

მაშ, რატომ იცვლი
წარამარა მაგ სამკაულებს?
უბრალოდ გეტყვი,
დამირეკე თუ მოგენატრო,
თუკი, ძვირფასო,
გამიმართავ დღესასწაულებს...
მაგრამ, იცოდე,
რომ ვერაფერს ვერ დაგპირდები,
ჩემი სიმდიდრე ხელის გულზეც კი დაეტევა,
შენთან ყოფნისას მე ნამდვილად შენი ვიქნები,
და დაგამშვენებ,
როგორც ვიტრაჟს თავის ემბლემა...
კი, ვუპასუხებ,
ყველა კითხვას,
რაც გაგიჩნდება,
სიამოვნებით,
არაფერზე არ დაგზარდები,
ჩემი სხეულიც,
იმ მცირე ხნით,
შენი იქნება,
იმ მცირე დროით
უსაზღვროდაც კი მეყვარები...
და ამ ყველაფერს,
რასაც ვამბობ,
განა ცოტაა?
თუ ქალი მომწონს,
მე სულ ყველას ასე ვპირდები...
ყველაზე ტკბილი საჩუქარი,
იცი,
კოცნაა...
აი, გაკოცებ,
და დანარჩენს შენვე მიხვდები...

არ მიმართლებს

არ მიმართლებს, არ მიმართლებს,
არ მიმართლებს ტოტალურად,
ალბათ ისევ დავითარსე,
და აკრძალულ ზღვაში ვცურავ...
შუა ზღვაში გადამიდგა
მეკობრეთა ხომალდები,
აბორდაჟზე გადავდივარ
ზედ გემბანზე მოგადგები...
ვიცი მათი თილისმა ხარ,
მათ ნატაცარს მიათრევდი,

მაგრამ მაინც მე გიყვარვარ,
ვნახე გემის იალქნები...
ზედ ეხატა ჩემი გული,
ხმალგაყრილი ოთხი მხრიდან,
და იმათ ქვეშ კი ტიტული,
ტუტი ტუჩს რომ გიკოცნიდა....
მინდა ვნახო, მინდა ვნახო,
მოკალმახე შენი ტანი,
ოკეანე გადავლახო,
რომ დავრწმუნდე შენ იყავი...
შენ იყავი, ის ვინც გუშინ
ჩემს მკლავებში ფართხალებდა,
მარწმუნებდა სიყვარულში,
თავის ღმერთებს მადარებდა...
ახლა ვიცი, ვიცი, ვიცი,
გამიმეტებ მოსაკლავად,
ვერ გაძღები ჩემი სისხლით,
მეც სხვას ვეძებ, დროს არ ვკარგავ...
თუ ვიპოვე, ხომ კარგი და
თუ არა და ზღვას რა დალევს,
აბორდაჟზე გადავდივარ,
შენ კი ზურგში მიყრი დანებს...

მინდა შენს ტუჩებს გემო გავუგო! (რ.ბ.–ს)

სადღაც ზღვის იქით, შორს, ძალიან შორს,
ბედნიერებას დაეძებს ვიღაც,
მაგრამ ღამე დღეს ისე არა შობს,
ისე არა შობს, ჩვენ როგორც გვინდა...
შორს არის შენი ლამაზი აწმყოც,
შორს, სადღაც ცაში მიაქვთ წეროებს,
ხვალ გათენდება ჩვენ როგორც გვაწყობს,
ხვალ გადავკოცნით ერთიმეორეს...
სად მიაჭენებს, ნეტა ვიცოდე,
აწმყო, წარსულის ზურგზე მომხტარი,
მიდის, მიღელავს ჩვენი სიცოცხლე,
როგორც ხევები მთიდან მომსკდარი...
ან ეს ცხოვრება რა იქნებოდა,
ალბათ, თქვენ რომ არ გვილამაზებდეთ,
მე ხომ თვალები შენზე მრჩებოდა,
ბედნიერებას სხვაგან რად ეძებ...
რად გაკრთობს ჩემი ტკბილი სიტყვები,
რად გეშინია, რად გაურბიხარ,
ან ყოველ ღამე თუ გესიზმრები,
მაკოცე, განა, მართლა ცუდი ვარ...

მიყვარხარ, როგორც მზის სხივს ყვავილი,
დილით გაშლილი სასიყვარულოდ,
მე წერას ვყავარ კვლავ ატანილი,
მინდა შენს ტუჩებს გემო გავუგო!

ნუ მიმზერ ასე

ნუ მიმზერ ასე, მე ცაში ვცხოვრობ,
თუმც დაბრუნება მინდა მიწაზე...
არ მიმეორო, არ მიმეორო,
აქამდე როგორ ვერ შემისწავლე...
რომ მე ამ დროში შემთხვევით გავჩნდი,
აქ არაფერი არ მესაქმება,
დიახ, დავფრინავ, ძვირფასო, ცაში,
იქ არის ჩემი ბედის პლანეტა.
შენთვის ბოდვაა ეს ყველაფერი,
პრაგმატულია შენი ბუნება,
არ მოგწონს, როცა ზეცას გავცქერი,
შენ ეს არაფერს არ გეუბნება...
აქ კი დავდივარ, მაგრამ ცაში ვარ,
მე მმასპინძლობენ ჩემი მუზები,
ამ ცოდვილ მიწას დავცქერ მაღლიდან,
ახლაც იქიდან გესაუბრები...
კი, გეთანხმები, მეც ცოდვილი ვარ,
მეც ცოდვებს ვერსად ვერ გავექეცი,
რომ ყველა ცოდვა ზეცაში მიმაქვს,
ვერ მოვიშორე დღემდე ვერცერთი...
ისე კი, ერთს გთხოვ, იცი, ძალიან,
შენი ცოდვებიც არ დამაბრალო,
შენ კარგად იცი, რისი ბრალია,
რად მივატოვე მე ეს სამყარო...

არ მავიწყდება

შუა ზაფხულში მომენატრა თოვლის ფიფქები,
ციდან ალერსით ჩვენსკენ მშვიდად მოფარფატენი,
შენს წამწამებზე თოვლის თეთრი მარგალიტები,
და გაპობილი, გაპობილი შენი ბაგენი...
გეტყვი ყველაფერს, მეშინია სხვამ არ დამასწროს,
ჩვენს ქაჯურ დროში ყველაფერი დასწრებაზეა,
რომ მეშინია, მეშინია არ მიღალატო,
რადგან, ძვირფასო, შენი გული თაფლით სავსეა.
რომ ვიცი, ვიცი, არავისთვის არ გენანება,
ამოაწონ და გაილოკონ თითები თაფლში,

როცა ბაგეზე უნაზესი ფიფქი გადნება,
და ფანტელები სხივებივით ელავენ თმაში...
მე ეს დროც, წლები, ასე სავსე სიურპრიზებით,
შენი დაკარგვით მემუქრება დიდი ხანია...
შენ დგახარ თოვლში გამჭვირვალე და იღიმები,
და, ისიც, თუკი მენატრები თოვლის ბრალია...

ნუ იყიდები

საოცარია, რა დროში ვცხოვრობთ,
შენზე ფიქრებსაც კი არ მაცლიან,
ან როგორ უნდა დაგიახლოვო,
ყოველ ნაბიჯზე ტყვიებს მახლიან...
გუშინ ვუცქირე ქერა მონაზონს,
სიგარეტების კვამლში გახვეულს,
თავის მანქანით რომ გადმომასწრო,
და გამიღიმა მისგან გაქცეულს...
რა ხდება, მართლაც, ვერას მიხვდები,
ვინ წმინდანია, ვინ ვისი მონა,
ნუ იყიდები, ნუ იყიდები,
რომც ოქრო მოგცენ შენივე წონა...
გააწყობ რამეს? არა მგონია...
გადაშლილია ყველა ზღვარები,
გადასწონიან, გადასწონიან,
შენს უმანკობას სექსუალები...
და სანამ შენს გზას ჩუმად მიჰყვები,
კაფედან ისმის კაკაფონია,
და ვგრძნობ ნელ–ნელა როგორ ვიმსხვრევი,
შენ კი, შენც ბედი არა გქონია...

სინათლე

ჩემი დაჭრილი მერანი
ბედის საძებნად გაჭრილა,
ფლოქვებს გაუდით თქერანი,
ლამის გაცვითოს მანძილმა...
გადავიფრინე რამდენი
პირდაღებული უფსკრული,
ხევები ჩამონადენი,
კლდეები გადატრუსული...
უკან მრჩებიან ქარები,
ჩადრმოხურული ნისლები,
დაგორებული ზვავები,
ველები გასაფვიფრები...
გეზი ცისაკენ ავიღე,

მიქრის, მიმაფრენს მერანი,
და მაინც ყოველ ნაბიჯზე,
მდევს ჩემი ბედისწერანი...

შენ გულს არ მატკენ

ახლა შენს მეტი არავინ მინდა,
რომ მწუხარება ჩემი გავანდო,
როგორ მიტევდნენ ყოველი მხრიდან,
და ვნებდებოდი მეც უკამათოდ...
რადგანაც ბრძოლა იყო უაზრო,
ვერავის ვანდე მე ნააზრევი,
რამდენ ნამდვილს და რამდენ ცრუ ნაცნობს,
მიჰქონდა ჩემი სულის ნამსხვრევი...
შენ კი მომისმენ, ვიცი მომისმენ,
შენ გულს არ მატკენ, ვიცი დამინდობ,
ისევ შემხვდები, ალბათ, როდისმე,
ყველა სიმწარეს რომ გამარიდო...
რომ გამარიდო დღეებს უფეროს,
რაც ჩემს მტრებს ჩემთვის უგროვებიათ,
რომ ცა მაჩუქო კვლავ უღრუბელო,
მაჩუქო კოცნა, რაც დამკლებია...
იქნებ მომძებნო, იქნებ მიპოვო,
მე უსასრულოდ დაგელოდები,
რომ თუნდ თითიდან გამოვიწოვო,
ბედნიერების ანგელოზები...
ვიცი, რომ კითხვებს შენ არ დამისვამ,
გამიფრთხილდები როგორც ავგაროზს,
გამოფხიზლებულს უღრმეს ძილისგან,
ცხოვრება ისევ რომ შემაყვარო!!!

უკიდია ველებს ცეცხლი

უკიდია ველებს ცეცხლი,
ცაში მიაქვთ კვამლი ქარებს...
ტყუილია, ვეღარ შემცვლი,
მორჩა, ნუღარ გამიკარებ...
დაისია, ზღვაში ჩადის,
მზე და სხივებს უკან იხმობს...
ახლა მივხვდი, არ გიყვარდი,
და იყავი უხალისოდ...
რად მეცლება, რად მეცლება,
რად მეცლება ფეხქვეშ მიწა,
დაიღვრება ცა ცრემლებად,
ჰორიზონტი ელავს წითლად...

საით მიდის, საით მიდის,
ეს ხომალდი უიალქნო,
გაკიდული ზღვაზე ხიდი,
ხვალ ვინ იცის, ვის მიახრჩობს...
წავალ შენგან, წავალ შენგან,
ჩამიტაცებს ტალღა ზღვისა,
რადგან შენი გააფთრება,
მოდის, მუდამ, არაფრისგან!!!

სინანული

არაფერს ვამბობ ჩემს სინანულზე,
რაც მომცა ღმერთმა იმას ვჯერდები...
ამოვიშანთე სამშობლო გულზე,
არ დამცდენია სიტყვა ყვედრების...
ვისაც როგორ სურს, ისე უყვარდეს,
ჰოდა, საფლავშიც ისე წაიღოს...
სამშობლო ყველას ვერ გაუმართლებს,
და არც ყველასი არ უნდა იყოს...
და ვიცი, ვიცი, როცა მოვკვდები,
ეს სინანული მეც თან გამყვება...
რომ ვერ ვიხილე ამ საოცრების,
გაბრწყინება და გაჩირაღდნება!

მოდიხარ, მოღელავ!!!

რა არის, რა არის, მითხარი მიზეზი,
მიყვარდე, მიყვარდე, და შენ არ იცოდე...
მე თითქოს მეძინა და შენ მაფხიზლებდი,
თუმც თავი გიჭირავს, თითქოს არც მიცნობდე...
გრძნობანი დღეს თურმე აღარა ფასობენ,
ჰოო, რომ უსმინო ზოგიერთ პოეტებს...
მე კი მსურს მიყვარდე და მუდამ მახსოვდე,
რომც შენთან შეხების წამიც არ მომეცეს...
დე, სხვებმა იცოცხლონ, უსულოდ, უგრძნობლად,
მე კი მსურს, ისე მსურს, რომ საზღვრებს გადავცდე,
და სულ არ დავეძებ, ეს გრძნობა თუ მომკლავს...
მართლაც, სულ ერთია მომკლავს თუ დამარჩენს...
მოდიხარ, მოღელავ, და როგორც მდინარე,
აღვიძებ ჩემს სულში მძინარე ხეობებს...
მიყვარხარ, არასდროს, არასდროს ვინანებ,
და დაუსრულებლად შენც გაგიმეორებ!
და ერთიც იცოდე, ვერავინ შეგცვლიდა,
თუნდ ჩემს წინ ეცეკვათ ზეციურ ქალღმერთებს...

მითხარი, მითხარი, რომ ჩემთან შენც გინდა,
და მე კი დაგიცდი, სისხლიც რომ ჩამექცეს!!!

შენ სიყვარულში ვერ შემედრები

საოცარია, უბრალო წყენას,
ზოგჯერ ბოლომდე როგორ ვატარებ,
ხოლო ვივიწყებ იმ გულისტკენას,
ჯოჯოხეთი რომ გამომატარეს....
სავსე ველებზე მზისკენ ვედრებით
იმზირებიან მზესუმზირები,
შენ სიყვარულში ვერ შემედრები,
შენ მე ტყუილად შემეცილები,...
ჩემს წინ არავინ შენ არ გაგიშვებს,
ჩაკეტილია შენი ჭიშკარი,
მე კი სამყარო მომისაკლისებს,
მე ხომ, უბრალოდ, გადაგისწარი!!!

ჩვენ სულ არა ვართ ერთნაირები

რად მენატრები ასე ძალიან,
ჩვენ სულ არა ვართ ერთნაირები,
ჰოდა, ვერც ვხვდები რისი ბრალია,
მე ხომ მგელი ვარ, შენ კი ირემი...
ვის გაუგია, ან ვის უნახავს,
ერთ ბალახს სძოვდნენ მოსისხლე მტრები...
წყალზე ნუ წახვალ, წყალზე ნუ წახვალ,
ირემი ხარ და შეგჭამენ მგლები...

აბა, რა მექნა? (ნათია ჟ–ს)

ასე მგონია, რომ ჩემს მუზებთან,
ბრძოლაში ვარ და მუდამ ვმარცხდები...
წამართვეს ჩემი თავისუფლება,
და დამიტოვეს რაღაც განცდები...
წამართვეს ჩემი გულუბრყვილობა,
რითაც აქამდე თავს ვიწონებდი,
მე კი მეტი და მეტი მინდოდა,
ახალს ვეტრფოდი, ძველს კი ვტოვებდი...
თუმცა ვხვდებოდი, თეთრი ფრთების ქვეშ,
რა გასაოცარ ბრჭყალებს მალავდნენ,
რამდენი ვდიე და რას ვეღირსე,
დამარქვეს ბლეფი და მოღალატე!
ახლა კი როცა ჩემი ადგილი,

კარგა ხანია ვაკანტურია,
რას დამხატავდა მუზა ნამდვილი,
მუზა რომელსაც ლექსი სწყურია...
სად გამახსენდა, მას აქეთ თითქოს,
ომში ათასი ცხენი წამექცა...
რად შემიყვარდა? არავინ მკითხოს,
მუზა იყო და, აბა, რა მექნა?

გულს ნუ დაკეტავ

როგორ დავიწყე, ჩემი სიტყვებით,
თაფლი ჟონავდა ლურჯი ზეციდან,
თითქოს დაიძრნენ აწვდილი მთები,
თავი დაიხსნეს ჭიუხებიდან...
ჩემს ბრძანებაზე ირგვლივ ფრინველნი,
ერთად იწყებდნენ დილით გალობას,
საოცრებათა ვარ თვითმხილველი,
მიყვარდა, მწამდა და მიხაროდა...
და გულსაც თუკი ცეცხლი ეკიდა,
საცალფეხო გზას როგორც მერანი,
თუ სიყვარული გადამეკიდა,
როგორც მეხს ელვა და ვაზს მტევანი...
თუ ყველას, ყველას, უცნობ–ნაცნობებს,
გავუხსენ გული, როგორც მარანი,
თუ თასით ღვინო გადმოვაწოდე,
რატომ არ დამხვდა გარეთ არავინ...
გულს ნუ დაკეტავ, გულს ნუ დაკეტავ,
თუნდაც ხორცს ჭრიდეს შხამის ჭანგები...
და გაზაფხული როცა დადგება,
ერთ ქალს ხომ მაინც შეუყვარდები!!!

სანამ კოცნას ლამობს ბაგე

ხშირად მიკვირს, ისე მიკვირს,
რატომ ქრება სილამაზე,
როგორც ნატვრა ჩემი სიზმრის,
დღესაც ყვავილს მიგამსგავსე...
დგახარ ბაღში, ჰამაკს არწევ,
ვარდი შენი მზერით ტკბება,
ბროლის ნამი შავ წამწამზე,
მარგალიტად ეკიდება...
ამ მწვერვალებს, იმ მწვერვალებს,
გაანათებს სხივი მზისა...
მიყვარს იის სიფერმკრთალე

უნაზესი ბაგებისა...
ანანავე, ანანავე,
ეგ ჰამაკი სანეტარო...
სანამ კოცნას ლამობს ბაგე,
სანამ ბაღში ვარდი ხარობს...

შენი თმები მოჰგავს თავსხმას

შენ რომ გიმზერ, სულ მგონია,
დავეჯახე შუბლით მყინვარს,
სად ცივ ქარებს უქროლიათ,
მწვერვალებთან შეხვედრისას...
შენც ხომ ჩემი მწვერვალი ხარ,
თითქმის ცამდე ატყორცნილი,
თოვლმა სისხლი გადმოგისხა,
და გულიც გაქვს გამოცვლილი...
ვერ გავუძლებ მე შენს ზამთარს,
ვერც გაზაფხულს ვერ დავუცდი,
შენი თმები მოჰგავს თავსხმას,
შენი ტანი ჭექა–ქუხილს...
მსურს დამსეტყვო, როგორც მინდვრებს,
გაზაფხულის სეტყვა სეტყვავს,
და ზღვის ტალღებს, აქოჩრილებს,
მღვრიე ქაფი გადალეკავს...
შენ თუ ცივი ყინული ხარ,
მე ზაფხულის ვუხმობ მზეებს,
ყური უგდე ჩემს გულისხმას,
ის ბევრ რამეს მოგიტევებს...
დაგიდნება, დაგიდნება,
ეგ სლიპინა ყინულები,
დაგჭირდება გაღიმება,
სულ ტყუილად იმუქრები!!!

დაჰქროლე

დაჰქროლე ქარო, მძლავრად დაჰქროლე,
ეგ შენი ფრთები, გთხოვ, არ დაკეცო,
რომ სიყვარული რაც კი ვაგროვე,
შენი ფრთების ქვეშ გავაასკეცო...
შენ, ვინმეს, იქნებ, კიდეც მოსწყინდე,
მე კი არასდროს არ მომწყინდები,
დაჰქროლე, ეგებ, მზეც ამობრწყინდეს,
და მოგვაფრქვიოს მარგალიტები!!!
დაჰქროლე სანამ მისი სხივები,

ისევ აღწევენ დედამიწამდე,
სანამ ცოცხლობენ ცად არწივები,
არ დაუკარგავთ სანამ სისწრაფე...
დაქროლე, მანამ, სანამ ჯერ კიდევ,
შერჩენილი აქვს, ჩემს ცას ელფერი,
სანამ ამ მიწას, ჩვენს გადამკიდეს,
ჩვენი ჯიში და რჯული შეჰფერის!!!

გულს ვეუბნები

გულს ვეუბნები, კარგი, გაჩერდი,
გეყოფა, მორჩი, საკმარისია,
მე შენ ტკივილებს ძალით გაჩვევდი,
მსურს მიამთავრო შენი მისია...
უცნაურია ჩემი ბუნება,
რაღაც ველურის, პირველყოფილის,
ერთად მეწევა ყველა ცდუნება,
მუდამ ფრენისთვის ვარ განწყობილი...
და არასოდეს, ჯერ არასოდეს,
არა ვყოფილვარ თვითკმაყოფილი,
მაინც ყოველთვის სხვები მასწრობენ,
ვისაც ცხოვრება აქვს აწყობილი...
და გულიც მე რომ ვეღარ ვენდობი,
ყოველთვის ასე გახლეჩაზეა...
ნუ ჩამეკრობი, ნუ ჩამეკრობი,
დღეს ჩემი სული შხამით სავსეა...
შხამით სავსეა, მაგრამ, მას მაინც,
ალბათ ზეცაში ყოფნა სწადია,
ზეცისკენ ბილიკს ხომ ვერ მასწავლით,
რაღაც მომბეზრდა ეს კავკასია...

გამესაუბრე

გამესაუბრე, მე ხომ ჯერ კიდევ,
ბევრი რამე მაქვს შენთვის სათქმელი,
გიამბობ ცხადში ნასიზმრებ სიზმრებს,
ტყვიებზე, შიშველ მკერდზე ასხლეტილს...
გამესაუბრე, შენს სუფთა თვალებს,
ვენდობი, როგორც შვლის ნუკრი დედას,
გიამბობ შენთან რა დამაბარეს,
ნუშის ტყეებმა და სიომ ველთა...
გიამბობ, მარტო როგორ გეძებდი,
როგორ ვანთებდი ჩამქრალ ჩირაღდნებს,
და დაკარგული გზად იმედები

რა სიყვარულით გამიცისარტყლე...
გიამბობ, დღემდე როგორ მოვედი,
რატომ მატყვია სულზე ბზარები,
შენ სახელს როგორ ვიმეორებდი,
რა სიფაქიზით და მოკრძალებით...
მზე გადავიდა, ზეცა ღრუბლებმა,
გადაიარეს და მიატოვეს,
თუმც, სულს სწყურია თავისუფლება,
თუ სურვილი გაქვს, გაგიბატონებ!!!

კარი გამიღე

ვინ არის ის,
ვინც სიყვარულს მპარავს,
სიყვარულს,
მე რომ ვაგროვე მისხლით,
ვინც ჯალათივით ღიმილს მიკრძალავს,
და შვების ნაცვლად მუქარებს მითვლის...
კარი გამიღე,
კარი გამიღე,
მე შენთვის თეთრი ვარდები მომაქვს,
თუმც, გვიანია,
გავიაპრილებ,
და შენს ფრთებს ატმის ყვავილით მოვრთავ...
ნუ დაუჯერებ,
ნუ დაუჯერებ,
მას, ვინც ოცნებებს შენსას სდარაჯობს,
მას, ვინც შენს ნატვრებს მათრახს უღერებს,
რომ შენს თეთრ მკერდზე გაინავარდოს...
მე შენსკენ მავალ ბილიკებს ვეძებ,
კლდე–კლდე მოვყვები ჯანღებს ნისლიანს...
შენ კი ვით დროშას მტრების ციხეზე,
ჩემი მიღება არ შეგიძლია...

ბრძოლა

ვიბრძვოდი მუდამ, ადრეც და ახლაც,
ხელით, კბილებით და გააფთრებით,
და ყველაფერი თუ კი რამ ახდა,
ამ ბრძოლით იყო ნაკარნახევი...
და მიკვირს, როგორ არ გადაიწვა,
ტვინი, ომებში ასე ჩართული,
თუმც, გამოვედი ქარიშხალიდან,
დაღლილი, მკვდარი და გაძარცული...

ახლა კი, როცა ასე მჭირდება,
ორიოდ სიტყვით რაღაც სტიმული...
და მთელი ჩემი ავლა–დიდება
ჩემს ლექსებზეა ჩამოკიდული...
ვგრძნობ, რომ ლექსიდან ლექსამდე ვკარგავ,
იმას, რაც ასე ჟინით მაღგზნებდა,
მე აღარა ვარ, ბრძოლა კი დარჩა,
ბრძოლა, უბრალოდ, გადასარჩენად...

მეც გამიღიმე

მეც გამიღიმე, მეც გამიღიმე,
მეც გამიღიმე და მომეფერე,
მითხარი ტკბილად შენი ჭირიმე,
შენი თვალები ააელფერე...
რომ ამ დილიდან თუ რამ მაწუხებს,
იმწამს გულიდან გადამიაროს,
რომ კვლავ ვიფიქრო შენს სიყვარულზე,
ჩემი ტკივილიც გაგიზიარო...
რად ხდება ასე, რად ხდება ასე,
შენ უარზე ხარ, მე კი გენდობი,
გთხოვ, ასე მკაცრად ნუ შემაფასებ,
რაღაც ხომ შეგრჩა ჯერაც დედობის...
ვიცი, დღეები, როგორც ღრუბლები,
ყველა სურვილებს ერთად გტაცებენ,
მაგრამ ჩაქრება ეს უკუნეთი,
და ათასებში გამოგარჩევენ...
როცა სინათლე, როგორც სანთელი,
შენს სულს ვარდისფრად აამზიანებს,
და სხვა სიცოცხლეს შენგან გაჩენილს,
ამ სასწაულებს ჩააზიარებს...

ნუ გაჩუმდები

ნუ ამოიღებ, ნუ ამოიღებ,
ხმალს თუ მოქნევა არ შეგიძლია,
ხელუხლებელი დარჩება ციხე,
ქონგურებიდან გადმოგისვრიან...
ამას რომ დაწერ, რა უნდა წერო,
რა უნდა უთხრა, მას ვინც შენ გისმენს...
როცა სიცოცხლე დადის და მკვლელობს,
და ლუციფერიც დაცინვით გიმზერს...
ქარს გავატანე რამდენი რამე,

რამდენ ქარიზმას ავუკარ ხელი,
ისევ უარვყავ, ის, რაც ვიწამე,
გავიფეტიშე ქურდი და მკვლელი...
და თუ დღეები, ანდა წუთები,
კვლავ ერთმანეთზე გადაბმულია,
ნუ გაჩუმდები, ნუ გაჩუმდები,
სადღაც ხომ ჯერაც გაზაფხულია...

ჯოგი

ნუ გიკვირს, თუკი მუდამ მარტო ხარ,
ჯოგურ ცხოვრებას ვერ მიეჩვიე,
გაგინაპირა ყველამ რატომღაც,
ერთიღა რჩება, ღმერთს თუ შესჩივლებ...
თუმცა, გახსოვდეს და ჩაიბეჭდე,
ნუ, ნუ ენდობი ჯოგის სიმართლეს...
ის ბრმად მიჰყვება საკუთარ ღმერთებს,
მათ უკითხავად ფეხს არ ინაცვლებს...
მისთვის უცხოა მონანიება,
ჯოგი ბრძენია თავის გაგებით,
შენს სიმართლეზე გაეღიმება,
ჯოგს შენ ვერასდროს გაუმკლავდები...
ვერსად წაუხვალ თუ თავს დაგესხა,
ანგრევს და უკან არაფერს სტოვებს,
მის ცოდვებს ზღვაც კი ვერ გადარეცხავს,
თუკი შესცოდავს, ვეღარასოდეს...
შენ კი, თუ ოდნავ თამასას ასცდი,
ვერ ეგუები ჯოგის კანონებს,
ჯოგი არ გაცლის, ჯოგი არ გაცლის,
ჯერ მოგკლავს, მერე კი გიპატრონებს...

გული ნუ გწყდება

გული ნუ გწყდება, გული ნუ გწყდება,
მე ხომ მიყვარხარ და გაღიარებ,
როცა აპრილში კვირტი გასკდება,
მოვალ და ვნებით აგაბრიალებ...
და თუ შენც ოდნავ მაინც გიყვარვარ,
ჩემზე ფიქრები ტკბილად გთენთავენ,
გაგიფრთხილდები, როგორც მინანქარს
უფრთხილდებიან გადატეხვამდე...
რაღაცას ჩქარობს საღამოს ქარი,
ჩემს ირგვლივ დაძრწის და ფეთიანობს,
ვარ გაწყვეტილი კრიალოსანი,

მინდა ამკრიფო და მომიარო...
შენ კი, ვინ იცის, ვისთან აპირებ,
ამ უღიმღამო დღეთა შევსებას,
რადგან ზღაპარი და სინამდვილე,
ერთმანეთს ვეღარ შეეჩეხება...
რა მოხდა, თუკი თითო გული გვაქვს,
გული ხომ ხშირად სამყაროს იტევს,
მე მოვალ შენთან, მართლა, თუ გინდა,
მითხარ, გულის კარს ხომ გამომიღებ?

ყველგან ომია

ამ ქვეყნად მართლაც არაფერია,
არაფერია მარადიული,
შეხედე ზეცას, რა ნათელია,
მიწა, მიწა კი რა დაბურული...
სადაც წავედი, ყველგან ომია,
ვერ გავექეცი ჯუნგლის კანონებს,
და ყოველივე ამ ჰარმონიას,
ალბათ, ღმერთი თუ აკაბადონებს...
ორი ფეხი მაქვს, ერთით მიწაზე
ვდგავარ და მიკვირს, რომ არ ვიქცევი,
რადგან მეორე ფეხით კი ცაზე
დავალ და ვცოცხლობ, ისევ, ღვთის ნებით...
და ამ ორიდან ვერაფრით შევძელ,
რომ რომელიმე ამომერჩია,
ვერც სული ჩემი გავყიდე ვერცხლზე,
თუმც სასწაული უკუნეთია...
და ახლა, მართლაც, ვინმემ რომ მკითხოს,
ვინმემ რომ მკითხოს, სად მირჩევნია,
დაუფიქრებლად მივახლი, მიჯობს,
იქ, სადაც ნაღდი საგიჟეთია...
რადგანაც, მართლაც, ისე ძნელია,
ისე ძნელია ახლა გარჩევა,
ცა ნათელია, მიწა ბნელია,
და მიჭირს, მიჭირს, მეც გადარჩენა!!!

შემიყვარდი

შემიყვარდი, ბავშვი ხარ,
შემიყვარდი, არ ვნანობ,
ვიცი გაჩნდი მარწყვიდან
მარწყვი რომ შემაყვარო...
შავი მაყვლის ტევრი ხარ,

გზის პირებს მოდებული,
გაქცეული შველი ხარ,
შიშით ათრთოლებული...
ათას რამეს გპირდები,
შენ კი, ვიცი, არ მისმენ...
არ გსმენია მითები,
ჩემისთანა არწივზე?

ნუ გამაჩუმებ

ნუ გამაჩუმებ, ნუ გამაჩუმებ,
მინდა ყველაფერს ფარდა ავხადო,
მინდა დასრულდეს, მინდა დასრულდეს,
დღეები ასე უმისამართო...
ჰოდა, მცირე ხანს უნდა მაცალო,
სანამ ვნებათა ხომალდს ავაგებ,
მერე კი მინდა გზა მიმასწავლო,
დარიალიდან დარიალამდე...
ვიცი, წამოხვალ, ვიცი, მენდობი,
და დარჩენილ გზებს ერთად გავივლით,
ყველა სურვილებს შენ გაგენდობი,
რომ ბრჭყვიალებდე, როგორც ყვავილი...
რომ შორეული ცის ვარსკვლავები
ფერხთით გიფენდნენ მბრწყინავ ხალიჩას,
რომ მაგიჟებდნენ შენი თვალები,
უჭკვიანესი ორი ლალის ქვა...
ოქროსფაფარა კვიცებს გავხედნი,
რომ გზა მერნებმა გაგვილამაზონ,
რომ კარს გვიღებდნენ ბაღჩა–ბაღები,
სანავარდო და საიალაღო...

გასწით, გასწით, შორს, სადაც...

დილა ფრთხილად თენდება,
მესმის ყვავთა გნიასი,
მთვარის დისკი ფეთქდება,
მზის აკვატორიაში...
ჩემო თეთრო მერნებო,
როგორ დიდხანს გეძებდით,
გზებზე უიმედებო,
მხვდებოდნენ იმედები...
როგორ მსურდა სითეთრე,
თქვენი არ შემებღალა,
დროები კი მითრევდნენ,

რომ ტკივილით მებღავლა...
თქვენთან ერთად ვტოვებდი
სულში ბედის ნაპრალებს,
თქვენ კი მაჯადოვებდით,
მინათებდით ვარსკვლავებს...
გასწით, გასწით, შორს, სადაც,
ღრუბლებს ცეცხლი ედება,
სადაც მარადიული
ქრის მომავლის ქარები,
აქ თუ ვერ დაინახეს
ჩემი შემოქმედება,
იქ, თქვენც იცით, მერნებო,
რომ ყველას ვეყვარები!!!

ახალ თაობის იმ ნაწილს, რომელიც უარყოფს ქართულს და ქართულ ლექსში
უცხოური სახელებით პამპლაუკობს

ზოგჯერ ვერც ვიგებ ვინა მმფარველობს,
რომ ამ მონჭყრეულ დღეებს გავუძლო,
ვინ იყო, ნეტა, მტლად რომ დამედო,
ვინც ჩემთვის დათმო თავის საუფლო...
ვინ ჩამინერგა ღვთის სიყვარული,
ან ტკივილების უხმოდ მოთმენა,
რომ ჩემი მიწა უნიკალური
გადმოსულიყო ჩემში ლოცვებად.
ვინა მღეროდა ჩემთვის შავლეგოს,
ომში მერანებს ვინ მიაფრენდა,
რომ ჩემთვის რწმენის კოშკი აეგო,
მტერთა კოლონებს ვინ მიამსხვრევდა...
ჩემში რომ ყივის, ვისი სისხლია,
რომელ გმირების, რომელ წინაპრის,
სამშობლო დედად რატომ მიცვნია,
დღემდე რად მჯერა მისი სიმართლის...
ამირანი ვარ კლდეს მიჯაჭვული,
რამდენიც უნდა მკორტნონ სვავებმა,
დრო მოვა, გასჭრის ჩემი ფრანგული,
და დადუმდება მტრის მრისხანება!!!

სიყვარული

რა გინდა, გთავაზობ, უბრალოდ, სიყვარულს,
ვერ ვხვდები, უცნაურს რას ხედავ ამაში?
ჩავკიდებთ ხელი–ხელს, დავიწყებთ სიარულს,
კინოში, თეატრში, ქუჩებში, ქალაქში...

ნუ კრთები, მე ვიცი, თუ როდის გაკოცო,
და ჩემსკენ ჩუმჩუმად თვალებს ნუ აპარებ,
მე ჩემი გითხარ და შენ თუკი არ მოგწონს,
მითხარი, მაშინ, და ნუღარ გამაწვალებ...
რას დუმხარ, ვერ ვხვდები, რამდენ ხანს გელოდო,
ან შენი დუმილი მივიღო თანხმობად?
თუ ეს სიყვარული თაროზე შემოვდო,
და სხვები მოვძებნო, აქვე, შენს მახლობლად...
რა მითხარ? სიყვარულს დუმილი უხდება?
და რომ სიყვარული ყოველთვის უტყვია?
მაგრამ ამ ლოდინში გული რომ წუხდება,
ნახე, რაც გაგიცან, თხუთმეტი წუთია...

მოგძებნო?

მოგძებნი, რომ მქონდეს რაიმე იმედი,
მოგძებნი, თუ ვინმე წამსვე არ გაგვთვალავს,
ვინა ვართ ჩვენ მათთვის, უმწეო ჩვილები,
ქუჩის დამშეული ორი მაწანწალა...
ნუ გიკვირს, ნუ გიკვირს, მათი განაჩენი,
ვერ ხედავ, რა უყვართ? ომი და ხანძრები...
მაგრამ თუ ჩვენ მაინც ჩვილებად დავრჩებით,
მათ ნაცვლად დაგვლოცავს ქართული ტაძრები...
და მაინც ვერ ვხვდები, როგორ გირჩევია,
მოგძებნო, თუ ჩემთვის წავიდე ჩემ გზაზე...
სამყარო უსაზღვროდ, უსაზღვროდ ვრცელია,
და შენი პოვნა კი ძნელია ყველაზე...

შტორმი

შორს, გარღვეული ცის კაბადონზე,
ვარდისფერ ღრუბლებს მირეკავს ქარი,
სად მოყავისფრო ლერწმის საწოლზე,
მოსასვენებლად წევს მთვარე მკრთალი...
საღამოს როცა თეთრი აფრები,
გემების ანძებს ეფაფრებიან,
ხოლო ღრიალით და გააფთრებით
ტალღები ისევ ყალყზე დგებიან...
ჩამოვარდნილი ვარსკვლავის თხოვნით,
ღრუბელი ქარებს აუჯანყდება,
და გაჩენილი უეცრად შტორმი,
ზღვებზე ხომალდებს თავს დაატყდება...
მიათამაშებს როგორც ნაფოტებს,
გემებს, ზეცამდე მძვინვარებს შტორმი,

თითქოს სურს ყველას დაამახსოვრდეს,
სანაპიროებს შიშს როგორ მოჰგვრის...
ზეცაში დაძრწის ელვა ტკაცანით,
და გრიალებენ ცაზე ღრუბლები,
ზღვა კი წყლის ლურჯი ლევიათანი,
ცას უტევს თავის სველი მუშტებით...
ის არც ჩადგება, ის არც მოკვდება,
აქ მუდამ ასე იქროლებს შტორმი...
და ტალღაც ტალღას ისევ მოჰყვება,
როგორც ურჩხულის ტუჩებზე დორბლი...

იცი, ქალბატონო სიყვარულო!

იცი, ქალბატონო სიყვარულო,
მართლაც, მოველოდი შენს სტუმრობას,
მინდა ჩემი გული ინახულო,
გული, ერთ დროს მე რომ მეკუთვნოდა...
სუსტი ვარ, ვინც მხვდება, ყველა მიყვარს,
როგორ დავუკეტო გულის კარი?
შევლენ და, მერე, მე ვინ მკითხავს,
თან მიაქვთ, რაც კი რამ გულში არი...
თანაც მაბრალებენ უგულობას,
რატომ და, მარტო ერთს რომ არ ვეტრფი,
არ მესმის, რას ნიშნავს ერთის ტრფობა,
არა სჯობს, თუკი ბევრს ენატრები?
ან ეს რა წესია, ყველაფერზე,
დადგე და ცრემლები აღვარღვარო...
როგორ გავიქვავო თვალი ერთზე,
სავსეა ქალებით ეს სამყარო...
რა ბრძანე, რას მიზამ, ჯადოს ამხსნი?
რომ არ შემიყვარდეს ერთის მეტი?
იცი, გულს ერთიც ამომაცლის,
ბევრი მირჩევია, გეფიცები...

პლაგიატები

ჩემი ლექსების წაკითხვის მერე,
ყველას ჩემსავით სურს რომ ამღერდეს,
არა და, თავის სათქმელსა წერდნენ,
თავის სიმღერებს ახმოვანებდნენ...
არ მესმის, სხვათა გაკვალულ გზებზე,
რა საჭიროა, მეც რომ ვიარო,
ისინი მუდამ მეტს მკიან ჩემზე,
და მაინც სურთ მე ჩამეზიარონ...

არა, არც ვცდები და არცა ვცოდავ,
არც არავისთან არ მსურს კამათი...
ეს სტრიქონებიც არ გახლავთ ბოდვა,
მათ კონკრეტული აქვთ მისამართი...

გთხოვ, მაპატიო...

მუდამ, რატომღაც, სადაც არ ელი,
იქ გამოსხლტება ეს სიყვარული,
გინდა დაარქვა თავის სახელი,
რამე, ლამაზი, სუფთა, ქართული...
გრძნობ, თუ თვალები როგორ გიმზერენ,
რა თანაგრძნობით, რა მოკრძალებით...
თვალები თვალებს გამოიჭერენ,
და ჩერდებიან თითქოს წამები...
იქნებ, ვაჭარბებ, არ არის ასე,
იქნებ, უბრალოდ, მე მეჩვენება?
თვალები არის ცრემლებით სავსე,
თუმც, ცრემლიც იცის ბედნიერებამ...
ვიცი, გინდოდა ჩემთან დარჩენა,
მე ხომ ვერც შენთან ვერ ვპირფერობდი...
გამოგიწოდე ფრთხილად მარჯვენა,
შენ კი, ვინ იცის, კოცნას ელოდი...
გთხოვ, მაპატიო, თუ ვერ გავბედე,
თუ სილამაზემ დამცა თავზარი,
თუ შენი თავი სხვას მივანებე,
მე კი წავედი და გაგასწარი!!!

შენთან მინდა

შენთან მინდა, რასაც ნიშნავს,
ჩემთვის, აბა, შენ რა იცი...
მთვარემ თავი გადაიწვა,
ჩაქრა, თავის ვარსკვლავისთვის...
შენ, არც იცი, რომ ჩემი ხარ,
თუნდაც სულაც აღარ შევხვდეთ,
ქედანივით მოფრენილხარ,
ჩემი გულის პარალელზე...
ვიცი, ვიცი, გაფრინდები,
არ დაეძებ ჩემს ნაკვალევს,
გადასერავს ზეცას გედი,
გავაყოლებ სევდით თვალებს...
შენც გედივით ფრინველი ხარ,
თბილ ქვეყნებში გადამფრენი...

მაინც ყველას მირჩევიხარ,
რომც არ მოხდეს არაფერი...
მაგრამ გული ისე მწყდება,
როგორც მძივი წყდება გიშრის...
ასე თურმე გედი კვდება,
ცაში, სატრფოს მოლოდინში...

ბედის ხე

ველოდები ჩემს ბედის ხეს,
ყლორტებს როდის გამოიტანს,
ვერ ვეღირსე, ვერ ვეღირსე,
დამენახა რას მოისხამს...
როგორ მსურდა გაეხარა,
დავმტკბარიყავ მისი ცქერით,
ტანი ისე აეყარა,
შესწვდომოდა ზეცას წვერით...
მე არ ვიცი, მაგრამ, იქნებ,
ხე დიდი ხნის გაზრდილია,
მისი ყლორტიც მომავლისკენ,
მზის სხივივით გაწვდილია...
ვინ გაზომოს, ვინ ასწონოს,
გატყორცნილი სიტყვის ძალა,
მე ჩემი ხე მაინც მომწონს,
მგონი, თავიც შემაყვარა!

გემებს მიმოაქვთ ზღვებზე ჭორები

უკან მომდევენ, უკან მომდევენ,
დღეები, როგორც ჭერის ვირთხები,
ვერსად, ადგილი ვერ გამოვძებნე,
ყველა კარებში მომყვა თითები...
რად უკიდია, რად უკიდია,
ზღვებს ცეცხლი, როგორც ტყეებს კოცონი,
ჩემი ცხოვრება ბეწვის ხიდია,
შენი ზამთარში ხეზე ფოთოლი...
ვინ იცის ხიდან როდის მოსწყდები,
სად გაგიტაცებს ზამთრის ქარები,
ისე მკაცრია ეს გამოცდები,
ვით სისხლიანი თებერვალები...
გემებს მიმოაქვთ ზღვებზე ჭორები,
მღვრიე ტალღები კლდეს ეხეთქება,
წყლიდან ტორნადო დგება ზმორებით,
და ელვის ფრთებით ზეცას ეხება...

ვინ იცის, მოვყვეთ ამ ქარიშხლებში,
და წყლიდან ვეღარც გამოვაღწიოთ,
ან სულაც მოვკვდეთ რამე მიზეზით
და სამუდამოდ ზღვებმა გვარწიონ...

ხომ დაბრუნდები

სიყვარულს სახელს გადავარქმევდი,
მოვუგონებდი, ალბათ, სხვა სახელს,
ვერ დავალაგე ერთად მარცვლები,
ჰოდა, უბრალოდ, შენს სახელს ვარქმევ...
რა სულელი ვარ, ვერ დავიჯერე,
რომ ნაპერწკლები გენთო თვალებში,
რომ შენს გულმკერდზე იები სთვლემენ,
როგორც ლერწმები ლელიანებში...
რომ შენი კანიც ისევე სუნთქავს,
როგორც ცისკრისას ხოდაბუნები...
სულ ერთი სიტყვა მითხარი, თუნდაც,
ხომ დაბრუნდები, ხომ დაბრუნდები?

როცა შენსკენ ქარი ქროდა

როცა შენსკენ ქარი ქროდა,
ჩემსკენ იყო ქარიშხალი...
ქარს მიჰქონდა, ქარს მიჰქონდა,
ყველაფერი რაც მითხარი...
ბევრი კენჭი ყრია ზღვასთან,
ზღვაში ალბათ უფრო მეტი...
მე მოვედი შენს კარავთან,
სად იყავი, სად წახვედი...
რად გამისხლტი, როგორც თევზი,
თითებსა და თითებსშუა...
ქარი გაქრა ლაქაშებში,
ღამემ ტუჩი აიბზუა...
აქეთ ბაღში ვარდი მოჩანს,
იქით ბაღში გვირილები...
ვინმემ ხომ არ დაგიკოცნა,
მკერდზე თოთო ჩითილები...

რა კარგი ხარ

რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ,
სახე ქარის, ტანი ზღვისა,
ალბათ ღრუბლებს დაჰკარგვიხარ,

ამოვარდნილ ქარიშხლისას...
ხან პირველი მზის სხივი ხარ,
ხან გაშლილი ღამით ვარდი,
მჯერა შენი ღიმილისა,
შენი მკერდის სივერაგის...
ალბათ რამდენს, ალბათ რამდენს,
აურიე თავგზა ნახვით,
მეც ხომ შენთან შეხვედრამდე,
ვკეცე ბევრი იალაღი...
გავიღვიძებ, შენს ჩრდილს დავდევ,
დავიძინებ, გხედავ სიზმრად...
მითხარ, მითხარ, გამიმართლებს,
თუ ბრჭყალს გამკრავ შევარდნისას...

ფიქრი

საათებს, წუთებს, ყოფის მეგზურებს,
ხან თან დავათრევ, ხან სადღაც ვგზავნი...
ხან ჩირგვში ვნახავ მათ თავშერგულებს,
ხან სახურავზე, ხან ზოოპარკში...
ისინი კარგად სძლებენ უჩემოდ,
გასძლებენ თუკი არც ვეყოლები,
მე კი თავს მათგან როგორ ვუშველო,
მგონი, ყველაც ვართ დროის მონები...
თუმც უკვდავებას ჩემულობს ბევრი,
დროს შეუძლია მათი ჩაჭერაც...
ჩვენ ყველანი ვართ ცოცხალი მკვდრები,
მკვდრებს ჰკითხეთ, თუკი ჩემი არ გჯერათ...
რეალურიდან ირეალურში
მე ძლიერ ხშირად გადამივლია ...
ვინც თანამიგრძნობს ამ სინანულში,
ყველა დიდიხნის გარდაცვლილია...

მომეცი ხელი!

მომეცი ხელი, არ დავუჯეროთ,
არავის, რაც უნდ ცოფები ჰყარონ...
ვიცი, შენც გინდა რომ თავს ვუშველოთ,
შემთხვევით სხვა რომ არ შევიყვაროთ...
მომეცი ხელი, თუნდაც ჭორებმა,
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიაროს...
თან ჩაგვიტანოს დროის მორევმა,
მაგრამ წყლულებიც მან დაგვიამოს...
მომეცი ხელი, ბრძოლის გარეშე

მაინც არა ღირს, ომის მოგება,
და თუ, შემთხვევით, სადმე დავეცე,
შენ ეს ღალატი ნუ გეგონება...
მომეცი ხელი, მინდა მოვასწრო,
ვიგემო თაფლი შენი მკერდისა,
მერე, ძვირფასო, რომც ჩამომახრჩონ,
წამყვება გრძნობა მღელვარებისა...
მომეცი ხელი, არ მინდა ვიგრძნო,
ამ წყეულ დღეთა ამაოება,
რომ შენთან ერთად გამოვაღვიძო,
რისხვა, რომელიც მკერდში გროვდება!!!

მშვიდი თვალები

ბევრჯერ მინახავს მშვიდი თვალები,
როცა მე თვითონ ვარ აღგზნებული...
ან გადაღლილი და ნაწამები,
თუ აფთარივით გაავებული...
რას მომიტანენ, რას მომიტანენ,
დღეები ასე რომ ველოდები,
მომდევნოები წინა დღეს კლავენ,
და ვგრძნობ, ნელნელა როგორ მშორდები...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
შევნიშნო ცრემლი შენს წამწამებზე,
მე შენს სიყვარულს დრო არ მაცლიდა,
და, ალბათ, ხვალაც არ დამანებებს...
შენ მშვიდად მიმზერ, მე კი ნაომარს,
ვგავარ მეომარს დაგვიანებულს...
თუმც შენს სახეზე ვერცერთ ნაოჭსაც
ვერ ვხედავ ჩემგან აღიარებულს...
ვერაფერს ვამბობ, დრო მკურნალია,
რა ვუპასუხო შენს ლამაზ თვალებს?
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,
როგორც ვერავინ ვერ შეგიყვარებს!!!

ყაყაჩოს ნუ წყვეტ (ია–იას)

ყაყაჩოს ნუ წყვეტ, ყაყაჩოს ნუ წყვეტ,
გაუშვი ცოტა კიდევ იცოცხლოს,
მზეს შეეყინა ღიმილი ტუჩზე,
რომ გადახედა წითელ მინდორსო...
სადაც ნამიან დილას მოსული
ყაყაჩოების ცეცხლი ღუოდა...
სხვა ყვავილები სკდებოდნენ შურით,

ყაყაჩოს მწერი თუ დაბზუოდა...
ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია,
მზე ბუტბუტებდა განცვიფრებული,
ყაყაჩოების კარნავალია,
აფეთქებული, ათქვირებული...
ველებმა თითქოს თავი აიშვეს,
გადააწითლეს მთები, ქედები...
ყაყაჩოებმა გაიმაისეს,
დაჰფარფატებენ თავზე პეპლები...

ესა ვარ, რაც ვარ...

შენ, ალბათ, ამჩნევ,
როგორ არ მიყვარს,
ტკბილი სიტყვებით
თვალის ახვევა...
ესა ვარ, რაც ვარ,
ნუღარ დამკითხავ,
ჭადარი ვარ და
ქარი მარხევდა...
მეც გარდასული
წლების ცვენაში,
ათას ზღაპარს და
ამბავს მოვედე,
ხან მიმართლებდა
ბედისწერაში,
ხან მტრის მაგიერ
მკლავდა მოკეთე...
რატომ გამოჩნდი,
რისთვის გამოჩნდი,
ვერ გამიგია,
ვერ ამიხსნია,
აღვირს მოვქაჩავ
მერნებს დაოთხილს,
ყველა ჩემს გულზე
რადგან მიქრიან...
შენ არ გეგონოს
რამეს ვტყუოდე,
თუმც ზეციური
მიხმობს ზარები,
მინდა მწყუროდე,
მინდა მწყუროდე,
შენ კი, შენ,
ნუთუ,
არ გეყვარები?

რა გგონია

რა გგონია, რა გგონია,
კი, ბევრი გვაქვს საერთო,
მე შენს შემდეგ არ მქონია,
რომანები საერთოდ...
ვცრუობ, ბედმა გამიღიმა,
ერთმანეთზე დაერთო...
თამუ, ეკა, ინა, ირმა,
მძივებივით აეწყო...
"მოდიოდა ერთზე ათი",
ანგელოზის ფრთიანი,
როგორ მიყვარს ეს სურათი,
ოდნავ ალერსიანი...
ისევ შენთან დავბრუნდები,
თუ ცხოვრებამ მაცალა,
მიყვარს შენი ხორბლის მკერდი,
შენი ძუძუს ხვანჩკარა...

ეჭვები

ზოგჯერ შემიპყრობს რაღაც ეჭვები,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი,
ვფიქრობ, ასე თავს რად ვიმეტებდი,
ვიღას სჭირდება დღეს ჩირაღდანი...
ვიღას სჭირდება ან ეს სინათლე,
რისთვის ვანთებდი, ვისთვის ვანთებდი,
ალბათ, ღმერთთანაც ვიღაც მიმასწრებს,
მე კი კვლავ არსად მოვიაზრები...
რა აზრი ჰქონდა, რაც თაფლი ვთესე,
თუკი მის ნაცვლად შხამი ამოდის,
მოდი, ძვირფასო, მომიალერსე,
მსურს ჩემი იყო ამ საღამომდის...
იქნებ ეჭვები შენ გამიფანტო,
ბავშვობიდან რომ შემომჩენია...
შენი ლამაზი თვალები მანდო,
თუკი ისინი, მართლაც, შენია...
ვერ გავრკვეულვარ, დღემდე, რა ხდება,
ირგვლივ დუმილი უკიდეგანო,
შენი ეჭვები, თუკი, ახდება,
მაშინ, გთხოვ, ჩემებს არ გაეკარო!!!
რადგან ისინი ისე მძიმეა,
ჩემს მეტი იმათ ვერავინ ზიდავს...

ამ ქვეყნად მართლაც, ნეტა, ვინმეა,
ნეტა, ვინმეა, ვინც მე ამიტანს?

მე გულწრფელობით ბევრ რამეს ვმალავ

ნუ, ნუ ენდობი ჩემს გულწრფელ სიტყვებს,
მე გულწრფელობით ბევრ რამეს ვმალავ,
მშვენივრად ვირგებ ათასგვარ ნიღბებს,
და ამით ბევრად უსაფრთხოდ დავალ...
და თუ ვამაყობ ამ გულწრფელობით,
მინდა იცოდე, რომ ის ყალბია...
მე ზოგჯერ თავი გამაქვს მელობით,
და ვლომობ კიდეც, თუკი გამივა...
ასე რომ ნიღბებს სცვლიან ნიღბები,
შენ კი გიყვარდა ეს გულწრფელობა...
არ დაიჯერო თუ ვიღიმები,
და არც ეს ჩემი უდარდელობა...
თუ ვიღიმები, ეს ნიღაბია,
მკერდში სვავები კი გულს ფლეთავენ...
ღიმილი ჩემი ბაირაღია,
დამარცხებიდან გამარჯვებამდე!
და ვიღიმები, მეც ვიღიმები,
ეს ხომ ნიღბები იღიმებიან...
მკვდარი ვარ, მკვდარი, გამოგიტყდები,
რადგან ნიღბები არა კვდებიან!!!

სად ღრუბლები მოჩანს ქარვის

გამოუღეთ, გამოუღეთ,
მერნებს ყველა, ყველა კარი!
რაშთა რემა ღრუბლებს უტევს,
აწყვეტილი როგორც ქარი...
მიყვარს, მიყვარს მათი რბოლა,
მათთან ერთად ყოფნას ვარჩევ,
ქროლის ჟინმა ამიყოლა,
მალე ყველას გადავასწრებ...
იქით, იქით, სადაც არვის
ჯერ არასდროს უქროლია,
სად ღრუბლები მოჩანს ქარვის,
და ტიტანებს უბრძოლიათ...
შევეჯახოთ მეხს და ელვას,
მივამსხვრიოთ მათი ფარი...
ქარიშხლებით როცა ღელავს,
ზეცა ყალყზე შემომდგარი...

მიდით, მიდით, გავარღვიოთ,
სივრცის ყველა ბარიერი,
გრიგალები გადავრიოთ,
გადავხვიოთ ქარებს ხელი!
სადაც გვიცდის უკვდავება
და ღმერთების ტახტრევანი,
სადაც მუზა შხამით თვრება
და მიჰკვალავს ცას მერანი!!!

ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება

ეს დღეები ამ ღამეებს გადაჰყვება,
მე კი, ალბათ, შენს სიყვარულს გადავყვები,
ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება,
და ზეცაზეც კვლავ ანთია ვარსკვლავები...
კაცმა რომ თქვას, მეც ერთ–ერთი მათგანი ვარ,
ვინც ათ მცნებას იცავდა და ღალატობდა...
ყველა ცოდვა ჩემს გულმკერდზეც გადავიდა,
ყველა ჩემი მახრჩობელა ანაკონდა...
ღრუბელი ვარ და ზეცაზე მინდა დავრჩე,
შენს თეთრ მკლავებს რომ იქიდან დავაწვიმო,
ღამით მოვალ და გავქრები განთიადზე,
რომ აისი იასავით ავატირო...

ცივად მიმზერ

აქეთ მაყვლის ბარდებია,
იქით ხარობს კუნელი,
ყველაფერი ზღაპრებია,
ფრთოსან მერანს ნუ ელი...
ბედმა გვერდზე ჩამიქროლა,
სიცილით და ხარხარით,
სულში ცივი ქარი ქროდა,
გულში მენთო ხანძარი...
ცალი ხელით ვარდი ვკრიფე,
მეორეთი იელი,
ვერ ჩამითრევს, ვერ ჩამითრევს,
ეს მორევი ცბიერი...
ცაზე მტრედი გადაიფრენს,
ქორის ბრჭყალს ვერ ასცდება;
იცი, ისე ცივად მიმზერ,
თითებიც კი მაძრება...

რად გაგახსენდი

რად გაგახსენდი, რაც მიმატოვე,
მას მერე შენზე არც მიფიქრია...
როგორც ყვავილი გამოაქვთ რტოებს,
დამჭკნარს კი მშვიდად მიმოისვრიან...
რად გაგახსენდი, რად გაგახსენდი,
მდინარე ვარ და ვამსხვრევ ჯებირებს...
შენ ჩემს წყურვილებს როცა ავსებდი,
წახველ და სხვაგან გაიჯეჯილე...
ვეღარ უშველი შენ ჩემს სტიქიას,
ვერ დააოკებ შენ მის სიავეს...
საკმარისია, საკმარისია,
რაც მღელვარებით გაანიავე...
შენ შენი გზა გაქვს, მე კი არტახებს,
ვერ ვეგუები, არ შემიძლია,
მივალ, ტაფობებს მივაპარტახებ,
მივალ, მივრეცხავ, დღეებს სისხლიანს...
მინდა წარსულზე ფიქრებს გავუძლო,
გარს მახვევია სხვა იმედები,
მე ეს დღეებიც მსურს გადავფურცლო,
შენ კი რატომღაც ფეხში მედები...

ნუ მიბრაზდები

რამ დამავიწყა,
რამ დამავიწყა,
შენი თვალები,
ასე მწუხარე...
რით ვერ დაგიცხრა,
რით ვერ დაგიცხრა,
შეეშვი ფიქრებს
სულთამხუთავებს...
შენც კარგად ხედავ,
დრო აირია,
მიერეკება
ყველა თავისას...
არ დაბრუნდება
ის იდილია
ჩვენ რომ ოდესღაც
გაგვითავისა...
გულზე დავიბნევ
ჩუმად შენს ცრემლებს,
მე მათ შევარქვი
დარდების წყარო,
მე შენ კი არა,

შენს თვალებს ვენდე,
და მიჭირს, მიჭირს,
გადავიყვარო...
ალისფერ ფონზე
კვდება დაისი,
სად გადამალე
ჩემი ვარდები?
მე მუდამ ვიყავ
გამონაკლისი,
ნუ მიბრაზდები,
ნუ მიბრაზდები!

გაპატიებ

გაპატიებ, გაპატიებ გულგრილობას,
რადგან, ვიცი, თამაშია შენი მხრიდან...
დავარღვევდი, დავარღვევდი ძველ პირობას,
მაგრამ, ვშიშობ, რომ დისკომფორტს შეგიქმნიდა...
ვფიქრობ, იქნებ, სწორედ ასე იწყებოდა,
ყველა დიდი და ნამდვილი სიყვარული...
მე კი, ალბათ, მუდამ ღმერთი მიწყრებოდა,
რომ ვერაფრით ვერ მოვიგე შენი გული...
ვიცი, ვიცი, რომ უძირო უფსკრული ვარ,
შენი გრძნობა მას ვერაფრით ამოავსებს...
თუმც ხელს გიქნევ ჩემი თეთრი კუნძულიდან,
კარგად ვიცი, აქ ვერასდროს ვერ მოაღწევ...
მე უშენოდ ყველა წამი მენანება,
უსაზღვროა, ვიცი, ჩემი სინანული...
ასე ქრება, ასე ქრება, ალბათ, ვნება,
კენჭებივით ზღვის სიღრმეში მიკარგული...

სჯობს მართლაც გვიან

დაგვიანებულ სიყვარულებს ჩემი მოკითხვა,
არც პირველი ვარ
და არც ბოლო მე არ ვიქნები...
ნატვრებს ნატვრისხე თუკი ბოლოს მაინც მოისხამს,
ძველი ბუდიდან ერთხელ შენც ხომ ამოფრინდები...
დრო დაგიამებს
ყველა ტკივილს რაც დაგიგროვდა,
ჭრელი ჯაფარა
შენზე ჭორებს
მტრედებს წაუღებს...
ბედის ვარსკვლავი
ერთხელ მაინც ამოგიცნობდა,

შენ კი რატომღაც
არ ისურვე
და ვერც გაუგე...
სჯობს, მართლაც, გვიან,
გვიან მართლაც,
ვიდრე არცერთხელ,
მკლავებს გაშლი და
ტრფობის ზღვაში გადაეშვები...
ბოლო შანსია,
ფიქრად არც ღირს,
არსად გაექცე,
კარს მარტოობა გიგაკუნებს
წლების ეშვებით...
დროა გაცვალო
ყველა დარდი ერთ სიხარულზე,
დაგვიანებულ სიყვარულებს ჩემი მოკითხვა...
მოდი, ძვირფასო,
პირველ კოცნას თუკი გაუძლებ,
მაშინ,
ჯანდაბას ჩემი თავი,
შენს მადლს მოვისხამ!!!

შემომიერთდით!!!

შევაგროვებდი ამ სოფელზე განრისხებულებს,
გავუძღვებოდი ცოფიანი ძაღლების ხროვას...
ჩამოვყვებოდი ზვავებს მთიდან გაგიჟებულებს,
გადამერჩინა იქნებ მიწა ცოდვას და ლპობას...
ელინთა აზრით, თუკი გაჩნდი, ეს სასჯელია,
და მეც ცხრაპირი ტყავი სხვებთან ერთად ვიცვალე...
ახლა უღმერთოდ დარჩენილებს არსად გველიან,
რადგან არ ვიცით, სად, როგორ და რით მოვიწამლეთ...
ჰოდა, მეც ვიბრძვი, ვიბრძვი სულის გადასარჩენად,
ყველა ცოდვანი ერთი დარტყმით მინდა წავლეკო,
თუ მომეცარა მოქნეული მტრისთვის მარჯვენა,
შემომიერთდით საბრძოლველად, შლეგიანებო!!!

ვეძებ უმანკო თვალებს

უჟმური დროა, მართლაც,
ვეძებ უმანკო თვალებს,
და ვხედავ, ვხედავ ნათლად,
ყველგან გადაღლილ ქალებს...
მე კი მინდოდა მათთვის,

მუდამ ლამაზად წერა,
მწვანე გვირგვინი დაფნის,
მოუსყიდველი მზერა...
თვალს შემავლებენ უცნობს,
შემაფასებენ წამით,
ჩემში დემონი ბუდობს,
თუ მოყრანტალე ყვავი...
მართლაც, ვინა ვარ, ნეტა,
რომელ დროების მაცნე?
თუმც წვეთწვეთობით წვეთავს,
სისხლი, საფერფლეს ავსებს...
შენ კითხულობდი, ალბათ,
ქალს ანთებული მზერით,
თვალებს, რომელიც ნაბავს,
შენს შეხებაზე ვნებით...
ყველა ოცნებას ერთად,
გადაეფარა ფარდა,
აღარც გულმკერდის ფეთქვა,
აღარც სამშობლოს განცდა...

ვით ჟამთა სიავისას

უკვე ოცი წელია გვიტევს შხამით მაცილი,
ან რით ვეღარ დამთავრდა ერის შუბზე აგება...
გვიტევს გაშმაგებული ცეცხლითა და მახვილით,
იბრძვის ქართული გენის ძირში ამოსაკვეთად...
მე კი ზეცას გაკრული ისტორიას გავყურებ,
ჩემი ხალხი მარადჟამს მოყვარე მტერს ებრძოდა,
თუმცა თავის მისიას ის ყოველთვის ასრულებს,
და ამ ბოლო ბრძოლაშიც, ვფიქრობ, ძალა ეყოფა...
მაგრამ მაინც მგონია, ვით ჟამთა სიავისას,
ყველგან აღმართულია ისევ სახრჩობელები...
ვხედავ ერის დაცემას, სისხლს მოკვეთილ მკლავისას,
როგორ სვლეპენ ნასუფრალს გიენათა ენები...
არა, არა, არ მინდა, ისტორიის მსვლელობა,
შეაჩეროს დღევანდელ ჟამთა უკეთურობამ...
ჩუმად როგორ ვუმზირო, ჩემი ერის მკვლელობას,
როგორ გინდა გაუძლო, კაცმა, ამ ბითურობას!!!

ძველ ციხე–კოშკს გადარებ

რამდენ რამეს მალავენ,
შენი თვალთა გუგები...

მოდი, გამათამამე,
ნეტა, რას მებუტები...
რა მოხდება, ცოტახანს,
თავს ჩაგიდებ კალთაში...
შენს ბაგეებს მოვნახავ,
როგორც მკლავებს გადაშლი...
შენი თეთრი პერანგის
ვეფერები ნაქარგებს,
ჩემი გული შენს გულში
ყვავილივით გადავრგე...
ვაქრე, ვეღარ ჩავაქრე,
ტანი ალმოდებული,
მაინც არ მითანაგრძნე,
მგონი, მაინც მემდური...
ძველ ციხე–კოშკს გადარებ,
მრჩები აუღებელი...
ერთხელ შემომაფარე,
გახსენ მკერდის კედელი!!!

თვალს ნუ მარიდებ

ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
რა მოაქვთ ქარებს
სიცივის გარდა?
თვალს ნუ მარიდებ,
თვალს ნუ მარიდებ,
მე შენთან ყოფნა
მუდამ მიყვარდა...
შენ კარგად იცი,
რად მიკრძალავდნენ,
შენთან შეხვედრას
დრო და წამები,
ცოცხლად მკრძალავენ,
ცოცხლად მკრძალავენ,
ჩემიანებიც, შენიანებიც...
არ დაიჯერებ,
მაგრამ ასეა,
შენს მეტი მე სხვა არ მყვარებია,
და თუკი გული გასკდომაზეა,
ჩემსავით იქნებ
სხვებიც კვდებიან...
იასამანის თეთრი ყლორტი ხარ
და რომ მეგონა
მკლავზე მეწვინე,
თურმე ყვავ–ყორნებს დაუკორტნიხარ,

თურმე შენშიაც კი შემეცილნენ...
როგორ არ მინდა,
როგორ არ მინდა,
რომ შენი თავი სხვებმა გამტაცონ,
გთხოვ, გამიყვანო ამ სიზმარიდან,
არა მსურს მომკლან,
მირტყამდნენ, მძარცვონ...
მართლაც, ვინ იცის,
ხვალე რა ხდება,
დროს რას გაუგებ,
ვისი მტერია...
ან, იქნებ, შენც სულ სხვა გენატრება,
ვინც,
მართლაც,
ჩემი ფერხთა მტვერია...

უკვდავების წყალზე წავალ

აიკეცა ღამემ ფრთები,
სადღაც მთებში ჩაიკარგა,
გაქრნენ ციდან ვარსკვლავები,
ყველა, ყველა, ერთის გარდა...
ეს ხომ ჩემი ვარსკვლავია,
ვისაც მუდამ ვეყვარები,
სად არიან, სად არიან,
ნეტა, სხვები შენდარები...
ქამელეონს რა გამოლევს,
ფერს რომ იცვლის ათასგვარად,
რა გამოლევს, მითხარ, მონებს,
თავის აზრებს ვინცა მალავს...
მაინც ძებნით არ ვიღლები,
ამ მიწაზე რადგან ხარობს,
ბღუჯა–ბღუჯად ყვავილები,
ნაკადული და კლდის წყარო...
უკვდავების წყალზე წავალ,
გადავღებავ ზეცას სისხლით...
სიყვარულის მწარე წამალს,
ერთ კოცნაში არ გამიცვლი?

ბედნიერება, ოღონდ, ქალთა...

როგორ გგონია, როგორ გგონია,
ბედნიერება რა არის ქალთა?
როცა გარშემო კაცებს ომი აქვთ,

ქალი კი რჩება საკუთარ ჯავრთან...
ბედნიერება მხოლოდ კაცების,
ალბათ, კაცების მონაგონია;
მას ბრჭყალები აქვს ნაღდად მტაცებლის,
ჩვენ კი ლამაზი ვინმე გგვგონია...
ბედნიერება, ალბათ, ლომია,
ან ვეფხვი კლდეზე დაკიდებული;
არ არის მასში სხვა ჰარმონია,
ამაღლებული ან დიდებული....
ბედნიერება ეს ქვემძრომია,
ქვეწარმავალი, გომბეშო, გველი...
ან, ალბათ, მოჰგავს მახინჯ გოლიათს,
შენ კი მათ ნაცვლად ანგელოზს ელი...
მასე რომ იყოს, მასე რომ იყოს,
მაშინ ის აქეთ უნდა დაგვდევდეს...
ის კი ჩვენს ნახვას სულაც არ ფიქრობს,
ის ფიქრობს მხოლოდ თავის ქალებზე...
ამბობენ, თუ გსურს ბედნიერება,
არ უნდა გაჩნდე, ასე, უბრალოდ...
მაშ, რა გამოდის, ქვეყნიერება,
იქნება, მაგრამ, კაცთა, უქალო...

შხამი

ყველგან დაგხვდება, ყველგან, ყოველთვის,
ის ვინც გროშებზე გაყიდის ქრისტეს;
ის მომენტს უცდის და როგორც გველი,
შემოხვეული ხერხემალს გიმსხვრევს...
ის უეჭველად უნდა გამოჩნდეს,
მუდამ გაცდუნებს მისი ნიღაბი,
რომ გამოუვალ ჩიხში აღმოჩნდე,
რომ გამოსცალო შხამი ძირამდის...
ხარ ორ წყალს შუა, ხარ ორ წყალს შუა,
და ორივეში გელის დახრჩობა...
რომელში შეხვალ არა აქვს ჭკუა,
როგორც ვნებისას ქალთან წაწლობას...
არადა, ნეტა, რატომ მეგონა,
გამიმართლა და ედემს მივაგენ,
გველი თუ გყავდა ძუძუს მეგობრად,
რატომ მაშინვე არ განმიმარტე!
ახლა კი როცა ასე შევტოპე,
და ჩემი სული ხელზე დაგიდე,
ნუ გადამაქცევ, მართლაც, მეკობრედ,
გთხოვ შენი ძუკნა თვალს გამარიდე...

ყველა იმედი შეასკდა კედლებს...

ასე მგონია, გადამიკეტეს
აორტა გულს რომ სისხლით კვებავდა...
ყველა იმედი შეასკდა კედლებს,
ყველა სისხლისფრად გადაფერადდა...
და რაც ყველაზე უფრო მწარეა,
საღამო იყო იდეალური,
როცა ზეცაზე სავსე მთვარეა
და ვარსკვლავები კი მხიარული...
კარი გავუღე, კარი გავუღე,
კარი გავუღე სევდის ქარავანს...
ცაზე ღრუბელი ჰკოცნიდა ღრუბელს,
და სიხარულის ცრემლით ნამავდა...
გადამიყოლეს, გადამიყოლეს,
გადამიყოლეს შენზე ფიქრებმა...
ვერ ვუმკლავდები ამ სისხლის მორევს,
ვერაფრით, და სულ ფეხი მისხლტება...

მე ჩემი ოცნების მერნები მიმაფრენს

გთხოვ, გული გამიხსნა,
რომ აღარ დაღამდეს,
მე შენგან მჭირდება
სულ გრამი ნუგეში,
სადა ხარ, სადა ხარ,
სადა ხარ აქამდე,
მოაღწევ ჩემამდე,
თუნდ ბოლო წუთებში?
რას ნიშნავს, რას ნიშნავს,
რომ ყველა გიყვარდეს,
თან მე ხომ არაფრით
არავინ არა მგავს,
მე ჩემი ოცნების
მერნები მიმაფრენს,
სანამ ვგრძნობ, ვარსებობ
და ჟინი გადამწვავს...
არ ვიცი, არ ვიცი,
სად გადის შენი გზა...
რომელი განედით
და გრძედით ვიარო,
თუ შევცდი, ძვირფასო,
და ბედმაც შემრისხა,
შენ სხვების ნათქვამი

არ გაიზიარო...
მე არ ვარ მკითხავი
და ვერ ვჭვრეტ მომავალს,
მზე ჩადის, მზე ჩადის
და უკვე ღამდება...
არ ვიცი, არ ვიცი,
თუ რამე მოვასწარ,
რამდენი ტომია
ღვთიური ბრალდება...

ნება მომეცი

შენს გამოჩენას ისე მოველი,
როგორც თავის მსხვერპლს ველზე ველური...
როგორც ვეშაპებს ბარჯის მტყორცნელი,
წვიმას ტყეები ალმოდებული...
რა ამოვიცნო მე შენს მზერაში,
უსაფუძვლოა შენი ბრალდება,
სულიც, ვით ფული მიმოქცევაში,
ცვდება, ირყვნება და ხურდავდება...
ნება მომეცი, ნება მომეცი,
ყველა ოცნება შენში გავცვალო...
სულ ერთხელ მოვხვდე შენს სამოთხეში,
და მერე თუნდაც გაქრეს სამყარო...
და როგორც სურდეთ, ისე მიმზერდნენ,
ულამაზესი შენი თვალები...
მე გთხოვ, გამოდი, გამოიმზევე,
ვერ ვხვდები, რატომ არ მეკარები...

მე შენი გულისთვის შევიცვლი თარიღებს

არ მინდა, რომ შენში ვხედავდე სინათლეს,
არ მინდა, არ მინდა, არ მინდა, არ მინდა...
მე შენმა მზერებმა კედელზე მიმაკრეს,
ჩემს ცოდვებს, რომელზეც ეშმაკი ჯღაბნიდა...
შენ კი ვით ფანტელი, სითეთრის სიმბოლო,
მოფრინავ, მოფრინავ, მოფრინავ ზეციდან...
ითოვოს, ითოვოს, ითოვოს, ითოვოს,
მთელი დღე და ღამეც ითოვოს, მეც მინდა...
ვიღაცა მოვა და კედლიდან ჩამომხსნის,
და მერე უაზროდ ჩამხედავს თვალებში...
რა მომდის, რა მომდის, არ ვიცი, რა მომდის,
არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი, რას მერჩი...
წამოხვალ? მთვარეზე ორ საგზურს ავიღებ,

ჩამოვსხდეთ ქიმზე და ვიამბოთ ჭორები,
მე შენი გულისთვის შევიცვლი თარიღებს,
და თუ გსურს, დღეიდან ვიქნებით ტოლები...
და თუკი ეს მიწა ნამდვილად მრგვალია,
მთვარიდან ვუმზიროთ თუ როგორ მიგორავს...
დილას მზემ ბოღმისგან იმდენი დალია,
ქარს ხელით ეჭირა და ცისკენ მიჰქონდა...

თანუნა თაას

სად, რომელ ზღვაში დაცურავ,
სად გიპოვია ხომალდი,
ალბათ, მთვარე გაქვს სასთუმლად,
ჩვენს მხარეს ჩამოქროლამდი...
მგონი ნატვრის ხედ ვიქეცი,
ავსებული ვარ ძონძებით,
სადა ხარ, რომელ ციხეში,
მითხარი, ყველგან მოგძებნი...
რომელ ხიდებზე გადიხარ,
რომელ მზეს ეპოტინები...
თუთა ხარ, ნაყოფს დაისხამ,
რომ ჩავატანო თითები...
ქვეყნად რამდენი რამ ხდება,
ჩვენ კი ვერაფერს ვგებულობთ,
შენი ნატვრებიც ახდება,
ჩემო ყველაზე ერთგულო...

მე ველოდები ისევ იმ ქარებს

როცა ჩაივლის, როცა ჩაივლის,
ეს ქარიშხლებიც ასე მძაფრები...
ცა, გავსებული დენთის აირით.,
მიწა შხამით და მავთულხლართებით....
იმდენი რამე დაგროვდა გულში,
ერთად გაგლიჯა ყველა კედელი...
და ამოსვრილმა სისხლსა და ჭუჭყში,
კვლავ წამოდგომა როგორ შევძელი...
ვერავინ მეტყვის, ვერავინ მეტყვის,
ჩვენი დღეები საით გარბიან,
მათ სიხარული არ მოაქვთ ჩვენთვის,
და არც სახელი, ალბათ, არ ჰქვიათ...
რამდენი რამე, რამდენი რამე,
უნდა გადავდოთ, უნდა ჩავყლაპოთ,
იცი, სულს, მგონი, სისხლითა რწყავენ,

რომ ეს დღეები ვერ გადავლახოთ...
ჩამოაფარეს მზეს რკინის ფარდა
და ვეღარ აღწევს შუქი ჩვენამდე...
არადა, გახსოვს, როგორ გვიყვარდა,
როგორ გვიყვარდა, სულის შეძვრამდე...
მე ველოდები ისევ იმ ქარებს,
ერთ დროს რომ ქროდნენ, ლაღად, მსუბუქად...
ჰო, ველი მასაც, ვინც შემიყვარებს,
თუ ტვინი ვინმეს გადაუბრუნდა...

ნუ დამაბრალებ

ნუ გამცვლი სხვაში, ნუ გამცვლი სხვაში,
ისეც უაზრო ხდება ცხოვრება...
ისეც ყველაფერს ჰქვია მირაჟი,
ყველაფერს, რაც კი რამე მოხდება...
ნუ, ნუ ასრულებ, ნურცერთ ბრძანებას,
არა აქვს აზრი არავითარი,
დრო გავა, მერე დაგენანება,
ყველა სურვილი და ნაფიქრალი...
ახლა კი, ახლა, მხოლოდ ბღალავენ,
ღირსებას, შენ რომ დაატარებდი,
ყველა გაზაფხულს დაგიმალავენ,
თუ დაყრი ფარ–ხმალს, თუკი დანებდი...
ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რომ უბრძოლველად დავთმე ყოველი...
მე სიყვარული შენში გავცვალე,
გავხდი ერთგული და მახლობელი...

განა რა მინდა

განა რა მინდა, განა რა მინდა,
მიუსაფრობის არ მქონდეს განცდა...
რომ ყოველივე აღსდგეს ხვალიდან,
და იმედებიც გამოჩნდეს ნათლად...
შენ ქმნი საუნჯეს, შენ ქმნი საუნჯეს,
რასაც ათასი ღამე სჭირდება,
და ინარჩუნებ იმ სითათუთეს,
რაც მოახერხეს თლილმა თითებმა...
შენთვის არც დღეა და არც ღამეა,
შენ საჩუქრებით ვერ გაცდუნებენ,
თუმც, შენს საუნჯეს ვინც მოვალეა
სწორედ ისინი ანადგურებენ!!!
რაა ცხოვრება თუ სილამაზეს,

შემოუჭირეს რკინის ხუნდები,
ძვირფასო, თუმცა, ბევრჯერ დამსაჯეს,
ვკვდები და მაინც უკან ვბრუნდები!!!

რადგან ამყარა ჟამმა აბჯარი

მე ვერ ჩავები ამ დიდ ბრძოლაში,
რადგან ამყარა ჟამმა აბჯარი...
თუმცა შემომრჩა, თითქოს, ხსოვნაში,
ის რაც შევძელი და მოვასწარი...
ჩემი ძვირფასი ფიქრის ყულაბა,
სავსეა, უკვე უნდა გავტეხო,
სიგიჟემ თავი გამოულაყა
და მეც, ვინ იცის, რა დამატეხოს...
როცა მართლაც ხარ ზღვართან მისული,
და თითქოს თავზე გადგას ჯალათი...
ამომაგლიჯეს მკერდიდან სული,
და მიკლავს იმედს დრო მუხანათი...

სანამ ისწავლი

თქვენ ქალბატონო, მგონი, გიყვარდით,
თუმცა, რის გამო, ეს ვერ ავხსენი...
თუ სიყვარულმა იცის ინფარქტი,
დამემართა და შენ გამახსენდი...
მართლა, ბევრი კი არა მიკლია,
გნახავ, გაჩნდება გულზე ნაპრალი,
უარესებიც გამომიცდია,
შენ მე სიყვარულს როგორ მასწავლი...
ან რა გიშველით ამდენ ლამაზებს,
როცა დაკარგა ეშხმა ფაზანდა,
თუ მართლაც გინდა, შემოგთავაზებ,
სამიოდ კოცნას, ისე, ავანსად...
ვერ დავიჯერებ, ვერ დავიჯერებ,
რომ თურმე კოცნის გემო არ იცი,
აი, რეცეპტი გამოგიწერე,
სანამ ისწავლი, მანამ დაგიცდი...

ვინ იცის

გთხოვ, ასე მკაცრად ნუ შემაფასებ,
გული შუაზე მაქვს გახლეჩილი,
მე მონად ვყავარ შენს სილამაზეს,
რა ვარ მე მასთან, უბრალო ჩრჩილი...

ჩრჩილი, რომელმაც საკუთარ მკერდში,
თავისი გული ამოიჭამა,
და ამ უაზრო როლებში შეჭრილს,
ცამ შენი თავი გამომიგზავნა...
რა ნათელია, რა ნათელია,
შენი თვალები ასე მდიდარი,
თუმც, მიკვირს ასე რატომ ფრთხებიან,
შენი ტუჩები გაუცინარი...
ძვირფასო, ველი მე შენს მოკითხვებს,
მე დაცლილი ვარ, როგორც მასრები;
და ვიცი, ბედიც სულ სხვას მომიგდებს,
რომ მის დაცინვებს მე ვერ ავცდები...
ჰო, აღარაფრის არა მრცხვენია,
მე შენი ხელის ვარ მათხოვარი...
იცი, ცხოვრება ისე ჭრელია,
ვინ იცის, დარჩე გასათხოვარი...

მე ამირანი უნდა დავიხსნა

ისე, მართლაცდა, გასაკვირია?
ჩემი მეგონოს მთელი სამყარო...
მე ქარიშხლები მკერდზე მივლიან,
ცეცხლი ვარ, ხშირად კიდეც ვხანძარობ!!
წინ გავირეკავ ჯანღებს და ნისლებს,
მწვერვალებისკენ მინდა დავიძრათ,
მართლაც, ვერავინ ვერ გადამისწრებს,
მე ამირანი უნდა დავიხსნა...
ჩემსკენ, ორბებო, ჩემსკენ სვავებო,
გადავაშავოთ ცა ნაღვლისფერი,
ვის უნდა ზეცა უვარსკვლავებო,
ან პატარძლები ასე შიშველი...
მართლაც, ვისია, მითხარ, ეს მიწა,
ქალები ასე უღვთოდ ლამაზი,
აქ დაბადება თუკი მეღირსა,
იუდას ნაკოცნ ვერცხლზე რად გავცვლი...
წამოდი, ერთად მოვიქარიშხლოთ,
უფსკრულები და კლდეთა ტინები...
ცოდვის სამყარო ფეხქვეშ გავიგოთ,
ვლეწოთ ჯალათთა ხელბორკილები!!!

სიცოცხლე ყველგან

რას ელი ჩემგან, რას ელი ჩემგან,
სამყარო სუნთქავს ყველა ფერებით...

სიცოცხლე ყველგან, სიცოცხლე ყველგან,
ცაზე გედების გადაფრენები...
მუდამ ეძებდნენ, მუდამ ღელავდნენ,
გაბრწყინებული შენი თვალები...
სიტკბოთი სავსე იყო ყელამდე,
ვით ზღვები მზეზე ნაკამკამები...
როგორც ხვდებიან რიჟრაჟს ყიჟინით,
გაშლილ ყვავილთა ჭრელი ფურცლები...
ვით მოლივლივე დილის მზის სხივი,
ვით ია ნამით ნასათუთები...
მოდიხარ, მწყურვალ ველებს აცოცხლებ,
თავთავის ყანებს მოაღიმილებ...
მუდამ ასეთი მინდა მახსოვდე,
მუდამ ასეთი იყავ, ჭირიმე!!!

აღარ გაწუხებ

აღარ გაწუხებ აღარც სიზმრებში,
ცხადში ხომ შენი ნახვაც ავკრძალე,
ძველი წყლულივით გამიმიზეზდი
ფეხქვეშ კი მიწა გამომაცალე...
არა მწყენია, არა მწყენია,
ვერსად რომ ადგილს ვერა ვპოულობ,
ან კაცმა რომ თქვას რა დამრჩენია,
აქ მე უსულოდ და უსხეულოდ...
ჯვარი დამწერე, ჯვარი დამწერე,
მინდა ზეცისკენ ფრენა გავბედო,
გთხოვ, შენი ფრთებიც შემომაშველე,
შენი წყლულები თუ გადამედო...
მივდივარ, ვახრჩობ, გზა–გზა იმედებს,
მითანაგრძნობენ სევდის ქარები,
ნუ გამიმეტებ, ნუ გამიმეტებ,
თუ სასიკვდილო ომში ჩავები...
მინდა გავუძლო, მინდა გავუძლო,
მშვიდად რომ მძარცვავს ამაოება,
თუმცა, ძვირფასო, შენთან ვსაუბრობ,
ამღვრეულია ჩემი გონება...
დაველოდები, დაველოდები,
თუ დამლოცავენ შენი თვალები,
და ამ ომებში თუკი მოვკვდები,
შენ მიმაცილე, გთხოვ, სამარემდის...

გაუშვი

გაუშვი, თესონ იების ნაცვლად,
ვისაც სურთ, ყველამ სარეველები...
ჩვენ კი, ვისაც დღეს არ გაგვიმართლა,
და გაფრენილან ჩვენი მერნები...
ხელს ნუ ჩავიქნევთ, ხელს ნუ ჩავიქნევთ,
მზე ყოველ დილას ამოდის ცაზე,
ნუ დამავიწყებ, ნუ დამავიწყებ,
შენი ვნებებით დანთებულ ხანძრებს...
გაუშვი, მართლაც, სხვებმა იტირონ,
იმ ღამეების ნოსტალგიაზე,
და წეროებმაც გადაიფრინონ,
მთვარის ცრემლებით გავსებულ ცაზე...
შენ ხომ გიყვარდი, შენ ხომ გიყვარდი,
შენ ხომ ათასგზის მიმეორებდი...
როცა მზესავით ასფრად ბრწყინავდი,
და მეც ვეფხვივით მქონდა ზოლები...
ჰოდა, ძვირფასო, სხვებმა იკითხონ,
რა ელით, ტკბობა თუ გრიგალები...
შენ კი ერთსა გთხოვ, არ დამივიწყო,
არც მაშინ, როცა სხვას ეყვარები...

რას დავაბრალო

ვიცი, ვერ ხვდები ვინა ხარ ჩემთვის,
ენაში სიტყვა ვერ გამოვძებნე,
ერთს კი ვიტყოდი, რომ მე ვარ სხვერპლი,
და ნამდვილ ხაფანგს რომ წამოვედე...
დავიჯერებდი, ვინმეს რომ ეთქვა,
ამ სიყვარულზე რაიმე გაკვრით,
მინდოდა მხოლოდ სული მომეთქვა,
მე კი ვნებათა მორევში ჩავხტი...
ახლა ვფიქრობ და, მართლაც, არ ვიცი,
რას დავაბრალო, ვის დავაბრალო,
რატომ მიყვარხარ, სილამაზისთვის?
ლამაზებს მიაქვთ ლამის სამყარო...
არ მინატრია, არ მინატრია,
არ მინატრია მე ჯერ ამდენი,
სხეულზე შენი კვალი მატყვია,
მაბიჯებ, მე კი არც გედარდები...
ვიცი, რომ ჩვენ დროს სულ სხვა რამ ჰქვია,
რომ ყოველივე წარსულს ჩაბარდა...
რომ კოცნა–პროშნას ბაღები მიაქვს,
რომ სიყვარული მაგრად გაბანძდა.
ნუ იყურები, ნუ იყურები,
ნუ იყურები, მე გთხოვ, სხვა მხარეს...

მე ხომ ჩემს გზაზე წავალ, თუ მეტყვი,
და აღარავის არ შევიყვარებ...

ვერ გადავერთე

ვერ გადავერთე, ვერ გადავერთე,
დღეს ვერაფერზე ვერ გადავერთე,
არ ვიცი, იქნებ, მართლაც, გაღმერთებ,
ან სულ ცოტათი გადავამეტე...
თუმც, ბედი უნდა, ალბათ, ყველაფერს,
გადამიწია საღამომ ფარდა,
ცა იყო სევდით სავსე ყელამდე,
და აცრემლებულ სალამურს ჰგავდა...
მითხარი, ნეტა, რა საჭიროა,
რა საჭიროა, ჩემი გამოცდა...
ჩემი ფიქრები უნაპიროა,
სწვდება ცის კიდეს და მიდის შორსაც...
მე ხომ ღრუბლებთან ერთად მივცურავ,
და არ არსებობს ჩემთვის საზღვრები...
ხან სეტყვას ვებრძვი, ხან გამიზნულად,
ელვის ან მეხის ვხდები ტანდემი!!!
ნეტავი, ასე რად იცინიან,
ვის დასცინიან შენი ტუჩები,
თუ გსურს გასწავლი ისეთ ჟინიან
კოცნას, რომ იმწამს გამიყუჩდები!!!!
მაგრამ ჯერ მინდა გადავიკარგო,
ჯერ დუელი მაქვს მე შენს ქარებთან,
მინდა მინატრო, მინდა მინატრო,
და ხვევნით მომკლან შენმა მკლავებმა...

რატომ მგონია

არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ საქართველოს გული გაცივდა,
რომ სიყვარული სულ შემოაცვდა,
რომ ვეფხვის ბეწვიც სულმთლად გასცვივდა...
რომ შეულეწეს მკერდი პრომეთეს,
და კავკასიონს ძარცვავს ქარები,
რომ აღარ დარჩა ერთი მოკეთეც,
რომ დამღებივით ღრღნიან ბზარები...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
ჟამმა რაც უნდა ავი მიაგოს,
მას უარესი წლებიც ჰქონია,
მაგრამ გაუძლო ყველა იაგოს!

მოყვარე მტერი სულ იმუქრება,
რომ საბოლოოდ ჩაგვცეს მახვილი...
და ავიწყდება, რომ შურისგება,
არავინ იცის ჩემი ხალხივით!!!

სულ არ მინდა

სულ არ მინდა, სულ არა მსურს,
რომ ჩემს ლექსებს ქარს ვატანდე,
ქარს ვატანდე ჩემს სიყვარულს,
და სურვილებს გულში ვკლავდე...
მე, პირიქით, მაგრად მინდა,
ვარსკლავს ჰგავდე მოელვარეს,
და მაგ შენი ვარსკვლავიდან,
აგზავნიდე ჩემთან ალერსს...
ბევრსა ვფიქრობ, რაა ნიჭი,
ალბათ, გათვლა სიყვარულზე,
მე უშენოდ ისე მიჭირს,
მოდი, ტკბილო, მისასთუმლე!

ამირანია? გავძახი კლდეებს... (გალაკტიონი)

ასე მგონია რომ ცოტა დრო მაქვს,
რაღაც უცნაურ სულისკვეთებით,
ჩემსკენ დაძრულა მკვლელების ხროვა,
არბალეტებით და ხელკეტებით...
რომ მეთაურობს ამ მკვლელთა ბანდას,
ვიღაც დოქტორი შავი მაგიის,
და მოაგელვებს თავის ესკადრას,
ლუციფერივით, თითქოს, დაცინვით...
ივსება მიწა მკვდართა ცხედრებით,
ასავსავებენ სისხლიან ტუჩებს...
ნაცრისფერ კვამლით ხრჩოლავენ გზები,
და ეშმაკები ჩხრეკავენ ქუჩებს...
შორეულ ბანზე ვიღაც გადმოდგა,
ჩემიანია? გავძახე სივრცეს,
შენი მკვლელია, სივრცეს აღმოხდა,
გამოხუნებულ პერანგზე გიცნეს...
მარტო ვარ, ჩემს წინ შეჩერდა ხროვა,
ცხენის ჭიხვინმა გაჰკვეთა არე,
თუ სიკვდილია თავისით მოვა,
მოვა და ცივად დარეკავს ზარებს...
ზეცაში ხმები მართლაც გაისმა,
ყური მივუგდე სულ სხვა ხმებია,

ეს ღამე მოკლა თურმე აისმა,
მე კი მკვლელები დამსიზმრებია.

ყველაფერი შედეგია

ვგრძნობ თანდათან როგორ ვკარგავ,
ვკარგავ სურვილს, ვკარგავ სახეს...
დილიდანვე რატომ ამყვა,
შენზე ფიქრი, ეჭვით სავსე...
რომ სხვადასხვა მხარეს ვდგავართ,
ბარიკადი რასაც ჰქვია...
რომ მწვერვალზე სანამ ავალთ,
მანამ მოგვკლავს, ალბათ, ტყვია...
არა, არა, იქნებ, სულ სხვა,
იქნებ სულ სხვა რამეს ვდარდობ,
ძაფს გაწყვეტილს ჩემს წარსულთან,
აზრს, ვერავის რომ ვერ ვანდობ!!!
დაუცლიათ, დაუცლიათ,
ჩვენი ბროლის სასმისები,
სიყვარულში გაუცვლიათ
ტიტები და ნარცისები...
მე კი ფიქრსაც არვინ მაცლის,
სულ ფეხებში მედებიან,
ალბათ, მართლაც, ცხოვრებაში
ყველაფერი შედეგია...
მიკრძალავენ, მიკრძალავენ,
შენს მხარეზე გამოხედვას...
შენი კოცნით მოვიწამლე,
ხომ არ იცი რა მოჰყვება?

ნუ მელოდები

ნუ მელოდები, ნუ მელოდები,
ნუ მელოდები საქართველოში...
ნურც ანგელოზი ნუ გეგონები,
შენ რომ მოელი თეთრად შემოსილს...
ისიც არ ვიცი, მეპატიება?
შენთან შეხვედრა სულ უნებური,
დღეები დღეებს ისე მიება,
თითქოს ეშმაკებს ჰქონდეთ ფერხული...
ან როგორ ხდება, შენ ხომ ვერ მეტყვი,
თალხი რად ჭარბობს დღის სინათლეში?
რად მიაკარგა მზემ თავის ეტლი,
სად, ვის მივაგნო ამ ცივ ღამეში...

მითხარი, მკაცრად, ნუ გენანები,
დღეს სიძულვილი არავის უკვირს,
მეც მან ჩამავლო თავის ბრჭყალები,
და მოსანათლად მიმათრევს ჭუჭყში...
როგორ არა ვთქვა, როგორ არა ვთქვა,
რომ მე ჩირაღდნებს ვანთებდი თქვენთვის...
რომ არ მიმიღო მე ამ ქალაქმა,
რომ მეც გამცვალა იუდას ვერცხლში...

აქ მინდა მყავდე

ნეტა, სად არის, ნეტა, სად არის,
ვინც ახლა მინდა რომ ჩემთან იყოს...
თუნდაც პატარა თოჯინასავით,
გადაწვენისას დედას რომ ითხოვს...
ყველა დღე რაღაც სიმშვიდეს მტაცებს,
და მღელვარებას მმატებს წვეთობით...
აქ მინდა მყავდე, აქ მინდა მყავდე,
თორემ მოვკვდები უიმედობით...
ბევრი ვეცადე, ბევრი ვეცადე,
ვერ ავიცილე დანაშაული,
გაზაფხულივით გამომეცხადე,
ვით განაჩენი და სასწაული...
ვერ დაგპირდები, ვერ დაგპირდები,
ვერ დაგპირდები წითელ ხალიჩას,
გადამწვარია ჩემი მინდვრები,
და შენი სახეც მზემ ამახლიჩა...
ნეტა, სადა ხარ, ნეტა, სადა ხარ,
ზღვებზე ხომალდებს არყევს შტორმები...
მთვარემ ეს ბოლო ღამეც დამარხა,
ნაპირს ვტოვებ და გემშვიდობები...

გადავაგოროთ, მოდით, ომის დრო...

მე, ალბათ, ბევრის მჭირდება ხელი,
ბევრისგან მინდა მომეცეს ძალა,
მინდა ვიხილო ქვეყანა მთელი,
ქვეყანა მთელი და ოქროს ხანა...
მითხარი, თუკი ტვინი ჩემია,
როგორ მპარავენ, ნეტა, ოცნებებს,
სადღაც ჯურღმულში რატომ სტენიან,
ჩემს ამ საოცარ გასხივოსნებებს...
რაც იყოს, იყოს, გულიდან ვიგლეჯ,

ყველა ბალღამს და უიმედობას,
ყველა მტერს დღესვე შემოვირიგებ,
ყველას მივიღებ ძმად და მეგობრად...
ხანას თუ ვერა, ხანას თუ ვერა,
ოქროს წუთებს ხომ მაინც მოვიწყობთ,
ძმობის ხელს გიწვდით, ყველას, სულ ყველას,
გადავაგოროთ, მოდით, ომის დრო...

"აქ შემსვლელებმა იმედები დატოვეთ გარეთ!" დანტე ალიგიერი – წარწერა ჯოჯოხეთის კარიბჭეზე.

ნუ განმასხვავებ ნურავისაგან,
მე გთხოვ, ნურაფრით ნუ განმასხვავებ,
სულში იუდა თუ ჩამისახლდა,
ნუ მომკლავ და ნუ გადამასახლებ...
ისიც მეყოფა, ისიც მეყოფა,
წვეთი წყალივით რომ სხვებსა ვგავარ,
მეც ორეული გადამეღობა
და ზეცის ნაცვლად დაბლა ჩავყავარ...
ნუ მესარჩლები, ნუ მესარჩლები,
გამოსარჩლების მე რა ღირსი ვარ,
ჩამწვარა ყველა ჩემი სანთლები,
და ჯოჯოხეთის ჭერზე ვკიდივარ...
მე კი არა და, დასახსნელია,
ჩემამდე, ალბათ, ყველა, უკლებლივ;
წვანან, თავის რიგს წლობით ელიან,
წლობით და გადის საუკუნენი...
ნუ მომაკითხავ, რადგან იმედებს,
აქ შემსვლელები გარეთ ტოვებენ;
შენ, სამოთხეში არ მიგიღებენ,
რაც გავჩნდი, ამას მიმეორებენ...

თუ გიყვარდე

იმ ცასა და ამ ცას შორის,
ორი წუთის მანძილია,
შენც მიყვარდი, სხვათაშორის,
მერე, რა, რომ ჩავლილია...
თუ გიყვარდე, მაგ სუფრიდან,
ერთი კოცნა გადმომიღე...
მინდა, მინდა, მართლა, მინდა,
შენ რომ ჩემთან გადმოხვიდე...
მკლავი მკლავმა ჩაიხვიოს,

გაანათოს გული გულმა,
და თვალები აგვიხვიოს,
რა თქმა უნდა, სიყვარულმა...

ცა ახელს თვალებს

რატომ მივდივართ სხვადასხვა მხარეს,
ალბათ, რადგანაც გზები იყოფა;
ცა ახელს თვალებს, ცა ახელს თვალებს,
მზემ ვარსკვლავეთი შემომიღობა...
ამ მოწკრიალე მნათობთა შორის,
დაფარფატებენ ღამის პეპლები,
და მახსოვს, მახსოვს შენი ამბორი,
ცხელი ტუჩების ოდნავ შეხებით...
ვისი ბრალია, ვისი ბრალია,
გზები სხვადასხვა მხარეს მიდიან...
ამბორი? ალბათ, ნაპერწკალია,
მე და შენ ცეცხლად რომ გაგვიღვივდა...

მოსპეს ირმები

ბანალურია, მეც სხვებივით დავიწყო წერა,
შენ საქართველოვ, გახლეჩილო, და ამგვარები...
მართლაც, დასრულდა ყველაფერი, მოახრჩეს რწმენა,
მოსპეს ირმები და გადარჩნენ მხოლოდ დათვები...
ვიცი, ნათქვამზე ბევრი ვინმე შემედავება,
რომ ჯერ წინაა, სისხლიანი ჟამი ომების,
ხელის ჩაქნევა, რომ არაფრით არ მეკადრება,
რომ ჯერაც გვყვანან ვაჟკაცები, ლომთა–ლომები...
მაგრამ ეს ლომი თუკი რკინის გალიაშია,
მინახავს, როგორ აშინებენ ხელის აქნევით,
კაცმა ქვეყანა სასაკლაოდ გადააქცია,
და თავს შველიან ქართველები მხოლოდ გაქცევით...

რა გადაგვარჩენს? (მაკა მეტრეველს)

რა გადაგვარჩენს?
ბევრი რამე, არ შეგაშინოს,
ამ ბოროტ დღეთა უგემურმა უამინდობამ...
ასე ყოფილა,
თურმე, როცა ყვავი არწივობს,
და არწივები მათში ძნელად ამოიცნობა...
რა გადაგვარჩენს?
სილამაზე შენში რომ ელავს,

როგორც გედების გადაფრენა მოწმენდილ ცაზე,
ნუ წუხ, ძვირფასო,
შეგიძლია ახარო ყველას,
რომ ლხინში თასი
ღვინითაა ყელამდე სავსე!
რომ ხერხემალში გადატეხვა ჩვენი ძნელია,
რომ ყველა მტერმა წაიტეხა ჩვენთან კისერი,
რომ სიყვარულზე ჩვენში ჯერაც გულით მღერიან,
რომ მეფეები
სხვებსაცა ჰყავთ ჩვენზე შიშველი...
ჰოდა, დამიჯექ სუფრის თავში,
მინდა დაგლოცო,
რომ ამ თასივით დაგეცალოს მტერი ვერაგი...
ხელი ვერავინ ჩვენს მიწა–წყალს ვერ შეახოცოს,
რომ ყველგან დახვდეს
მას ირაკლის ჯაჭვის პერანგი!!!

რად მომანატრე თავი (ირმა აგიბას)

რად მომანატრე თავი,
სხვებთან აჰყევი ჭორებს,
მხოლოდ მოკითხვას ვგზავნი,
გადახვეწილო შორეთს...
რით ვერ გამოჩნდა ვინმე,
გადასდებოდა ცეცხლი,
შენ რომ გონებას გიბნევს,
ჩაფიქრებულს და შეცვლილს...
ყველას ჩვენ–ჩვენი გზა გვაქვს,
არ ვიხედებით გვერდზე,
მე თავი ჩემით გამაქვს,
და მეფიქრება შენზე...

რეკავს ზარები

უცნაურ ხმაზე რეკავს ზარები,
ვის მოუხმობენ, რას მაუწყებენ;
რომელ დროებებს ნაზიარებნი,
ვის უგზავნიან ღმერთის უწყებებს...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ ამ ზარების გაბზარულ ხმაზე,
ოდესღაც ათას დევს თუ გოლიათს,
უხმობდნენ ომის სისხლიან გზაზე...
ომი ომია, მაგრამ ვინ იცის,
ქორწილის დროსაც რეკდნენ ზარები,

და გადიოდა ბედის ბილიკი,
კლდეზე, რომელსაც ჰქონდა ბზარები...
ჩვენ ყველას, ყველას ერთი ბედი გვაქვს,
კავკასიონზე მიჯაჭვულების,
რით ვერ გვეღირსა, რით ვერ გვეღირსა,
ამაყად ძგერდეს ჩვენი გულები!!!

ნეტა არ გეთქვა

ნეტა, არ გეთქვა, ნეტა, არ გეთქვა,
ვისი ცოლი ხარ, ვისი ერთგული...
მეგონა ტვინში სისხლი ჩამექცა,
ბოლო დღეებში დაგუბებული.
რას ვაშავებდი, ლექსებს გიწერდი,
ვითომ მიყვარდი, ვითომ ვდნებოდი...
ბარტყივით ბაგეს რატომ მიღებდი,
სიყვარულს რაღას მეფიცებოდი...
კი, ვიცი, შენთვის რომ ადვილია,
გადაერთვები ათას რამეზე...
ცას გაჰკივიან, ცას გაჰკივიან,
კვირიონები ტრფობის ჰანგებზე...
წავედი, იმათ შევუერთდები...
მაინც მიყვარდა ცაში ნავარდი...
როგორ ვერ ხვდები, როგორ ვერ ხვდები,
რა საოცარი გრძნობა წამართვი...

ჩვენ კი ვინა ვართ

ვის შერჩა გული ამ ქვეყანაში,
ალბათ, ერთი–ორს, იქნებ, არც იმათ...
ვინც ქარი სთესა თავის ყანაში,
იმკის ქარიშხალს, სეტყვას და გრიგალს...
ჩვენ კი, ვინა ვართ, აღარც ეს ვიცით,
ვუმზერთ სულელურ, ცოდვილ სახეებს,
ამოთხვრილები ყელამდე სისხლში,
ჩვენ, აბა, როგორ შეგვაფასებენ!!!

ბედმა გაგვყარა

ბედმა გაგვყარა, ბედმა გაგვყარა,
მაგრამ ვერაფრით რომ ვერ გეშვები?
შენსკენ მოვიწევ ისე აშკარად,
როგორც აფრიკულ სპილოს ეშვები...

რა არის ჯიში, რა არის სისხლი,
სად არ იპოვის თავის ახლობელს...
გადამივიწყე, მე არ დაგიშლი,
თუ საქართველო დაგიმახსოვრებს...
ვწვები, წარსულის საბანს ვიხურავ,
ღია დავტოვე ისევ სარკმლები,
ყველამ კარები გამომიხურა,
ნუთუ, აღარც შენ ჩამისახლდები...
არ ვემზადები მე სამომავლოდ,
გამოცვლილი მაქვს მაგის კბილები...
ჩემს გამოფატრულ აწმყოს ვქომაგობ,
თუმც, ვიცი, მაგრად ვესიკვდილები...
ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
საკუთარ ტყავზე მინდა ვიწვნიო...
მიწის ტკივილი გავითავისე,
მაშ, სხვამ აკვანი რად დამირწიოს...
არ მინდა ვენდო, არ მინდა ვენდო,
ტოლერანტობას ვინც დამკიჟინებს,
სხვისგან იმდენი რამ გადამედო,
თავი ვერაფრით ვერ დავიძვრინე...
მართლაც, ვინ აღარ შემომიყარეს,
ვერ ვცნობ ნაცნობებს, ვერ ვცნობ ახლობლებს,
ცოტაც და ალბათ ისე ვიბღავლებ,
ზეცაში ღმერთსაც კი შეაშფოთებს...

ალბათ

შენ არ გინახავს, შუა ზამთარში,
სულში ყველაზე მეტად რომ ყინავს,
გაგეღვიძება თავშესაფარში,
დიახ, რადგანაც აღარ გაქვს ბინა...
გაგეღვიძება და სარკმელს იქით,
ნახავ პეიჟასს უულამაზესსს,
მინდვრებს მოხატულს უთეთრეს ფიფქით,
ქალწულებივით დაბარდნილ ნაძვებს...
წამსვე გაგივლის ყველა ტკივილი,
თითქოს მსუბუქი ხდება ჰაერი,
თავს გრძნობ ზეცაში აფრენილივით,
ხარ ბედნიერი და საყვარელი...

ყველგან შენი ციხის კედლებია

რაღაც იმპულსური შთაგონებით,
იცი, შენზე მქონდა გარეკილი...

ზღვაში ჩამავალ მზეს მაგონებდი,
ჩემი კონცხი იყავ დამეწყრილი...
დღემდე მაინც შენსკენ მეწევიან,
ყველა ხვეულები ფანტაზიის,
ყველგან შენი ციხის კედლებია,
თუმცა, ვისჯებოდი არაფრისთვის...
ისევ უცნაურად ანათებენ,
ჩემსკენ მოდრეიფე მედუზები,
ვიცი, ყველა შენ რომ გამართლებენ,
გახდნენ ახლა შენი ერთგულები...
ყველგან ეშმაკების ტაძრებია,
თითქოს, საიქიო არ ჰყოფნიდეთ,
მე კი სიყვარული დამკლებია,
ჰოდა, შენთან მინდა გადმოვიდე...

რა გაეწყობა

შენ, ალბათ, ჩემში დასაყრდენს ეძებ,
მე შენში ვეძებ რატომღაც ჩემ თავს...
და როცა, თითქოს, გავფანტავ ეჭვებს,
ახალი ეჭვი მოვა და შემჭამს...
შემოიხედე, შემოიხედე,
ჩემს სულში დღემდე დაძრწის ქარები,
მე ვაგროვებდი შენთვის იმედებს,
სადაც მთებია და ნაკრძალები...
მე ვაგროვებდი შენთვის სურვილებს,
და ღამღამობით სანთლებს ვანთებდი,
და მინდა, მინდა, რომ გავუფრთხილდე,
სიყვარულს ზურგით რომ მოვათრევდი...
ახლა კი რადგან ბედის ზარები,
სიკეთის ნაცვლად იმუქრებიან,
და იმედებიც ნაწანწალები,
ცრემლებს ღვრიან და იფუფქებიან...
შენ მაპატიე, ყველა შეცდომა,
გზად უნებურად რასაც ვუშვებდი,
რა გაეწყობა, რა გაეწყობა,
ახლა, რომც ვცადო, არ მოტყუვდები!!!

რა ვუპასუხო

მგონი ცხრაასჯერ ავიდგი ფეხი,
და სიარული კი ვერ ვისწავლე,
ჩემს ფეხისგულებს ყინვით დახეთქილს,
ვერ ვუპატრონე, ვერ შევიცვალე...

სამდურავს შენ რომ თვალებით ამბობ,
რა ვუპასუხო, რით გავაჩუმო,
მე ხომ ტკივილი გულს მიკლავს ამ დროს,
სიმწრით კი ლამის ზღვა გადავცურო...
სამეფო დარბაზს ოქროს ჭაღები,
აჩირაღდნებენ, აკაშკაშებენ,
ვერცხლისფერ ორკესტრს რიტმში აჰყვები,
და ვარსკვლავები თვალს მოგტაცებენ...
რამდენი რამე ვერ ამიხსნია,
ამ დილით ისევ ფოცხვერს მოჰგავდი,
ძვირფასო, იცი, ტუჩზე სისხლი გაქვს,
თუ ნებას მომცემ აგილოკავდი...
არ მჯერა თითქოს თვალსა ხუჭავდე,
ნაკლზე, რომელიც ნაკლი არც კია...
შენი ეჭვები მე დამღუპავენ,
შენი უარი შუბლზე მატყვია...

შროშანს ჰგავხარ

შროშანს ჰგავხარ, შროშანს ჰგავხარ,
ნაკადულში სველი თმებით...
მკერდში ალი ჩამისახლდა,
სულსა სწიწკნის გამწარებით...
გელოდები, გელოდები,
რომ ამოხვალ მალე წყლიდან,
რომ მშიერი შენი მგლები,
ცეცხლსა ჰყრიან თვალებიდან...
რამდენ რამეს მპატიობდი,
რამდენ ტკივილს, რამდენ ცოდვას,
შენს სხეულზე დავდიოდი,
შენ კი სიტყვაც არ წამოგცდა...

მაინც ცოდვები მოგვიღებს ბოლოს

ნუ შეეცდები სულს წინ აღუდგე,
ნუ შეალეწავ ფრთებს უმიზეზოდ,
ნუ, ნუ დაუშლი სულს სიჭაბუკეს,
გაუშვი, როცა სურდეს იფეთქოს...
იცი, ვერაფრით ამომიხსნია,
ვინ დაუწესა სულს კანონები,
მართლაც, რამდენჯერ გამომიხსნია,
დამძიმებული სული ცოდვებით...
ისე, ყველა გზა ცოდვისკენ მიდის,
მაინც ცოდვები მოგვიღებს ბოლოს...

სხეულში ყველას ეშმაკი გვიზის
და ცდილობს სული დაიახლოვოს...
და მეც მგონია, მართლა, მგონია,
რომ სული არის უკიდეგანო,
რომ ის ვინც არღვევს ამ ჰარმონიას,
ცდილობს, როგორმე, სული შეცვალოს...
განა მე მინდა, განა მე კი მსურს,
ჩათრეული ვარ ცოდვის მორევში,
გინდა, ძვირფასო, გაჩუქებ ჩემს სულს...
ოღონდ დამტოვე, ოღონდ მომეშვი...

ბედნიერება

ასე მგონია, ვცხოვრობ სხვა დროში,
აქ კი, უბრალოდ, გადმომისროლეს,
ვერ გავერკვიე, ვის, რატომ ვკოცნი,
რატომ ვასრულებ დღემდე სხვის როლებს...
ვის სად ვხვდებოდი, ვის სად დავდევდი,
ვისთან რამდენი ყანწი დავცალე...
ვისთან ვწვებოდი, ვისთან ვათევდი,
ან ვინც მიყვარდა, ვისში გავცვალე...
მართლაც, რა არის ბედნიერება,
ვიცით კი სადაც უნდა ვეძებოთ?
როგორც ყორანი ვერ გათეთრდება,
დღემდე დავეძებ მას უშედეგოდ...
ვერ მოიხელთებ, ვერც გააჩერებ,
ძვირფასო, ყუთში დროს ვერ ჩაკეტავ...
ბედნიერების მხოლოდ ნამცეცებს
გვიყრის დრო, ალბათ, და ჩვენც მას ვკენკავთ...

როგორც ირემი

როგორც ირემი, ვარ შემართული,
დრომ ისევ ისე ცას შემატოვა,
ავაზასავით კლდის ქიმს გართხმული,
გამზადებული გადასახტომად...
სად მწვერვალები მარადიული,
გაბრწყინებულან თოვლის აფრებით,
და ჩანჩქერები თავგანწირული,
კლდეებს ესხმიან სხვა გააფთრებით...
აქ მთები იღებს ძლიერ აკორდებს,
და ყველა ღმერთი თანასწორია,
გადმოხეთქილი წყლები აცოცხლებს,
ველური ხმების ამ სიმფონიას...

შენ ხომ ვერ მეტყვი, მიწას რა შვენის,
მიწას ოდესღაც ლომთა დატორილს,
როცა მწვერვალებს ცაში გაფრენილს,
გამოაცოცხლებს ირმის ნახტომი...

ყველას არ ენდო

არის დღეები, როცა ზეციურს,
ელი სიტკბოს და გასხივოსნებას,
უსმენ მოცარტის მუსიკას ღვთიურს,
ჰანგი სხივებით რომ იმოსება...
და რეალიდან ირეალურში,
ისე გადახვალ ვერც კი გაიგებ,
დრო ბოლოს ყველას ნიღაბს ჩამოხსნის,
და ჯილდოებსაც ჩამოარიგებს...
მას ვისაც ეკლის გვირგვინი ერგო,
სხვა გვირგვინებზე არ უფიქრია...
ყველას არ ენდო, ყველას არ ენდო,
პირზე გკოცნიან და ძირს გითხრიან...
და ყოველივე თუ ნათელია,
არაფერია აქ საკამათო,
სანთლები ქრისტეს გზას გასცქერიან,
თუმც ომი გველის უშეღავათო...

მიყვარხარ

მიყვარხარ, მინდა სხვებსაც უყვარდე,
მეცილებოდნენ შენს სიყვარულში,
მე კი ამ გრძნობას რომ გავუმკლამდე,
გავრბოდე სადღაც გადაკარგულში...
გაგიჟებული, გახელებული,
ვიგებდე ომებს უთანასწოროს,
შენც ცოფშეყრილი შეყვარებული,
ჩემზე ფიქრობდე მხოლოდდამხოლოდ...
იდგე ხატის წინ სანთლებით ხელში
და ბუტბუტებდე ლოცვებს უმანკოდ,
ვმეორდებოდე მე შენს სიტყვებში,
მთვლიდე ვაჟკაცად, მთვლიდე უნაკლოდ...
მე კი მეფეთა შთამომავალი,
ქაჯთა ციხეებს ვამტვრევ–ვამსხვრევდე,
და მოვფრინავდე შენსკენ ფრთამალი
მერნებით ყოველ განთიადებზე...
მიყვარხარ, მინდა ყველამ იცოდეს,

მინდა ჩემსავით სხვებსაც უყვარდე,
მე ხელისგულზე გიდებ სიცოცხლეს,
და ვშლეგიანობ შენს პასუხამდე!!!

გახსენი გული გადაკეტილი

გახსენი შუბლი, გახსენი სახე,
გახსენი გული გადაკეტილი...
მოვა ცხოვრება ისევ სისხლსავსე,
ლამაზი, მშვიდი, სუფთა, კეთილი...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
რომ ყველაფერი ბოლოს წყალს მიაქვს...
მინდა გიშველო, მინდა გიშველო,
შენსკენ მოვყვები, ყველა განთიადს...
რაა სიკვდილი, ერთი ნაბიჯი,
ალბათ, არცა ღირს სალაპარაკოდ,
სიყვარულისთვის, სილამაზისთვის,
გნახავ და სადმე გავინავარდოთ!!!

რას მეტყვი ახალს

ყველაფერს, ალბათ, თავისი დრო აქვს,
დღეს ხსოვნას მარხავს სევდის ნამქერი...
რას მეტყვი ახალს, რას მეტყვი ახალს,
თუ აღარ ხდება აქ არაფერი...
ჰო, არასწორად შეჩერდა წამი,
ისევ რექვიემს რეკს აკორდები...
როგორც ლოყაში ცხელი ლაწანი,
მოკლულ მტრედივით მომაგონდები...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
დრომ შენც გამოგკრას მიმინოს ბრჭყალი,
და შენი, მშვიდი, თეთრი სახიდან,
გაქრეს სინაზის ყოველი კვალი...
მას ვერა ჯავშნით ვერ შეებმები,
ყველას ამარცხებს ეს მანიაკი...
და კატაფალკის შავი ცხენებით,
მოემართება ჩვენსკენ წყვდიადი...

კარის პოეტებს

ის რაც დღეს ხდება, რაც სულს აშფოთებს,
თითქოს სხეულზე ტოვებს ნაჭდევებს,
მერჩია სულაც სული არ მქონდეს,
რადგან სულშიაც შემოაღწევენ...

როდემდე გასტანს, როდემდე გასტანს,
ეს უგუნური ვაკხანალია,
თითქოს გამაკრეს ბეჭებით ტატამს,
სული ტირის და მტერს უხარია...
ვიცი, შენ ერთი მაინც გამიგებ,
რად შევეხიზნე ამ ცივ უდაბნოს,
ძვირფასო, სული ამომარიდეს,
ბულბული ვარ და მკვლელებს ვუგალობ...
იქნებ როგორმე, იქნებ როგორმე,
გველივით ქერქი გამოვიცვალო...
ყველა ცოდვანი ჩემს წინ მოგროვდნენ,
რომ განაჩენი გამომიტანონ!!!

არმაგედონი

როგორ ჩავაქრო, როგორ ჩავაქრო,
როგორ ჩავაქრო სულში ხანძარი,
ასე მგონია მტერმა დამასწრო,
გულში დამჭრა და ვერ გავასწარი...
ბევრმა არ იცის, ბევრმა არ იცის,
რას ნიშნავს სულის არმაგედონი,
როცა ცეცხლშია ირგვლივ დაისი,
შენში კი უკვე მოკლეს მებრძოლი...
როდესაც შენი ნერვის ძაფები,
ყველა უკლებლივ მტრების ხელშია,
საკუთარ თავს რომ ვერ ენახვები,
როცა შენც ცეცხლში ყოფნა გერჩია...
ასე ნელ–ნელა იწვება სული,
და ხარობს მტერი ტყვიის ჯერებით,
გადამწვარია აწმყოც, წარსულიც,
მეც ვკვდები შენი გადამტერებით...

მართლაც რა მინდა

ეტყობა ისე გადაგეჩვიე,
თვითონ არ ვიცი, მართლაც, რა მინდა...
ის დრო წავიდა, სხვებს რომ მერჩიე,
ის დრო წავიდა და გადავიდა...
ასე მგონია, ზიზილ–პიპილებს,
ნამდვილ გრძნობებზე მეტი ფასი აქვს,
ან რას მიხვდები თუ რას გიპირებს,
ბედი, რომელიც ასე თარსია...
რას ვატყობ, იცი, ხალხს სიკეკლუცეს,
რომ ყველა რაღაც როლსა თამაშობს...

შენ არ შეგშურდეს, შენ არ შეგშურდეს,
ვინც, ან რაც უნდა შემომთავაზოს...
რადგანაც, ალბათ, ყველა დაეძებს,
ყველა დაეძებს ერთი–მეორეს...
ღიმილს ვერ ვამჩნევ მე შენს ბაგეზე,
ნუთუ, უჩემოდ იხდი დღეობებს...

მაღლა ცაში მთვარე ცურავს

მაღლა ცაში მთვარე ცურავს,
დაბლა ზღვაში გემები,
ჩემს ეზოში გადმოსულან
შენი ქრიზანთემები...
შეპარვია შენს წერილებს
შემოდგომის სიყვითლე,
მე კაბაზე შეგეკითხე,
შენ კი სხვა გაიფიქრე...
დამწიფებულ ყურძნის მარცვლებს
დროზე უნდა დაწურვა,
ჩემი ერთი კოცნა გმართებს,
ზედ ეგ მკერდიც სასთუმლად...
გარღვეულა ვარდის ბაღთან
ღობე მე რომ დავწანი,
შენ რომ სტუმრად გოგო გყავდა,
რატომ არ გამაცანი...

ნუ, ნუ დამცინებ!

შენს ბავშვურ, ნაწყენ, გაბრუნჩულ ტუჩებს,
ატყვია ჩემი კოცნების კვალი,
რად გამებუტე, რად გამებუტე,
რაც გულში მედო მე ის გითხარი...
ვერ შევიცვლები, რაც უნდა ბევრი,
მლანძღო, მთათხო და თითი მიქნიო,
ვარ შენი ფიქრის ლამაზი ფერფლი
და თავზე მინდა გადმოგეფრქვიო...
ვიღაცა იტყვის, რომ სიყვარული აღარ არსებობს,
რომ ძველ დროს გაჰყვა,
მე კი მჭირდება ის საარსებოდ,
როგორც ზღვებს ყველა ახალი ტალღა...
ვერც ვიტყვი, ნეტა, მაქვს კი უფლება,
მიყვარდე, როგორც სატრფო რომეოს,
მითხარ, ვინ მომცემს ამ ფუფუნებას,
ასე მგონია ბოლო მომეღო...

ნუ, ნუ დამცინებ, თუკი შენს გამო,
ყველა ცოდვაში დამედო ბრალი,
რომ თითქოს ქვევრი ჩამომეცალოს,
ვარ არეული, ლოთი და მთვრალი...

მართლაც...

სადა მთავრდება, სადა მთავრდება,
ნეტა, სადაა სამყაროს ბოლო,
სწორედ იქ მინდა გადასახლება,
აქაურობა რომ მივატოვო...
სწორედ იქ სადღაც დასალიერში,
მართლაც, ვერავინ რომ ვერ მომწვდება,
სადაც სილურჯე გადადის თეთრში,
და ცრის წვეთები რბილ აკორდებად...
სადაც ჩემს სატრფოს გამოვიგონებ,
და გავაცოცხლებ ჩემი ნეკნიდან,
მას მივუძღვნიდი ჩემს ცხელ სტრიქონებს,
და ისიც ჩემგან რაინდს შექმნიდა...
იქ რეალურ და ირეალურში,
გამოვუხმობდი გარდაცვლილ ტიტანთ...
ჰო, გადავცვლიდი იდეალურში
ამ ბილწ სიცოცხლეს, რასაც დღეს ვიტანთ...
მართლაც, როდემდე ქაჯთა ჭენება,
აღვირახსნილი მხედრების დოღი...
ვიღაც თავსა სთვლის აღმაშენებლად
და სისხლიანი დროშებით მოდის...

ვერ ამოვავსე

მე მუდამ ვუსმენ შენს გულისცემას,
მონოტონურად ჟღერენ დარტყმები...
იცი, მიყვარდა შენს სულში ცქერაც,
ვიყავ მსაჯული შეუბრალები...
დღეს, თითქოს, ტაძრის ღია კარიდან,
ანგელოზების მესმის გალობა,
და ვფიქრობ ჩემთვის, რა გამოვიდა,
თუკი ყველაფრის მჭირს უკმარობა...
ვერ ამოვავსე, ვერ ამოვავსე,
ეს საწყაული აღუვსებელი...
მწყრალად ვიყავი მუდამ მორალზე,
უსასტიკესი მყავდა მხლებელი...
და თუ მოველი მე გათენებას...
რომ გადავშალო ხსოვნის ფურცლები,

დაკარგა შენმა მკერდმა მშვენება,
მეც მივდივარ და სხვას ვეუფლები...

ნუ გაუწყრები

მოდის დროება საოცრად მკაცრი,
შენ კი, როგორც ჩანს, გული გაგიტყდა...
მთვარე ვარსკვლავებს აცმევს და ვარცხნის,
მოსაღამოვდა, მზე გადავიდა...
ნუ გაუწყრები, თუ არ უყვარხარ,
მას, ვისაც შენი სული აჩუქე,
რა იცი, იქნებ არ გაუმართლა,
ბევრი მტრები ჰყავთ ნამდვილ ჭაბუკებს...
ნუ დაღონდები, ნუ დაღონდები,
დღეს, მგონი, სიკვდილს მეტი ფასი აქვს,
რადგან მომრავლდნენ ყველგან მონსტრები,
და მგლებსაც კრავის ქურქი აცვიათ...
რით განუგეშო, თვითონ ნუგეში,
მჭირდება, როგორც ბავშვებს დედები...
სიცოცხლეს ვყავარ მეც მარწუხებში,
და მის ღორღიან გზებს ვეხეთქები...
ბევრი ვეცადე, ვერ მოვამტვრიე,
ღამეს თავისი შავი ეშვები,
დავუმეგობრდი ისევ არწივებს
და მათთან ერთად ციდან ვეშვები...
შენ ხშირად იცვლი, ვიცი, ტაქტიკას,
რომ ეს დღეები გაიხალისო,
იცოდე, მე დღეს არავინ მიყვარს,
მე აღარ მინდა კიდევ გავრისკო...
თუ გსურს, შეგხვდები, რაც იყოს, იყოს,
ჰოდა, უბრალოდ, მოგეფერები...
თუკი, მექნება რამე გაგიყოფ,
არ დამანახო, ოღონდ, ცრემლები...

მართლაც ტკბილია

მიყვარხარ, არა მხოლოდ იმიტომ,
რომ ლამაზი ხარ და ღიმილს აფრქვევ,
არც ეს სიტყვები შენ არ მიიღო,
თითქოს ვმალავდე მათ უკან სათქმელს...
ვარდისფერ ტუჩებს აქვს თავის გემო,
ლილისფერ ტუჩებს სულ სხვა გემო აქვს,
მე ის ფუჟერი მსურს გავიხსენო,
ძილის წინ შენ რომ ცივად შემოგაქვს...

მართლაც, ტკბილია ალუბლის წვენი,
თლილი თითები თუკი გიწვდიან,
თან თუ ქალური კდემით იწვები,
თუმცა, უარიც არ შეგიძლია...
არ დამიჯერო, არ დამიჯერო,
მეუბნებიან შენი თვალები,
სადა მაქვს თავი, რომ გეპირფერო,
აი, ვიპოვე შენი ხალები...

ვის, ვის დავეყრდნო...

როგორ ვუშველო, მე დღეს რაცა მჭირს,
როგორ ვესროლო მტერს ხელთათმანი...
ის არ დამაცლის, ის არ დამაცლის,
შემომსევია კალიასავით...
რად დააქროლებს აღვირახსნილი,
ჩემს მიწა–წყალზე თავის ჯალათებს?
ჩემი ბუნება ასე გახსნილი,
მის სისასტიკეს ვერ ითამადებს...
თითქოს რომაულ დროში დავბრუნდით
და მალემსრბოლი დაქრის მუქარით...
ისმის ქვითინი, გრძელი, გაბმული,
კუბოს აჭედებს ჭირისუფალი...
ამდენი ცრემლი, ნეტა, სად ჩადის,
რომელ ზღვაში და ოკეანეში...
მორყეულია ფუძე ტაძარის,
ვის, ვის დავეყრდნო ამ სიავეში?

ვერ შევიცვალე

შენთან დავბრუნდი, შენთან დავბრუნდი,
შენს წინ ვდგავარ და ხელ–ფეხს ვაწვალებ...
ღამეა, ციდან ვარსკვლავთა გუნდი,
ასე მგონია ჩვენ გვითვალთვალებს...
მაშინებს შენი გამჭოლი მზერა,
ვიცი, საცაა უნდა ატირდე...
მთვარემ პირჯვარი გადაიწერა,
შენ რომ ბრალდების თქმა დააპირე.
მე კარგად ვიცი, რისი ღირსიც ვარ,
როცა ყვავივით სადღაც ვეჩრები...
ვერ შევიცვალე ერთი მისხლითაც,
თუმც ბობოქრობდნენ ჩემში ეჭვები...
არავინ დარჩა გზა რომ მასწავლოს,
და მეც მერევა ხშირად ბილიკი,

იცი, არ მინდა ცილი დამწამო,
რასაც შენ ამბობ, იყო პირიქით...
შენ ვერ შენიშნე, შენ ვერ შენიშნე,
მთვარეს შერცხვა და ზღვაში ჩავიდა...
მე დავიხარე შენი მკერდისკენ,
შენ კი წამოგცდა, არა, არ გინდა!

სევდა

სევდა, რომელიც მხრავს
ყველგან ძაღლივით მდევს,
რა, რა იქნება ხვალ?
მეც ვეკითხები ბედს...
ვეღარსად მოკრავ თვალს
ცად მოთამაშე მტრედს,
ჩაგიხერგავენ გზას,
დაგახვედრებენ მტრებს...
ნეტა, რამდენი ღირს,
ეს დრო, რომელიც კლავს...
ცხელი ქარები ქრის,
ჟამიანობის ჟამს...
წავალ, გავყვები მგლებს,
მათ ვამჯობინებ ხალხს,
დროს, შხამიანს და ჭრელს,
უფსკრულს, ზვავსა და ხრამს...

იმ არწივებმა გადაიფრინეს

მე მომეჩვენა რომ ჩემზე ფიქრობ,
როგორც ნაყოფზე ფიქრობს ყვავილი,
ბევრ დროს ნუ მითმობ,
ბევრ დროს ნუ მითმობ,
მე წერას ვყავარ დღეს ატანილი.
და ამიტომაც ვერ დაგპირდები,
რომ აგაცილებ ყველა ტკივილებს...
მოკვდა ის ძველი თავგანწირვები,
იმ არწივებმა გადაიფრინეს...
გაუფასურდა, გაუფასურდა,
ის, რაც ოდესღაც იყო ძვირფასი...
მგონი, გრძნობებით თრობაც დასრულდა,
და სიყვარულიც გახდა მირაჟი...
დრო ფული ღირსო, დრო ფული ღირსო,
ჩამჩიჩინებენ კარგა ხანია...
ისე, მეც მინდა ჯიბე გავივსო,
მაგრამ, შენც ხედავ, არა მცალია...

არ დაიჯერებ, მაგრამ მგონია,
რომ სახლიდანაც გამომაგდებენ,
მოსწავლესავით მთხლეშენ ორიანს,
და ტუსაღივით ბრალსაც დამდებენ...
მართლაც, ნეტა, ვის, რაში ვჭირდები,
უსიყვარულოდ კოცნაც არ მინდა...
რა ყვავილები, რის ყვავილები,
რა რომანტიკა, რის რომანტიკა...

ჩემი მინდვრები ისევ მინდვრობენ

ცაზე ღრუბელი ღრუბელს მიჰყვება,
მიწას ალბობენ მსხვილი წვეთები,
ეგ ლურჯი კაბა ისე გიხდება,
როგორც მზეს თავის აფეთქებები...
რად ირხევიან, რად ირხევიან,
გაყოლებაზე ჩემს წინ ფიჭვები...
ან ირმებივით რატომ ფრთხებიან,
შენს კანზე ჩემი ცხელი თითები...
ვერ ვხვდები, რატომ ვეღარ ვკითხულობ,
შენი თვალების იქით ვერაფერს...
ან იმედები რომ ავისრულო,
შენ, ალბათ, სწორედ, თვალებს შემაჩვევ...
ჩემი მინდვრები ისევ მინდვრობენ,
სადაც ზაფხულის დაძრწის ალები...
არ დაგინდობენ, არ დაგინდობენ,
არ დაგინდობენ, ჩემი თვალები...

დაო მარიამ

ვერ ვგრძნობ დღეობებს,
ვერ ვგრძნობ დღეობებს,
არც ძველებურად არ მიხარია...
ავანთებ სანთელს და ვიმეორებ,
მე შენ გიხილე, დაო მარიამ...
მე შენ გიხილე უამრავ ხატზე,
გაბრწყინებული შარავანდედით...
მთებში ჩამავალ მთვარეს გამსგავსე,
გადაღლილი და ნაფერმკრთალები...
მე შენ გიხილე, თითქოს, დარდისგან,
ხელით მოაჯირს ჩამოყრდნობილი...
თეთრად შეღებილ ტაძრის აივანს
გადაჰყურებდა შენი პროფილი...
მე ისევ ველი შენგან წყალობებს,

და თუ ვარსებობთ, შენით ვარსებობთ...
თითქოს ზეციურს ვუსმენ გალობებს,
გთხოვ, გაგვიბრწყინო ქართვლის სამეფო!!!

მეც მიყვარდი ძალიან

ჩემთან ჯერაც თოვლი ბარდნის,
შენთან ისევ დარია...
კარგად მახსოვს რომ გიყვარდი,
მეც მიყვარდი ძალიან...
მეც მიყვარდი, როგორც უყვართ,
ღმერთებს ანგელოზები...
შენს სახელზე გაიფურჩქნა
ბაღში ატმის ყლორტები...
ჩამოსული ციდან მთვარე,
დაგეძებდა ამაოდ...
შეყვარებულს გავეყარე,
მითხრა, დარდუბალაო...
შენ ამ სიტყვას არ მეტყოდი,
სხვა ღვინით ხარ დამტკბარი...
ჩემს კოცნაზე ისე თრთოდი,
ვით დანის ქვეშ ბატკანი...
შენდა ჭირად გავჩენილვარ,
ვერ მიპოვე შემცვლელი...
რა სისწრაფით გაფრენილან,
უკან ჩვენი მერცხლები...

ვიცი საფლავში არ ჩამომყვები

ისე მომბეზრდა სულყველაფერი,
მინდა, რომ წლები სწრაფად ჩამთავრდეს...
ცხოვრება, როგორც ცივი კარცერი,
ღია კარიდან რად მითვალთვალებს...
ხომ არ ვტყუვდები, ხომ არ ვტყუვდები,
რომ ვეძებ შენში უმანკოებას...
იქნებ ტყუილად გესაკუთრები,
არ ვიწვევ შენში მე სათნოებას...
ან, იქნებ, მითხრა, რა მომიტანა,
იმ გატაცებამ შენ რომ მაჩუქე...
ვერ გამოვდექი მე შენს ტრისტანად,
გაფრენილიყო ის სიჭაბუკე...
ცვდება სიტყვები, ცვდება გრძნობები...
ზოგნი მიდიან, ზოგნი მოდიან...
ვიცი, საფლავში არ ჩამომყვები,

თუმც, ტრაგედია წასვლა როდია...
ბევრად მძიმეა დღეს აქ დარჩენა,
მე შენს ლარნაკში დამრჩა ტიტები...
მკერდზე კი, მგონი, ჩემი მარჯვენა,
წავიღებ როცა დაგავიწყდები...

მრისხანება

რად გვიკრძალავენ, რად გვიკრძალავენ,
რატომ გვართმევენ თავისუფლებას!!!
სხეულს ორას წელს ნაგრიგალავებს,
დაღი დაასვეს ისევ ხუნდებმა!!!
თითქოს მთებიდან მოსწყდნენ ზვავები,
რომლებსაც მიწა ვერ უმკლავდება...
და როგორც ცხედრებს ფლედნენ სვავები,
მკვდრეთით აღმდგარა დღეს მრისხანება!!!
რატომ ჰგონიათ, რატომ ჰგონიათ,
რომ ქარიშხლებიც მაგათ ხელშია,
რომ მათ ხელშია მონოპოლია,
და თუ დასჭირდათ ტყვიებს გვესვრიან!!!
ჩვენს მტერს არა აქვს, ხალხო, ნაცია,
ის ურჯულოა, როგორც ყოველთვის,
მას სისხლიანი ჯვალო აცვია,
ახალ ტრიუმფსაც სისხლით მოელის!!!
და თუ აქამდე მალავდა ამ სისხლს,
დღეს ყველამ ვიცით, რომ შიშველია...
აღსდგება ხალხი, აღსდგება ხალხი,
და მიანგრევენ მის იმპერიას!!!

ხასიათი

მე მეგონა მე გიყვარდი,
შენ კი თურმე სხვა გიყვარს,
ჩემთან, ისე, დროს იყვანდი,
სხვათაშორის, ხანდისხან...
ვერ გავიგე, ნუთუ მართლაც,
შეიცვალნენ ქალები...
შენ ღალატი დაგემართა,
მომწვდა შენი ბრჭყალები...
ეს ხომ რბილი ნოტებია,
მე კი ველი აკორდებს,
ეგ თვალები მონსტრებია,
მე რომ ასე დამკორტნეს!
ვიცი, ვიცი, შენც გამწირე,

უკვე შენი მსხვერპლიც ვარ...
საფლავამდე მიმაცილე,
ვითომ შეგხვეწებივარ...
არ დამინდო, არ დამინდო,
მე რა დასანდობი ვარ...
მგონი, წვიმამ გადაიღო,
დამელოდე, მოვდივარ!!!

არ დამიჯერო

არ დამიჯერო, არ დამიჯერო,
რომ გითხრა, თითქოს, ხარ ერთადერთი,
რომ შემიძლია გადავიმტერო,
შენს გამო მთელი ოკეანეთი...
რომ ატმის რტო ხარ აყვავებული,
და სურნელებას ბაღივით აფრქვევ,
როგორც დედოფლის თმები შემკული
ბრილიანტების გვირგვინით თავზე...
რომ შემოგცქერი, როგორც ღვთაებას,
და რომ შენს იქით არის წყვდიადი...
რომ როცა გნახე ენა დამება,
და შეხვედრამდეც უკვე მიყვარდი...
რომ შენს ეზო–კარს ისე ავიკლებ,
როგორც რაინდი კაფავს მტრის რიგებს,
რომ მთელ სამყაროს ფეხქვეშ გაგიგებ,
და შენთან ერთად მოვიჯირითებ...
ნუ დამიჯერებ, ნუ დამიჯერებ,
რომ სილამაზე მგვრის აღტაცებას,
იცი, უბრალოდ, თავგზას მიბნევენ,
ერთად რომ ვხედავ ამდენ არსებას...

შეგიყვარებდი (მაია მაიკოს)

შეგიყვარებდი, რომ ვიცოდე, სხვისი არა ხარ,
ეს რომ ვიცოდე, უეჭველად შეგიყვარებდი...
თორემ ჩემს ბაღში სიყვარულის ყლორტი გადახმა,
და მის ყვავილებს გაფურჩქნიდნენ შენი მკლავები...
თუმცა, ვინ იცის, ვის ნებას და სურვილს არწყულებ,
და რომელ ნავით მინანავებ ზღვაში ვნებების...
რა ვქნა, ეგ შენი სილამაზე ისე მაძრწუნებს,
ასე მგონია, რომ ხელებში ამიფეთქდები...
სხვა რა უნდა ვთქვა, ამოვწურე ჩემი სათქმელი,
და ახლა, ალბათ, ჩემო კარგო, ჯერი შენზეა...
მიმოიხედე, თუ გყავს ვინმე ამოსარჩევი...

დანარჩენი კი, ალბათ, უკვე, შენს თვალებზეა...

ეგ სიხარული

ეგ სიხარული შენ რომ ასხივებ,
იცი, ჩემთვისაც გადამდებია,
მეწამულ ზღვაში აღმოგაჩინე,
ძველი გემები სადაც ხვდებიან...
გემის კიჩოზე სხედან სვავები
და მეზღვაურებს თვალს ადევნებენ...
ღამენათევი და ნაწამები,
ცაზე ვარსკვლავნი თვალებს ახელენ...
ვიგონებ პირველ შთაბეჭდილებას,
შენ დაპირებებს უხვად აფრქვევდი...
ვამჩნევ ამაში ქალის თვისებას,
გაიფეტიშოს მდარე საგნები...
ვინ ვიყავ შენთვის, ვიღაც მეარღნე,
რომსა და პარიზს ნაწანწალები...
ხელი საკინძის ღილებს შევახე
და შემომაკვდნენ შენი თვალები...

დაგეძებდი

მინდორ–მინდორ დაგეძებდი,
დაგეძებდი ღელე–ღელე...
საკოცნელად შენი მკერდი,
ვერა და ვერ მოვიხელე...
კლდის ნაპრალის ყვავილს ჰგავხარ,
ნუკრივით, რომ უფრთხის ნიავს...
და რად გიკვირს თუ მიყვარხარ,
თუკი შენი ძუძუ მშია...
დავეწევი დამფრთხალ მერანს,
გაგიჟებულს, გაუხედნავს...
რას მიყურებ, ეს ხომ მე ვარ,
შენ, უბრალოდ, ვერა მხედავ...

რისი გულისთვის

ვიცი, რომ ელი ჩემს გამოჩენას,
რას გეტყვი ისეთს, რით გაგახარებ...
დროის დინებამ წაიღო ყველა,
მე ერთი შევრჩი ამ უღვთო მხარეს...
იცი, რამდენჯერ, მართლაც, რამდენჯერ,
შემოვლილი მაქვს, როგორც პილიგრიმს...

როგორ ებრძოდნენ, როგორ ანგრევდნენ,
უღვთოდ, უსისხლოდ, რისი გულისთვის...
ან შენ რა გინდა უცხო მხარეში,
როცა ჩემს თვალწინ კლავენ სამშობლოს,
გულში უყრიან დანებს ალესილს,
რომელი ერთი დავიმახსოვრო...
რომელი ერთი დავიმახსოვრო,
მთები, ველები, ზღვები, ტაძრები,
თუ ვიღაც ცდილობს სხვებს უსახსოვროს,
რაც დაგვიტოვა ღმერთმა ანდერძით...
გაყიდულია, გაყიდულია,
თითქოს ტყვიები ხვდება საფეთქელს,
ჩემ ხალხს რა აღარ გამოუვლია,
ღვონო წაართვეს, ნთხლე ჩააცეცხლეს...
საით მივდივართ, საით მივდივართ,
ვინ, ვინ ამოხსნის ამ ამოცანას?
თურმე მთლიანად გაუყიდივარ
და ყელზე მაჭერს ეშმაკი დანას!!!

გულზე დამაწყე

გულზე დამაწყე,
ეგ ვარდები
გულზე დამაწყე,
არ გაგეცინოს,
დღეს ცოცხლებში
ბევრი მკვდარია...
ვცხოვრობ, დავდივარ
ძველებურად ამ ქვეყანაზე,
მაგრამ, შენც ხედავ,
არაფერი არ მიხარია...
როგორ მინდოდა,
ჩემთვის მიწა შემომეღობა,
მეხნა, მეთესა,
მზის ამოსვლას შევგეგებოდი...
მე ხომ, ძვირფასო,
ერთი თხილის გულიც მეყოფა,
თუ გეყვარები,
თუ გამიტან,
თუკი მენდობი...
შენ კი მთავაზობ
მეგობრობის ნაცვლად სიყვარულს,
მე კი ვამჩნევ,
რომ გრძნობებისთვის აღარ მცალია,
მივალ, მივათრევ,

თითქოს, მხრებით,
აწმყოში წარსულს,
და ვგრძნობ, მკვდარი ვარ,
მკვდარი, ალბათ, დიდი ხანია...

ვეღარ შეგხვდები

ვუსმენ სიჩუმეს, ვუსმენ სიჩუმეს,
თითქოს სიჩუმის ნისლში ვეხვევი...
ყველა იმედი გადამიწურე...
ამ ორი სიტყვით: ვეღარ შეგხვდები...
ვერ დავიჯერე, ვერ დავიჯერე,
როგორ მეგონა, თითქოს, მომესმა...
ლამის ვენები გადავისერე,
და სურვილებიც ზღვამ ამომრეცხა...
რას ჩურჩულებენ, რას ჩურჩულებენ,
რას ჩურჩულებენ ტბაში გედები...
უერთმანეთოდ, ნეტა, თუ ძლებენ...
ვეღარ შეგხვდები, ვეღარ შეგხვდები...

მითხარი, მოგისმენ...

რა ხდება, ძვირფასო, ამდენი დუმილი,
შენგან რომ სხეულზე ზღვასავით მეღვრება...
როგორც ჩანს, ვხვდები, რომ არა გაქვს სურვილი,
რომ შედგეს, როგორმე, კვლავ ჩვენი შეხვედრა...
რა ხდება, მითხარი, რატომ ხარ ნაწყენი,
თუ ჩემთვის, უბრალოდ, აღარა გცალია,
ვერ ვუძლებ, ვერ ვუძლებ, დროს, ასე გაწელილს,
სიყვარულს, რომელსაც ოდნავი ბზარი აქვს...
ან რატომ გგონია, რომ ჩაგისაფრდები,
და კლდიდან მოვწყდები, ვით შავი ავაზა...
მითხარი, მითხარი, თუ არ მეთანხმები,
მითხარი, მოგისმენ, ჰო, რამ გაგაბრაზა...
დღეები მიდიან და ყელში მაწვება,
უაზრო დროების ცრუ დაპირებები...
თუ დღესაც არ მოხვალ, მე გული დამწყდება,
ან სულაც დასკდება ამ გულის კედლები...

ბედნიერება მხოლოდ შენშია

ვინ რითი სუნთქავს, ვინ რითი სუნთქავს,
ვერას გაიგებ და ვერც ამოხსნი...

ნუ, ნუ მიიტან, ძვირფასო, გულთან,
შენს სადღეგრძელოს თუ ვერ გამოვცლი...
თუ უნებლიედ ვერ წავიკითხე,
რას მიამბობდნენ შენი თვალები...
თუ ალმოდებულ, ვულკანურ სივრცეს,
დაემატება ეჭვის გვალვები...
რას იზამ, თუკი გადამწვარია,
ცხელი დღეებით, სული, სხეული...
ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია,
მხრავდნენ ფიქრები შემოსეული...
რომ ბოროტებით ჩემსკენ მავალი,
ვერ შევაჩერე მკერდით ეტლები...
რომ სევდა იყო ჩემი წამალი,
როცა მიტევდნენ ეს უმეცრები...
რომ დამცინავი მათი დუმილი,
ყველა ტყვიაზე უარესია...
რომ გადაივლის ჭექა–ქუხილი,
რომ დამთავრდება ეს რეპრესია...
რომ გეტყვი ბოლოს, თუნდაც ვკვდებოდე,
ყველაფერს რაც კი რამე შემშლია...
რომ მინდა, მინდა მენატრებოდე,
ბედნიერება მხოლოდ შენშია...